

სისსლის სამართალი ქეჩო ნანილი

კრებულში გამოქვეყნებულია ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისა და სამართლის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი გადანყვეტილებები. ამ და სხვა საქმეთა მოქმენა შესაძლებელია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებ-გვერდზე: <http://www.supremecourt.ge/court-decisions/>

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი
სისხლის სამართლის საქმეებზე
2025, №10-12

Decisions of the Supreme Court of Georgia
on Criminal Cases
(in Georgian)
2025, №10-12

Entscheidungen des Obersten Gerichts von Georgien
in Strafsachen
(in der georgischen Sprache)
2025, №10-12

Решения Верховного Суда Грузии
по уголовным делам
(на грузинском языке)
2025, №10-12

გადაწყვეტილებების შერჩევასა და დამუშავებაზე პასუხისმგებელი
რუსულან ჭანტურიძე

ტექნიკური რედაქტორი
მარიკა მაღალაშვილი

რედაქციის მისამართი:

0110, თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. №6, ტელ: 298 20 75; www.supremecourt.ge

საკიეპელი

კერძო ნაწილი

1. **დანაშაული სიცოცხლის წინააღმდეგ**
განზრახ მკვლელობის მცდელობა 4
ქმედების გადაკვალიფიცირება ორი ან ორზე მეტი პირის განზრახ მკვლელობის მცდელობიდან ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანებაზე, ისეთი საშუალებით, რომელიც განზრახ უქმნის საფრთხეს სხვათა სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას 20
2. **ეკონომიკური დანაშაული**
ქმედების გადაკვალიფიცირება თაღლითობიდან თვითნებობაზე .. 38
თაღლითობა 49
3. **დანაშაული სამენარმეო და სხვა ეკონომიკური საქმიანობის წინააღმდეგ**
უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია და თაღლითობა 77
4. **ნარკოტიკული დანაშაული**
ნარკოტიკული საშუალების უკანონო შექმნა, შენახვა და გასაღება 106
ნარკოტიკული საშუალების უკანონო შექმნასა და შენახვაში დახმარება 119
ნარკოტიკული საშუალების უკანონო შექმნა, შენახვა, უკანონო გასაღების მომზადება..... 128
ნარკოტიკული საშუალების უკანონო გასაღების მომზადება 144
5. **სატრანსპორტო დანაშაული**
ქმედების გადაკვალიფიცირება საქართველოს სსკ-ის 276-ე მუხლის მე-5 ნაწილიდან (ავტომობილის მოძრაობის უსაფრთხოების წესის დარღვევა იმის მიერ, ვინც ამსატრანსპორტო საშუალებას მართავს, რამაც ადამიანის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია) საქართველოს სსკ-ის 276-ე მუხლის 1-ლ ნაწილზე (ავტომობილის მოძრაობის უსაფრთხოების წესის დარღვევა, იმის მიერ, ვინც ამ სატრანსპორტო საშუალებას მართავს, რამაც გამოიწვია ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე დაზიანება) 162
6. **დანაშაული მტკიცებულების მოპოვების საპროცესო წესის წინააღმდეგ**
მართლმსაჯულებისათვის ხელის შეშლა, რაც გამოიხატა დაზარალებულის მიერ ცრუ ინფორმაციის მიწოდებით 172
7. **დანაშაული სასამართლო აქტების აღსრულების წინააღმდეგ**
აღწერილ, დაყადაღებულ ან ჩამორთმევას დაქვემდებარებულ ქონებასთან დაკავშირებული უკანონო ქმედება 187

კერძო ნაწილი

1. დანაშაული სიცოცხლის წინააღმდეგ განზრახ მკვლელობის მცდელობა

განაჩენი
საქართველოს სახელმწიფო

№452აპ-25

23 ოქტომბერი, 2025 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:
ნ. სანდოძე (თავმჯდომარე),
მ. გაბინაშვილი,
ლ. თევზაძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული პროკურორის მოადგილის – ნიკოლოზ დგებუაძისა და მსჯავრდებულ დ. გ-ას ინტერესების დამცველი ადვოკატის – კ. მ-ის საკასაციო საჩივრები თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2025 წლის 13 მარტის განაჩენზე.

აღწერილობით-სამოტივაციო ნაწილი:

1. წარდგენილი ბრალდების არსი:

1.1. დ. გ-ა ცნობილ იქნა ბრალდებულად საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის (შემდგომში – საქართველოს სსკ-ის) 19, 108-ე მუხლით (განზრახ მკვლელობის მცდელობა), საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-3 ნაწილითა (ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შექმნა, შენახვა) და საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-4 ნაწილით (ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო ტარება) გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენისთვის, რაც გამოიხატა შემდეგით:

1.2. 2023 წლის 25 ივლისს, შუადღის საათებში, ქ. თ-ში მდებარე იურიდიული კომპანია „ჯ...“ ოფისში, დ. გ-ამ სამშენებლო ბიზნეს საქმიანობიდან წარმოშობილი უთანხმოების გამო, ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე, მოკვლის განზრახვით, ცეცხლსასროლი იარაღიდან ორჯერ გასროლით, სხეულის სხვადასხვა არეში სიცოცხლისთვის სახიფათო დაზიანებები მიაყენა ტ. გ-ეს. კერძოდ, ამ უკანასკნელს აღენიშნებოდა ცეცხლსასროლი ჭრილობები მარჯვნივ მენჯ-ბარძაყის სახსრის არეში და მარცხნივ თეძოს ფრთის ზემოთ. ტ. გ-ეს დაუდგინდა მუცლის ღრუს შემავალი ჭრილობა სწორი ნაწლავის დაზიანებით. შემთხვევის

ადგილზე მყოფმა გ. ა-ემ დ. გ-ას მიერ ცეცხლსასროლი იარაღიდან სროლის გაგრძელების აღსაკვეთად, ეს უკანასკნელი შებოჭა და გაუკავა ხელები. ამასობაში ტ. გ-ემ შეძლო შემთხვევის ადგილის დატოვება და მისი სიცოცხლის შენარჩუნება შესაძლებელი გახდა დროული სამედიცინო დახმარების შედეგად.

1.3. 2023 წლის 25 ივლისამდე, დ. გ-ა მართლსაწინააღმდეგოდ ინახავდა გამოძიებით დაუდგენელ დროსა და ვითარებაში მის მიერვე მართლსაწინააღმდეგოდ შეძენილ 7,65X17 მმ. კალიბრიან პისტოლეტს, რომლის ჩარჩოზეც იკითხება ციფრები – „...“, ხოლო ჩამკეტის გარსაცმზე წარწერა: „PIETRO BERETTA CAL 765 GARDONA V T“, დამზადებული კუსტარული წესით, რომელიც მიეკუთვნება ცეცხლსასროლ იარაღთა კატეგორიას და ვარგისია სროლისათვის. ასევე, 11 ცალ ქარხნული წესით დამზადებულ, 1900 წლის ნიმუშის „Browning“-ის, 7,65X17 მმ. კალიბრიან ვაზნებს, რომლებიც მიეკუთვნება საბრძოლო მასალათა კატეგორიას და ვარგისია გამოსაყენებლად. შემთხვევის ადგილის დათვალიერების შედეგად ამოღებული მასრა არის ქარხნული წესით დამზადებული 1900 წლის ნიმუშის „Browning“-ის, 7,65X17 მმ. კალიბრიანი ვაზნის შემადგენელი ნაწილი, რომელიც გასროლილია 7,65 მმ კალიბრის №... პისტოლეტში. ასევე, შემთხვევის ადგილის დათვალიერების შედეგად ამოღებული ტყვია არის ქარხნული წესით დამზადებული 1900 წლის ნიმუშის „Browning“-ის, 7,65X17 მმ. კალიბრიანი ვაზნის შემადგენელი ნაწილი, რომელიც გასროლილია 7,65 მმ. კალიბრიანი №... პისტოლეტის ლულაში.

1.4. 2023 წლის 25 ივლისს, შუადღის საათებში, ქ. თ-ში მდებარე იურიდიული კომპანია „ჯ...“ ოფისსა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე, დ. გ-ა მართლსაწინააღმდეგოდ ატარებდა მართლსაწინააღმდეგოდ შეძენილ ცეცხლსასროლ იარაღსა და საბრძოლო მასალას, კერძოდ, ბალისტიკური ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, ექსპერტიზაზე წარდგენილი 7,65X17 მმ. კალიბრიანი პისტოლეტი, რომლის ჩარჩოზეც იკითხება ციფრები – „...“, ხოლო ჩამკეტის გარსაცმზე – წარწერა: „PIETRO BERETTA CAL 765 GARDONA V T“, დამზადებულია კუსტარული წესით, მიეკუთვნება ცეცხლსასროლ იარაღთა კატეგორიას და ვარგისია სროლისათვის. 11 ცალი ქარხნული წესით დამზადებული, 1900 წლის ნიმუშის „Browning“-ის, 7,65X17 მმ. კალიბრიანი ვაზნა, მიეკუთვნება საბრძოლო მასალათა კატეგორიას და ვარგისია გამოსაყენებლად. შემთხვევის ადგილის დათვალიერების შედეგად ამოღებული მასრა არის ქარხნული წესით დამზადებული, 1900 წლის ნიმუშის „Browning“-ის, 7,65X17 მმ. კალიბრიანი ვაზნის შემადგენელი ნაწილი, რომელიც გასროლილია წარმოდგენილი 7,65 მმ. კალიბრიან №... პისტოლეტში, ასევე, შემთხვევის ადგილის დათვალიერების შედეგად

ამოღებული ტყვია არის ქარხნული წესით დამზადებული, 1900 წლის ნიმუშის „Browning“-ის, 7,65X17 მმ. კალიბრიანი ვაზნის შემადგენელი ნაწილი, რომელიც გასროლილია წარმოდგენილ, 7,65 მმ კალიბრიანი №.... პისტოლეტის ლულაში.

2. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება:

2.1. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2024 წლის 22 აპრილის განაჩენით:

2.2. დ. გ-ა ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 19,108-ე მუხლით, საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-3 ნაწილითა და საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენაში და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა: საქართველოს სსკ-ის 19,108-ე მუხლით – 10 წლით თავისუფლების აღკვეთა;

საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-3 ნაწილით – 3 წლით თავისუფლების აღკვეთა;

საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-4 ნაწილით – 4 წლით თავისუფლების აღკვეთა;

2.3. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე, უფრო მკაცრმა სასჯელმა შთანთქა ნაკლებად მკაცრი სასჯელები და საბოლოოდ, დანაშაულთა ერთობლიობით, დ. გ-ას სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა.

2.4. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2024 წლის 22 აპრილის განაჩენი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში გაასაჩივრა მსჯავრდებულ დ. გ-ას ინტერესების დამცველმა ადვოკატმა – კ. მ-ემ. დაცვის მხარემ მოითხოვა დ. გ-ას გამართლება საქართველოს სსკ-ის 19,108-ე მუხლით წარდგენილი ბრალდებით. თბილისის სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისას, ადვოკატმა დააზუსტა სააპელაციო საჩივრის მოთხოვნა და მოითხოვა საქართველოს სსკ-ის 19,108-ე მუხლით წარდგენილი ბრალდების საქართველოს სსკ-ის 117-ე მუხლზე გადაკვალიფიცირება. ამასთან, აღნიშნა, რომ ეთანხმება დ. გ-ას მსჯავრდებას საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით.

3. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება:

3.1. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2025 წლის 13 მარტის განაჩენით, მსჯავრდებულ დ. გ-ას ინტერესების დამცველი ადვოკატის – კ. მ-ის დაზუსტებული სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა და ცვლილება შევიდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2024 წლის 22 აპრილის განაჩენში.

3.2. დ. გ-ას ქმედება საქართველოს სსკ-ის 19,108-ე მუხლიდან გააკვალიფიცირდა საქართველოს სსკ-ის 117-ე მუხლის პირველ ნაწილზე;

დ. გ-ა ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 117-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისთვის და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 6 წლით;

დ. გ-ა ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისთვის და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 3 წლით;

დ. გ-ა ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისთვის და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 4 წლით;

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე, უფრო მკაცრმა სასჯელმა შთანთქა ნაკლებად მკაცრი სასჯელები და საბოლოოდ, დანაშაულთა ერთობლიობით, დ. გ-ას სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა 6 წლით თავისუფლების აღკვეთა.

3.3. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2025 წლის 13 მარტის განაჩენი საქართველოს უზენაეს სასამართლოში გაასაჩივრეს თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული პროკურორის მოადგილემ – ნიკოლოზ დგებუაძემ და მსჯავრდებულ დ. გ-ას ინტერესების დამცველმა ადვოკატმა – კ. მ-ემ. ბრალდების მხარემ მოითხოვა გასაჩივრებული განაჩენის გაუქმება და დ. გ-ას დამნაშავედ ცნობა საქართველოს სსკ-ის 19,108-ე მუხლით, საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-3 ნაწილითა და საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენისთვის, ხოლო დაცვის მხარემ მოითხოვა დ. გ-ას მიმართ დანიშნული სასჯელის შემცირება.

4. კასატორების არგუმენტები:

4.1. პროკურორის განმარტებით, გასაჩივრებული განაჩენი უკანონოა, რადგან სასამართლომ უსაფუძვლოდ არ გაიზიარა ბრალდების მხარის მიერ სასამართლოში წარგენილი და გამოკვლეული მტკიცებულებები (დაზარალებულისა და მონმეთა ჩვენებები, საგამოძიებო ექსპერიმენტის ოქმი, დანაშაულის შესახებ შეტყობინება, ვიდეოსამეთვალყურეო კამერის ჩანაწერები, სამედიცინო და ბალისტიკური ექსპერტიზის დასკვნები), რომლებიც ადასტურებს დ. გ-ას მიერ ბრალდნარდგენილი ქმედების ჩადენას. ბრალდების მხარის მტკიცებით, დ. გ-ამ სამჯერ გაისროლა ტ. გ-ის მიმართულებით და სროლის შეწყვე-

ტა მოუწია გ. ა-ის მიერ მისი შებოჭვის გამო, თუმცა იგი კვლავ აგრესიული იყო და წინააღმდეგობას უწევდა გ. ა-ეს, რომელიც მას აკავებდა. სწორედ ამ დროს შეძლო დაზარალებულმა შემთხვევის ადგილიდან გაქცევა. კასატორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა, თითქოს, მსჯავრდებულს არ ჰქონდა დაზარალებულის მოკვლის განზრახვა, უსაფუძვლოა.

4.2. ადვოკატის განმარტებით, გასაჩივრებული განაჩენი სასჯელის ნაწილში არ არის სამართლიანი, რადგან შეფარდებული სასჯელი – 6 წლით თავისუფლების აღკვეთა არის ზედმეტად მკაცრი. სასჯელის დანიშვნისას სასამართლომ არ გაითვალისწინა მსჯავრდებულის მიერ ჩადენილი ქმედების გაცნობიერება და გულწრფელი სინანული, მისი პიროვნული მახასიათებლები – მათ შორის, ნასამართლობის არქონა, ნაკლები საზოგადოებრივი საშიშროება, დანაშაულის აღიარება, გამოძიებასთან თანამშრომლობა, ნივთმტკიცების წარდგენა, დანაშაულის გახსნისათვის ხელშეწყობა, ჩადენილი ქმედების შედეგად გამოუსწორებელი ზიანის არარსებობა, ქმედების არასისტემატურობა და არაორგანიზებული ხასიათი და სტაბილური კრიმინოგენული განზრახვის არარსებობა. ადვოკატი ასევე ყურადღებას მიაქცევს მსჯავრდებულის ოჯახურ, საზოგადოებრივ ცხოვრებასა და მძიმე ჯანმრთელობის მდგომარეობას.

5. საკასაციო სასამართლოს შეფასებები:

5.1. საკასაციო პალატამ ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა საკასაციო საჩივრები, შეამოწმა მათი საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული პროკურორის მოადგილის – ნიკოლოზ დგებუაძის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს და ცვლილება უნდა შევიდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2025 წლის 13 მარტის განაჩენში, ხოლო მსჯავრდებულ დ. გ-ას ინტერესების დამცველი ადვოკატის – კ. მ-ის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

5.2. საკასაციო სასამართლო, უპირველეს ყოვლისა, აღნიშნავს, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის (შემდგომში საქართველოს სსკ-ის) 306-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, საკასაციო საჩივარი განიხილება საჩივრისა და მისი შესაგებლის ფარგლებში. მოცემულ შემთხვევაში, მხარეთა შორის სადავო გარემოებას არ წარმოადგენს დ. გ-ას მიერ ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგოდ შეძენა, შენახვა და ტარება. მართალია, პროკურორი ითხოვს გასაჩივრებული განაჩენის გაუქმებას, თუმცა, ბრალდების მხარის საკასაციო საჩივარი არ ეხება საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით მსჯავრდებას. ამასთან,

სააპელაციო სასამართლოს განაჩენი მსჯავრდების ამ ნაწილში სრულად შეესაბამება ბრალად წარდგენილ კვალიფიკაციას. შესაბამისად, ბრალდების მხარის საკასაციო საჩივრის ფარგლებში საკასაციო სასამართლოს მსჯელობის საგანია იმის განსაზღვრა, სწორი სამართლებრივი კვალიფიკაცია მისცა თუ არა სააპელაციო სასამართლომ დ. გ-ას მიმართ საქართველოს სსკ-ის 117-ე მუხლის პირველი ნაწილით მსჯავრდებულს ქმედებას, კერძოდ: დ. გ-ას ამოძრავებდა ტ. გ-ის მოკვლის თუ ჯანმრთელობის მძიმე დაზიანების განზრახვა, ხოლო დაცვის მხარის საკასაციო საჩივრის ფარგლებში – მსჯავრდებულისათვის დანიშნული სასჯელის სამართლიანობა.

5.3. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სადავო გარემოებას არ წარმოადგენს და საქმეში არსებული, ერთმანეთთან შეთანხმებული, აშკარა და დამაჯერებელი მტკიცებულებებით, კერძოდ: დაზარალებულ ტ. გ-ის ჩვენებით, მოწმეების – გ. ა-ისა და გ. კ-ის ჩვენებებით, საგამოძიებო ექსპერიმენტის ოქმით, შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმით, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საექსპერტო-კრიმინალისტიკური დეპარტამენტის საექსპერტო სამმართველოს 2023 წლის 26 ივლისის №6... ბალისტიკური ექსპერტიზისა და სსიპ – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2024 წლის 8 თებერვლის სამედიცინო ექსპერტიზის №..... დასკვნებით, ექსპერტთა ჩვენებებით, ვიდეოსამეთვალყურეო კამერების ჩანაწერით დასტურდება, რომ მხარეებს შორის მანამდე არსებული უთანხმოების გამო, 2023 წლის 25 ივლისს, შუადღის საათებში, ქ. თ.....ის გზატკეცილი №-ში მდებარე იურიდიული კომპანია „ჯ...“ ოფისში, დ. გ-ა, მ. გ-ია და გ. კ-ი შეხვდნენ ტ. გ-ესა და გ. ა-ეს, რა დროსაც დ. გ-ამ, სამშენებლო ბიზნეს საქმიანობიდან წარმოშობილი უთანხმოების გამო, ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე, ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლებით, სხეულის სხვადასხვა არეში სიცოცხლისთვის სახიფათო დაზიანებები მიაყენა ტ. გ-ეს. სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, ტ. გ-ეს აღენიშნებოდა ცეცხლსასროლი ჭრილობები მარჯვნივ მენჯ-ბარძაყის სახსრის არეში და მარცხნივ თეძოს ფრთის ზემოთ. მას დაუდგინდა მუცლის ღრუს შემავალი ჭრილობა სწორი ნაწლავის გავლით და მისი სიცოცხლის შენარჩუნება შესაძლებელი გახდა დროული სამედიცინო დახმარების შედეგად.

5.4. მტკიცებულებებით დადგენილი ზემოაღნიშნული ფაქტობრივი გარემოებები მხარეებს სადავოდ არ გაუხდიათ სამართალწარმოების არცერთ ეტაპზე, ამდენად ამ მტკიცებულებათა ანალიზის შედეგად, საკასაციო სასამართლოს შეფასების საგანს წარმოადგენს დ. გ-ას სუბიექტური დამოკიდებულების – მისი განზრახვის დადგენა.

5.5. უზენაესი სასამართლო კვლავაც განმარტავს, რომ ქმედების

განზრახ მკვლევლობის მცდელობად დაკვალიფიცირებისათვის აუცილებელია, დადგინდეს სუბიექტის განზრახვა, მისი მიზანმიმართული ქმედება დაზარალებულის სიცოცხლის მოსპობისაკენ (საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2014 წლის 12 თებერვლის №142აპ-13 განაჩენი).

5.6. ქმედების სუბიექტური შემადგენლობის – განზრახვის დასადასტურებლად აუცილებელია, ერთდროულად არსებობდეს ცოდნის, ნებელობისა და მართლწინააღმდეგობის შეგნების კომპონენტები. რიგ შემთხვევებში, შესაძლებელია, ბრალდებული არც აკონკრეტებდეს ან/და უარყოფდეს განზრახვის არსებობას, მაგრამ საქმეში არსებულ ფაქტობრივ გარემოებათა ანალიზით დადგინდეს პირის მიერ განზრახვის ნამდვილობა ანუ ფაქტობრივ გარემოებათა განვითარების ლოგიკური ჯაჭვი ქმედების სუბიექტური შემადგენლობის შეფასების შესაძლებლობას იძლევა (საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის: 2018 წლის 20 თებერვლის №527აპ-17 განაჩენი; 2024 წლის 4 ივლისის № 152აპ-24 განაჩენი; 2024 წლის 4 ივლისის № 152აპ-24 განაჩენი; 2024 წლის 21 ოქტომბრის № 1118აპ-24 განაჩენი; 2024 წლის 29 ნოემბრის №820აპ-24 განაჩენი).

5.7. უზენაესი სასამართლო კვლავაც განმარტავს, რომ განზრახ მკვლევლობის მცდელობისა და ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების გამიჯვნის დროს, ქმედების კვალიფიკაციისას, შეცდომის გამოსარიცხად სასამართლოებმა ზედმინევენით დეტალურად უნდა შეისწავლონ და გააანალიზონ საქმეში არსებული ყველა გარემოება, რადგან გამოსაკვეთია დანაშაულის სუბიექტური შემადგენლობის – განზრახვის ელემენტი, რომლის მიმართულებაც განასხვავებს განზრახ მკვლევლობის მცდელობას ჯანმრთელობის მძიმე დაზიანებისგან. განზრახვის დასადგენად კი შესწავლილ უნდა იქნეს: დანაშაულის ჩადენის ხერხი და საშუალება, დაზიანებათა რაოდენობა, ხასიათი და მათი ლოკალიზაცია, როგორ ვითარებაში იქნა ისინი მიყენებული, დამნაშავისა და მსხვერპლის ურთიერთდამოკიდებულება საერთოდ და დაზიანების მიყენების მომენტში და სხვა (საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2018 წლის 17 მაისის №680აპ-17 განაჩენი).

5.8. ქმედების განზრახ მკვლევლობის მცდელობად დაკვალიფიცირებისათვის, თანაბრად მნიშვნელოვანია ქმედების, როგორც ობიექტური, ისე – სუბიექტური შემადგენლობის გონივრულ ეჭვს მიღმა მტკიცების სტანდარტით დადგენა, რაც გულისხმობს იმას, რომ გარდა დაზარალებულისათვის კონკრეტულ ლოკაციაზე დაზიანების მიყენებისა, სიცოცხლისათვის საშიში მდგომარეობის შექმნისა, უნდა იკვეთებოდეს უშუალოდ პირის მოკვლის განზრახვის ფაქტიც (საქართვე-

ლოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2024 წლის 21 ოქტომბრის № 1118აპ-24 განაჩენი).

5.9. სასამართლო არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს განმარტებას, რომ დ. გ-ას ტ. გ-ზე თავდასხმისას, არ ჰქონია მისი მოკვლის განზრახვა და იგი მოქმედებდა ჯანმრთელობის დაზიანების განზრახვით, ვინაიდან აღნიშნული არ გამომდინარეობს სისხლის სამართლის საქმეზე გამოკვლევული მტკიცებულებებიდან. განსახილველ შემთხვევაში, სასამართლო განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევს ფაქტის თვითმხილველი მოწმეების ჩვენებებს, რომლებიც აღადგენს შემთხვევის ადგილზე განვითარებულ მოვლენებს, მათ შორის დაზიანებების მიყენების მომენტსა და დაზიანებების მიყენების შემდგომ მსჯავრდებულის მიერ განხორციელებულ მოქმედებებს, რასაც მნიშვნელოვანი დატვირთვა აქვს ქმედების სუბიექტური შემადგენლობის ნიშნის – განზრახვის დასადგენად.

5.10. დაზარალებულ ტ. გ-ის ჩვენებით, 2023 წლის 25 ივლისს, შეთანხმებისამებრ, გ. ა-ესთან ერთად მივიდა იურიდიული კომპანია „ჯ...“ ოფისში, სადაც დახვდა მ. გ-ია, შვილ – დ. გ-ასა და ადვოკატ გ. კ-თან ერთად. საუბრისას, გარკვეულ მომენტში, მათ შორის დაიძაბა საუბარი. მ. გ-ია წამოდგა ფეხზე და შეიგინა, რაზეც გ. ა-ემ მოუწოდა კორექტულად ესაუბრა. ამ დროს დ. გ-ამ უკანა მხრიდან მუხლებზე გადმოიტანა პატარა ზომის ცისფერი ჩანთა. ტ. გ-ეც წამოდგა ფეხზე და შეგინებითვე უპასუხა მ. გ-იას. სწორედ ამ დროს დ. გ-ამ ჩანთიდან ამოიღო იარაღი, გადატენა და დამიზნებით ესროლა მას. გასროლილი ტყვია მოხვდა წელში, ტყვიამ გაიარა ნაწლავი და კუდუსუნში გაჩერდა. ამ დროს იგრძნო თავბრუსხვევა და წვა. ხელი მიიჭირა ჭრილობაზე, ნაბორძიკდა, მ. გ-იას სკამს შეეჯახა და დავარდა მ. გ-იასა და დ. გ-ას სკამებს შორის. სროლის მომენტში, დაახლოებით, 2-3 მეტრი იქნებოდა მასსა და დ. გ-ას შორის. დ. გ-ამ მეორედ უკვე ნაქცეულს ესროლა, რომელიც მოხვდა მენჯში. რალაც მომენტში დაინახა, რომ გ. ა-ეს შებოჭილი ჰყავდა დ. გ-ა. ვინ რას აკეთებდა, კონრკეტულად, არ ახსოვს. მან როგორღაც მოახერხა კოჭლობით და ბორძიკით, კედელ-კედელ ეზოში ჩასვლა, ჩამოჯდა და ნაიქცა. ეზოში ნაქცეულ დაზარალებულს მ. და დ. გ-ებმა ჩაუარეს, მასთან არცერთი მისულა.

5.11. მოწმე გ. ა-ემ განმარტა, რომ მას შემდეგ, რაც შეხვედრისას საუბარი დაძაბულად წარიმართა, დ. გ-ამ გადაკიდებული ჩანთა წინ გადმოიტანა, ჩაყო შიგნით ხელი და ამოიღო წინასწარ გამზადებული იარაღი. იარაღის დანახვაზე ისიც და ტ. გ-ეც წამოდგნენ. ტ. გ-ე მაგიდის ერთი მხრიდან წავიდა, თავად კი – მეორე მხრიდან გაემართა, დ. გ-ას შესაჩერებლად. გ. კ-ი იარაღის დანახვაზე აივანზე გავიდა. სანამ მასთან მივიდა, დ. გ-ამ ორჯერ გაისროლა. სულ სამი გასროლა განა-

ხორციელა. ტ. გ-ე ძირს დავარდა. ახსოვს, რომ დ. გ-ამ ტ. გ-ეს ნაქცევ-ულზეც ესროლა. მან მოახერხა და დ. გ-ა შებოჭა კედელთან და იარაღიანი ხელი დაუჭირა. ბოჭვისას დ. გ-ა მასაც დაემუქრა სროლით, თუმცა მისთვის არ უსვრია. სწორედ ამ დროს ტ. გ-ე ხოხვით გავიდა ოთახიდან. დ. და მ. გ-ებმა ისე ჩაუარეს ეზოში მყოფ ტ. გ-ეს, ზედაც არ შეუხედავთ.

5.12. მონმე გ. კ-მაც დაადასტურა ვითარების დაძაბვის შემდეგ დ. გ-ას მიერ ჩანთიდან იარაღის ამოღების ფაქტი, რა დროსაც, ტ. გ-ე წამოდგა. დ. გ-სა და ტ. გ-ეს შორის მანძილი, დაახლოებით, ერთი მეტრი ან მეტრნახევარი იყო. ამ დროს ყველანი ფეხზე იდგნენ, მოძრაობა დაიწყეს, რა დროსაც, იყო გასროლის ხმა. მოულოდნელობის გამო, ინსტიქტურად, აივანზე გავიდა. სულ ორი გასროლის ხმა გაიგო. 20-30 წამის შემდეგ დაბრუნდა ოთახში, რომელშიც იმყოფებოდნენ გ. ა-ე, მ. და დ. გ-ები. დაინახა, რომ დ. გ-ას ხელში ეჭირა იარაღი და ჩაიდო ქამარში. ტ. გ-ე ოთახში აღარ იყო. აივანიდან დაინახა, რომ ტ. გ-ე ბორდიურზე იწვა. მაშინვე ჩავიდა, უკან გაჰყვინენ მ. და დ. გ-ები, რომლებიც წავიდნენ მარჯვნივ, თვითონ კი მარცხნივ მივიდა დაჭრილთან.

5.13. საცხოვრებელი კორპუსის მიმდებარე ტერიტორიის ჩანანერით დადასტურებულია, რომ 14:33 საათზე სადარბაზოს კარიდან გამოდის ტ. გ-ე, რომელიც ოდნავ კოჭლობს მარჯვენა ფეხით, შემდეგ 14:37 საათზე სადარბაზოდან გამოდის გ. კ-ი, ხოლო შემდეგ გამოდინა დ. და მ. გ-ები, რომლებიც მიემართებიან ავტომანქანისკენ.

5.14. სასამართლო სხდომაზე მონმე მ. გ-იამ განმარტა, რომ დ. გ-ა არის მისი შვილი. ტ. გ-სა და გ. ა-სთან საქმიანი ურთიერთობა აკავშირებდა, ისინი მის მიწაზე აშენებდნენ კორპუსს. მშენებლობის საკითხებთან დაკავშირებით, 2023 წლის 25 ივლისს, იურისტ გ. კ-ის ოფისში გაიმართა შეხვედრა. მაგიდის ერთ მხარეს ისხდნენ თავად და მისი ვაჟი დ. გ-ა, გვერდით იურისტი გ. კ-ი, ხოლო მეორე მხარეს დაზარალებული და გ. ა-ე. გ. ა-ე ხმამაღლა ესაუბრებოდა გ. კ-ს და უთხრა, რომ ხელშეკრულება მიეტანა. გ. კ-მა ამობეჭდა ხელშეკრულება და დადო მაგიდაზე. გ. კ-ი უკვე დაბრუნებული იყო მაგიდასთან, როდესაც ტ. გ-ემ შეიგინა. ამ დროს რაღაც ამოიღო და ორ-სამჯერ მოუქნია მას, უნდოდა მოეხვედრებინა, მაგრამ ვერ მიწვდა. თვითონ ცდილობდა სკამიდან ადგომას, მაგიდას მიანვა, ტ. გ-ეც იქიდან აწვებოდა, დაზარალებული მაგიდის კუთხისკენ წავიდა, თავად გადაინიხა და სწორედ ამ გადაწევის გამო წაიქცა. ქვემოდან დაინახა დანის ფრიალი და გაიგო გასროლის ხმა, დ-ს ვერ ხედავდა. იფიქრა, რომ გ. ა-ემ ისროლა. ნაქცევულმა დაინახა, რომ გ. კ-ი გადიოდა აივანზე, გ. ა-ე კი დ-სკენ მიდიოდა და ეუბნებოდა: „დ. არ გინდა, დ. არ გინდა“. ეს ყველაფერი მოხდა ძალიან სწრაფად. მეორე და მესამე გასროლა მიჯრით მოხდა. დ. მის დაცვას ცდილობდა.

მას შემდეგ, რაც ტ. გ-ემ და გ. ა-ემ ოფისი დატოვეს, ისინი ხუთი წუთი დარჩნენ ოთახში და ნახეს პლინტუსის ზევით სადღაც 15-20 სმ სიმაღლეზე იყო ტყვია მოხვედრილი. ტ. გ-ემ ისე დატოვა ოფისის ტერიტორია, ვერ მიხვდნენ დაჭრილი რომ იყო. აღნიშნული რომ სცოდნოდათ, არ დატოვებდნენ უყურადღებოდ.

5.15. დ. გ-ამ პირველი ინსტანციის სასამართლოში მოწმის სახით დაკითხვისას განმარტა, რომ არის მწერალი და საზოგადო მოღვაწე. ფლობს იარაღს, რომელიც მის გარდაცვლილ ბიძას ეკუთვნოდა და ინახავდა როგორც რელიქვიას. იარაღს ყოველთვის ინახავდა ჩანთაში, დაშლილ მდგომარეობაში, ტყვიებთან ერთად. 2023 წლის 25 ივლისს, მშენებლობის საკითხებთან დაკავშირებულ პრობლემებზე სასაუბროდ შეიკრიბნენ გ. კ-ის ოფისში. კონფლიქტის დღეს იარაღი თან ჰქონდა. აღნიშნული ჩანთის შენახვა სახლში არ უნდოდა და მეგობართან უნდა შეენახა. მეგობარს ელოდებოდა, რომელიც ვერ მივიდა, ეს შეხვედრაც ოთხჯერ გადაიდო და ამიტომ ვერ წაიღო ეს ჩანთა. მამას უთხრა, რომ ეს იარაღი დაშლილ მდგომარეობაში იყო და არ უნდოდა სახლში დატოვება, ასევე საბუთები ედო, რომელიც შესაძლოა ახალი სამსახურის დასაწყებად დასჭირვებოდა. ოფისში იარაღიანი ჩანთა იატაკზე იდო, არც ხელში ეჭირა, არც გადაკიდებული ჰქონია და არც ვინმეს მოკვლისთვის არ ჰქონია. იარაღი იყო დაშლილ მდგომარეობაში, კერძოდ, მჭიდი იყო ამოღებული და იდო ცალკე ცელოფანში, თავად იარაღი, კი – ცალკე ცელოფანში. ტყვიები ყუთში იდო და ამ ფორმით იყო ჩადებული ჩანთაში. იარაღის აწყობა რომ სდომებოდა ეს ნაწილები უნდა ამოეღო ცალ-ცალკე მოთავსებული პარკებიდან და ისე უნდა აეწყო იარაღი. მასსა და ტ. გ-ეს შორის მანძილი დაახლოებით ერთი მეტრი იყო. მაგიდის სხვადასხვა მხარეს ისხდნენ. გვერდით მამა ეჯდა. ხელშეკრულების პუნქტების გაცნობის დროს გ. ა-ემ და გ. კ-მა ყვირილი დაიწყეს. გ. კ-მა დოკუმენტაცია ამობეჭდა. ტ. გ-ემ სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა მ. გ-იას. თვითონ ცდილობდა სიტუაციის განეიტრალებას, რა დროსაც დაინახა, რომ ტ. გ-ემ ჯიბიდან ამოიღო დანა, გაშალა, გადმოიწია და მარჯვენა ხელით მის წინ მოიქნია მამამისის მიმართულებით. მაგიდაზე შემოდგა ფეხი და ახლოს უნდოდა მამამისთან მისვლა, თან იქნევდა დანას. დანის მოქნევის დროს მ. გ-ია გადავარდა. ამ დროს დაიწყო იარაღის საბრძოლო მდგომარეობაში მოყვანა, რომელსაც დაახლოებით ორი წუთი დასჭირდა. ვინაიდან შეხვედრაზე მყოფმა პირებმა დაინახეს, თუ როგორ ამოიღო იარაღი და გადატენა, იფიქრა, რომ გაჩერდებოდნენ. ამ დროს შეამჩნია, გ. ა-ე, რომელიც მისკენ მიემართებოდა, გ. კ-ი, კი აივანზე გაიქცა. გ. ა-ე და ტ. გ-ე მივიდნენ მასთან, დაინახა, რომ დაბრკოლება აღარ იყო და შესაშინებლად კედლის მიმართულებით ისროლა. პირველი გასროლის დროს ტყვია კედელს

მოხვდა, მეორე ტ. გ-ეს, რომელიც მოძრაობაში იყო, მესამედ მაშინ გაისროლა, როდესაც ტ. გ-ე მასთან მივიდა ახლოს. არ უფიქრია, რომ დაიჭრა დაზარალებული, ეგონა მხოლოდ ტყვიამ გაკანრა. როდესაც თავდასხმა შეაჩერა, დაზარალებულმა გაასწრო კარებში და გასვლისას შურისძიებით დაემუქრა. გ. ა-ე მივიდა მასთან, შემოხვია ხელები ბეჭებზე. იარაღიანი ხელი თავისუფალი ჰქონდა და შეეძლო ნებისმიერი პირისთვის ზიანის მიყენება, თუმცა აღნიშნული არ გაუკეთებია. არავის მოკვლის განზრახვა არ ჰქონია, ეგ რომ სდომოდა თავში ესროდა. დ. გ-ამ ასევე განმარტა, რომ მჭიდში ორი ტყვია კიდევ ჰქონდა დარჩენილი. მამა ცუდად გახდა ამ პერიოდში და ტაქსით გაუშვა დასთან მში, იარაღი დატოვა მეგობრის სადარბაზოში, მამაოსთან აღსარება ჩააბარა და გამოცხადდა პოლიციაში.

5.16. საკასაციო სასამართლოს მიზანშეწონილად მიაჩნია ყურადღება გაამახვილოს რამდენიმე მნიშვნელოვან ფაქტობრივ გარემოებაზე, რომლებიც ანალოგიურად და ერთმნიშვნელოვნად დგინდება, როგორც ბრალდების, ასევე დაცვის მხარის მტკიცებულებებით: შემთხვევის ადგილზე დ. გ-ამ გაისროლა სამჯერ, ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლის მომენტში, დ. გ-ასა და ტ. გ-ეს შორის მანძილი საკმაოდ მცირე იყო. ტ. გ-ის განმარტებით, 2-3 მეტრი, ხოლო გ. კ-ის განმარტებით, ერთი მეტრი ან მეტრნახევარი.

5.17. განსახილველ შემთხვევაში, სასამართლოს მიაჩნია, რომ საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებათა ერთობლიობა უტყუარად ადასტურებს დ. გ-ას განზრახვას მოეკლა ტ. გ-ე, ვინაიდან მსჯავრდებულსა და დაზარალებულს შორის არსებული ურთიერთდამოკიდებულება, მსჯავრდებულის ქცევა, ჭრილობების რაოდენობა, მათ შორის ლოკაცია, დანაშაულის ჩადენის ხერხი და საგანი უტყუარად მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ დ. გ-ა ითვალისწინებდა და სურდა მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომა, რაც კონკრეტულ შემთხვევაში მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო არ დადგა, კერძოდ:

ჩხუბის დაწყების ვითარება – მოწმეთა ჩვენებებით დადასტურებულია, რომ შემთხვევის ადგილზე მხარეები შეიკრიბნენ მ. გ-იას, ტ. გ-ესა და გ. ა-ეს შორის არსებული კონფლიქტის სამართლებრივად მოსაგვარებლად. კონფლიქტი დაიწყო მას შემდეგ, რაც მ. გ-იამ შეიგინა და ამის საპირწონედ გინებითვე უპასუხა ტ. გ-ემ.

კონფლიქტის განვითარება – ყველა მოწმემ, გარდა მ. გ-იასი განმარტა, რომ დაინახეს როგორ ამოიღო დ. გ-ამ ჩანთიდან იარაღი. გ. კ-ი გავიდა აივანზე, ტ. გ-ე და გ. ა-ე კი, სხვადასხვა მხრიდან წავიდნენ მსჯავრდებულისკენ, რასაც მოჰყვა დ. გ-ას მხრიდან ტ. გ-ის მიმართულებით გასროლა. ტ. გ-ე წაიქცა, რის შემდეგაც ნაქცეულ ტ. გ-ეს კიდევ ერთხელ ესროლა დ. გ-ამ. გ. ა-ემ გასროლების შემდეგ, მიაყენა

კედელთან და შებოჭა იგი, რა დროსაც, მასაც დაემუქრა სროლით, თუმცა გასროლა აღარ განუხორციელებია.

კონფლიქტის დასასრული – დაზარალებულმა ტ. გ-ემ განმარტა, რომ შემთხვევის ადგილი დატოვა, მაშინ როდესაც გ. ა-ეს დ. გ-ა ჰყავდა შებოჭილი. გ. ა-ის განმარტებით, შებოჭვის დროს მას დ. გ-ას იარაღზე ხელი ეჭირა. დაზარალებულის მიერ შემთხვევის ადგილის დატოვების შემდეგ, მან დ. გ-ას ხელი გაუშვა, რის შემდეგაც რამდენიმე წუთში მსჯავრდებულმა და მ. გ-იამ შემთხვევის ადგილი ისე დატოვეს, რომ დაზარალებულისთვის აღარ შეუხედავთ.

5.18. საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს სააპელაციო სასამართლოს განმარტებას, რომ დ. გ-ას ტ. გ-ის მოკვლის განზრახვა არ ჰქონია და გ. ა-ის მიერ განუვლი ნინაალმდეგობა ვერ აღიქმება იმგვარ დაუძლეველ ძალად, რომ განზრახვა სისრულეში არ მოეყვანა. განზრახვის გამოსაკვეთად საგულისხმოა, რომ შემთხვევას წინ უძღვოდა დ. გ-ასა და ტ. გ-ეს შორის რამდენიმე დღით ადრე მომხდარი უთანხმოება, ამასთან, მსჯავრდებული პრობლემის სამართლებრივად მოსაგვარებლად შემთხვევის ადგილზე გამოცხადდა ცეცხლსასროლი იარაღით, რომლის გამოყენება უმაღლე შეძლო და გ. ა-ისგან თავის დაღწევას შეეცადა სროლის მუქარით.

5.19. საკასაციო სასამართლო, ასევე ვერ გაიზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობის იმ ნაწილს, სადაც აღნიშნულია, რომ ვინაიდან ტ. გ-ეს ჭრილობები აღნიშნებოდა ნელისა და ბარძაყის მიდამოში, ასევე, მან თავად დატოვა ოფისის ტერიტორია, მსჯავრდებული ვერ ჩათვლიდა, რომ დაზარალებულისათვის მიყენებული დაზიანებები ისედაც გამოიწვევდა სიკვდილს. აღსანიშნავია, რომ დაზარალებულის განმარტებით, პირველი გასროლილი ტყვია ნელში მოხვდა, იმიტომ რომ შეტრიალდა. მოწმეებმა, ასევე დაადასტურეს, რომ ტ. გ-ე იატაკზე დაეცა მას შემდეგ რაც ტყვია მოხვდა, ხოლო დ. გ-ამ მეორედ უკვე ნაქცევულ დაზარალებულს ესროლა, ამჯერად – მენჯის არეში.

5.20. საკასაციო სასამართლო ნაწილობრივ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მითითებას, რომ დ. გ-ას შეეძლო განზრახვა დაესრულებინა ეზოში, როდესაც გვერდით ჩაუარა დაზარალებულს, თუმცა ამასთანავე აღნიშნავს, რომ განყენებულად, მხოლოდ აღნიშნული ქმედება ვერ შეფასდება დ. გ-ას მხრიდან ტ. გ-ის მოკვლის განზრახვის არ არსებობად, ვინაიდან აღნიშნული წარმოადგენს დანაშაულის ჩადენის შემდგომ ქცევას, ხოლო უშუალოდ თავდასხმის დროს, დ. გ-ას განზრახვის სისრულეში მოყვანას ხელი შეუშალა გ. ა-ის ქმედებებმა, რომლის გადალახვაც დ. გ-ამ ვერ შეძლო.

5.21. საკასაციო სასამართლო დამატებით მიუთითებს, რომ მ. და დ. გ-ების და სხვა მოწმეთა ჩვენებებს შორის არის არაერთი ნინაალმდე-

გობა (მაგ.: ტ. გ-ის მიერ დანის ამოღების თაობაზე და სხვა), თუმცა აღნიშნულზე საკასაციო სასამართლო არ იმსჯელებს, ვინაიდან სააპელაციო საჩივრის განხილვისას, დაცვის მხარემ დააზუსტა მოთხოვნა და მოითხოვა წარდგენილი ბრალდების საქართველოს სსკ-ის 117-ე მუხლზე (ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება) გადაკვალიფიცირება.

5.22. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს სსკ-ის მე-9 მუხლის თანახმად, განზრახ დანაშაულად ითვლება ქმედება, რომელიც ჩადენილია პირდაპირი ან არაპირდაპირი განზრახვით. ქმედება პირდაპირი განზრახვითაა ჩადენილი, თუ პირს გაცნობიერებული ჰქონდა თავისი ქმედების მართლწინააღმდეგობა, ითვალისწინებდა მართლწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას და სურდა ეს შედეგი, ანდა ითვალისწინებდა ასეთი შედეგის განხორციელების გარდაუვალობას, ხოლო ქმედება არაპირდაპირი განზრახვითაა ჩადენილი, თუ პირს გაცნობიერებული ჰქონდა თავისი ქმედების მართლწინააღმდეგობა, ითვალისწინებდა მართლწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას და არ სურდა ეს შედეგი, მაგრამ შეგნებულად უშვებდა ან გულგრილად ეკიდებოდა მის დადგომას. საკასაციო სასამართლოს საქმეზე გამოკვლეული მტკიცებულებებით დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების და შემთხვევის ადგილზე განვითარებული მოვლენების თანახმად, დადასტურებულად მიაჩნია, რომ დ. გ-ა მართლწინააღმდეგო ქმედებების განხორციელების დროს, ტ. გ-ის სასიკვდილო შედეგის მიმართ მინიმუმ არაპირდაპირი განზრახვით მოქმედებდა.

5.23. ამდენად, ზემოაღნიშნული გარემოებების საფუძველზე საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ დ. გ-ა მართლწინააღმდეგო ქმედებების განხორციელების დროს მოქმედებდა ტ. გ-ის მოკვლის განზრახვით, თუმცა აღნიშნულის განხორციელება ვერ შეძლო გ. ა-ის მხრიდან განეული წინააღმდეგობის გამო, ხოლო დაზარალებულს სიცოცხლე შეუნარჩუნდა დროული სამედიცინო დახმარების შედეგად.

6. სასჯელის დასაბუთება:

6.1. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სისხლის სამართალწარმოების სამართლიანობა ვლინდება სამართლიანი სასჯელის დაკისრებაში, რა დროსაც სასამართლო შებოჭილია ვალდებულებით მის მიერ დანიშნული სასჯელი იყოს ეფექტური და პროპორციული. სასჯელის პროპორციულობა გულისხმობს მის გამოყენებას მნიშვნელოვნად ინდივიდუალიზებული სახით, რა დროსაც მხედველობაში მიიღება დანაშაულის სიმძიმე, დამნაშავის ბრალი და დანაშაულის შედეგად გამოწვეული ზიანი.

6.2. სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს სსკ-ის 259-ე მუხ-

ლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოს განაჩენი უნდა იყოს სამართლიანი. ამავე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, სასამართლოს განაჩენი სამართლიანია, თუ დანიშნული სასჯელი შეესაბამება მსჯავრდებულის პიროვნებასა და მის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეს. სასჯელის სამართლიანობის პრინციპს განამტკიცებს, ასევე საქართველოს სსკ-ის 53-ე მუხლის პირველი ნაწილიც, რომელიც სასამართლოს ავალდებულებს დამნაშავეს დაუნიშნოს სამართლიანი სასჯელი და პრიორიტეტს ანიჭებს ნაკლებად მკაცრი სახის სასჯელის გამოყენებას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც იგი ვერ უზრუნველყოფს სასჯელის მიზნებს.

6.3. სასამართლოს მიერ სასჯელის დანიშვნისას გათვალისწინებული უნდა იქნეს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე მუხლით დადგენილი სასჯელის მიზნები, სამართლიანობის აღდგენა, ახალი დანაშაულის თავიდან აცილება და დამნაშავეს რესოციალიზაცია. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად კი, სასჯელის მიზანი ხორციელდება მსჯავრდებულსა და სხვა პირზე ზემოქმედებით, რათა ისინი განიმსჭვალონ მართლწესრიგის დაცვისა და კანონის წინაშე პასუხისმგებლობის გრძნობით.

6.4. ამასთან, სასჯელის დანიშვნის დროს საქართველოს სსკ-ის 53-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, გათვალისწინებულ უნდა იქნეს პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებები, კერძოდ, დანაშაულის ჩადენის მოტივი და მიზანი, ქმედებაში გამოვლენილი მართლსაწინააღმდეგო ნება, მოვალეობათა დარღვევის ხასიათი და ზომა, ქმედების განხორციელების სახე, ხერხი და მართლსაწინააღმდეგო შედეგი, დამნაშავეს წარსული ცხოვრება, პირადი და ეკონომიკური პირობები, ყოფაქცევა ქმედების შემდეგ.

6.5. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლომ სრულად შეაფასა დ. გ-ას პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებები, გაითვალისწინა ჩადენილი დანაშაულების მოტივი, ქმედებაში გამოვლენილი მართლსაწინააღმდეგო ნება, მოვალეობათა დარღვევის ხასიათი და ზომა, ქმედებების განხორციელების სახე და ხერხი, დამნაშავეს წარსული ცხოვრება, პირადი და ეკონომიკური პირობები და საქართველოს სსკ-ის 39-ე, 53-ე და 59-ე მუხლების მოთხოვნათა გათვალისწინებით, დ. გ-ას საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით მსჯავრადშერაცხილი დანაშაულების ჩადენისთვის ძირითად სასჯელებად განუსაზღვრა შესაბამისი მუხლის ნაწილის სანქციით გათვალისწინებული – თავისუფლების აღკვეთა, რაც სავსებით უზრუნველყოფს საქართველოს სსკ-ის 39-ე მუხლით გათვალისწინებული სასჯელის მიზნების განხორციელებას.

6.6. საქართველოს სსკ-ის 19,108-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედება, რომლითაც მსჯავრი უნდა დაედოს დ. გ-ას სასჯელის სახედ და ზომად ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას ვადით ათიდან თხუთმეტ წლამდე, იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვით ან უამისოდ.

6.7. სასამართლო დ. გ-ას მიმართ სასჯელის დანიშვნისას ითვალისწინებს დანაშაულის მოტივებს (შურისძიება, ურთიერთშელაპარაკება), დ. გ-ას მიერ ჩადენილი ქმედების ხასიათსა და საზოგადოებრივ საშიშროებას – აღნიშნული დანაშაული (განზრახ მკვლელობის მცდელობა) წარმოადგენს ერთ-ერთი ყველაზე მძიმე ძალადობრივი ხასიათის დანაშაულს, ასევე დ. გ-ას ქმედებაში გამოვლენილ მართლსაწინააღმდეგო ნებას, ქმედების განხორციელების სახეს, ხერხსა და მართლსაწინააღმდეგო შედეგს. იმ გარემოებას, რომ მან ითანამშრომლა გამოძიებასთან და ხელი შეუწყო სწრაფი მართლმსაჯულების განხორციელებას. სასამართლო ითვალისწინებს სასჯელის როგორც კერძო, ასევე ზოგადი პრევენციის მიზნებს და მიიჩნევს, რომ ამ მიზნებისა და სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპის გათვალისწინებით, დანიშნული სასჯელი ერთი მხრივ უნდა იყოს ადეკვატური ჩადენილი დანაშაულისა და მსჯავრდებულის პიროვნებისა, ხოლო მეორე მხრივ არ უნდა იყოს ნამახალისებელი როგორც ბრალდებულისთვის, ასევე სხვა პირთათვის და უნდა უზრუნველყოს კერძო/ზოგადი პრევენციის მიზნები. შესაბამისად, ზემოაღნიშნული გარემოებების ერთობლივად შეფასების შედეგად სასამართლოს მიაჩნია, რომ დ. გ-ას სასჯელის სახედ და ზომად უნდა განესაზღვროს საქართველოს სსკ-ის 19,108-ე მუხლის სანქციით გათვალისწინებული მინიმალური სასჯელი – 10 წლით თავისუფლების აღკვეთა, როგორც პროპორციული ზემოქმედების ღონისძიება, რომელიც სრულად უზრუნველყოფს სასჯელის მიზნებს – სამართლიანობის აღდგენას, ახალი დანაშაულის თავიდან აცილებას და ხელს შეუწყობს დ. გ-ას რესოციალიზაციას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 301-ე მუხლით, 303-ე მუხლის მე-6 ნაწილით, 307-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. მსჯავრდებულ დ. გ-ას ინტერესების დამცველი ადვოკატის კ. მ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული პროკურორის მოადგი-

ლის – ნიკოლოზ დგებუაძის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;

3. ცვლილება შევიდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2025 წლის 13 მარტის განაჩენში;

4. დ. გ-ა ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 19, 108-ე მუხლით, საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-3 ნაწილითა და საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენისათვის და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს:

საქართველოს სსკ-ის 19, 108-ე მუხლით – 10 წლით თავისუფლების აღკვეთა;

საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-3 ნაწილით – 3 წლით თავისუფლების აღკვეთა;

საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-4 ნაწილით – 4 წლით თავისუფლების აღკვეთა;

5. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე, უფრო მკაცრმა სასჯელმა შთანთქოს ნაკლებად მკაცრი სასჯელები და დ. გ-ას საბოლოოდ დანაშაულთა ერთობლიობით სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს 10 წლით თავისუფლების აღკვეთა;

6. დ. გ-ას სასჯელის მოხდის ვადა აეთვალოს დაკავებიდან – 2023 წლის 26 ივლისიდან;

7. ცნობად იქნეს მიღებული, რომ დ. გ-ას მიმართ გამოყენებული აღკვეთის ღონისძიება პატიმრობა გაუქმებულია;

8. საქმეზე არსებული ნივთიერი მტკიცებულებების ბედი გადანაცვლეს საქართველოს სსკ-ის 81-ე მუხლის შესაბამისად, კერძოდ:

დისკები შენახულ იქნეს სისხლის სამართლის საქმის შენახვის ვადით;

სუნის კვალის ნიმუში, მიკრონაწილაკები, ანანმენდები, ამონატეხი ასფალტიდან, ნერწყვის ნიმუში, დენტის კვლების ნიმუშები საკონტროლო ნიმუშებთან ერთად, განადგურდეს;

„Remington 870 MAGNUM“-ის სისტემის სანადირო თოფი და მონადირის კავშირის ბილეთი დაუბრუნდეს კანონიერ მფლობელს ან მისი ნდობით აღჭურვილ პირს;

ტ. გ-ის ტანსაცმელი და ფეხსაცმელი დაუბრუნდეს კანონიერ მფლობელს ან მისი ნდობით აღჭურვილ პირს;

დ. გ-ას ტანსაცმელი და ჩანთა დაუბრუნდეს კანონიერ მფლობელს ან მისი ნდობით აღჭურვილ პირს;

მობილური ტელეფონები დაუბრუნდეთ კანონიერ მფლობელებს ან მათი ნდობით აღჭურვილ პირს;

მომწვანო ფერის პოლიეთილენის პარკი, მუყაოს კოლოფში მოთავსებული პისტოლეტი, მჭიდი, რვა ცალი ვაზნა (სამი ვაზნა გაიხარჯა

საქსპერტი კვლევის დროს), პისტოლეტის მოსათავსებელი ბუდე – კაბურა, ვაზნების მოსათავსებელი პლასტმასის კონტეინერი, პოლიეთილენის პარკი, ერთი ცალი მასრა, ერთი ცალი ტყვია, ქალაქის კონვერტები და სამი ცალი გახსნილი პაკეტი, გადაეცეს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს;

ცნობად იქნეს მიღებული, რომ ავტომანქანა და ამავე ავტომანქანის გასაღები ჩაბარდა მ. გ-იას;

9. განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად;

10. განაჩენი საბოლოო და არ გასაჩივრდება.

**ქმედების გადაკვალიფიცირება ორი ან ორჯამეტი პირის
განზრახ მკვლელობის მცდელობიდან ჯანმრთელობის
განზრახ მიძინა დაზიანებაზე, ისეთი საშუალებით,
რომელიც განზრახ უქმნის საფრთხეს სხვათა სიცოცხლეს
ან ჯანმრთელობას**

**განაჩენი
საქართველოს სახელმწიფო**

№423აკ-25

28 ოქტომბერი, 2025 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**

მ. ვასაძე (თავმჯდომარე),

ლ. თევზაძე,

ლ. ფაფიაშვილი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ თ. დ-ს ინტერესების დამცველის – ადვოკატ თ. გ-სა და თბილისის ძველი თბილისის რაიონული პროკურორის – ზვიად გუბელაძის – საკასაციო საჩივრები თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2025 წლის 25 მარტის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

1. ბრალდების შესახებ დადგენილების მიხედვით, თ. დ-ს ბრალად დაედო: განზრახ მკვლელობის მცდელობა, ისეთი საშუალებით, რომელიც განზრახ უქმნის საფრთხეს სხვის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, ორი ან ორზე მეტი პირისა; ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძო-

ლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა, შენახვა და ტარება (ორი ეპიზოდი), რაც გამოიხატა შემდეგით:

1.1. 2023 წლის 3 აგვისტოს, საღამოს, ... ქუჩების კვეთაზე, თ. დ-მ ცეცხლსასროლი იარაღიდან რამდენჯერმე ესროლა ბ. ქ-სა და მასთან მდგომ რამოდენიმე პირს. გასროლის შედეგად, ჯანმრთელობა დაუზიანდა ბ. ქ-ს (აღენიშნებოდა შემაჯავალი ქროლოზა უკანა მარცხენა მხარეს, მენჯის არეში), რომელიც გადაიყვანეს .. მდებარე თ. დ-ს ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლის შედეგად, ასევე დაზიანდა ... ქუჩების კვეთაზე მყოფი ავტომანქანები – ვ-ს „Toyota Sienna-ს“ მოდელის ავტომანქანა (სახელმწიფო ნომრით: ...); მ. გ. „Hyundai Elantra-ს“ მოდელის ავტომანქანა (სახელმწიფო ნომრით: ...) და შსს-ს სსიპ – დაცვის პოლიციის დეპარტამენტის „Skoda Rapid-ის“ მოდელის ავტომანქანა (სახელმწიფო ნომრით:), რითაც საფრთხე შეექმნა სხვათა სიცოცხლესა და ჯანმრთელობას.

1.2. თ. დ-მ გამოძიებით დაუდგენელ დროს, მართლსაწინააღმდეგოდ შეიძინა „TT-ს“ კონსტრუქციის №... პისტოლეტი, მასში მოთავსებული ვაზნებით.

1.3. თ. დ. მართლსაწინააღმდეგოდ ატარებდა „TT-ს“ კონსტრუქციის №... პისტოლეტს, მასში მოთავსებული ვაზნებით, რომელიც 2023 წლის 3 აგვისტოს, საღამოს, ... ქუჩების კვეთაზე გამოიყენა.

1.4. თ. დ-მ გამოძიებით დაუდგენელ დროს, მართლსაწინააღმდეგოდ შეიძინა და შეინახა ქარხნული წესით დამზადებული, 1930-33 წლების ნიმუშის, ტოკარევის კონსტრუქციის 7,62 მმ კალიბრიანი, №... პისტოლეტის მოდელი, „TT“, რომელიც მიეკუთვნება ცეცხლსასროლ იარაღთა კატეგორიას და ვარგისია სროლისათვის; ასევე – ქარხნული წესით დამზადებული, 7,62 მმ კალიბრიანი, 1930 წლის ნიმუშის, 8 ვაზნა, განკუთვნილი ტოკარევის კონსტრუქციის პისტოლეტებისათვის „TT“ პისტოლეტ-ტყვიამფრქვევებისათვის, „DDÄ“, „IIU“ და სხვა, რომლებიც მიეკუთვნება საბრძოლო მასალათა კატეგორიას და ვარგისია გამოსაყენებლად.

1.5. თ. დ., მის მიერ მართლსაწინააღმდეგოდ შეძენილ და შენახულ, ქარხნული წესით დამზადებულ, 1930-1933 წლების ნიმუშის, ტოკარევის კონსტრუქციის, 7,62 მმ კალიბრიანი, №... პისტოლეტის მოდელის „TT-სა“ და ქარხნული წესით დამზადებულ, 7,62მმ კალიბრიანი, 1930 წლის ნიმუშის, 8 ვაზნას, განკუთვნილს ტოკარევის კონსტრუქციის პისტოლეტებისათვის „TT“ პისტოლეტ-ტყვიამფრქვევებისათვის, „PPA“, „IIII“ და სხვა – მართლსაწინააღმდეგოდ ატარებდა 2023 წლის 4 აგვისტოს, რაც ამოუღეს მას ... მიმდებარედ, პირადი ჩხრეკის შედეგად.

2. თ. დ-ს ნარედგინა ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის

კოდექსის 19,109-ე მუხლის „ბ“, „ლ“ ქვეპუნქტებითა და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით (ორი ეპიზოდი).

3. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2024 წლის 1 მაისის განაჩენით, თ. დ-სათვის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 19,109-ე მუხლის „ბ“, „ლ“ ქვეპუნქტებით წარდგენილი ბრალდება გადაკვალიფიცირდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე მუხლის 1-ელ ნაწილზე; იგი ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე მუხლის 1-ელი ნაწილით – 5 წლით თავისუფლების აღკვეთა; საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის მე-3 ნაწილით (2023 წლის 3 აგვისტოს ეპიზოდი) – 5 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა; საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის მე-4 ნაწილით (2023 წლის 3 აგვისტოს ეპიზოდი) – 6 წლით თავისუფლების აღკვეთა; საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის მე-3 ნაწილით (2023 წლის 4 აგვისტოს ეპიზოდი) – 5 წლით თავისუფლების აღკვეთა; საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის მე-4 ნაწილით (2023 წლის 4 აგვისტოს ეპიზოდი) – 5 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა; საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე, უფრო მკაცრმა სასჯელმა შთანთქა ნაკლებად მკაცრი სასჯელები და თ. დ-ს, საბოლოოდ მიესაჯა – 6 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც აეთვალა 2023 წლის 4 აგვისტოდან.

4. სასამართლომ დაადგინა, რომ მსჯავრდებულის ქმედებაში არ იკვეთებოდა ორი ან ორზე მეტი პირის განზრახ მკვლელობის მცდელობა, ისეთი საშუალებით, რომელიც განზრახ უქმნიდა საფრთხეს სხვის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, არამედ – თ. დ-მ ჩაიდინა ბ. ქ-ს ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება, მაკვალიფიცირებელი გარემოებების გარეშე; ასევე – ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შექმნა, შენახვა და ტარება (2023 წლის 3 აგვისტოსა და 2023 წლის 4 აგვისტოს ეპიზოდები).

5. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2024 წლის 1 მაისის განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს, როგორც მსჯავრდებულ თ. დ-ს ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა – თ. გ-მ, რომელიც ითხოვდა თ. დ-ს უდანაშაულოდ ცნობას საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე მუხლის 1-ელი ნაწილით გათვალისწინებული ქმედებისათვის; ასევე – თბილისის ძველი თბილისის რაიონული პროკურატურის პროკურორმა – ანა მეტრეველმა, რომელიც ითხოვდა განაჩენში ცვლილების შეტანას, თ. დ-ს დამნაშავედ ცნობას მისთვის ბრალადწარდგენილი კვალიფიკაციით და მკაც-

რი სასჯელის განსაზღვრას. მხარეებს სადავოდ არ გაუხდიათ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით (2023 წლის 3 აგვისტოსა და 2023 წლის 4 აგვისტოს ეპიზოდებისათვის) გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენისათვის თ. დ-ს მსჯავრდების კანონიერება ან/და სამართლიანობა.

6. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2025 წლის 25 მარტის განაჩენით თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2024 წლის 1 მაისის განაჩენი დარჩა უცვლელად.

7. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2025 წლის 25 მარტის განაჩენი საკასაციო წესით გაასაჩივრეს, ერთი მხრივ, მსჯავრდებულ თ. დ-ს ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა – თ. გ-მ, ხოლო, მეორე მხრივ, თბილისის ძველი თბილისის რაიონულმა პროკურორმა – ზვიად გუბელაძემ.

8. კასატორი – დაცვის მხარე – ითხოვს განაჩენის შეცვლასა და თ. დ-ს მიმართ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე მუხლის 1-ელი ნაწილით გამამართლებელი განაჩენის დადგენას, ვინაიდან მიიჩნევს, რომ მსჯავრდების ამ ნაწილში გადანყვეტილება უკანონო და დაუსაბუთებელია, რადგან უტყუარად ვერ დგინდება მიზეზობრივი კავშირი მსჯავრდებულის ქმედებასა და ბ. ქ-ს ჯანმრთელობის დაზიანებას შორის. ბალისტიკური ექსპერტიზის დასკვნის მიხედვით, შემთხვევის ადგილიდან ამოღებული, 4 სხვადასხვა იარაღიდან გასროლილი, 18 მასრიდან, მხოლოდ – 2 იყო იმ იარაღიდან, რომელსაც მართლსაწინააღმდეგოდ ატარებდა თ. დ. და არ არის დადგენილი, გარდა მსჯავრდებულისა, კიდევ ვინ ისროდა შემთხვევის ადგილზე. შესაბამისად, შეუძლებელია იმის უტყუარად მტკიცება, რომ სწორედ თ. დ-მ მიაყენა განზრახ დაზიანება ბ. ქ-ს. ბალისტიკური ექსპერტის მითითებით, მსჯავრდებულის მიერ გასროლილია №... და №... მასრები, რომლებიც, შემთხვევის ადგილის დათვალერების ოქმის მიხედვით, ამოღებულია გ. მ-ს ქუჩის შიდა მხარეს და არა – გზაჯვარედინზე ან მის სიახლოვეს. ამავე ექსპერტის განმარტებით, გასროლის შემდეგ, მასრა ვარდება მარჯვნივ, რამდენიმე მეტრში. შესაძლოა, ინერციით განაგრძოს მოძრაობა, თუ რელიეფი დახრილია, რაც განსახილველ შემთხვევაში არ იკვეთება. დაზიანება არ აღენიშნებოდა იმ შენობას, სადაც ბრალდების მტკიცებით, იდგა დაზარალებული და მისი მიმართულებით რამდენჯერმე გაისროლა მსჯავრდებულმა. ასხლეტის კვალი არ აქვს არც ასფალტის ზედაპირს. დაზარალებული სასამართლოში არ დაკითხულა, თუმცა მისი გამოკითხვის ოქმით ირკვევა, რომ მას შემდეგ, რაც დაიჭრა, დაიწყო მოძრაობა მალაზია „ს-ს“ მიმართულებით, რის მერეც შევიდა უზნის მალაზიაში, რაც ცხადყოფს, იგი არ მდგარა იმ

შენობასთან, რომლის მიმართულებითაც, დაცვის პოლიციელების მტკიცებით, ისროდა მსჯავრდებული. მონმე ბ. ა-ს ჩვენების მიხედვით, შემთხვევის დროს, დაზარალებულთან ერთად იდგა გ. მ-ს სახელობის პარკთან და არა – იმ ადგილას, რომელზეც დაცვის პოლიციელები მიუთითებენ. სროლის კვალდაკვალ კი, დაინახა მათკენ მიმავალი პირი, რომელიც არ ყოფილა მისი ნაცნობი თ. დ.. მონმეთა ჩვენებებით, პირს, რომელიც დამიზნებით ისროდა, იარაღი ეკავა ჰორიზონტალურად, მაშინ, როდესაც სამედიცინო დოკუმენტაციის მიხედვით, დაზარალებულის ქრილობის არხი მიემართება ქვევიდან ზევით. თ. დ-მ ხელთნაქონი იარაღიდან გაისროლა მას შემდეგ, რაც თვითონაც მიიღო ცეცხლნასროლი და ზიანება და მიემართებოდა თავისი სახლისკენ, საითაც ასევე არაერთი პირი მირბოდა სროლით.

9. კასატორი – ბრალდების მხარე – ითხოვს განაჩენის შეცვლასა და თ. დ-ს დამნაშავედ ცნობას საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 19,109-ე მუხლის „ბ“, „ლ“ ქვეპუნქტებითა და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით (ორი ეპიზოდი) მისთვის ბრალადშერაცხილი დანაშაულების ჩადენისათვის და მკაცრი სასჯელის განსაზღვრას, ვინაიდან მიიჩნევს, რომ გადანყვეტილება უკანონოა, რადგან ბრალდების მხარის მიერ სასამართლოში წარმოდგენილი მტკიცებულებებით უტყუარად დასტურდება, რომ თ. დ. მოქმედებდა მკვლევლობის პირდაპირი განზრახვით; ამავდროულად, კასატორის მითითებით, მსჯავრდებულის მიმართ გამოყენებულია მეტად ლოიალური სასჯელი. მონმეების: გ. ნ-ს, უ. ი-სა და ლ. ო-ს ჩვენებებით, შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმითა და ამოღებული ნივთმტკიცებებით, ბალისტიკური და სამედიცინო ექსპერტიზების დასკვნებით დადასტურებულია, რომ თ. დ-ს წინასწარ ჰქონდა განზრახული მკვლევობა, მის მიერვე მართლსაწინააღმდეგოდ შეძენილი და შენახული იარაღიდან, რის გამოც, თავდაპირველად, 2023 წლის 2 აგვისტოს, თითქოსდა შეყვარებულის მოსაძებნად წასულმა, შეათვალიერა მ. ნ-ს, კ-სა და გ. მ-ს ქუჩების ტერიტორია. მოგვიანებით, 2023 წლის 3 აგვისტოს, საღამოს, წინასწარი განზრახვით, არაერთხელ გაისროლა კ-სა და გ. მ-ს ქუჩების კვეთაზე მყოფი პირების მიმართულებით, როდესაც ამ ტერიტორიაზე იყვნენ და გადაადგილდებოდნენ ადამიანები. შესაბამისად, თ. დ-მ ჩაიდინა ბ. ქ-სა და მასთან მყოფი ორი ან მეტი პირის განზრახ მკვლევლობის მცდელობა, რა დროსაც დაიჭრა ბ. ქ., რომელმაც მიიღო სიცოცხლისათვის სახიფათო, მძიმე ხარისხის და ზიანება. მსჯავრდებულმა დანაშაული ჩაიდინა ისეთი საშუალებით, რომელიც საფრთხეს უქმნის სხვათა სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, რამეთუ ცეცხლსასროლი იარაღიდან არაერთხელ ისროლა ქუჩაში, ხალხმრავალ ადგილას და მისი გასროლილი ტყვიები მოხვდა სხვა პირ-

თა ავტომანქანებს. ამავდროულად, კასატორი მიიჩნევს, რომ სასამართლოს არ გაუთვალისწინებია მსჯავრდებულის პიროვნული მახასიათებლები, დანაშაულის მოტივი და მიზანი, ქმედებაში გამოვლენილი მართლსაწინააღმდეგო ნება, მოვალეობათა დარღვევის ხასიათი და ზომა, ქმედების განხორციელების სახე, ხერხი და მართლსაწინააღმდეგო შედეგი, ყოფაქცევა ქმედების შემდეგ, მისი მისწრაფება, დაზარალებულისათვის აენაზღაურებინა ზიანი და თ.-ს შეუფარდა მსუბუქი სასჯელი, რომელიც ვერ უზრუნველყოფს მის მიზნებს – სამართლიანობის აღდგენას, ახალი დანაშაულის თავიდან აცილებას და დამნაშავის რესოციალიზაციას.

სამოტივაციო ნაწილი:

1. საკასაციო სასამართლომ განიხილა საკასაციო საჩივრები, შეისწავლა საქმის მასალები, შეამონმა საჩივრების საფუძვლიანობა, გააანალიზა კასატორების საკვანძო არგუმენტები და მიაჩნია, რომ დაცვის მხარის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო ბრალდების მხარის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, შემდეგ გარემოებათა გამო:

2. პირველ რიგში საკასაციო სასამართლო ვერ დაეთანხმება დაცვის მხარის მტკიცებას, რომ მსჯავრდებულ თ. დ-ს ქმედება მიზეზობრივად არ უკავშირდება დამდგარ შედეგს, რისი გათვალისწინებითაც, თითქოსდა, შეუძლებელია მას მსჯავრად შეერაცხოს ბ. ქ-ს ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება, რამეთუ საპირისპირო მტკიცება გამომდინარეობს კანონის მოთხოვნათა სრული დაცვით, სრულყოფილად და ობიექტურად გამოკვლეული, ურთიერთმეჯერებული და დამაჯერებელი მტკიცებულებების ერთობლიობიდან, რომლებიც ქმნიან უტყუარ და საკმარის საფუძველს გამამტყუნებელი განაჩენის გამოსატანად, კერძოდ:

3. აღსანიშნავია, რომ დავის საგანი არ არის და სასამართლოსაც, სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნიდან გამომდინარე, დადასტურებულად მიაჩნია, რომ 2023 წლის 3 აგვისტოს, საღამოს, დაზარალებულ ბ. ქ-ს ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლილი ჭურვის მოქმედების შედეგად, აღენიშნებოდა სიცოცხლისათვის სახიფათო, მძიმე ხარისხის დაზიანება – ზურგის ქვედა ნაწილისა და მენჯის ღია ჭრილობა; მუცლის ღრუს დაუზუსტებელი ორგანოს ტრავმა; მუცლის ღრუს ორგანოების მრავლობითი ტრავმა, თეძოს ძვლის მოტეხილობა; მუცლის ღრუს სხვა ორგანოების ტრავმა.

4. ბრალდების მხარის მტკიცებით, ბ. ქ-ს შემთხვევის დღეს, ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით, სწორედ თ. დ-მ მიაყენა განზრახ დაზიანება, ხოლო დაცვის მხარის მითითებით, უტყუარად არ დგინდე-

ბა, ვისი გასროლილი ტყვიით დაიჭრა ბ. ქ., შესაბამისად, სამხილების შეფასების დროს გაჩენილი ეჭვები, რომლებიც ვერ დასტურდება კანონით დადგენილი წესით, *In dubio pro reo* – პრინციპიდან გამომდინარე, უნდა გადაწყდეს ბრალდებულის/მსჯავრდებულის სასარგებლოდ.

5. შესაბამისად, მხარეებს შორის სადავო საკითხის გადასაწყვეტად და თ. დ-ს დამნაშავეობა/უდანაშაულობის გამოსარკვევად, მეტად მნიშვნელოვანია საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებების ყოველმხრივი და ობიექტური შეფასების კვალდაკვალ, შემთხვევის დროს, შემთხვევის ადგილზე არსებული ვითარების აღდგენა.

6. მსჯავრდებულ თ. დ-ს მითითებით, შემთხვევის დღეს – 2023 წლის 3 აგვისტოს, ტაქსით მოძრაობისას გაახსენდა, რომ სახლში საქმე ჰქონდა და მძღოლს სთხოვა, გ. მ-ს ქუჩაზე წაეყვანა. მანქანა კ-ს ქუჩაზე გააჩერა და ფეხით მიდიოდა შინ, როდესაც გაიგო სროლის ხმა, რომელიც მისკენ მიემართებოდა. შეშინებულმა, თავადაც გაისროლა ჰაერში, ისე, რომ არავის მოკვლის ან დაზიანების განზრახვა არ ჰქონია. გაქცევისას, მისი მიმართულებით ისროდნენ, ამიტომ მეორედაც გაისროლა ჰაერში. იგრძნო, რომ თავადაც დაჭრილი იყო და ზურგიდან სისხლი სდიოდა.

7. ამავდროულად, მსჯავრდებულის მტკიცების საპირისპირო განმარტებები მისცეს სასამართლოს მოწმეების სახით დაკითხულმა – გ. ნ-მ, უ. ი-მ და ლ. ო-მ – რომლებიც უშუალოდ შეესწრნენ თ. დ-სათვის მსჯავრდამერაცხილ შემთხვევას და რომელთა მონათხრობის სანდოობაში დაეჭვების გონივრულ საფუძველს ვერც დაცვის მხარე უთითებს თავის საკასაციო საჩივარში და არც საქმის მასალებით დადგენილა. კერძოდ:

8. მოწმე გ. ნ-ს ჩვენებით, რომელმაც ტაქსით მიიყვანა სწორედ შემთხვევის ადგილზე თ. დ., დგინდება, რომ მსჯავრდებული პირველად შემთხვევის წინა დღეს – 2023 წლის 2 აგვისტოს ნახა, როდესაც მასთან გამოძახებაზე მივიდა. თ. დ. შავებში იყო ჩაცმული. უთხრა, რომ აპლიკაციაში მითითებული მისამართის ნაცვლად, მ-ზე წაეყვანა, მისი შეყვარებულის მოსაძებნად. მოეწონა, ტაქსის ტრაფარეტს რომ არ ატარებდა და უკანა მინები დამუქებული რომ ჰქონდა. დაახლოებით, საათნახევარი იარეს გ. მ-სა და კ-ს ქუჩების კვეთასა და მიმდებარედ. შემდეგ წავიდნენ ვ.. მოძრაობდნენ რესტორნებთან. კონკრეტულ ადგილებთან ანელებდნენ სვლას. მერე ისევ მ-ზე დაბრუნდნენ, თუმცა კვლავ უშედეგოდ და მსჯავრდებული გამოძახების მისამართზე დაბრუნა. თ. დ-მ კორპუსის ავტოსადგომზე ჩაყვანა სთხოვა, რადგან, მისი თქმით, ავარიის გამო სიარული უჭირდა. შეთანხმდნენ, რომ მეორე დღესაც ასე მოემსახურებოდა. მართლაც დაურეკა მომდევნო საღამოს და იმავე მისამართზე მიაკითხა. ისევ შავი ტანსაცმელი ეცვა და

ზურგჩანთა ეკეთა. ამჯერად უთხრა, რომ თ. ერქვა. ძირითადად ისევ გ. მ-სა და კ-ს ქუჩების კვეთასა და მიმდებარედ მოძრაობდნენ. გ. მ-ს ქუჩასთან მიახლოებისას, შენობასთან იდგა დაახლოებით, 8-10 ადამიანი. მსჯავრდებულმა უთხრა, სვლა შეენელებინა, რადგან შესაძლოა, მისი შეყვარებულის მეგობრები ყოფილიყვნენ. ამ დროს თ. დ. თავდახრილი, ჩუმად აკვირდებოდა შეკრებილებს. მსჯავრდებულის მითითებით, წრე დაარტყეს და ისევ გ. მ-ს ქუჩაზე ჩავიდნენ. ნერვიულობდა, ბევრს ენეოდა, აბები დალია და მისი ბოთლიდან დალია წყალი. როდესაც ისევ მიუახლოვდნენ გ. მ-ს ქუჩაზე შეკრებილ პირებს, მსჯავრდებულის მითითებით, კვლავ შეანელა სვლა და კ-ს ქუჩაზე ჩახვევისთანავე, გაუჩერა ავტომანქანა. გადასვლისას თ. დ-მ უთხრა, რაც არ უნდა მომხდარიყო და რაც არ უნდა გაეგო, იქ დალოდებოდა. მერე ამოიღო იარაღის მსგავსი საგანი და დამიზნებით, იმ მიმართულებით გაიშვირა ხელი, სადაც ბიჭები იყვნენ შეკრებილი. გაიგო გასროლის ხმები, სულ დაახლოებით – 4-5. შეეშინდა და დატოვა იქაურობა.

9. ფოტოსურათებით ამოცნობის ოქმით ირკვევა, რომ გ. ნ-მ, შემთხვევიდან მალევე, მისთვის წარდგენილ ოთხ ფოტოსურათს შორის ამოიცნო თ. დ. და განმარტა, რომ 2023 წლის 2 და 3 აგვისტოს სწორედ იგი წაიყვანა დ-ნ, მიიყვანა გ. მ-ს და კ-ს ქუჩების კვეთასთან, სადაც გადავიდა ავტომანქანიდან და იარაღიდან გაისროლა.

10. მონმე გ. ნ-ს მონაწილეობით ფაქტობრივი გარემოებებისა და საქმის ვითარების აღდგენის მიზნით ჩატარებული საგამოძიებო ექსპერიმენტის ოქმით დგინდება, რომ გ. ნ-მ გამოძიებას მიუთითა მდებარე საცხოვრებელ კორპუსზე, სადაც მისი თქმით, 2023 წლის 2 აგვისტოს, დაახლოებით, 21:05 საათზე და 2023 წლის 3 აგვისტოს, დაახლოებით, 20:28 საათზე ჩაისვა ავტომობილში მგზავრი, ასევე – ქვემოთ მდებარე კორპუსზე, სადაც მიიყვანა და დატოვა იგი 2023 წლის 2 აგვისტოს. ამავდროულად, გ. ნ-მ გამოძიებას აჩვენა მ. ნ-ს, გ. მ-სა და კ-ს ქუჩების კვეთაზე, სადაც, მისი თქმით, 2023 წლის 3 აგვისტოს, დაახლოებით, 21:00 საათზე, იდგა 8-9 ახალგაზრდა მამაკაცი, სადაც ჩავიდა მისი მგზავრი, რომელიც გაეცნო, როგორც თ., ამოიღო იარაღი და დაიწყო სროლა აღნიშნული პირების მისამართით, აწარმოა, დაახლოებით, მიყოლებით 4 გასროლა.

11. სასამართლოში მონმის სახით დაკითხული, დაცვის პოლიციის თანამშრომლის – უ. ი-ს – ჩვენებით დასტურდება, რომ 2023 წლის 3 აგვისტოს, ლ. ო-სთან ერთად მოძრაობდა სამსახურებრივი ავტომანქანით. მ. ნ-ს ქუჩიდან კ-ს ქუჩაზე ჩახვევისას, გაიგონა 4-5 გასროლის ხმა და მათ ავტომანქანას რაღაც მოხვდა. დაინახა გ. მ-სა და კ-ს ქუჩების კვეთაზე, კუთხეში, მდგომი მსჯავრდებული, რომელსაც ეცვა მუქი ტანსაცმელი, კაპიუშონი ჰქონდა წამოფარებული და, სავარაუდოდ,

პისტოლეტიდან ისროდა მოპირდაპირე მხარეს მდგომი ბიჭების მიმართულებით. 3-4 პირი, რომელთა მიმართულებითაც ისროდა მსჯავრდებული, გარბოდა ს-ს მოედნის მიმართულებით. მათ ხელში იარაღი არ დაუნახავს. თ. დ. რამდენიმე გასროლის შემდეგ, საპირისპიროდ – მ-ს ქუჩაზე გაიქცა, აღმაშენებლის გამზირის მიმართულებით. ის პირები კი, რომელთა მიმართულებითაც ისროდა, მოტრიალდნენ და უკან დაედევნენ. ქუჩების კვეთას რომ გასცდნენ, კვლავ ესმოდა სროლის ხმა, თუმცა, ვინ ისროდა, ვერ ხედავდა. კუთხეში არსებული მალაზიიდან გამოვიდა ქალი, რომელიც ყვიროდა, რომ ბიჭი იყო დაჭრილი. მანქანა გადააყენა და შევიდა მალაზიაში, სადაც ნახა ახალგაზრდა, რომელსაც წელიდან სდიოდა სისხლი. მის ავტომანქანას, მძღოლის მხარეს, კართან, მოხვედრილი ჰქონდა რალაც, თუმცა გახვრეტილი არ ყოფილა.

11. ფოტოსურათებით ამოცნობის ოქმით ირკვევა, რომ უ. ი-მ, შემთხვევიდან მალევე, მისთვის წარდგენილ ოთხ ფოტოსურათს შორის ამოიცნო თ. დ. და განმარტა, რომ სწორედ ეს პირი, 2023 წლის 3 აგვისტოს, დაახლოებით, 21:00 საათზე, ..., გ. მ-სა და კ-ს ქუჩების კვეთაზე მყოფი, პისტოლეტისმაგვარი იარაღიდან ისროდა გ. მ-ს ქუჩაზე, გზის პირას მდგომი რამდენიმე მამაკაცის მიმართულებით.

12. იგივე ფაქტობრივი გარემოებები დაადასტურა მოწმის სახით დაკითხულმა, უ. ი-ს მენყვილემ – ლ. ო-მ, რომელიც, შემთხვევის დროს, მასთან ერთად გადაადგილდებოდა სამსახურებრივი ავტომანქანით და, დაახლოებით, 21:00 საათზე, მ. წ-ს ქუჩაზე მოძრაობისას გაიგონა სროლის ხმა, კ-ს ქუჩაზე ჩახვევისას კი დაინახა მსჯავრდებული, რომელსაც იარაღისმაგვარი საგანი ეჭირა ხელში და გ. მ-სა და კ-ს ქუჩების კუთხიდან ესროდა მოპირდაპირე მხარეს, მ-ს ქუჩაზე, კედელთან მდგარ, 2-3 პირს. დაახლოებით 6-7 გასროლა იყო. ამავდროულად, მათ მანქანას რალაც მოხვდა. გადმოსვლისას დაინახა, ისინი, ვისი მიმართულებითაც მსჯავრდებული ისროდა, ს-ს მოედნის მიმართულებით გარბოდნენ. თ. დ. კი, სროლის დასრულებისთანავე, გაიქცა გ. მ-ს ქუჩის მიმართულებით. ამ დროს დაინახა სწორედ მსჯავრდებულის სახე. სხვის ხელში იარაღი არ დაუნახავს. შემდეგ, ის პირები, რომლებსაც თ. დ. ესროდა, მოტრიალდნენ და დაედევნენ მას გ. მ-ს ქუჩის მიმართულებით. სროლა აღარ გაუგია. თვალს რომ მიეფარნენ, რა მოხდა არ იცის. ავტომანქანას, რომელშიც მენყვილესთან ერთად იჯდა, მარცხენა მხარეს ჰქონდა დაზიანება, რაც შესაძლოა, ტყვიის ანასხლეტი ყოფილიყო. ქუჩების კვეთაზე არსებული მალაზიიდან გამოვიდა ქალი, რომელიც ყვიროდა, რომ ერთი პირი იყო დაჭრილი. მალაზიაში ნახა დაჭრილი, რომელსაც მარცხენა კიდურიდან სდიოდა სისხლი. დაჭრილი იმ პირებთან ერთად იყო, რომელთა მიმართულებითაც ისროდა მსჯავრდებული, თუმცა როდის და როგორ დაიჭრა, არ დაუნახავს.

13. ფოტოსურათებით ამოცნობის ოქმით ირკვევა, რომ ლ. ო-მ, შემთხვევიდან მალევე, მისთვის წარდგენილ ოთხ ფოტოსურათს შორის ამოიცნო თ. დ. და განმარტა, რომ სწორედ ეს პირი, 2023 წლის 3 აგვისტოს, დაახლოებით, 21:00 საათზე, ..., გ. მ-სა და კ-ს ქუჩების კვეთაზე მყოფი, პისტოლეტისმაგვარი იარაღიდან ისროდა გ. მ-ს ქუჩაზე, გზის პირას მდგომი რამდენიმე მამაკაცის მიმართულებით.

14. აღსანიშნავია, რომ მხარეები თანხმდებიან საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით (2023 წლის 3 აგვისტოსა და 2023 წლის 4 აგვისტოს ეპიზოდებისათვის) გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენისათვის თ. დ-ს მსჯავრდების კანონიერებაზე. მსჯავრდებულები ადასტურებს, რომ 2023 წლის 3 აგვისტოს შემთხვევის ადგილზე ყოფნისას, ორჯერ გაისროლა ხელთნაქონი ცეცხლსასროლი იარაღიდან, მისი მტკიცებით – ჰაერში. დავის საგნად არ ქცეულა არც ის ფაქტი, რომ შემთხვევიდან მომდევნო დღეს – 2023 წლის 4 აგვისტოს – დაკავებისას ჩატარებული პირადი ჩხრეკის დროს, თ. დ-საგან ამოღებულია – 1930-1933 წლების ნიმუშის, ტოკარევის კონსტრუქციის 7,62 მმ კალიბრიანი, №... პისტოლეტის მოდელი „TT“, რომელიც მიეკუთვნება ცეცხლსასროლ იარაღთა კატეგორიას და ვარგისია სროლისათვის. ასევე – ქარხნული წესით დამზადებული, 7,62 მმ კალიბრიანი, 1930 წლის ნიმუშის, 8 ვაზნა, განკუთვნილი ტოკარევის კონსტრუქციის პისტოლეტებისათვის „TT“ პისტოლეტ-ტყვიამფრქვევებისათვის, „PPA“, „ППШ“ და სხვა, რომლებიც მიეკუთვნება საბრძოლო მასალათა კატეგორიას და ვარგისია გამოსაყენებლად.

15. იმავდროულად, შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმის მიხედვით, 2023 წლის 3 აგვისტოს, ... ქუჩის №...- მიმდებარედ არსებული მალაზიის იატაკიდან ამოღებულია მონითალო ლაქები (ობიექტი №...); მალაზიის მოპირდაპირედ, გ. მ-სა და კ-ს ქუჩების კვეთის მიმდებარედ, ასფალტის ზედაპირიდან – 1 მასრა (ობიექტი №...); 1 მეტალის ფრაგმენტი (ობიექტი №...); 1 მასრა (ობიექტი №...); 1 მასრა (ობიექტი №...); 1 მასრა (ობიექტი №...); 1 მასრა (ობიექტი №...); 1 მასრა (ობიექტი №...); 1 მასრა (ობიექტი №...); 1 ლითონის ფრაგმენტი (ობიექტი №...); 1 ლითონის ფრაგმენტი (ობიექტი №...); მეტალის ფრაგმენტი (ობიექტი №...); 1 მასრა (ობიექტი №...), 1 მასრა (ობიექტი №...). ამავდროულად განთავსებულ „შკოდა-ს“ მარკის ავტომანქანას (სახელმწიფო ნომრით ...) ნარნერით – „დაცვის პოლიცია“, წინა მარცხენა კარზე აღენიშნება მრგვალი ფორმის დაზიანება; აქედან, დაახლოებით, 15 მეტრში, გ. მ-ს ქუჩის №... მიმდებარედ, ასფალტის ზედაპირიდან ამოღებულია – 1 მასრა (ობიექტი №...); გ. მ-ს ქუჩის №... მიმდებარედ, ასფალტიდან ამოღებულია – 1 მასრა (ობიექტი №...); 1 მასრა (ობიექტი №...); 1 მასრა (ობიექტი №...); გ. მ-ს ქუჩის №... მიმდებარედ – 1 მასრა (ობიექტი

№...); გ. მ-ს ქუჩის №... მიმდებარედ, 1 მასრა (ობიექტი №...); გ. მ-ს ქუჩის №... მიმდებარედ, 1 მასრა (ობიექტი №...); 1 მასრა (ობიექტი №...); გ. მ-ს ქუჩის №... მიმდებარედ – 1 ლითონის ფრაგმენტი (ობიექტი №...); 1 ლითონის ფრაგმენტი (ობიექტი №...); 1 ლითონის ფრაგმენტი (ობიექტი №...); გ. მ-ს ქუჩის №... მიმდებარედ, განთავსებულ „Hyundai-ს“ მარკის ავტომანქანას (სახელმწიფო ნომრით I...), უკანა მარჯვენა საქარე მინა და წინა მარჯვენა ფარი აქვს დაზიანებული; გ. მ-ს ქუჩის №... მიმდებარედ, „Toyota-ს“ მარკის ავტომანქანას (სახელმწიფო ნომრით), დაზიანებული აქვს უკანა საქარე მინა და მარცხენა უკანა კარის ჩარჩო. შემთხვევის ადგილის დათვალიერების შედეგად, მალაზიის იატაკიდან ამოღებულია მონითალო ლაქები (ობ. №), ასევე – სულ 18 მასრა და 7 მეტალის ფრაგმენტი.

16. არასადავო ბალისტიკური ექსპერტიზის №... დასკვნის თანახმად, შემთხვევის ადგილის დათვალიერების დროს ამოღებული, ზემოაღნიშნული 18 მასრიდან, 2 – 7,62X25მმ კალიბრიანი მასრა, იდენტურია ბალისტიკური ექსპერტიზის №... დასკვნის მიხედვით, თ. დ-ს პირადი ჩხრეკის შედეგად ამოღებული, „TT-ს“ კონსტრუქციის №... პისტოლეტში გასროლილი ექსპერიმენტული მასრების.

17. ამდენად, სადავო არ არის და საკასაციო სასამართლოსაც დადგენილად მიაჩნია, რომ შემთხვევის ადგილიდან ამოღებული, 7,62X25მმ კალიბრიანი 2 მასრა, შემთხვევის დღეს – 2023 წლის 3 აგვისტოს, „TT-ს“ კონსტრუქციის № პისტოლეტიდან გაისროლა თ. დ-მ.

18. ამავდროულად, საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს მსჯავრდებულის ვერსიას, რომ იგი ჰაერში ისროდა და ამ დროს არავის დაზიანების განზრახვა არ ჰქონია, რამეთუ მისი მონათხრობი არსებითად ეწინააღმდეგება საქმეზე დაკითხული, არაერთი ნეიტრალური მოწმის ჩვენებას, შესაბამისად, არასარწმუნო და არადაამაჯერებელია, კერძოდ:

19. თ. დ-ს თქმით, შემთხვევის დღეს, ტაქსით მოძრაობისას უბრალოდ გაახსენდა, რომ სახლში ჰქონდა საქმე და სთხოვა მძღოლს შინ წაეყვანა, რაც ეწინააღმდეგება ტაქსის მძღოლის – გ. ნ-ს – მონათხრობს, რომელმაც ცალსახად და ერთმნიშვნელოვნად დაადასტურა, რომ მსჯავრდებული, დანაშაულის ჩადენამდე, მოქმედებდა მიზანმიმართულად, ზედიზედ ორი დღის განმავლობაში, როგორც შემთხვევის, ასევე – წინა დღეს, ინტენსიურად მოძრაობდა ავტომანქანით გ. მ-სა და კ-ს ქუჩებსა და მიმდებარედ, სადაც დაჟინებით ეძებდა მისთვის საინტერესო პირს, როგორც მოგვიანებით გამოიკვეთა – დაზარალებულ ბ. ქ-ს. ამ მეტად საეჭვო მოქმედების შესანიღბად და ტაქსის მძღოლის სავარაუდო ეჭვების გასაქარყლებლად, თ. დ-მ შეთხზა ვერსია, თითქოსდა, ასე ქუჩა-ქუჩა თავის შეყვარებულს დაეძებდა, რომელთა-

ნაც იყო ნაჩხუბარი და სურდა შერიგება.

20. მსჯავრდებულის მიერ სასამართლოსათვის შეთავაზებული ვერსია, თითქოსდა, შინ ფეხით მიმავალს, შემოესმა სროლის ხმა, რომელიც მისკენ მიემართებოდა და სწორედ ამის გამო, შეშინებულმა გაისროლა ჰაერში – ორჯერ, ისე, რომ არავის დაზიანების განზრახვა არ ჰქონია, გამოირიცხა, როგორც მოწმე გ. ნ-ს ჩვენებით, რომელმაც დაადასტურა, რომ მას შემდეგ, რაც მსჯავრდებულმა კარგად შეათვალიერა გ. მ-ს ქუჩაზე მდგარი პირები, რომელთა შორის იყო დაზარალებული ბ. ქ-ც, მიზანმიმართულად დაბრუნდა მათი თავშეყრის ადგილზე და ავტომატქანიდან გადასვლისთანავე, დამიზნებით, ხელის გაშვერით, რამდენჯერმე გაისროლა მათი მიმართულებით; ასევე – მ. ნ-სა და გ. მ-ს ქუჩების კვეთაზე, შემთხვევით აღმოჩენილი მოწმეების – უ. ი-სა და ლ. ო-ს მონათხრობით, რომლებმაც სარწმუნოდ მიუთითეს, რომ მსჯავრდებული დამიზნებით ისროდა სწორედ გ. მ-ს ქუჩაზე შეკრებილი პირების მიმართულებით და არა – ჰაერში. მსჯავრდებულის ურყევ ნებაზე, ზედმიწევნით ალესრულებინა მისი წინასწარი განზრახვა, მიუთითებს ის ფაქტიც, რომ ტაქსიდან გადასვლისას, სანამ იარაღს ამოიღებდა და სროლას დაიწყებდა, გ. ნ. გააფრთხილა, რაც არ უნდა მოხდარიყო და რაც არ უნდა გაეგონა, მძლოლი მას უნდა დალოდებოდა, რაც ცხადია გამოირიცხავს შემთხვევის ადგილზე მოვლენების იმგვარად სპონტანურად განვითარებას, როგორც ამაზე თავად მსჯავრდებული უთითებდა.

21. დაცვის მხარე, თავისი ვერსიის გასამყარებლად, რომ სასამართლოში წარმოდგენილი მტკიცებულებებით უტყუარად არ დგინდება მიზეზობრივი კავშირი თ. დ-ს ქმედებასა და დამდგარ შედეგს – ბ. ქ-ს ჯანმრთელობის მძიმე დაზიანებას შორის, რამდენიმე ძირითად არგუმენტს იშველიებს, მათ შორის, ერთი მხრივ, თითქოსდა, ბ. ქ. შემთხვევის დროს იდგა არა – გ. მ-ს ქუჩაზე არსებული მაღაზიის კედელთან, საითაც თავითმხილველი მოწმეების ჩვენებების კვალდაკვალ, ისროდა სწორედ თ. დ., არამედ – მოპირდაპირედ არსებულ, გ. მ-ს სახელობის სკვერთან, როგორც ამაზე დაცვის მხარის მოწმემ – ბ. ა-მ მიუთითა; მეორე მხრივ, დაცვის მხარის მტკიცებით, მსჯავრდებულის მიერ გასროლილი მასრები, შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმის მიხედვით, ამოღებულია გ. მ-ს ქუჩის შიდა მხარეს და არა – გზაჯვარედინზე ან მის სიახლოვეს, სადაც ბრალდების მხარის მითითებით, დაიჭრა ბ. ქ. ამდენად, დაცვის მხარის ვერსიით, თ. დ. არც იმ ადგილას ისროდა, სადაც დაზარალებული დაჭრეს და არც იმ მიმართულებით, სადაც ბ. ქ. იდგა, შესაბამისად, უტყუარად ვერ დგინდება, რომ ბ. ქ. თ. დ-ს განზრახ ნასროლი ტყვიით არის დაჭრილი.

22. დაცვის მხარის ზემოაღნიშნული არგუმენტების საპირწონედ,

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს: მონმე ბ. ა-ს ჩვენების მიხედვით, სროლის დროს დაზარალებული ბ. ქ. იდგამის გვერდით გ. მ-ს, მ. ნ-სა და კ-ს ქუჩების კვეთაზე, სკვერის მხარეს. ამავდროულად, დაინახა იმ პირის სახე, რომელიც ისროდა და ეს არ ყოფილა მისი ნაცნობი თ. დ.. ყურადსაღებია, რომ მონმე ბ. ა-ს ჩვენება ეწინააღმდეგება არა მარტო ბრალდების მხარის მონმეების – გ. ნ-ს, უ. ი-სა და ლ. ო-ს თანმიმდევრულ და დამაჯერებელ ჩვენებებს, რომელთა შინაარსი სასამართლომ ზემოთ უკვე მიმოიხილა, არამედ – თავად დაზარალებულ ბ. ქ-ს მიერ, გამოძიების დროს, გამოკითხვისას მიწოდებულ ინფორმაციასაც, რომლის მიხედვით, 2023 წლის 3 აგვისტოს, დაახლოებით 21:00 საათზე იყო ... ქუჩების კვეთასთან, „...“ ჩასარიცხ აპარატთან, ბ. ა-თან, გ. რ-სა და კიდევ ორ პირთან ერთად, რა დროსაც გაიგონა გასროლისა თუ აფეთქების ხმა და დაინახა, მის წინ, კედელზე გაცვენილი ნაპერწკლები. თავდაპირველად, იფიქრა, რომ ბავშვები პიროტექნიკით თამაშობდნენ. უკან შემობრუნებისას, ისევ გაიგონა სროლის ხმები, თედოს არეში იგრძნო სითბო და ასე – 5-7 მეტრში, დაინახა კაპიუშონიანი პირი, რომელსაც ხელში ეკავა მუქი, პისტოლეტისმაგვარი იარაღი. რაც შეეხება შემთხვევის ადგილიდან ამოღებულ, თ. დ-ს გასროლ ვაზნებს, ხაზგასასმელია, რომ დაცვის მხარის მტკიცებით, ბალისტიკური ექსპერტის მითითებით, მსჯავრდებულის მიერ გასროლილია №.. და №.. მასრები, რომლებიც, შემთხვევის ადგილის დათვალეიერების ოქმის მიხედვით, ამოღებულია გ. მ-ს ქუჩის შიდა მხარეს და არა – გზაჯვარედინზე ან მის მიმდებარედ, მაშინ, როდესაც სასამართლოში დაკითხულმა ექსპერტმა – გ. კ-მ დაადასტურა, რომ მასრების ზომიდან გამომდინარე, თუ იმსჯელებს, თ. დ-ს იარაღიდან გასროლილი 2 მასრა, სავარაუდოდ, მოთავსებული იყო – №... და №... პაკეტში, რაც სრულებით არ ადასტურებს იმ ფაქტს, რომ თ. დ-ს გასროლილი მასრები არ ყოფილა ამოღებული იმ ადგილის მიმდებარედ, სადაც ბ. ქ. დაიჭრა. მით უფრო, რომ მონმეებმა: გ. ნ-მ, უ. ი-მ და ლ. ო-მ ცალსახად დაადასტურეს, რომ თვალნათლივ დაინახეს, როგორ ისროდა გ. მ-სა და კ-ს ქუჩების კვეთაზე მყოფი თ. დ., გ. მ-ს ქუჩაზე კედელთან მდგომი პირების მიმართულებით, რომელთა შორის, როგორც თავად დაზარალებულის ჩვენებითაც დგინდება, იყო ბ. ქ., რომელმაც მიიღო ცეცხლნასროლი და ზიანება. ამასთან, ვერც დაცვის მხარე უთითებს და არც საქმის მასალებით იკვეთება, რატომ უნდა ემხილათ მონმეებს: გ. ნ-ს, უ. ი-სა და ლ. ო-ს ცრუდ ესოდენ მძიმე, ადამიანის ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართულ, არჩადენილ დანაშაულში თ. დ., რომლის მიმართ რაიმე პირადი ინტერესი არ ჰქონიათ. ამასთან, როგორც დაცვის მხარის საკასაციო საჩივარშიც არის აღნიშნული, შემთხვევის ადგილიდან ამოღებული სხვა მასრებისა და ტყვიებიდან გამომდინარე, გამოძიების დროს, ცალკე წარ-

მოებად გამოყოფილია სისხლის სამართლის საქმე ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შექმნის, შენახვისა და ტარების ფაქტზე.

23. ამდენად, გამომდინარე იქიდან, რომ სასამართლოში წარმოდგენილი მტკიცებულებებით, სარწმუნოდ დგინდება, რომ როგორც შემთხვევის, ასევე – შემთხვევის წინა დღეს, თ. დ. დაჟინებით ეძებდა ბ. ქ-ს, არაერთგზის მიაკითხა იმ ადგილებს, სადაც ვარაუდობდა, რომ შესაძლოა დაზარალებული ყოფილიყო და როგორც კი ნახა, კარგად შეათვალიერა და დამიზნებით, ცეცხლსასროლი იარაღიდან არაერთხელ ესროლა მას, შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ შემთხვევის ადგილიდან, გარდა მსჯავრდებულის მიერ გასროლილისა, ასევე – ამოღებულია სხვა მასრებიც, საკასაციო სასამართლოს უტყუარად დადასტურებულად მიაჩნია, რომ ბ. ქ. სწორედ თ. დ-ს გასროლის შედეგად დაიჭრა და, შესაბამისად, მისი ქმედება – ცეცხლსასროლი იარაღიდან სროლა – მიზეზობრივად უკავშირდება ბ. ქ-ს ჯანმრთელობის მძიმე დაზიანებას.

24. მსჯავრდებულის ქმედების სადავო კვალიფიკაციასთან დაკავშირებით, საკასაციო სასამართლო იზიარებს და ეთანხმება ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოების არგუმენტაციას, რომლის მიხედვით, არც შემთხვევის ადგილზე მყოფი მოწმეებისა და არც საქმის სხვა ობიექტური გარემოებებიდან გამომდინარე, სარწმუნოდ არ დგინდება, რომ თ. დ. მოქმედებდა ბ. ქ-ს და, მით უფრო, მასთან ერთად მყოფი პირების მოკვლის განზრახვით და, ამდენად, დამდგარი შედეგის გათვალისწინებით, მსჯავრდებულის ქმედება სწორად შეფასდა, როგორც ბ. ქ-ს ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება და ამ ნაწილში სააპელაციო სასამართლოს გადანყვეტილების გაუქმების ან შეცვლის რაიმე წინაპირობა არ იკვეთება.

25. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ბრალდების მხარემ, რომელსაც პროცესუალურად ეკისრება ბრალდების მტკიცების ტვირთი, სასამართლოში წარმოდგენილი მტკიცებულებებით ვერ დაადასტურა, რომ თ. დ. მოქმედებდა ბ. ქ-ს ან/და მასთან მყოფი პირების მოკვლის განზრახვით, რომლის აღსრულება, მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, ვერ შეძლო. ხაზგასასმელია, რომ ბრალდების შესახებ დადგენილებით, ბრალდების მხარე, თ. დ-ს მაკვალიფიცირებელ გარემოებაში – ორი ან მეტი პირის მიმართ – დანაშაულის ჩადენას ედავებოდა, თუმცა ბრალდების შესახებ დადგენილებითაც კი შეუძლებელია იმის განჭვრეტა, გარდა ბ. ქ-სა, კონკრეტულად ვის მკვლელობას ცდილობდა თ. დ., რამეთუ ასეთი ჩანაწერი არ იკვეთება არც ბრალდების შესახებ დადგენილებით და, იმავდროულად, გარდა ბ. ქ-სა, განსახილველ სისხლის სამართლის საქმეზე, დაზარალებულად არ

არის ცნობილი არცერთი სხვა პირი.

26. ამავდროულად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ თ. დ-მ დანაშაული – სხვისი ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება – ჩაიდინა ისეთი საშუალებით, რომელიც განზრახ უქმნის საფრთხეს სხვის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას და, შესაბამისად, მისი პასუხისმგებლობა ამ მაკვალიფიცირებელი გარემოებით უნდა დამძიმდეს, კერძოდ:

27. უტყუარად დადგენილია, რომ მსჯავრდებულმა ბ. ქ-ს ჯანმრთელობა მძიმედ დაუზიანა ცეცხლსასროლი იარაღიდან – ქარხნული წესით დამზადებული, 1930-33 წლების ნიმუშის, ტოკარევის კონსტრუქციის, 7,62 მმ კალიბრიანი, „TT-ს“ მოდელის პისტოლეტიდან – გასროლით. ამავდროულად, დადასტურებულია, რომ თ. დ-მ დაზარალებულის მიმართულებით, არაერთხელ – სულ მცირე, ორჯერ – ისროლა. შესაბამისად, იმის დასადგენად, თ. დ-მ მსჯავრდებულა ცხილი დანაშაული ჩაიდინა თუ არა ისეთი საშუალებით, რომელიც საფრთხეს უქმნის სხვის სიცოცხლეს ან/და ჯანმრთელობას, გარდა დანაშაულის ჩასადენად გამოყენებული ცეცხლსასროლი იარაღის თავისთავად მომეტებული საშიშროების მხედველობაში მიღებისა, ასევე – მეტად მნიშვნელოვანია შემთხვევის დროს, შემთხვევის ადგილზე არსებული ვითარების შეფასება.

28. გამომდინარე აქედან, საკასაციო სასამართლო ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებას, რომ დანაშაული ჩადენილია ზაფხულის პერიოდში, საღამოს საათებში, დედაქალაქის ცენტრალურ ნაწილში, ტურისტულად აქტიურ ადგილას, სადაც სამი ქუჩა კვეთს ერთმანეთს, გზაჯვარედინზე განთავსებულია რამდენიმე სასურსათო მაღაზია და ფუნქციონირებს საზოგადოებრივი თავშეყრის სკვერი. ამავდროულად, თვითმხილველი მოწმეების – გ. ნ-ს, უ. ი-სა და ლ. ო-ს ჩვენებებით დადგენილია, რომ იმ დროს, როდესაც თ. დ-მ ცეცხლსასროლი იარაღიდან, რამდენჯერმე ესროლა ბ. ქ-ს, დაზარალებული იდგა არაერთ პირთან ერთად. შესაბამისად, მიუხედავად დამნაშავის მიერ მსხვერპლის მიმართ მიზანმიმართული სროლისა, შემთხვევის დროის, ადგილისა და შეიარაღებული თავდასხმის დროს, დაზარალებულის გვედიგვერდ მყოფი არაერთი პირის გათვალისწინებით, თ. დ-ს მიერ ბ. ქ-ს დასაზიანებლად ცეცხლსასროლი იარაღიდან სროლა, იყო ცალსახად სახიფათო სხვათა სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის.

29. სასჯელთან მიმართებით აღსანიშნავია, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 259-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, სასამართლოს განაჩენი სამართლიანია, თუ დანიშნული სასჯელი შეესაბამება მსჯავრდებულის პიროვნებასა და მის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეს. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლო

დამნაშავეს სამართლიან სასჯელს დაუნიშნავს ამ კოდექსის კერძო ნაწილის შესაბამისი მუხლით დადგენილ ფარგლებში და ამავე კოდექსის ზოგადი ნაწილის დებულებათა გათვალისწინებით. სასჯელის უფრო მკაცრი სახე შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ მაშინ, როდესაც ნაკლებად მკაცრი სახის სასჯელი ვერ უზრუნველყოფს სასჯელის მიზნის განხორციელებას. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, სასჯელის დანიშვნის დროს სასამართლო ითვალისწინებს დამნაშავეს პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ და დამამძიმებელ გარემოებებს, კერძოდ: დანაშაულის მოტივსა და მიზანს, ქმედებაში გამოვლენილ მართლსაწინააღმდეგო ნებას, მოვალეობათა დარღვევის ხასიათსა და ზომას, ქმედების განხორციელების სახეს, ხერხსა და მართლსაწინააღმდეგო შედეგს, დამნაშავეს წარსულ ცხოვრებას, პირად და ეკონომიკურ პირობებს, ყოფაქცევას ქმედების შემდეგ, განსაკუთრებით – მის მისწრაფებას, ანაზღაუროს ზიანი, შეურიგდეს დაზარალებულს. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასჯელის მიზანია სამართლიანობის აღდგენა, ახალი დანაშაულის თავიდან აცილება და დამნაშავეს რესოციალიზაცია.

30. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ განმარტებულია, რომ სასჯელთან დაკავშირებული კონსტიტუციური შეზღუდვის არსი არის პროპორციული სასჯელის დაკისრება მნიშვნელოვნად ინდივიდუალიზებული სახით, რა დროსაც მხედველობაში მიიღება დანაშაულის სიმძიმე, დამნაშავეს ბრალი და დანაშაულის შედეგად გამოწვეული ზიანი (კონკრეტული დაზარალებულისთვის თუ საზოგადოებისთვის), დამნაშავეს პერსონალური მახასიათებლები და საქმის კონკრეტული გარემოებები იმისთვის, რათა განისაზღვროს, როგორი სასჯელი იქნება შესაბამისი პირის რეაბილიტაციისა და საზოგადოების დაცვისთვის ამ კონკრეტული დამნაშავეს შეკავების გზით. მხოლოდ ამგვარ პირობებში შეასრულებს სასჯელი თავის მიზნებს (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის №1/4/592 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ბექა ნიქარიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-97). სამართლებრივ სახელმწიფოში კანონზომიერია მოლოდინი, რომ სასჯელი, თავისი შინაარსით, ფორმით, თვისებრივად და არსებითად გასცდება შურისძიების პრიმიტიულ სურვილს, რომელსაც არაფერი აქვს საერთო სამართალთან და რომელიც ობიექტურად ვერ შეუწყობს ხელს ვერც ადამიანების, საზოგადოების დაცულობას, ვერც დანაშაულის შემცირებას და ვერც დამნაშავე პირის რესოციალიზაციას, საბოლოოდ, ვერ შეუწყობს ხელს ვერც სამართლის პროგრესულ და მისი დანიშნულების შესაბამის განვითარებას და ვერც საზოგადოების წევრების ჰარმონიულ თანაარსებობას, შედეგად, ვერ უზრუნველყოფს იმ სამართლებ-

რივ წესრიგს, რომლის დაცვისთვისაც უნდა გამოიყენებოდეს სახელმწიფოს იძულების უკიდურესი საშუალებები (იხ.: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის № 1/4/592 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ბექა წიქარიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-43).

31. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტი ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ცხრიდან ცამეტ წლამდე, იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვით ან უამისოდ.

32. საკასაციო სასამართლომ სრულად შეაფასა როგორც სასჯელის დანიშვნის ზოგადსავალდებულო გარემოებები, ასევე – პირის ინდივიდუალური მახასიათებლები, პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებები და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე, 53-ე მუხლების მოთხოვნათა გათვალისწინებითა და ამავე კოდექსის 53¹-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით დადგენილი წესის (დანაშაულის იარაღის გამოყენებით ჩადენის დროს, ვადიანი თავისუფლების აღკვეთის დანიშვნისას მოსახდელი სასჯელის ვადა, სულ მცირე, 1 წლით უნდა აღემატებოდეს ჩადენილი დანაშაულისათვის ამ კოდექსის შესაბამისი მუხლით ან მუხლის ნაწილით გათვალისწინებული სასჯელის მინიმალურ ვადას) შესაბამისად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ თ. დ-ს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულისათვის უნდა შეეფარდოს – 10 წლით თავისუფლების აღკვეთა. მასვე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 52¹-ე მუხლის საფუძველზე, 5 წლით უნდა აეკრძალოს იარაღთან დაკავშირებული უფლებები – იარაღის დამზადების, შექმნის ან/და იარაღის შენახვის, ტარების ან/და გამოყენების უფლება, რაც, ერთობლივად, სრულად უზრუნველყოფს სასჯელის მიზნებს – სამართლიანობის აღდგენას, ახალი დანაშაულის თავიდან აცილებასა და დამნაშავის რესოციალიზაციას.

33. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მსჯავრდებულ თ. დ-ს ინტერესების დამცველის – ადვოკატ თ. გ-ს საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო თბილისის ძველი თბილისის რაიონული პროკურორის – ზვიად გუბელაძის – საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ და თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2025 წლის 25 მარტის განაჩენი უნდა შეიცვალოს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სისხლის სა-

მართლის საპროცესო კოდექსის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის 1-ელი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, მე-3 ნაწილით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. მსჯავრდებულ თ. დ-ს ინტერესების დამცველის – ადვოკატ თ. გ-ს საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;

2. თბილისის ძველი თბილისის რაიონული პროკურორის – ზვიად გუბელაძის – საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

3. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2025 წლის 25 მარტის განაჩენი შეიცვალოს:

4. თ. დ-სათვის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 19,109-ე მუხლის „ბ“, „ლ“ ქვეპუნქტებით წარდგენილი ბრალდება გადაკვალიფიცირდეს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტზე, რომლის ჩადენისთვისაც იგი ცნობილ იქნეს დამნაშავედ და მიესაჯოს – 10 წლით თავისუფლების აღკვეთა. მასვე, 5 წლით აეკრძალოს იარაღთან დაკავშირებული უფლებები – იარაღის დამზადების, შეძენის ან/და იარაღის შენახვის, ტარების ან/და გამოყენების უფლება;

5. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით შეფარდებულმა უფრო მკაცრმა სასჯელმა შთანთქას საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით (2 ეპიზოდი) შეფარდებული ნაკლებად მკაცრი სასჯელები და თ. დ-ს საბოლოოდ მიესაჯოს – 10 წლით თავისუფლების აღკვეთა და 5 წლით აეკრძალოს იარაღთან დაკავშირებული უფლებები – იარაღის დამზადების, შეძენის ან/და იარაღის შენახვის, ტარების ან/და გამოყენების უფლება;

6. თ. დ-ს თავისუფლების აღკვეთის სახით შეფარდებული სასჯელი აეთვალოს – 2023 წლის 4 აგვისტოდან, ხოლო იარაღთან დაკავშირებული უფლებების აკრძალვის ვადა – თავისუფლების აღკვეთის მოხდის მომენტიდან;

7. სხვა, მათ შორის, თ. დ-ს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით (2 ეპიზოდი) მსჯავრდების ნაწილში, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2025 წლის 25 მარტის განაჩენი დარჩეს უცვლელად;

8. განაჩენი საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

2. ეკონომიკური დანაშაული

ქვეყნის გადაკვალიფიცირება თაღლითობიდან თვითნებობაზე

განაჩენი
საქართველოს სახელმწიფო

№633აკ-25 25 ნომბერი, 2025 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:
ნ. სანდოძე (თავმჯდომარე),
მ. გაბინაშვილი,
ლ. თევზაძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა თბილისის ძველი თბილისის რაიონული პროკურატურის პროკურორ ნინო ყვანიას და მსჯავრდებულ ქ. გ-ის ინტერესების დამცველი ადვოკატის ლ. ფ-ის საკასაციო საჩივრები თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2025 წლის 5 მაისის განაჩენზე.

აღწერილობით-სამოტივაციო ნაწილი:

1. წარდგენილი ბრალდების არსი:

1.1. ქ. გ-ე ცნობილ იქნა ბრალდებულად საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის (შემდგომში: საქართველოს სსკ-ის) 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (თაღლითობა, ესე იგი მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით სხვისი ნივთის დაუფლება მოტყუებით, რამაც დიდი ოდენობით ქონებრივი ზიანი გამოიწვია) გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისთვის, რაც გამოიხატა შემდეგით:

2011 წლის 16 მარტს, ერთი მხრივ, ტ. ვ-ეს, მ. კ-სა და ლ. ყ-ს, ხოლო, მეორეს მხრივ, ა. მ-ს, ვ. მ-სა და ს. მ-ს შორის დაიდო სესხის ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც, ამ უკანასკნელებმა ისესხეს 23000 აშშ დოლარი, საიდანაც ლ. ყ-მა და ტ. ვ-ემ ასესხეს 10000-10000 აშშ დოლარი, ხოლო მ. კ-მ 3000 აშშ დოლარი. სესხის ხელშეკრულების უზრუნველსაყოფად იპოთეკით დაიტივრთა მსესხებლების საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება, მდებარე მისამართზე ქ. თ....., საკადასტრო კოდით (...), რომელიც შეფასდა 60000 აშშ დოლარად. თანხის გადაუხდელობის გამო, დღის წესრიგში დადგა ბინაზე იძულებითი სააღსრულებო წარმოების დაწყების საკითხი. 2013 წლის 29 იანვარს, კრედიტორებმა ბინა გაიტანეს აუქციონზე გასაყიდად. ლ. ყ-მა და ტ. ვ-მ მო-

ილაპარაკეს, რომ აუქციონზე ბინა ფიქტიურად შეეძინა ლ. ყ-ის მეუღლეს – ქ. გ-ეს, როგორც ნეიტრალურ მხარეს, ხოლო ბინის საფასურს ქ. გ-ეს თავად გადასცემდნენ. ბინის ფასად დასახელდა 46700 ლარი, საიდანაც 23350 ლარი გადაიხადა ლ. ყ-მა, მეორე ნახევარი კი – ტ. ვ-მ. 2013 წლის 22 ნოემბერს ჩატარებული აუქციონით ბინის ფიქტიური მესაკუთრე გახდა ქ. გ-ე და მისი საკუთრების უფლება დარეგისტრირდა საჯარო რეესტრში, თუმცა ბინის ნამდვილი მესაკუთრეები იყვნენ ტ. ვ-ე და ლ. ყ-ი, რადგანაც მათ უზრუნველყვეს ბინის საფასურის სრული დაფარვა. აღნიშნულის შემდგომ, ქ. გ-ემ ისარგებლა რა იმ ფაქტით, რომ ქ. თ-ში (საკადასტრო კოდით ...) მდებარე უძრავი ქონების მესაკუთრედ საჯარო რეესტრში თავად იყო რეგისტრირებული, მოატყუა ლ. ყ-ი და ტ. ვ-ე და მათგან დამოუკიდებლად და მათი ნებართვის გარეშე, 2015 წლის 2 ნოემბერს ბინა გადააფორმა მისი მეგობრის – თ. კ-ის სახელზე, ხოლო 2016 წლის 29 იანვარს ბინა 55000 აშშ დოლარად გაყიდა ხ. ფ-ზე, მიღებულ ფულად თანხას კი, დაეუფლა მართლსაწინააღმდეგოდ. ქ. გ-ის მიერ განხორციელებულმა ქმედებამ გამოიწვია 55000 აშშ დოლარის, დაახლოებით 145000 ლარის დიდი ოდენობით ქონებრივი ზიანი.

2. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება:

2.1. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2024 წლის 15 ნოემბრის განაჩენით, ქ. გ-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა ჯარიმა 15000 ლარი.

2.2. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2024 წლის 15 ნოემბრის განაჩენი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში გაასაჩივრა თბილისის ძველი თბილისის რაიონული პროკურატურის პროკურორმა ნინო ჟვანიამ და მოითხოვა ქ. გ-ის მიმართ დანიშნული სასჯელის დამძიმება.

2.3. განაჩენი, ასევე გაასაჩივრა დაცვის მხარემ – მსჯავრდებულ ქ. გ-ის ინტერესების დამცველმა ადვოკატმა ლ. ფ-მა და მოითხოვა ქ. გ-ის მიმართ გამამართლებელი განაჩენი გამოტანა.

3. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება:

3.1. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2025 წლის 5 მაისის განაჩენით, ბრალდების და დაცვის მხარეების სააპელაციო საჩივრების მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2024 წლის 15 ნოემბრის განაჩენში შევიდა ცვლილება:

ქ. გ-ის ქმედება საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის

„ბ“ ქვეპუნქტიდან გადაკვალიფიცირდა საქართველოს სსკ-ის 360-ე მუხლის პირველ ნაწილზე.

ქ. გ-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 360-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა ჯარიმა 10000 ლარი.

3.2. 2025 წლის 22 მაისს, თბილისის ძველი თბილისის რაიონული პროკურატურის პროკურორმა ნინო ჟვანიამ საკასაციო საჩივრით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და მოითხოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2025 წლის 5 მაისის განაჩენში ცვლილების შეტანა, ქ. გ-ის საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით დამნაშავედ ცნობა და მისთვის კანონიერი სასჯელის განსაზღვრა.

3.3. განაჩენი, 2025 წლის 2 ივნისს, ასევე გაასაჩივრა მსჯავრდებულ ქ. გ-ის ინტერესების დამცველმა ადვოკატმა ლ. ფ-მა, რომელმაც წარმოდგენილი საკასაციო საჩივრით მოითხოვა ქ. გ-ის მიმართ გამამართლებელი განაჩენის გამოტანა.

4. კასატორთა არგუმენტები:

4.1. ბრალდების მხარეს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოს განაჩენი უკანონოა, რადგან სასამართლომ მართალია, გაიზიარა ბრალდების მხარის მტკიცებულებები, თუმცა სამართლებრივად არასწორად შეაფასა ქ. გ-ის ქმედება. ბრალდების მხარის პოზიციით ქ. გ-ის მიერ განხორციელებულია თაღლითობა. ქ. გ-ის მიერ მოტყუება გამოხატულია პასიური ფორმით, როცა მან ნადვილ მესაკუთრებს არ მიაწოდა სწორი ინფორმაცია ქონების თაობაზე და ბინის გასხვისებასთან დაკავშირებული ქმედებები (იპოთეკის მოხსნა და გაყიდვა) განახორციელა დაჩქარებული წესით. ამასთან, თაღლითობის დროს მოტყუება შეიძლება გამოიხატოს არა მხოლოდ ჭეშმარიტების განზრახ დამახინჯებაში, არამედ ქონების მესაკუთრის ან მფლობელის შეცდომაში შეყვანის მიზნით, გარკვეულ გარემოებათა განზრახ დაფარვაშიც. მოცემულ შემთხვევაში, ქ. გ-ემ ისარგებლა ლ. ყ-ისა და ტ. ვ-ის ნდობით და ისინი შეცდომაში შეიყვანა. შესაბამისად, სახეზეა მოტყუებით სხვისი ნივთის დაუფლება მისი მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით.

4.2. დაცვის მხარის პოზიციით, ქ. გ-ე უნდა გამართლდეს, რადგან ბრალდების მხარის მიერ არ არის წარმოდგენილი მტკიცებულებათა ერთობლიობა, რაც დაადასტურებდა ქ. გ-ის მიერ დანაშაულის ჩადენას. მოცემულ შემთხვევაში, მოწმეთა ჩვენებები და წერილობითი მტკიცებულებები არსებითად ეწინააღმდეგება ერთმანეთს. თუმცა, მტკიცებულებათა გაზიარების შემთხვევაშიც კი, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში არ მოიპოვება მუხლი, რომლითაც შეიძლე-

ბა დაისაჯოს ქ. გ-ე. დაცვის მხარეს მიაჩნია, რომ სააპელაციო პალატამ არასწორი კვალიფიკაცია მისცა ქ. გ-ის ქმედებას, რადგან საკუთარი ქონების გასხვიება არ წარმოადგენს დანაშაულს. დაცვის მხარეს მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივარი აკმაყოფილებს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 303-ე მუხლის მოთხოვნებს, კერძოდ, საქმე მოიცავს სამართლებრივ პრობლემას, რომლის გადაწყვეტაც ხელს შეუწყობს სამართლის განვითარებას და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებას და სააპელაციო პალატის მიერ თვითნებობის განმარტება არ შეესაბამება უზენაესი სასამართლოს მანამდე დადგენილ პრაქტიკას.

5. საკასაციო სასამართლოს შეფასებები:

5.1. საკასაციო პალატამ ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა საკასაციო საჩივრები, შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საჩივრის საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ ბრალდებისა და დაცვის მხარეების საკასაციო საჩივრების მოთხოვნა არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2025 წლის 5 მაისის განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება, შემდეგ გარემოებათა გამო:

5.2. საქმეში არსებული მტკიცებულებების გაანალიზების შემდეგ საკასაციო პალატა დადგენილად მიიჩნევს, რომ ქ. გ-ემ ჩაიდინა თვითნებობა, ე.ი. ნამდვილად თავისი ან თავისად დაგულებული უფლების დადგენილი წესის საწინააღმდეგოდ განხორციელება, რამაც გამოიწვია მნიშვნელოვანი ზიანი.

5.3. სასამართლო თავდაპირველად განმარტავს, რომ დანაშაულებრივი ქმედების სწორი სამართლებრივი კვალიფიკაცია და ფაქტების სწორად დადგენა სასამართლოს პირდაპირი ვალდებულებაა, თუმცა ამ საკითხზე მსჯელობისას აუცილებელია გათვალისწინებულ იქნეს ბრალდების უცვლელი პრინციპი. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, ქმედების გადაკვალიფიცირება დაცვისთვის წინასწარ განჭვრეტადია, როდესაც ქმედება ბრალდების ორგანული შემადგენელი ელემენტია (დე სალვადორ ტორესი ესპანეთის წინააღმდეგ (*De Salvador Torres v. Spain*), განაცხადი no. 21525/93, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1996 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილების პუნქტი 33; იუჰა ნუუტინენი ფინეთის წინააღმდეგ (*Juha Nuutinen v. Finland*), განაცხადი no. 45830/99, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2007 წლის 24 აპრილის გადაწყვეტილების პუნქტი 32).

5.4. ამასთან, საკასაციო პალატა დამატებით მიუთითებს, რომ მტკიცებულებათა გამოკვლევის შემდგომ შესაძლოა სასამართლომ სრულად ვერ დაადგინოს პირის ბრალდების შესახებ დადგენილებაში

მითითებული ფაქტობრივი გარემოებები ან ბრალადწარდგენილი დანაშაულის შემადგენლობის აუცილებელი ნიშნები, რის საფუძველზეც შესაძლოა შეიცვალოს კვალიფიკაცია, რაც არ წარმოადგენს ბრალდების უცვლელობის პრინციპის დარღვევას.

5.5. აღნიშნული საკითხის გადანყვევისას საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2025 წლის 11 თებერვლის გადანყვეტილებაზე „ლონტი და სხვები საქართველოს წინააღმდეგ“ და მიუთითებს, რომ მოცემულ საქმეზე საკასაციო საჩივრის დაშვებითა და საქმის არსებითად განხილვით კასატორს (დაცვის მხარეს) მიეცა საშუალება/შესაძლებლობა, დაცვა ახალ ბრალდებაზე (მსჯავრდებაზე) მოერგო.

5.6. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ საქმის არსებითად განხილვისას, მტკიცებულებათა გამოკვლევის ეტაპზე, დაცვის მხარეს მიეცა სრული შესაძლებლობა ბრალდების მხარესთან თანასწორ პირობებში წარმოედგინა და გამოეკვლია თავისი მტკიცებულებები, ასევე თანაბარ პირობებში დაეკითხა ბრალდების მხარის მოწმეები, ამდენად, საქმის არსებითად განხილვის დროს სრულად იქნა დაცული მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპი.

5.7. იმავდროულად, სასამართლო ითვალისწინებს საქართველოს სსსკ-ის 306-ე მუხლის მე-4 ნაწილის მოთხოვნას, რომ „საკასაციო საჩივარი განიხილება საჩივრისა და მისი შესაგებლის ფარგლებში“, აგრეთვე – საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადანყვეტილებას, რომ „კანონისმიერი ვალდებულება, რომელიც ბოჭავს მოსამართლეს არ გამოიყენოს და უგულებელყოს ფუნდამენტური და იმპერატიული კონსტიტუციური პრინციპები იმ მიზეზით, რომ მხარეები არ აპელირებენ მათზე, გამორიცხავს სამართლიანი სასამართლო განხილვისა და სამართლიანი გადანყვეტილების მიღების მიზანს“ „შეჯიბრებითობის პრინციპი... არცერთ შემთხვევაში არ ათავისუფლებს მოსამართლეს თავისთავადი ვალდებულებისგან, ითვალისწინებდეს და სწორად იყენებდეს სამართლის ფუნდამენტურ პრინციპებს იმისგან დამოუკიდებლად, მხარე რამდენად ჯეროვნად ახერხებს საკუთარი ინტერესების დაცვას და მიუთითებს თუ არა მოსამართლეს სამართლის სათანადო წესების და პრინციპების გამოყენების აუცილებლობაზე; „შესაძლოა არსებობდეს რიგი საკითხებისა, რომლებიც სისხლის სამართლის საქმის განმხილველმა სასამართლომ საკუთარი ინიციატივით და მხარეთა მოთხოვნის მიუხედავად უნდა შეამოწმოს“ (იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 29 სექტემბრის №3/1/608,609 გადანყვეტილება).

5.8. ამდენად, საკასაციო პალატა იმსჯელებს მხარეების საკასაციო საჩივრების საფუძვლიანობაზე, დადგენილ კვალიფიკაციასა და და-

ნიშნული სასჯელის კანონიერებაზე.

5.9. უპირველეს ყოვლისა, საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ არ უნდა იქნეს გაზიარებული დაცვის მხარის პოზიცია, რომ დაზარალებულთა და მოწმეთა ჩვენებები ეწინააღმდეგება საქმეში წარმოდგენილ სხვა მტკიცებულებებს, არის ურთიერთგამომრიცხავი, რის გამოც, ისინი არ უნდა გაეზიარებინა სასამართლოს. მოცემულ შემთხვევაში, პალატას არ გააჩნია მათში ეჭვის შეტანის საფუძველი, რადგან მსჯავრდებულის მიმართ არ ვლინდება რაიმე დაინტერესების არსებობა. ამასთან, მათ მიერ მითითებული ის ფაქტობრივი გარემოებები, რომლებსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მტკიცების საგანთან დაკავშირებით, თანხვედბა ერთმანეთს და საქმეში არსებულ სხვა მტკიცებულებებს.

5.10. საკასაციო სასამართლო არ ეთანხმება დაცვის მხარის საკასაციო საჩივრის მოთხოვნას ქ. გ-ის გამართლების შესახებ და მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოს განაჩენში ამომწურავად არის მითითებული იმ ფაქტობრივ გარემოებებსა და მოტივებზე, რომელთა საფუძველზეც სარწმუნოდ დადგინდა მისთვის მსჯავრდებულად შერაცხილი დანაშაულის ჩადენა, რომლის საპირისპიროს მტკიცება არ გამომდინარეობს კანონის მოთხოვნათა სრული დაცვით, სრულყოფილად და ობიექტურად გამოკვლეული ურთიერთშეჯერებული და დამაჯერებელი მტკიცებულებების ერთობლიობიდან, კერძოდ: ტ. ვ-ის, ლ. ყ-ის, მ. კ-ს, თ-ს, მ. ყ-ის, ე. დ-ის, გ. შ-ის ჩვენებებით, საჯარო რეესტრიდან ამონაწერებით, სანოტარო აქტით, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს აღსრულების ეროვნული ბიუროს განკარგულებით, დათვალიერების ოქმით, შპს „მ-ს“ დირექტორის 2018 წლის 2 აპრილის გამომძიებლისადმი მიმართვით, შპს „ს“-ს დირექტორის 2018 წლის 3 აპრილის გამომძიებლისადმი მიმართვით, უძრავი ნივთის ნასყიდობის ხელშეკრულებით, 2015 წლის 26 ნოემბრის მინდობილობით, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს საინფორმაციო სამსახურის უფროსის 2021 წლის 10 მარტის გამომძიებლისადმი მიმართვით და საქმეში არსებული სხვა მტკიცებულებებით.

5.11. საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს, რომ ლ. ყ-მა, ტ. ვ-ემ, მ. კ-იამ და თ-მ ერთმნიშვნელოვნად მიუთითეს, რომ მ. კ-იამ, ტ. ვ-ემ და ლ. ყ-მა, ა. მ-ნს, ვ-ა მ-ს და ს. მ-ს სესხის სახით გადასცეს თანხა, კერძოდ: ტ. ვ-ემ და ლ. ყ-მა 10000-10000 აშშ დოლარი, ხოლო მ. კ-მ 3000 აშშ დოლარი. რის სანაცვლოდ იპოთეკით დაიტვირთა ქ. თ-ში მდებარე ბინა. მსესხებლები ხელშეკრულების გაფორმებიდან ოთხი თვის მანძილზე სარგებელს იხდიდნენ, თუმცა შემდეგ შეწყვიტეს თანხის გადახდა. რის გამოც, 2013 წელს მიმართეს კერძო აღმასრულებელს, რომელმაც მოამზადა საბუთები და გადააგზავნა სააღსრულებო ბიუ-

როში, რის შემდეგ დაინიშნა აუქციონი. ვინაიდან ტ. ვ-ეს არ სურდა აუქციონში მონაწილეობა, ლ. ყ-ის ინიციატივით ბინის შესაძენად აუქციონში მონაწილეობა მიიღო მისმა მეუღლემ – ქ. გ-ემ და ბინა ფორმალურად აღირიცხა მის სახელზე. აღნიშნულ მოლაპარაკებას ტ. ვ-ესა და ლ. ყ-თან ერთად ესწრებოდნენ მ. კ-ა, თ-ია და ქ. გ-ე. აუქციონში მონაწილეობის მისაღებად საჭირო იყო საგარანტიო თანხის 5750 ლარის სააღსრულებო ბიუროს ანგარიშზე შეტანა. საგარანტიო თანხა თანაბრად გაინაწილეს ლ. ყ-მა და ტ. ვ-ემ. ამ უკანასკნელმა კი, მ. კ-იას და თ-ს თანდასწრებით გადასცა მისი წილი ქ. გ-ეს. აუქციონზე შექცნილი ბინის თანხიდან 23350 ლარის გადახდა უზრუნველყო ლ. ყ-მა, ხოლო თანხის მეორე ნაწილი – 23350 ლარი ტ. ვ-მ. თ-ს განმარტებით, მან პირადად ნახა თუ როგორ გადასცა ტ. ვ-ემ აუქციონზე შესყიდული ბინის თანხა ქ. გ-ეს, საიდანაც თანხის ნაწილი 2000 ლარი თავად ასესხა.

5.12. სადავო უძრავ ქონებაზე ტ. ვ-ის ინტერესს ადასტურებს ის გარემოებებიც, რომ ქ. გ-ესთან ერთად აუქციონში ამ უკანასკნელის ე.წ. „იუზერით“ მონაწილეობდნენ თ. გ-ა და ტ. ვ-ეც. მართალია, ძირითად მოქმედებებს ახორციელებდა ქ. გ-ე მისი კომპიუტერიდან, თუმცა პარალელურად ტ. ვ-ეც ადევნებდა თვალს აუქციონის მიმდინარეობას და იღებდა მასში მონაწილეობას.

5.13. მონმეების გ. შ-სა და ე. დ-ის ჩვენებებით, შპს „მ“-ს დირექტორის 2018 წლის 2 აპრილის და შპს „ს...“-ს დირექტორის 2018 წლის 3 აპრილის წერილებით დასტურდება, რომ აუქციონის გამართვის შემდეგ, უძრავი ქონებიდან ყოფილი მესაკუთრეების გამოსახლებისა და ბინის გაყიდვის პროცედურებში აქტიურად მონაწილეობდა ტ. ვ-ე.

5.14. ზემოაღნიშნული მტკიცებულებების გაანალიზების შედეგად, საკასაციო პალატა დადგენილად მიიჩნევს, რომ ქ. გ-ესა და ლ. ყ-თან ერთად, თ.....ში მდებარე ბინაზე საკუთრების უფლება გააჩნდა ტ. ვ-ესაც, რაც აუქციონში მონაწილეობის მიღებისა და გამარჯვებისთანავე ცნობილი იყო ქ. გ-ისათვის. აუქციონზე ბინის სანდო პირის მიერ შესყიდვით, შემდგომში, კი ბინის გასხვისებითა და სარგებლის მიღებით ისევე იყო დაინტერესებული ტ. ვ-ე, როგორც ლ. ყ-ი და მისი მეუღლე. მიუხედავად ამისა, ქ. გ-ემ სადავო ქონება, თვითნებურად, ტ. ვ-ესთან შეუთანხმებლად ჯერ გაასხვისა თ. კ-ეზე, შემდეგ კი ხ. ფ-ეზე.

5.15. ამასთან, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ დაცვის მხარის მტკიცება, რომ თითქოს აუქციონზე ბინის შესაძენი თანხა სრულად იქნა მობილიზებული ქ. გ-ის მიერ არ უნდა იქნეს გაზიარებული უსაფუძვლობის გამო. დაცვის მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით დგინდება, ქ. გ-ის მიერ მხოლოდ თანხის გარკვეული ნაწილის მოგროვება. ამასთან, ფაქტობრივი გარემოებების დადგენის/უარყოფის თვალსაზრისით დაცვის მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებუ-

ლებები კონკურენტუნარიანი ვერ იქნება ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილ ურთიერთშეთანხმებულ და დამაჯერებელ მტკიცებულებათა ერთობლიობით დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებთან.

5.16. საკასაციო სასამართლო ეთანხმება სააპელაციო პალატის მსჯელობას, რომ მოტყუება, როგორც თაღლითობის ჩადენის ხერხი, წინ უნდა უსწრებდეს აღნიშნულ დანაშაულს, დაზარალებულის მიერ ქონების გადაცემამდე უნდა მოხდეს დაზარალებულისათვის რეალობის დამახინჯება და ამ გზით დანაშაულის ჩადენის გამარტივება, რაც ნიშნავს, რომ მოტყუებასა და სხვისი ნივთის დაუფლების ფაქტებს შორის უნდა არსებობდეს მიზეზობრივი კავშირი. განსახილველ შემთხვევაში, ქ. გ-ის დანაშაულებრივი ქმედება გამოიხატა მასში, რომ მან, მის სახელზე რიცხული თ.....ში მდებარე უძრავი ქონება გაასხვისა ლ. ყ-ისა და ტ. ვ-ის ინფორმირების გარეშე და ამასთან, არც ქონების გაყიდვის შედეგად მიღებული თანხა გადასცა მათ (პირებს ვინც რეალურად უზრუნველყვეს ბინის საფასურის სრული დაფარვა აუქციონზე). ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ აუქციონში ქ. გ-ის მონაწილეობა და ამ უკანასკნელის მიერ ბინის შეძენა არ ყოფილა მსჯავრდებულის ინიციატივა. ტ. ვ-ემ და ლ. ყ-მა თავად შესთავაზეს ქ. გ-ეს აუქციონზე შეეძინა მათივე სასარგებლოდ იპოთეკით დატვირთული მ-ების ოჯახის კუთვნილი უძრავი ქონება.

5.17. საკასაციო პალატა დამატებით ყურადღებას ამახვილებს, რომ აუქციონის გამართვამდე და მის მოგებამდე, ქ. გ-ის განზრახვაზე, რომ ლ. ყ-ისა და ტ. ვ-ის მოტყუებით, მართლსაწინააღმდეგოდ დაუფლებოდა უძრავ ქონებას, რომელიც მხოლოდ ფიქტიურად უნდა გადასულიყო მის საკუთრებაში, ირიბადაც კი არ მიუთითებს ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი არცერთი მტკიცებულება. ამასთან, არც ბრალდების მხარე ედავება ქ. გ-ეს მსგავსი განზრახვის წარმოშობას მის სახელზე ბინის საკუთრებაში დარეგისტრირებამდე. პირის ქმედების თაღლითობად დაკვალიფიცირებისათვის კი, აუცილებელია ნივთი, რომელსაც ეუფლება სავარაუდო დამნაშავე იყოს სხვისი, ან ქონებრივი უფლება ეკუთვნოდეს სხვას. იმ პირობებში კი, როდესაც ქონების მის საკუთრებაში გადასასვლელად პირს რაიმე მართლსაწინააღმდეგო, არამართლზომიერი ქმედება არ განუხორციელებია, ტ. ვ-ემ და ლ. ყ-მა საკუთარი სურვილით და ფაქტების რეალური შეცნობის საფუძველზე, სთხოვეს მონაწილეობა მიეღო აუქციონში, რის შედეგადაც ქ. გ-ეზე დარეგისტრირდა სადავო ქონება, რომელიც ამ უკანასკნელმა განკარგა რეალური მესაკუთრეების ნებისაგან დამოუკიდებლად, სახეზე არაა საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული.

5.18. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ საქართველოს სსკ-ის 360-ე მუხლის პირველი ნაწილით დასჯადია თვითნებობა – ე.ი. ნამდვილად

თავისი ან თავისად დაგულებული უფლების დადგენილი წესის საწინააღმდეგოდ განხორციელება, რამაც გამოიწვია მნიშვნელოვანი ზიანი. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 12 ივნისის №7აპ-15 განაჩენის თანახმად: „თვითნებობა ობიექტური შემადგენლობის ნიშნებით გარეგნულად ზოგჯერ ძალიან ჰგავს საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა შემადგენლობას, მაგრამ ყველა ცალკეულ შემთხვევაში, საქმეზე შეკრებილი მტკიცებულებების ერთობლივი სამართლებრივი ანალიზის საფუძველზე და თავად მსჯავრდებულის ქცევის, მოტივის მხედველობაში მიღებით დანაშაულის ჩადენამდე და დანაშაულის შემდეგ, უნდა მოხდეს პირის მიერ ჩადენილი ქმედების გამიჯვნა, რასთან გვაქვს საქმე – საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან, თუ – თვითნებობასთან“.

5.19. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2021 წლის 18 ივნისის №173აპ-21 განჩინების თანახმად: „თვითნებობისას, პირი, რომელიც მოქმედებს დადგენილი წესის საწინააღმდეგოდ, ახორციელებს თავის ნამდვილ ან თავისად დაგულებულ უფლებას. თავისად დაგულებული უფლება ისეთი უფლებაა, როდესაც პირი შეცდომით ფიქრობს, რომ მას უფლება აქვს, ისარგებლოს ან არ ისარგებლოს კონკრეტული უფლებით და იმავდროულად, აცნობიერებს, რომ თავის/თავისად დაგულებულ უფლებას კანონით დადგენილი წესის საწინააღმდეგოდ ახორციელებს.“ საკასაციო სასამართლოს აღნიშნული განმარტებები შეესაბამება განსახილველ საქმეს, რამდენადაც ქ. გ-ის ქმედებაში მოტყუების ელემენტი ვერ დადგინდა, ხოლო ტ. ვ-ის საკუთრების უფლების შელახვა გამოწვეულია მსჯავრდებულის მიერ უფლების არასწორი აღქმით.

5.20. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ დაცვისა და ბრალდების მხარეების საკასაციო საჩივრები არ უნდა დაკმაყოფილდეს.

6. სასჯელის დასაბუთება:

6.1. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ სასჯელი ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა იყოს ინდივიდუალური და ადეკვატური, ამასთან, მას უნდა გააჩნდეს მკაცრად პერსონალური ხასიათი. სასამართლო ხაზს უსვამს სასჯელის სამართლიანობის სწორად განსაზღვრის აუცილებლობას და აღნიშნავს, რომ სასჯელი აუცილებელი და პროპორციული უნდა იყოს კანონის საგანმანათლებლო მიზნების მისაღწევად.

6.2. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 259-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, სასამართლოს განაჩენი სამართლიანია, თუ დანიშნული სასჯელი შეესაბამება მსჯავრდებულის პიროვნებას და მის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეს.

6.3. საკასაციო სასამართლო აფასებს პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ და დამამძიმებელ გარემოებებს, ითვალისწინებს ჩადენი-

ლი დანაშაულის მოტივს, ქმედებაში გამოვლენილი მართლსაწინააღმდეგო ნებას, მოვალეობათა დარღვევის ხასიათს და ზომას, ქმედების განხორციელების სახეს და ხერხს, პირად და ეკონომიკურ პირობებს და საქართველოს სსკ-ის 39-ე და 53-ე მუხლების მოთხოვნათა გათვალისწინებით, მიაჩნია, რომ ქ. გ-ეს სასჯელის სახედ და ზომად უნდა განესაზღვროს ჯარიმა – 10000 ლარი.

6.4. ამასთან, საკასაციო პალატა დამატებით ყურადღებას ამახვილებს, რომ ქ. გ-ემ დანაშაული ჩაიდინა 2015 წლის 2 ნოემბერს, ხოლო ბრალდება წარედგინა 2023 წლის 31 ივლისს.

6.5. საქართველოს სსკ-ის 71-ე მუხლი ადგენს ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების წინაპირობებს. კერძოდ, ზემოხსენებული მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, „პირი თავისუფლდება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან, თუ გავიდა ორი წელი იმ დანაშაულის ჩადენიდან, რომლისთვისაც ამ კოდექსის კერძო ნაწილის მუხლით ან მუხლის ნაწილით გათვალისწინებული მქსიმალური სასჯელი არ აღემატება ორი წლით თავისუფლების აღკვეთას.

6.6. ქ. გ-ის მიმართ მსჯავრდშერაცხილი ქმედება, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 360-ე მუხლის პირველი ნაწილით ისჯება ჯარიმით ან საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ვადით ას ოთხმოციდან ორას საათამდე ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ერთიდან ორ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთ წლამდე.

6.7. საქართველოს სსკ-ის 269-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, გამამტყუნებელ განაჩენს სასჯელის დანიშვნით და მისი მოხდისაგან გათავისუფლებით სასამართლო ადგენს, თუ განაჩენის გამოტანის მომენტისათვის გასულია ამ დანაშაულისათვის სისხლისსამართლებრივი დევნის ხანდაზმულობის ვადა.

6.8. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კანონის იმპერატიული მოთხოვნის საფუძველზე, ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო, ქ. გ-ე უნდა გათავისუფლდეს დანიშნული სასჯელისგან.

6.9. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2025 წლის 5 მაისის განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 303-ე მუხლის მე-6 ნაწილით, ამავე კოდექსის 307-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით და

დაადგინა:

1. თბილისის ძველი თბილისის რაიონული პროკურატურის პროკურორ ნინო ჟვანიას საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. მსჯავრდებულ ქ. გ-ის ინტერესების დამცველი ადვოკატის ლ. ფ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
3. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2025 წლის 5 მაისის განაჩენში შევიდეს ცვლილება:
4. ქ. გ-ის ქმედება საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტიდან გადაკვალიფიცირდეს საქართველოს სსკ-ის 360-ე მუხლის პირველ ნაწილზე;
5. ქ. გ-ე ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 360-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს ჯარიმა 10000 ლარი. საქართველოს სსსკ-ის 269-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ქ. გ-ე გათავისუფლდეს დანიშნული სასჯელისგან;
6. ცნობად იქნეს მიღებული, რომ ქ. გ-ის მიმართ გამოყენებული აღკვეთის ღონისძევა გირაო გაუქმებულია და გირაოს თანხა სრულად დაუბრუნდეს მის შემტან პირს;
7. საქმეზე დართული ნივთიერი მტკიცებულებების ბედი გადაწყდეს შემდეგნაირად:
საქართველოს ეროვნული ბანკიდან გამოთხოვილი ინფორმაცია 13 დისკზე – შენახულ იქნეს საქმის შენახვის ვადით;
ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოდან მიღებული პასუხი 1 ცალ დისკზე – შენახულ იქნეს საქმის შენახვის ვადით;
8. განაჩენი კანონიერ ძალაში შედის და აღსასრულებლად მიექცევა გამოტანისთანავე;
9. განაჩენი საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

თაღლითოგა

განაჩენი საქართველოს სახელით

№694აპ-25

18 დეკემბერი, 2025 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**

**ლ. ფაფიაშვილი (თავმჯდომარე),
მ. ვასაძე,
ლ. თევზაძე**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა საქართველოს გენერალური პროკურატურის ფინანსთა სამინისტროში, იუსტიციის სამინისტროსა და სპეციალურ პენიტენციურ სამსახურში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის დეპარტამენტის ფინანსთა სამინისტროში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის სამმართველოს პროკურორის – თეა ბერიძის – საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2025 წლის 20 ივნისის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

1. პირის ბრალდების შესახებ დადგენილებით ლ. მ-ის, – პირადი ნომერი: ..., – მიერ ჩადენილი ქმედებები გამოიხატა შემდეგში:

1.1. ლ. მ-მა განიზრახა მოტყუებით დაუფლებოდა მ-ი მდებარე 487 კვ.მ მიწის ნაკვეთს და მასზე განთავსებულ 83 კვ.მ შენობა-ნაგებობას. ამ მიზნით, 2017 წლის 15 მარტს, ლ. მ-მა მიმართა საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს და მოითხოვა მ-ი მდებარე 487 კვ.მ მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული 83 კვ.მ შენობა-ნაგებობის სახელმწიფო პროექტის ფარგლებში საკუთრებაში რეგისტრაცია, რისთვისაც საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში წარადგინა მის მიერ წინასწარ დამზადებული ყალბი დოკუმენტი, კერძოდ, სანოტარო წესით 2017 წლის 10 მარტს თბილისში, ვ-სი ნოტარიუს ქ-სთან დამონმებული განცხადება, რომლის მიხედვითაც, მ. მ-ი, გ. ჯ-ი და მ. ბ-ი ადასტურებდნენ, რომ, თითქოსდა 2006 წლიდან ლ. მ-ი ფლობდა და სარგებლობდა ზემოხსენებული მიწის ნაკვეთითა და მასზე არსებული შენობა-ნაგებობით მაშინ, როდესაც ლ. მ-ი რეალურად ხსენებულ უძრავ ქონებას არ ფლობდა. აღნიშნული დოკუმენტის საფუძველზე, ლ. მ-მა მოატყუა ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლე-

ბის აღიარების კომისია, რომელმაც ყალბი დოკუმენტის – მეზობლების დასტურის საფუძველზე, მიიღო გადაწყვეტილება, ლ. მ-ისთვის საკუთრებაში გადაეცა ზემოხსენებული უძრავი ქონება. აღნიშნული ქმედებით სახელმწიფოს მიადგა 43 129 ლარის ოდენობით ზიანი;

1.1.1. აღნიშნული ქმედებით ლ. მ-მა ჩაიდინა თაღლითობა, ე.ი. მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით სხვისი ნივთის დაუფლება მოტყუებით, ჩადენილი დიდი ოდენობით, – დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის (შემდგომში – საქართველოს სსკ-ის) 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით.

1.2. 2017 წლის 15 მარტს, ლ. მ-მა მიმართა საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს და მოითხოვა მ-ი მდებარე 487 კვ.მ მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული 83 კვ.მ შენობა-ნაგებობის სახელმწიფო პროექტის ფარგლებში საკუთრებაში რეგისტრაცია, რისთვისაც საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში წარადგინა მის მიერ წინასწარ დამზადებული ყალბი დოკუმენტი – სანოტარო წესით 2017 წლის 10 მარტს, თბილისში, ვ-სი ნოტარიუს ქ-სთან დამონმებული განცხადება, რომლის მიხედვითაც, მ. მ-ი, გ. ჯ-ი და მ. ბ-ი ადასტურებდნენ, თითქოსდა 2006 წლიდან ლ. მ-ი ფლობდა და სარგებლობდა ზემოხსენებული მიწის ნაკვეთით და მასზე არსებული შენობა-ნაგებობით მაშინ, როდესაც რეალურად ლ. მ-ი ხსენებულ უძრავ ქონებას არ ფლობდა.

1.2.1. აღნიშნული ქმედებით ლ. მ-მა ჩაიდინა ყალბი ოფიციალური დოკუმენტის დამზადება გამოყენების მიზნით და გამოყენება, – დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 362-ე მუხლის პირველი ნაწილით.

2. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2025 წლის 2 აპრილის განაჩენით ლ. მ-ი ცნობილ იქნა უდანაშაულოდ და გამართლდა საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტითა და საქართველოს სსკ-ის 362-ე მუხლის პირველი ნაწილით წარდგენილ ბრალდებებში;

2.1. საქართველოს სსსკ-ის 92-ე მუხლის თანახმად, ლ. მ-ს განემართა ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება.

3. სასამართლომ დაადგინა:

3.1. ლ. მ-ი თვინებურად ფლობდა და სარგებლობდა მ-ი სოფელ მ-მდებარე 487 მ² მიწის ნაკვეთს და მასზე განთავსებულ 83 მ² შენობა-ნაგებობას, რომელიც ეკუთვნოდა მწერალთა კავშირს და მოწმეთა განმარტებით გამოიყენებოდა დარაჯის განსათავსებლად. 2017 წელს ლ. მ-მა გადანყვიტა ესარგებლა „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ საქართველოს კანონით. მითითებული კანონის მოთხოვნათა დაცვით შეაგროვა დოკუმენტები და საკუთრების აღიარების მიზნით მიმართა მ-ის საკ-

რებულოში მდებარე საკუთრების აღიარების კომისიას. ლ. მ-მა კომისიაზე დოკუმენტები წარადგინა მესამე პირის დახმარებით ისე, რომ მას კომუნიკაცია კომისიის არც ერთ წევრთან არ ჰქონია. კომისიამ განიხილა ლ. მ-ის განცხადება ისე, რომ არ ჩაუტარებია სრულფასოვანი ადმინისტრაციული წარმოება, კერძოდ: არ გადაუმოწმებია ადგილზე უძრავი ქონების მდგომარეობა, მფლობელობა და განმცხადებელთან და განცხადებაზე დართულ ახსნა-განმარტების გამცემ პირებთან კომუნიკაციის გარეშე მიიღო გადაწყვეტილება – თვითნებურად დაკავებული ქონების მფლობელად და მესაკუთრედ ლ. მ-ის აღიარების შესახებ და მასზე გასცა საკუთრების მოწმობა, რომელიც ლ. მ-მა წარადგინა საჯარო რეესტრში. ლ. მ-ის სახელზე დარეგისტრირდა 487 მ² უძრავი ქონება და მასზე განლაგებული შენობა-ნაგებობა საკადასტრო კოდით, მდებარე მ- სოფელი მ. 2020 წელს მ-ის საკრებულოში მდებარე საკუთრების აღიარების კომისიას განცხადებით მიმართა მოქალაქე ს-ემ და ითხოვა 2017 წლის 9 ოქტომბერს ლ. მ-ის სახელზე გაცემული საკუთრების უფლების მოწმობის გაუქმება. ს-ემ წარადგინა მწერალთა კავშირის მიერ გაცემული ცნობის ასლები, რომლითაც დასტურდებოდა, რომ მ-ს ტერიტორიაზე არსებული სადარაჯე სახლი მუდმივ მფლობელობაში გადაეცა პოეტ ლ-იას, რის გამოც, კომისიამ 2020 წლის 24 ივლისს მიიღო გადაწყვეტილება 2017 წლის 9 ოქტომბერს ლ. მ-ის სახელზე გაცემული საკუთრების უფლების N7 – მოწმობის ბათილად ცნობის თაობაზე. ამჟამად სადავო მიწის ნაკვეთის კანონიერი მფლობელი არის სახელმწიფო.

3.2. სასამართლოზე წარმოდგენილი მტკიცებულებებით არ დასტურდება ლ. მ-ის მიერ მართლსაწინააღმდეგო ბრალეული ქმედების ჩადენა.

4. აღნიშნული განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს გენერალური პროკურატურის ფინანსთა სამინისტროში, იუსტიციის სამინისტროსა და სპეციალურ პენიტენციურ სამსახურში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის დეპარტამენტის ფინანსთა სამინისტროში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის სამმართველოს პროკურორმა – თეა ბერიძემ. აპელანტმა მოითხოვა ლ. მ-ის დამნაშავედ ცნობა საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტითა და საქართველოს სსკ-ის 362-ე მუხლის პირველი ნაწილით და მისთვის კანონიერი და სამართლიანი სასჯელის განსაზღვრა.

5. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2025 წლის 20 ივნისის განაჩენით თბილისის საქალაქო სასამართლოს 2025 წლის 2 აპრილის განაჩენი დარჩა უცვლელად.

6. სააპელაციო სასამართლოს განაჩენი საკასაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს გენერალური პროკურატურის ფინანსთა სამინისტროს

ტროში, იუსტიციის სამინისტროსა და სპეციალურ პენიტენციურ სამსახურში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის დეპარტამენტის ფინანსთა სამინისტროში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის სამმართველოს პროკურორმა – თეა ბერიძემ. კასატორი ითხოვს ლ. მ-ის დამნაშავედ ცნობას საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტითა და საქართველოს სსკ-ის 362-ე მუხლის პირველი ნაწილით და მისთვის სამართლიანი სასჯელის განსაზღვრას.

სამოტივაციო ნაწილი:

1. სასამართლო ითვალისწინებს, რომ საქართველოს სსკ-ის 306-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, საკასაციო საჩივარი განიხილება საჩივრისა და მისი შესაგებლის ფარგლებში. მოცემულ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლოს განაჩენი გაასაჩივრა პროკურორმა თეა ბერიძემ, რომელიც ითხოვს ლ. მ-ის დამნაშავედ ცნობას ბრალდნარდგენილი – საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტითა (თაღლითობა, ე.ი. მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით სხვისი ნივთის დაუფლება მოტყუებით, ჩადენილი დიდი ოდენობით) და საქართველოს სსკ-ის 362-ე მუხლის პირველი ნაწილით (ყალბი ოფიციალური დოკუმენტის დამზადება გამოყენების მიზნით და გამოყენება) გათვალისწინებული – დანაშაულების ჩადენაში და მისთვის სამართლიანი სასჯელის განსაზღვრას.

2. ამდენად, დავის საგანია იმ საკითხის გარკვევა, ლ. მ-მა ჩაიდინა თუ არა ბრალდნარდგენილი დანაშაული/ები.

3. საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ საქართველოს გენერალური პროკურატურის ფინანსთა სამინისტროში, იუსტიციის სამინისტროსა და სპეციალურ პენიტენციურ სამსახურში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის დეპარტამენტის ფინანსთა სამინისტროში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის სამმართველოს პროკურორის – თეა ბერიძის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, კერძოდ, ლ. მ-ი ცნობილ უნდა იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტითა (თაღლითობა, ე.ი. მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით სხვისი ქონებრივი უფლების მიღება მოტყუებით, ჩადენილი დიდი ოდენობით) და საქართველოს სსკ-ის 362-ე მუხლის პირველი ნაწილით (ყალბი ოფიციალური დოკუმენტის გამოყენება).

4. სასამართლო ითვალისწინებს, რომ:

4.1. მოწმე ს-ემ განმარტა, რომ მწერალთა კავშირის მებღალეობამ მის დედამთილს – ლ-იას – სოფელ მ. სარგებლობაში გადასცა სადარაჯო სახლი, სადაც მანამდე ცხოვრობდა დარაჯი. დარაჯის ნასვლის შემ-

დეგ, 2006 წლიდან, დედამთილმა სახლს მიაშენა სხვა ოთახი, სველი ნერტილი, გააშენა ნარგავები, შემოლობა და შენობით სარგებლობდნენ 2012 წლამდე. 2008 წელს ლ-იამ მიმართა საჯარო რეესტრს ქონების რეგისტრაციის მიზნით, თუმცა მას ეთქვა უარი. 2020 წელს დასასუფთავებლად ავიდა აგარაკზე, რადგან სურდა ქონების რეგისტრაცია. მასთან მივიდა უცნობი მამაკაცი და უთხრა, რომ უძრავი ქონება დედამისის საკუთრება იყო. თავის მხრივ, ს-ემ უცნობს განუმარტა, რომ აღნიშნული ქონება მის ოჯახს ეკუთვნოდა. საუბრიდან რამდენიმე წუთში აღნიშნულმა მამაკაცმა აგარაკზე მიიყვანა ლ. მ-ი, რომელსაც დოკუმენტურად გადაფორმებული ჰქონდა ოჯახის კუთვნილი ქონება, რის გამოც, დახმარებისთვის მიმართა მცხეთის გამგეობას და საგამოძიებო ორგანოს.

4.2. მოწმე მ. მ-მა განმარტა, რომ 2005 წლიდან სოფელ მ- ფლობს აგარაკს, სადაც ატარებდა დიდ დროს. მას შემდეგ, რაც საცხოვრებლად გადავიდა მ- ამავე სოფელში მდებარე მიწის ნაკვეთზე, რომელზეც დგას შენობა, ხშირად ხედავდა ლ. მ-ს, – იგი უფლიდა მიწის ნაკვეთს, თუმცა დაზუსტებით, კონკრეტული წლის დასახელება არ შეუძლია. 2017 წელს რამდენჯერმე დაინახა, ბოლო პერიოდში კი აქტიურად ხედავდა მას. აღნიშნულ ტერიტორიაზე სხვა პირი არ უნახავს.

4.2.1. მოწმემ ასევე დაადასტურა, რომ გაცნო 2017 წლის 10 მარტის განცხადების შინაარსს (რომლის თანახმად, ლ. მ-ი 2006 წლიდან ფლობდა სადავო მიწის ნაკვეთს და სარგებლობდა), დაეთანხმა და ხელისმონერით დაადასტურა.

4.3. მოწმე მ. ბ-მა განმარტა, რომ 2001 წლიდან მუშაობს სოფელ მ- დარაჯად. 2017 წელს ლ. მ-მა დაიკანონა მწერალთა კავშირის ბალანსზე არსებული მიწის ნაკვეთი მასზე არსებული შენობა-ნაგებობით, სადაც 2000 წლამდე ცხოვრობდა დარაჯი – ი-ე. მას ლ. მ-ი ეხმარებოდა ტერიტორიის დასუფთავებაში და სხვადასხვა სამუშაოებში. ლ. მ-ის სახლი მდებარეობდა აღნიშნული მიწის ნაკვეთიდან დაახლოებით 400-500 მეტრში. მოწმემ, 2017 წლის 10 მარტის განცხადებასთან (რომლის თანახმადაც, იგი ადასტურებს, რომ ლ. მ-ი 2006 წლიდან ფლობდა და სარგებლობდა სოფელ მ. არსებულ 487 კვ.მ. მიწის ნაკვეთს) დაკავშირებით განმარტა, რომ მან ხელი მოაწერა გამზადებულ განცხადებას ისე, რომ მის შინაარსს არ გასცნობია. სანოტარო ბიუროში კი, ლ. მ-ის თხოვნით, ქონების გადაფორმების მიზნით, განცხადების შინაარსი დაადასტურა ხელმონერით.

4.4. მოწმე გ. ჯ-მა განმარტა, რომ სოფელ მ- აქვს სახლი. ლ. მ-ი ცხოვრობს ამავე სოფელში, რომელთანაც ჰქონდა მეგობრული ურთიერთობა. ამ უკანასკნელის თხოვნით, ვინაიდან სურდა მიწის ნაკვეთის გაფორმება, მივიდა სანოტარო ბიუროში და განცხადებას მოაწერა ხელი,

თუმცა მისი შინაარსი არ წაუკითხავს, ასევე არ უკითხავს, რომელი მიწის ნაკვეთის გაფორმება სურდა, რადგან ენდობოდა. აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე 2015-2017 წლებში შემჩნეული ჰყავს ლ. მ-ი, მანამდე იგი არ უნახავს.

4.5. მოწმე ნ-მა (მუშაობს მ-ის მერიასში) განმარტა, რომ 2017 წლის 15 სექტემბერს იყო ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის თავმჯდომარე. 2017 წლის 15 სექტემბერს, სხდომაზე განიხილებოდა ლ. მ-ისთვის სოფელ მ- მიწის ფართობის მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობით საკუთრებაში გადაცემის საკითხი. წარმოდგენილი დოკუმენტაცია (აზომვითი ნახაზები, საჯარო რეესტრის ინფორმაცია და მოწმეთა ჩვენებები, რომლითაც დასტურდებოდა, რომ ლ. მ-ი ფლობდა და სარგებლობდა აღნიშნული უძრავი ქონებით) აკმაყოფილებდა კანონით განსაზღვრულ მოთხოვნებს, შესაბამისად, კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება განცხადების დაკმაყოფილების თაობაზე. მოგვიანებით – 2020 წელს – კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება ლ. მ-ის სახელზე გაცემული საკუთრების მოწმობის ბათილად ცნობის თაობაზე, ვინაიდან ქონება იყო სადავო და მოქალაქემ წარადგინა მწერალთა კავშირის მიერ გაცემული ცნობა, რომლითაც, დასტურდებოდა უძრავ ქონებაზე გარკვეული უფლებები. მოწმემ დაადასტურა, რომ წარმოდგენილი დოკუმენტაციის რეგისტრაციის მომენტში გადაწყვეტილება იყო კანონიერი.

4.6. მოწმე შ-ა (მ-ის მერიის, სოფლის მეურნეობის განვითარების განყოფილების უფროსი) განმარტა, რომ 2017 წლის 15 სექტემბერს იყო ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის წევრი. სხდომაზე განხილული იყო ლ. მ-ისთვის სოფელ მ- 500 კვ.მ. მიწის ფართობის საკუთრებაში გადაცემის საკითხი. აღნიშნული საკითხის განხილვისას კომისიამ იხელმძღვანელა განმცხადებლის მიერ წარდგენილი დოკუმენტებით. მათ ადგილზე არ დაუთვალა იერებიათ უძრავი ქონება, ვინაიდან ვალდებულება არ ჰქონდათ. განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები სრულყოფილად იყო შესწავლილი, კერძოდ, წარდგენილი იყო სამი მოწმის სანოტარო წესით დამოწმებული განცხადება, რომლითაც დასტურდებოდა, რომ ლ. მ-ი ფლობდა აღნიშნულ სადავო მიწის ნაკვეთს. აღნიშნულ დოკუმენტს ჰქონდა მტკიცებულებითი ძალა, დაეჭვების საფუძველი არ გასჩენიათ, რის გამოც, კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება უძრავი ქონების საკუთრებაში გადაცემის შესახებ. მოგვიანებით – 2020 წლის 24 ივლისს – კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება ლ. მ-ის სახელზე 2017 წლის 9 ოქტომბერს გაცემული საკუთრების უფლების მოწმობის ბათი-

ლად ცნობის თაობაზე, ვინაიდან მოქალაქემ წარადგინა მებალის წიგნაკი, რომლის თანახმად, აღნიშნული მინის ნაკვეთის მესაკუთრე იყო სხვა პირი. აღნიშნულის თაობაზე ინფორმაცია რომ ჰქონოდათ, ლ. მ-ის განცხადება, ქონების დარეგისტრირების თაობაზე, არ დაკმაყოფილებოდა.

4.7. მოწმე დ. პ-მა (მ-ის საკრებულოს თავმჯდომარის თანაშემწე) ასევე განმარტა, რომ 2017 წელს განიხილებოდა მოქალაქე ლ. მ-ისთვის სოფ. მ- მდებარე უძრავი ქონების გადაცემის საკითხი. ვინაიდან წარდგენილი საბუთები იყო სრულყოფილი, ამასთან, ყველაზე მნიშვნელოვან და მტკიცებულებითი სახის დოკუმენტს წარმოადგენდა სამი მოწმის ნოტარიალურად დამოწმებული განცხადება, რომლითაც დასტურდებოდა, რომ მოქალაქე ფლობდა მინის ნაკვეთს, რომელზეც აშენებული იყო სახლი (კომისიამ სანდოდ მიიჩნია აღნიშნული განცხადება, დაეჭვების საფუძველი არ გასჩენიათ), კომისიამ დააკმაყოფილა ლ. მ-ის მოთხოვნა. მოგვიანებით – 2020 წელს – ვინაიდან მოქალაქე ს-ემ მიმართა საკუთრების უფლების აღიარების კომისიას და წარუდგინა მებალის წიგნაკი, რომლითაც დასტურდებოდა, რომ აღნიშნული მინის ნაკვეთი ეკუთვნოდა ამ უკანასკნელს, კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება ლ. მ-ის სახელზე საკუთრების უფლების მოწმობის ბათილად ცნობის თაობაზე. აღნიშნულის შესახებ ინფორმაცია რომ ჰქონოდათ, არ დაკმაყოფილებოდა ლ. მ-ის განცხადება ქონების დარეგისტრირების თაობაზე. მოწმემ დაადასტურა, რომ განცხადების გარეშე ლ. მ-ის მოთხოვნას არ დააკმაყოფილებდა კომისია. წარმოდგენილი დოკუმენტაციის რეგისტრაციის მომენტში გადაწყვეტილება იყო კანონიერი, ასევე კანონიერი იყო გადაწყვეტილება აქტის ბათილად ცნობის შესახებ.

4.8. მოწმე შ-მ განმარტა, რომ 2009-2012 წლებში იყო მ-ში გამგებლის რწმუნებული. სოფელ მ- არსებულ სადარაჯო აგარაკებთან დაკავშირებით ცნობილია, რომ ნაკვეთზე იდგა დანგრეული, უპატრონო ნაგებობა – სადარაჯო. მისი მუშაობის პერიოდში მინის ნაკვეთს არავინ ეპატრონებოდა, გარკვეული პერიოდი ცხოვრობდა დარაჯი. ლ. მ-ი ცხოვრობდა მ., თუმცა მისი მუშაობის პერიოდში აღნიშნულ ტერიტორიაზე არ უნახავს, დაახლოებით 2018 წლის შემდეგ ჰყავს შემჩნეული აღნიშნულ ტერიტორიაზე.

4.9. მოწმე რ-ის გამოკითხვის ოქმით (საქართველოს სსსკ-ის 243-ე მუხლის საფუძველზე, სასამართლო სხდომაზე საჯაროდ იქნა წაკითხული) დასტურდება, რომ 1971 წლიდან იყო მწერალთა კავშირის წევრი და პერიოდულად მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე. 1975 წლიდან მწერალთა კავშირს მფლობელობაში გამოეყო მინის ნაკვეთები სოფელ მ-ს ტერიტორიაზე. მწერალთა კავშირმა კოლექტიური ამ-

ხანაგობის ფარგლებში, საორგანიზაციო საკითხების მოსაგვარებლად შექმნა მწერალთა კავშირის ამხანაგობა, რომლის თავმჯდომარე იყო პროფესორი ზ-ე. მწერალთა კავშირის წევრი იყო პოეტი ლ-ა და მისი მეუღლე – გ. ნ-ი. მათ გადაეცათ მიწის ნაკვეთი, რომელზეც ააშენეს სახლი, რაც 1990-იანი წლების ბოლოს ოჯახური პრობლემების გამო გაყიდეს. მ- მდებარე ს.კ. ... მიწის ნაკვეთზე წლების განმავლობაში განთავსებული იყო ე.წ. სადარაჯო სახლი, რომელშიც ცხოვრობდა მებაღეობის ამხანაგობის დარაჯი. უცნობია, ვისი აშენებული იყო აღნიშნული სადარაჯო, თუმცა 1980-იანი წლებიდან მწერალთა კავშირის წევრები უგროვებდნენ დარაჯს მცირე თანხებს, რომლის სანაცვლოდაც, ზამთარში დარაჯობდა აგარაკებს. 2003 წელს, ლ-მ მწერალთა კავშირს სთხოვა სადარაჯო სახლის კედელზე მიშენებულ ფარდულში ცხოვრების ნებართვა, რადგან სურდა ავადმყოფი შვილის აყვანა დასასვენებლად. მწერალთა კავშირმა მისცა ნებართვა, თუმცა საკუთრებაში ვერ გადასცემდნენ. ამ უკანასკნელმა მოანესრიგა სადარაჯო სახლის ტერიტორია და აღიოდნენ დასასვენებლად. როდესაც დარაჯი წავიდა, ლ-იამ მწერალთა კავშირს სთხოვა ცნობის გაცემა აღნიშნული უძრავი ქონების დარეგისტრირებისთვის, რაზეც თანხმობა განუცხადა მწერალთა კავშირმა, თუმცა მას შეექმნა ჯანმრთელობის პრობლემა და გარდაიცვალა. ლ. მ-ს არ იცნობს, აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე არ უნახავს, თუმცა ცნობილია, რომ მიწის ნაკვეთთან დაკავშირებით მას დაეა აქვს ლ-იას ოჯახთან.

4.10. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს წერილის თანახმად, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ განიხილა მ-ის განცხადება (სააგენტოში შემოსვლის №... ნ.), თანდართული საკადასტრო აზომებით ნახაზით წარმოდგენილი მიწის ნაკვეთის (მისამართი: მ. სოფ. მ-. ფართობი – 487 კვ.მ.) დანიშნულების და კატეგორიის შესახებ ინფორმაციის გაცემის თაობაზე. აღნიშნული წერილის თანახმად, საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში არსებული საარქივო მასალების, კერძოდ, მ-ის დიღმის მერძვეობა-მებოსტნეობის ს/მეურნეობის 1978 წლის მიწათსარგებლობის გეგმის მიხედვით, აღნიშნული ნაკვეთი წარმოადგენდა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების კოლექტიური მებაღეობისათვის გამოყოფილ მიწის ფართობს.

4.11. სანოტარო წესით დამოწმებული 2017 წლის 10 მარტის განცხადების თანახმად, მ. მ-ი, გ. ჯ-ი და მ. ბ-ი ხელმოწერით ადასტურებენ, რომ ლ. მ-ი 2006 წლიდან ფლობს და სარგებლობს 487 კვ.მ. მიწის ნაკვეთსა და მასზე მდებარე შენობა-ნაგებობას (მისამართი: მ. სოფელი მ.).

4.12. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო სამართლის

იურიდიული პირის – საქართველოს ეროვნული არქივის 2017 წლის 3 აპრილის წერილით, დასტურდება, რომ დ- არქივში დაცული, ლ-ს სასოფლო საბჭო – საკრებულოს სოფელ მ-ს 1996-2000, 2001-2005 წწ. დათარიღებულ საკომლო წიგნებში ჩანანერი ლ. ლ-ის ასული მ-ის კომლისა და მასზე რიცხული ქონების შესახებ არ აღმოჩნდა, ხოლო 1986-1995 წწ. 2006-2007 წწ. საკომლო წიგნები და 1992-2007 წწ. მიწის ნაკვეთების განაწილების (სარეფორმო), გადასახადის გადამხდელად აღრიცხვის სიები, მიღება-ჩაბარების აქტები და სარეგისტრაციო მონომობები არქივში დაცვაზე არ შესულა.

4.13. მ-ის გამგეობის 2017 წლის 23 მარტის წერილით დგინდება, რომ საგადასახადო სამსახურის მიერ მ-ისათვის გადმოცემულ ლ-ს საკრებულოს სოფელ მ-ს ტერიტორიაზე მდებარე მეზაღეობის ამხანაგობების მიწის გადასახადის გადამხდელთა სიაში მოქალაქე ლ. ლ-ის ასული მ-ი არ ირიცხება;

4.14. შემოსავლების სამსახურის 2017 წლის 29 მარტის წერილის თანახმად, ლ. ლ-ის ასული მ-ი არ ფიქსირდება მ-ი, სოფ. მ-ს მიწის (სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის) გადასახადის გადამხდელთა სიებში 2002, 2007 (მეზაღეობა), 2003 წლებში.

4.15. ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის 2017 წლის 15 სექტემბრის სხდომის №41 ოქმის თანახმად, ლ. მ-ს საკუთრებაში გადაეცა მცხეთაში სოფელ მ. თვითნებურად დაკავებული 487 კმ.მ. მიწის ფართობი მასზე განთავსებული 83 კვ.მ. შენობა-ნაგებობით.

4.16. 2017 წლის 9 ოქტომბრის საკუთრების უფლების №7... მონმობის თანახმად, ლ. მ-ს საკუთრებაში გადაეცა მცხეთაში, სოფელ მ. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, ფართობით – 487 კვ.მ.

4.17. საჯარო რეესტრიდან 2017 წლის 16 ოქტომბრის ამონაწერის თანახმად, სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთის (487.00 კვ.მ) მესაკუთრეა ლ. მ-ი.

4.18. ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის 2020 წლის 24 ივლისის სხდომის №.. ოქმის თანახმად, კომისიამ ერთხმად მიიღო გადაწყვეტილება მოქალაქე ს-ის მოთხოვნის დაკმაყოფილებისა და 2017 წლის 9 ოქტომბერს გაცემული №.. საკუთრების უფლების მონმობის ბათილად ცნობის თაობაზე.

4.19. აღნიშნულის საფუძველზე, საკუთრების უფლების აღიარების კომისიის განკარგულება №164-ით ბათილად იქნა ცნობილი მოქალაქე

ლ. მ-ის სახელზე 2017 წლის 9 ოქტომბერს გაცემული საკუთრების უფლების მონაწილეობა №...

4.20. საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის გამგეობის 2008 წლის 2 სექტემბრის სხდომის ოქმი №... ამონაწერით დგინდება, რომ გამგეობამ მიიღო გადაწყვეტილება მ-ს ტერიტორიაზე არსებული სადარაჯო სახლის (რომელიც გადაწყვეტის მიღების დროისათვის იყო ამორტიზირებული), მიმდებარე ნაკვეთით, მუდმივ მფლობელობაში პოეტ ლ-იასათვის გადაცემის შესახებ.

4.21. 2008 წლის 19 სექტემბრის ცნობით დგინდება, რომ საქართველოს მწერალთა კავშირში არსებული მეზაღეობის ამხანაგობის „მ-2-ის“ გამგეობა ადასტურებს, რომ მწერალთა კავშირის წევრი, პოეტი ლ-ია ნამდვილად არის ხსენებული მეზაღეობის ამხანაგობის წევრი და მწერალთა კავშირის გამგეობის დადგენილებით ფლობს №.. საბაღე ნაკვეთს (460 მ2 მოცულობით). ნაკვეთი არ არის პრივატიზირებული და აღნიშნული გამგეობა შუამდგომლობს საქართველოს მიწის კადასტრის მ-ი სამმართველოს წინაშე, რათა აღნიშნული №.. ნაკვეთი სათანადო წესით გატარდეს რეესტრში ლ-იას სახელზე.

4.22. საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის 2010 წლის 23 დეკემბრის წერილის თანახმად, საქართველოს მწერალთა კავშირის მ-ს მეზაღეთა კოოპერატივის წევრები ცხოვრობენ მ., იმ ნაკვეთისა და საცხოვრებელი სახლის მახლობლად, რომელიც დაკავებული აქვს პოეტ ლ-იას და მის ოჯახს. მეზაღეთა კოოპერატივის წევრები თბილისის მერიის მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიას აცნობებენ, რომ მ. ლ-ია წელიწადი სარგებლობს ნაკვეთითა და ფართობით, რომელიც მან საკუთარი სახსრებით გაარემონტა. კოოპერატივის წევრები წერილში, იმავდროულად, აღნიშნავენ, რომ ლ-იას მის მიერ დაკავებულ აგარაკზე მოდავე არ ჰყავს. განცხადების ხელმომწერი პირები, ადასტურებენ მწერალთა კავშირის სამდივნოს შუამდგომლობას, ლ-სათვის აღნიშნული მიწისა და ფართის გაფორმების თაობაზე და კომისიის წინაშე შუამდგომლობენ, რათა „აღნიშნული მიწის ნაკვეთი ლ-იას გაუფორმდეს და გატარდეს რეესტრში სამუდამო მფლობელობის წესით“.

4.23. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2017 წლის 2 მარტის წერილით დასტურდება, რომ სააგენტოში არსებული საარქივო მასალებით, აღნიშნული სადავო მიწის ნაკვეთი არის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების კოლექტიური მეზაღეობისათვის გამოყოფილი მიწის ფართობი.

4.24. მონწე ნ-მ განმარტა, რომ 2004-2005 წლებში შენიშნა, რომ ლ. მ-ი მისი სახლიდან, ქუჩის მეორე მხარეს, დაახლოებით 50 მეტრი არსებული სადარაჯო ტერიტორიაზე ატარებდა დასუფთავების სამუშაოებს,

რომელმაც მიწის ნაკვეთი შემოლობა.

4.25. მონმე ს-მა განმარტა, რომ ლ. მ-ს იცნობს 2008 წლიდან, რომელიც არის მისი მეზობელი სოფელ მ. ამ უკანასკნელს ხედავდა ამჟამად მის საცხოვრებელ სახლში და სადარაჯო ტერიტორიაზე, სადაც ასუფთავებდა შენობა-ნაგებობას და რგავდა ხეებს.

4.26. ლ. მ-მა განმარტა, რომ რადგან აღნიშნულ ტერიტორიას არ ჰყავდა მეპატრონე, დაახლოებით 2002 წელს დაასუფთავა, შემოლობა, მოიძია საბუთები და თვითნებურად დაკავებული მიწის ნაკვეთის დაკანონების მიზნით, მიმართა ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიას, რომელმაც დაუკმაყოფილა განცხადება.

6. საკასაციო სასამართლო ითვალისწინებს საქართველოს სსკ-ის 82-ე მუხლის დანაწესს (მტკიცებულება უნდა შეფასდეს სისხლის სამართლის საქმესთან მისი რელევანტურობის, დასაშვებობის და უტყუარობის თვალსაზრისით). მოცემულ შემთხვევაში, ნ-იას მიერ მონოდეული ინფორმაცია არ დასტურდება სისხლის სამართლის საქმეში წარმოდგენილი არცერთი მტკიცებულებით (თავად ლ. მ-ის ჩვენების გარდა), ხოლო ს. მ-ის მიერ მონოდეული ინფორმაცია, რომ ლ. მ-ს იცნობს 2008 წლიდან, არარელევანტურია იმ გარემოების სამტკიცებლად 2007 წლამდე პერიოდში ფლობდა და სარგებლობდა თუ არა ლ. მ-ი სადავო უძრავი ქონებით.

7. კასატორი ითხოვს ლ. მ-ის დამნაშავედ ცნობას საქართველოს სსკ-ის 362-ე მუხლის პირველი ნაწილითა (ყალბი ოფიციალური დოკუმენტის გამოყენების მიზნით დამზადებასა და გამოყენებაში) და საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (თაღლითობა, ე.ი. მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით სხვისი ნივთის დაუფლება მოტყუებით, ჩადენილი დიდი ოდენობით).

7.1. სისხლის სამართლის საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით დასტურდება, რომ ლ. მ-მა 2017 წლის 15 მარტს განცხადებით მიმართა სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს“, კანონით გათვალისწინებულ სხვა დოკუმენტებთან (საკადასტრო აზომვითი ნახაზი, სიტუაციური გეგმა, ორთოფოტო, ფოტომასალა, პირადობის მონმობის ასლები და ა.შ.) ერთად წარადგინა მეზობლების („მონმეების ჩვენებები“) ნოტარიალურად დამონმებული განცხადება თვითნებურად დაკავებული მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობის მდებარეობის და ფლობის პერიოდის (2006 წლიდან) მითითებით და მოითხოვა წარდგენილი დოკუმენტების – მათ შორის, მეზობლების დასტური – საფუძველზე, მ.....ი სახელმწიფო პროექტის ფარგლებში უფლების რეგისტრაცია;

8. „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ა“ და „გ“ პუნქტების თანახმად, მართლზომიერ მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებული მიწა არის სახელმწიფო საკუთრების სასოფლო ან არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობით (აშენებული, მშენებარე ან დანგრეული) ან მის გარეშე, რომელზედაც (მიწის ნაკვეთზე ან შენობა-ნაგებობაზე) ფიზიკურ ან კერძო სამართლის იურიდიულ პირს ან კანონით გათვალისწინებულ სხვა ორგანიზაციულ წარმონაქმნს მართლზომიერი მფლობელობის უფლება წარმოეშვა ამ კანონის ამოქმედებამდე, აგრეთვე ტექნიკური ინვენტარიზაციის არქივში აღრიცხული, 2004 წლის 4 ოქტომბრამდე თვითნებურად დაკავებული მიწა; თვითნებურად დაკავებული მიწა გულისხმობს – ამ კანონის ამოქმედებამდე ფიზიკური პირის მიერ თვითნებურად დაკავებულ სახელმწიფო საკუთრების სასოფლო ან არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთს, რომელზედაც განთავსებულია საცხოვრებელი სახლი (აშენებული, მშენებარე ან დანგრეული) ან არასაცხოვრებელი დანიშნულების შენობა (აშენებული, მშენებარე ან დანგრეული), აგრეთვე დაინტერესებული ფიზიკური პირის საკუთრებაში ან მართლზომიერ მფლობელობაში არსებული მიწის ნაკვეთის მომიჯნავე, თვითნებურად დაკავებული მიწის ნაკვეთი (შენობით ან მის გარეშე), რომელთა ჯამური ფართობი ბარში არ აღემატება 1.25 ჰექტარს, ხოლო „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად განსაზღვრულ მაღალმთიან დასახლებაში – 5 ჰექტარს.

8.1. ამავე კანონის 51-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, თუ კანონით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ მოთხოვნის დასადასტურებლად დაინტერესებულმა პირმა უნდა წარადგინოს: ა) მიწის თვითნებურად დაკავების დამადასტურებელი დოკუმენტი ან/და მოწმის ჩვენება; ბ) მიწის ნაკვეთის საკადასტრო ავტეგმითი/აზომვითი ნახაზი, ხოლო ამ კანონის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში – მიწის ნაკვეთის საკადასტრო ავტეგმითი/აზომვითი ნახაზი, რომელზედაც მითითებული უნდა იყოს მაგისტრალური მილსადენის ადგილმდებარეობა და მაგისტრალურ მილსადენსა და მიწის ნაკვეთს შორის მანძილი; გ) ინფორმაცია საკუთრების უფლების აღიარების საფასურის ოდენობის დასადგენად; დ) დაინტერესებული პირის საიდენტიფიკაციო დოკუმენტების ასლები; ხოლო ამავე მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად, თუ დაინტერესებული პირის მოთხოვნა საკუთრების უფლების აღიარების შესახებ არ აკმაყოფილებს ამ კანონით

განსაზღვრულ პირობებს ან განცხადებისათვის დართული დოკუმენტებით არ დასტურდება თვითნებურად დაკავების ფაქტი, კომისია იღებს წერილობით გადაწყვეტილებას საკუთრების უფლების აღიარებაზე უარის თქმის თაობაზე.

8.2. ამავე – „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ – საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ამ კანონის პირველი-6 და მე-8 მუხლები ამოქმედდა „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების წესის“ დამტკიცების თაობაზე საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულების ამოქმედებისთანავე.

8.2.1. „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების წესისა და საკუთრების უფლების მონმობის ფორმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 15 სექტემბერის №525 ბრძანებულების თანახმად, აღნიშნული ბრძანებულება ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე – 2007 წლის 20 სექტემბერს.

8.3. იმავდროულად, „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების წესისა და საკუთრების უფლების მონმობის ფორმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 15 სექტემბერის №525 ბრძანებულების მე-11 მუხლის თანახმად, საკუთრების უფლების აღიარების შესახებ მოთხოვნის განხილვის საფუძველია დაინტერესებული პირის ან მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ წერილობითი განცხადების წარდგენა კომისიაში. განცხადებას უნდა დაერთოს, მათ შორის, მიწის თვითნებურად დაკავების დამადასტურებელი დოკუმენტი ან/და მოწმის ჩვენება; ამავე კანონის მე-2 მუხლის თანახმად, ამ წესში გამოყენებულ ტერმინს – მოწმის ჩვენება – აქვს შემდეგი მნიშვნელობა: „მიწის თვითნებურად დაკავების ფაქტის თაობაზე მოწმის ნოტარიალურად დამონმებული განცხადება“.

9. საქართველოს სსკ-ის 362-ე მუხლის პირველი ნაწილი ადგენს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას ყალბი პირადობის მონმობის ან სხვა ოფიციალური დოკუმენტის, ბეჭდის, შტამპის ან ბლანკის დამზადების, შექენის, გასაღების ან გამოყენების მიზნით შენახვის, გასაღების ან გამოყენებისათვის. აღნიშნული დანაშაულისგან სისხლისსამართლებრივი დაცვის ობიექტია ოფიციალური დოკუმენტების ბრუნვის კანონით დადგენილი წესი (იხ. მაგ.: საქართველოს უზენაესი

სასამართლოს 2024 წლის 4 დეკემბრის №987აპ-24 განჩინება). შესაბამისად, საქართველოს სსკ-ის 362-ე მუხლის დაცვის ობიექტია, მათ შორის, ოფიციალური დოკუმენტების დამზადება-გამოყენების წესი, ავტენტიკურობა, სიზუსტე და სანდოობა.

9.1. „საქართველოს სსკ-ის 362-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული, მათ შორის, გულისხმობს დოკუმენტში ასახული ინფორმაციის/შინაარსის/მონაცემის შეუსაბამობას რეალურ მდგომარეობასთან. ამასთან, აღნიშნული დანაშაული ფორმალური შემადგენლობისაა და დამთავრებულად ითვლება ამავე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული რომელიმე ქმედების – ყალბი ოფიციალური დოკუმენტის დამზადება, შექმნა, შენახვა გასაღების ან გამოყენების მიზნით, გასაღება თუ გამოყენება – ჩადენისთანავე“ (იხ.: საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2025 წლის 8 მაისის №1216აპ-24 განაჩენი).

10. სასამართლო ითვალისწინებს, რომ „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ საქართველოს კანონი თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარებას უკავშირებს ამავე კანონით იმპერატიულად განსაზღვრულ პერიოდამდე შესაბამისი პირის მიერ მიწის ნაკვეთის ფლობის ფაქტს. ამასთან, კანონმდებელი აღნიშნული გარემოების დამადასტურებელ მტკიცებულებად განიხილავს, მათ შორის, „მონმის ჩვენებას“ მიწის თვითნებურად დაკავების ფაქტის თაობაზე, – მონმის ნოტარიალურად დამონმებული განცხადება (რომელიც ადასტურებს/ადგენს იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტს – დაინტერესებული პირის მიერ კანონით განსაზღვრულ პერიოდამდე მიწის ნაკვეთის თვითნებურად დაკავება) და მას მიწის თვითნებურად დაკავების დამადასტურებელი დოკუმენტის ანალოგიურ მტკიცებულებით ძალას ანიჭებს (იხ.: 51-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი).

10.1. ამდენად, მონმის ჩვენება (ნოტარიალურად დამონმებული განცხადება) წარმოადგენს დოკუმენტს, რომელსაც კანონმდებელი უკავშირებს თვითნებურად დაკავებულ მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების მოპოვებას.

10.2. საკასაციო სასამართლო, იმავდროულად, ითვალისწინებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკას, რომლის თანახმად, საკუთრების უფლების აღიარების კომისიაში წარდგენილი მონმეთა ერთობლივი განცხადება (რომელშიც შეტანილი იქნა ცრუ ინფორმაცია, თითქოს მსჯავრდებული მის საკუთრებად ასაღიარებელ უძრავ ქონებას ფლობდა და სარგებლობდა კონკრეტული თარიღიდან მაშინ, როდესაც რეალურად იგი მითითებულ ქონებას ფლობდა და სარგებლობდა უფრო გვიანი პერიოდიდან) საქართველოს სსკ-ის 362-ე მუხლის

მიზნებისთვის მიჩნეული იქნა ოფიციალურ დოკუმენტად (იხ.: მაგალითად, საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 9 ივლისის №87აპ-18 განჩინება), განსახილველ შემთხვევაში სადავო განცხადების მნიშვნელობას სადავო ქონებაზე საკუთრების უფლების მოპოვებისათვის, საქართველოს სსკ-ის 362-ე მუხლის მიზანს და დაცვის ობიექტს.

10.3. საკასაციო სასამართლო ვერ დაეთანხმება გასაჩივრებული განაჩენის მოტივაციას, რომ ლ. მ-ის მიერ საკუთრების აღიარების კომისიისთვის წარდგენილი სანოტარო წესით დამონმებული „განმცხადებლების ახსნა-განმარტებები“ არ წარმოადგენს საქართველოს სსკ-ის 362-ე მუხლით გათვალისწინებულ „დოკუმენტს“, რომლის საფუძველზეც ადმინისტრაციულ ორგანოს შეეძლო, მიეღო გადაწყვეტილება.

10.3.1. სასამართლო განმარტავს, რომ ყოველივე ზემოაღნიშნულიდან (იხ.: პარ. 8.1; 8.3; 9; 9.1; 10.2.) გამომდინარე სამართლებრივ საფუძველს მოკლებულია მტკიცება, რომ ნოტარიალურად დამონმებული მონმეთა 2017 წლის 10 მარტის განცხადება (რომლითაც დგინდებოდა ლ. მ-ის მიერ სადავო მიწის ნაკვეთის, როგორც ფლობა-სარგებლობის ფაქტი, ასევე – ფლობა-სარგებლობის დროის პერიოდი) არ წარმოადგენს ოფიციალურ დოკუმენტს საქართველოს სსკ-ის 362-ე მუხლის მიზნებისთვის.

11. მოცემულ შემთხვევაში, მონმე ს-ის ჩვენების (დარაჯის წასვლის შემდეგ, 2006 წლიდან, დედამთილმა – ლ-იამ – სახლს მიაშენა სხვა ოთახი, სველი წერტილი, გააშენა ნარგავები, შემოღობა და შენობით სარგებლობდნენ 2012 წლამდე), საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის 2010 წლის 23 დეკემბრის წერილის (საქართველოს მწერალთა კავშირის მ-ს მებაღეთა კოოპერატივის წევრები ცხოვრობენ მ., იმ ნაკვეთისა და საცხოვრებელი სახლის მახლობლად, რომელიც დაკავებული აქვს პოეტ ლ-იას და მის ოჯახს. მებაღეთა კოოპერატივის წევრები თბილისის მერიის მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიას აცნობებენ, რომ მ- ლ-ია 5 წელია სარგებლობს ნაკვეთითა და ფართობით, რომელიც მან საკუთარი სახსრებით გაარემონტა), მონმე შ-ის (2009-2012 წლებში მ-ში გამგებლის რწმუნებული) ჩვენების (მისი მუშაობის პერიოდში სადავო მიწის ნაკვეთს არავინ ეპატრონებოდა, გარკვეული პერიოდი ცხოვრობდა დარაჯი. ლ. მ-ი ცხოვრობდა მ., თუმცა აღნიშნულ ტერიტორიაზე მისი მუშაობის პერიოდში არ უნახავს, – იგი დაახლოებით 2018 წლის შემდეგ შეამჩნია), მონმე რ-ის გამოკითხვის ოქმის (2003 წელს, ლ-იამ მწერალთა კავშირს სთხოვა სადარაჯო სახლის კედელზე მიშენებულ ფარდულში ცხოვრების ნებართვა, რადგან სურდა ავადმყოფი შვილის აყვანა დასასვენებ-

ლად. მწერალთა კავშირმა მისცა ნებართვა, თუმცა საკუთრებაში ვერ გადასცემდნენ. ამ უკანასკნელმა მოანესრიგა სადარაჯო სახლის ტერიტორია და აღიოდნენ დასასვენებლად. როდესაც დარაჯი წავიდა, ლ-იამ მწერალთა კავშირს სთხოვა ცნობის გაცემა აღნიშნული უძრავი ქონების დარეგისტრირებისთვის, რაზეც თანხმობა განუცხადა მწერალთა კავშირმა, თუმცა მას შეექმნა ჯანმრთელობის პრობლემა და გარდაიცვალა. ლ. მ-ს არ იცნობს, აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე არ უნახავს, თუმცა ცნობილია, რომ მას მიწის ნაკვეთთან დაკავშირებით დავა აქვს ლ-იას ოჯახთან), ასევე იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ სასამართლოში დაკითხვისას 2017 წლის 10 მარტის ნოტარიალურად დამონმებული განცხადების ხელმომწერი პირებიდან არცერთმა არ დაადასტურა განცხადებაში მითითებული გარემოება – ლ. მ-ის მიერ 2006 წლიდან სადავო მიწის ნაკვეთის ფლობა და სარგებლობა (კერძოდ, მონმე მ. მ-მა განმარტა, რომ არ შეუძლია კონკრეტული წლის დასახელება – როდიდან უვლიდა ლ. მ-ი სადავო მიწის ნაკვეთს, ხოლო მონმე მ. ბ-მა და გ. ჯ-მა განმარტეს, რომ ლ. მ-ის თხოვნით მოანერგეს ხელი განცხადებას, ისე რომ მის შინაარსს არ გასცნობიან), – ლ. მ-ის მიერ სადავო უძრავი ქონების 2006 წლიდან ფლობა და სარგებლობა სისხლის სამართლის საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით არ დასტურდება არც 2006 წლიდან და არც „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლით განსაზღვრულ პერიოდში (2007 წლის 20 სექტემბრამდე).

11.1. იმავდროულად, სისხლის სამართლის საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით დასტურდება, რომ ლ. მ-მა საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ სხვა დოკუმენტებთან (კერძოდ, სამსახურებრივი ბარათი № 161125/17, შემოვლის ფურცელი, განცხადების ჩაბარების ასლი, აზომვითი ნახაზი, ცნობა დახასიათება თთ2017026361-03, ცნობა კატეგორიის შესახებ №70184, ცნობა გადაფარვის შესახებ №74148, სიტუაციური გეგმა, ორთოფოტო, ფოტომასალა, სანოტარო ასლი №170240008, განმცხადებლისა და მონმეტა პირადობის მონმობის ასლები) ერთად წარადგინა 2017 წლის 10 მარტის ნოტარიალურად დამონმებული განცხადება და მოითხოვა სადავო უძრავი ქონების სახელმწიფო პროექტის ფარგლებში საკუთრებაში რეგისტრაცია.

12. საკასაციო სასამართლო კვლავაც აღნიშნავს, რომ ყალბი ოფიციალური დოკუმენტის გამოყენება დამთავრებულად ითვლება ყალბი

ოფიციალური დოკუმენტის ოფიციალური წარდგენის მომენტიდან, მიუხედავად იმისა, მიაღწია თუ არა პირმა სასურველ შედეგს.

12.1. ლ. მ-ის მიერ 2017 წლის 15 მარტს სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოსათვის“ განცხადებით მიმართვისას, როდესაც კანონით გათვალისწინებულ სხვა დოკუმენტთან (საკადასტრო აზომვითი ნახაზი, სიტუაციური გეგმის ორთოფოტო, ფოტომასალა, პირადობის მოწმობების ასლები და ა.შ.) ერთად მან წარადგინა თვითნებურად დაკავებული მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობის მდებარეობისა და ფლობის პერიოდის (2006 წლიდან) შესახებ მეზობლების ნოტარიალურად დამოწმებული განცხადება („მონმეების ჩვენებები“), რომელიც შეიცავდა აღნიშნული მიწის ნაკვეთის ფლობის პერიოდის შესახებ ყალბ ინფორმაციას, – დასრულდა საქართველოს სსკ-ის 362-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის – ყალბი ოფიციალური დოკუმენტის გამოყენება – ჩადენა.

12.2. საქართველოს სსკ-ის 362-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული ხასიათდება მხოლოდ პირდაპირი განზრახვით (იხ.: მაგალითად, საქართველოს უზენაესი სასამართლოს შემდეგი განაჩენები: 2025 წლის 17 აპრილის №1130აპ-24, 2024 წლის 26 თებერვლის №-03აპ-23 და 2019 წლის 12 მარტის №529აპ-18).

12.3. მოცემულ შემთხვევაში, ლ. მ-ს გაცნობიერებული ჰქონდა თავისი ქმედების მართლწინააღმდეგობა, ითვალისწინებდა მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას და სურდა ეს შედეგი, კერძოდ, ლ. მ-ისათვის ცნობილი იყო, რომ სადავო მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების მოპოვებისათვის სავალდებულო ერთ-ერთ ძირითად წინაპირობას წარმოადგენდა აღნიშნული მიწის ნაკვეთის 2007 წლის 20 სექტემბრამდე თვითნებურად დაკავების დამადასტურებელი მტკიცებულების – მონმეთა ნოტარიალურად დამოწმებული განცხადების – წარდგენა უფლებადამდგენ ორგანოში, რისთვისაც საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების მოპოვების მიზნით წარადგინა წინასწარი შეცნობით ყალბი (ყალბი ინფორმაციის შემცველი) ოფიციალური დოკუმენტი, – 2017 წლის 10 მარტის ნოტარიალურად დამოწმებული განცხადება.

13. საკასაციო სასამართლო ითვალისწინებს, რომ პირის ბრალდების შესახებ დადგენილების თანახმად, ბრალდების მხარე, ლ. მ-ს, ერთი მხრივ, ედავება ყალბი ოფიციალური დოკუმენტის დამზადებას გამოყენების მიზნით და გამოყენებას, ხოლო, მეორე მხრივ, მის მიერ ჩადენილი ქმედების აღწერისას უთითებს, რომ „2017 წლის 15 მარტს, ლ. მ-მა მიმართა საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს და მოითხოვა მ-ის, სოფელ მ- მდებარე 487 კვ.მ მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული 83 კვ.მ შენობა-ნაგებობის სახელმწიფო პროექტის ფარ-

გლებში საკუთრებაში რეგისტრაცია, რისთვისაც საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში წარადგინა მის მიერ წინასწარ დამზადებული ყალბი დოკუმენტი – სანოტარო წესით 2017 წლის 10 მარტს დამონმებული განცხადება, რომლის მიხედვითაც, მ. მ-ი, გ. ჯ-ი და მ. ბ-ი ადასტურებდნენ, რომ თითქოსდა 2006 წლიდან ლ. მ-ი ფლობდა და სარგებლობდა ზემოხსენებული მიწის ნაკვეთით და მასზე არსებული შენობა-ნაგებობით მაშინ, როდესაც რეალურად ლ. მ-ი ხსენებულ უძრავ ქონებას არ ფლობდა“.

13.1. საქართველოს სსკ-ის 362-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული – ყალბი დოკუმენტის დამზადება – გულისხმობს, როგორც მთლიანად ფიქტიური დოკუმენტის დამზადებას, ისე – ნამდვილი ოფიციალური დოკუმენტის ნაწილობრივ შეცვლასა და გაყალბებას (იხ.: საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 1 აპრილის №556აპ-18 განჩინება), მათ შორის, დოკუმენტში ყალბი მონაცემის, მათ შორის, დამატებითი მონაცემის შეტანას (იხ.: საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2025 წლის 24 მარტის №№ 1006აპ-24 განაჩენი).

13.1.1. ბრალდების მხარის მიერ არ იქნა წარმოდგენილი არცერთი პირდაპირი მამხილებელი მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა უშუალოდ ლ. მ-ის მიერ აღნიშნული სადავო დოკუმენტის დამზადებას. განცხადების ხელმომწერმა მოწმეებმა – მ. მ-მა, მ. ბ-მა და გ. ჯ-მა დაადასტურეს, რომ განცხადებაზე მათ მოაწერეს ხელი (მოწმემ მ. მ-მა განმარტა, რომ 2017 წლის 10 მარტის განცხადების შინაარსს, რომლის თანახმად, ლ. მ-ი 2006 წლიდან ფლობდა და სარგებლობდა სადავო მიწის ნაკვეთს, გაეცნო, დაეთანხმა და ხელისმონერით დაადასტურა; მოწმე მ. ბ-მა, 2017 წლის 10 მარტის განცხადებასთან დაკავშირებით განმარტა, რომ მან ხელი მოაწერა გამზადებულ განცხადებას ისე, რომ მის შინაარსს არ გასცნობია, – სანოტარო ბიუროში, ქონების გადაფორმების მიზნით, ლ. მ-ის თხოვნით, დაადასტურა ხელმონერით; მოწმე გ. ჯ-მა განმარტა, რომ ლ. მ-ის თხოვნით, ვინაიდან სურდა მიწის ნაკვეთის გაფორმება, მივიდა სანოტარო ბიუროში და განცხადებას მოაწერა ხელი, თუმცა მის შინაარსი არ წაუკითხავს, ასევე არ უკითხავს, რომელი მიწის ნაკვეთის გაფორმება სურდა, რადგან ენდობოდა).

13.2. შესაბამისად, იმ პირობებში, როდესაც ვერ დგინდება ვინ შეადგინა ნოტარიალურად დამონმებული განცხადების ტექსტი (შინაარსობრივი მხარე), განცხადებაზე არც ხელმონერით და არც მისი ხელმონერის პროცესში, განცხადების ტექსტის შემუშავებაში/დამზადებაში ლ. მ-ის უშუალო მონაწილეობა არ დგინდება, – არ არსებობს სამართლებრივი საფუძველი კასატორის მოთხოვნის ამ ნაწილში – ყალბი ოფიციალური დოკუმენტის გამოყენების მიზნით დამზადებისათვის ლ. მ-ის მსჯავრდება – დაკმაყოფილებისათვის.

13.3. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ლ. მ-ი ცნობილ უნდა იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 362-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის – ყალბი ოფიციალური დოკუმენტის გამოყენება – ჩადენაში. ამასთან, ბრალადწარდგენილი ქმედებიდან უნდა ამოირიცხოს – ყალბი ოფიციალური დოკუმენტის დამზადება გამოყენების მიზნით.

14. სასამართლო ვერ გაიზიარებს გასაჩივრებული – თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2025 წლის 20 ივნისის – განაჩენის პოზიციას, რომ „საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით დადგენილი გარემოებები, სრულიად გამორიცხავს, მოცემულ შემთხვევაში, თაღლითობის, როგორც საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის, ობიექტური მხარის სავალდებულო ნიშანს – სხვისი ქონების მოტყუებით დაუფლებას მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით და ასევე თაღლითობის სუბიექტურ მხარეს – განზრახვას, რომ პირს გათვითცნობიერებული აქვს, რომ იგი თაღლითობით მართლსაწინააღმდეგოდ ეუფლება სხვის ქონებას, რითაც ზიანს აყენებს მის მესაკუთრეს და სურს ამ შედეგის დადგომა“.

14.1. სასამართლო ითვალისწინებს, რომ საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლით ისჯება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით სხვისი ნივთის დაუფლება ან ქონებრივი უფლების მიღება მოტყუებით. თაღლითობის თავისებურება მისი ჩადენის ხერხში მდგომარეობს. „მოტყუება ეს არის ჭეშმარიტების განზრახ დამახინჯება ან გარკვეულ გარემოებათა განზრახ დაფარვა ქონების მესაკუთრის შეცდომაში შეყვანის მიზნით. არსებობს მოტყუების ორი სახე – აქტიური და პასიური. ასევე მოტყუება შეიძლება გამოიხატოს როგორც ზეპირი, ისე წერილობითი ფორმით“ (იხ.: საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2023 წლის 12 ივნისის №262აპ-23 განჩინება).

14.2. თაღლითობისაგან სისხლისსამართლებრივი დაცვის ობიექტია საკუთრებითი ურთიერთობები, ხოლო საგანს წარმოადგენს სხვისი უძრავი ან მოძრავი ნივთი, ასევე სხვის ქონებაზე უფლება, როგორც იურიდიული კატეგორია. ამასთან, როდესაც თაღლითობის საგანია უძრავი ნივთი, თაღლითობის დამთავრებულად ცნობისათვის საკმარისია, დამნაშავემ მიიღოს ამ ნივთზე უფლება.

14.3. საკასაციო სასამართლო ითვალისწინებს, რომ იმ პირობებშიც, როდესაც „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, თუნდაც ფორმალურად დგინდება საკუთრების უფლების აღიარების საფუძველი, აღნიშნული per se არ გამორიცხავს განმცხადებლის მხრიდან საქართველოს სსკ-ით გათვალისწინებული დანაშაულის

ჩადენას ან მის მცდელობას.

14.4. „თალითობისას პირს უნდა ამოძრავებდეს სურვილი დაზარალებული შეიყვანოს შეცდომაში და დაზარალებულს სჯეროდეს იმ ინფორმაციის, რასაც აწვდის თალითობის ჩამდენი პირი“ (საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2025 წლის 27 ოქტომბრის №432აპ-25 განჩინება). ამასთან, დანაშაულებრივი განზრახვა წინ უნდა უსწრებდეს ქმედების განხორციელებას.

15. ლ. მ-ისათვის ცნობილი იყო, რომ სადავო მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების მოპოვებისათვის სავალდებულო წინაპირობას წარმოადგენდა სადავო მიწის თვითნებურად დაკავების ფაქტის დამადასტურებელი დოკუმენტი/მტკიცებულება – მოწმეთა განცხადება, რომლითაც დადასტურდებოდა მიწის ნაკვეთის (მასზე არსებული შენობა-ნაგებობის) 2007 წლის 20 სექტემბრამდე ფლობის ფაქტი.

15.1. თვითნებურად დაკავებულ სადავო მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების მოტყუებით მოპოვების მიზნით ლ. მ-მა 2017 წლის 15 მარტს განცხადებით მიმართა სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს“ და მოითხოვა მ-ი სახელმწიფო პროექტის ფარგლებში უფლების რეგისტრაცია, რასაც თან დაურთო აღნიშნული მიწის ნაკვეთის ფლობის პერიოდის შესახებ ყალბი ინფორმაციის შემცველი ნოტარიალურად დამოწმებული 2017 წლის 10 მარტის განცხადება, რომელიც ადასტურებდა მის მიერ სადავო უძრავი ქონების ფლობა/სარგებლობას „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ პერიოდამდე. აღნიშნულის საფუძველზე, ლ. მ-ის საკუთრებაში დარეგისტრირდა სადავო სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთი.

15.2. ამდენად, სისხლის სამართლის საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებით გონივრულ ეჭვს მიღმა დგინდება, რომ ლ. მ-ის მხრიდან ადგილი ჰქონდა თვითნებურად დაკავებულ მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების მოპოვების მიზნით სახელმწიფოს (საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს) მოტყუებას – საკუთრების უფლების აღიარებისათვის კანონით გათვალისწინებული წესით წარდგენილ დოკუმენტებში ყალბი ინფორმაციის შემცველი „მოწმეთა ჩვენების“ („ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ საქართველოს კანონის 51-ე მუხლის მიზნებისთვის) წარდგენას. სასამართლო ითვალისწინებს, ერთი მხრივ, „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების

შესახებ“ საქართველოს კანონის დანაწესებს, ხოლო, მეორე მხრივ, მონმეთა (ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის თავმჯდომარის – ნ-ის, კომისიის წევრის – მ-ის, ასევე მ-ი საკრებულოს თავმჯდომარის თანაშემწის – დ. პ-ის (ვინაიდან ლ. მ-ს საკითხის განსახილველად წარდგენილი ჰქონდა ყველა ის დოკუმენტი (მათ შორის, ნოტარიალურად დამოწმებული სამი მონმის განცხადება, რომლითაც დასტურდებოდა, რომ ლ. მ-ი ფლობდა აღნიშნულ სადავო მიწის ნაკვეთს), რომელიც გათვალისწინებული იყო კანონით, კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება მოთხოვნის დაკმაყოფილების თაობაზე, თუმცა მოგვიანებით – 2020 წლის 24 ივლისს – ვინაიდან მოქალაქე ს-ემ წარადგინა მებალის წიგნაკი, რომლითაც დგინდება, რომ აღნიშნული მიწის ნაკვეთის მესაკუთრე იყო სხვა პირი, კომისიამ ბათილად ცნო ლ. მ-ის სახელზე 2017 წლის 9 ოქტომბერს გაცემული საკუთრების უფლების მონმობა) ჩვენებებს, რომლებითაც ცალსახად დგინდება, რომ ლ. მ-ის სახელზე სადავო მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების მონმობა №7... გაცემა განაპირობა, მათ შორის, ლ. მ-ის მიერ წარდგენილმა ნოტარიალურად დამოწმებულმა განცხადებამ.

16. სასამართლო ითვალისწინებს, რომ:

16.1. „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, საკუთრების უფლების აღიარებას ექვემდებარება თვითნებურად დაკავებული მიწა, თუმცა იმავდროულად, აღნიშნული კანონის მე-2 მუხლის „გ“ ქვეპუნქტი საკუთრების უფლების აღიარების უფლებას ანიჭებს მხოლოდ იმ პირს, რომელსაც აღნიშნული მიწა თვითნებურად დაკავებული ჰქონდა ამავე კანონით განსაზღვრულ პერიოდამდე, კერძოდ – „ამ კანონის ამოქმედებამდე“ (ამოქმედდა 20.09.2007 წ.) და არა – შემდეგ პერიოდში;

16.2. შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში, სადავო უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების მოპოვებისათვის საჭირო იყო „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ პერიოდში ლ. მ-ის მიერ სადავო უძრავი ქონებით ფლობა/სარგებლობის ფაქტის დადასტურება, რისთვისაც ლ. მ-მა გამოიყენა მონმეების – მ. მ-ის, გ. ჯ-ისა და მ. ბ-ის სანოტარო წესით დამოწმებული განცხადება. აღნიშნულის გარეშე (მისი იმპერატიული მოთხოვნიდან გამომდინარე) ლ. მ-ი ვერ შეძლებდა საკუთრების უფლების მოპოვებას.

16.3. „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ საქართველოს კანონის 51-ე მუხლის მე-3 პუნქტის იმპერატიული მოთხოვნიდან გამომდინარე, ლ. მ-მა მარეგისტრირებელ/უფლების დამდგენ ორგანოს განზრახ მიაწოდა არასწორი ინფორმაცია – თითქოს სარეგისტრაციოდ წარდგენილი მიწის ნაკვეთით იგი სარგებლობდა 2006 წლიდან, მაშინ, როდესაც სისხლის სამართლის საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით დგინდება, რომ აღნიშნული მიწის ნაკვეთით ლ. მ-ი სარგებლობდა იმ პერიოდიდან, რომელიც არ ექცევა „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „გ“ პუნქტით განსაზღვრულ პერიოდში – „ამ კანონის ამოქმედებამდე“ (ამოქმედდა 20.09.2007 წ.). ამდენად, ლ. მ-ი საკუთრების უფლების აღიარებას ითხოვდა იმ უძრავ ქონებაზე, რომელსაც იგი არ ფლობდა/სარგებლობდა 2007 წლის 20 სექტემბრამდე, რაც თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების ძირითად წინაპირობას წარმოადგენდა.

17. სადავო უძრავ ქონებაზე ლ. მ-ის საკუთრების უფლების აღიარების საკითხის განხილვისას, კომისიამ შეამოწმა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის ფორმალური შესაბამისობა „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ საქართველოს კანონის 51-ე მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილ მოთხოვნებთან, დოკუმენტაციაში მითითებული გარემოებების შინაარსობრივი მხარის კვლევის/გადამოწმების, მათ შორის, ადგილზე შემოწმების და ა.შ. გარეშე.

17.1. განსახილველი საქმის ფარგლებში სასამართლოს განხილვის საგანს არ წარმოადგენს მარეგისტრირებელი/უფლების დამდგენი ორგანოს თანამდებობის პირების პასუხისმგებლობის საკითხი.

17.2. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, იმისგან დამოუკიდებლად საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოსა თუ მ-ი საკუთრების უფლების აღიარების კომისიის შესაბამის თანამშრომლებს უნდა უზრუნველყოთ თუ არა რაიმე დამატებითი ადმინისტრაციული წარმოება (მათ შორის, ეჭვი უნდა შეეტანათ და შეემოწმებინა ნოტარიალურად დამოწმებული განცხადების ხელმოწერი პირების ნამდვილი ნება), რაც მისი შინაარსის არდადასტურების შემთხვევაში, იმთავითვე გამოირიცხავდა სადავო უძრავი ქონების ლ. მ-ის სახელზე რეგისტრაციას, ლ. მ-მა, თავის მხრივ, ყალბი განცხადება (არასწორი შინაარსის შემცველი) მიაწოდა შესაბამის სამსახურს სწორედ იმიტომ, რომ 2007 წლის 20

სექტემბრამდე სადავო ქონების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენა წარმოადგენდა სადავო უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების დადგენისათვის კანონით განსაზღვრულ სავალდებულო წინაპირობას. სარგებლობის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის გარეშე კომისიას არ ექნებოდა ლ. მ-ის განცხადების დაკმაყოფილების საფუძველი.

17.3. შესაბამისად, გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით დასტურდება, რომ ლ. მ-ის მიერ ყალბი (მცდარი ინფორმაციის შემცველი) განცხადების წარდგენის მიზანი იყო შესაბამისი ორგანოს მოტყუება და სადავო ქონებაზე – მ-ის, სოფელ მ- მდებარე 487 კვ.მ მიწის ნაკვეთსა და მასზე განთავსებული 83 კვ.მ. შენობა-ნაგებობაზე – სახელმწიფო პროექტის ფარგლებში საკუთრების უფლების მოპოვება.

17.4. ამდენად, ლ. მ-ს 2017 წლის 10 მარტის ნოტარიალურად დამონმებული ყალბი განცხადების საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში სადავო მიწის ნაკვეთის დარეგისტრირების შესახებ განცხადების წარდგენისას გაცნობიერებული ჰქონდა თავისი ქმედების მართლწინააღმდეგობა (სადავო ქონებაზე საკუთრების უფლების მოპოვების მიზნით საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში ყალბი დოკუმენტის წარდგენა), ითვალისწინებდა მართლწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას (მის მიერ წარდგენილი ყალბი დოკუმენტის საფუძველზე სხვისი ქონებრივი უფლების მოტყუებით მიღება) და სურდა ეს შედეგი (ყალბი დოკუმენტის გამოყენების გზით მის საკუთრებაში გადასულიყო სადავო ქონება).

18. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სისხლის სამართლის საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებით, გონივრულ ეჭვს მიღმა დასტურდება, რომ ლ. მ-მა განიზრახა თაღლითურად დაუფლებოდა სადავო უძრავ ქონებას, რისთვისაც 2017 წლის 15 მარტს განცხადებით მიმართა სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს“ და განცხადებასთან ერთად, წარადგინა ნოტარიალურად დამონმებული მოწმეთა 2017 წლის 10 მარტის განცხადება, რომლის თანახმად, მოწმეები ხელმოწერით ადასტურებენ, რომ ლ. მ-ი 2006 წლიდან ფლობს და სარგებლობს 487 კვ.მ. მიწის ნაკვეთსა და მასზე მდებარე შენობა-ნაგებობას, მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულ განცხადებაში მითითებული მიწის ნაკვეთის ფლობის პერიოდი – 2006 წლიდან – არ შეესაბამებოდა სინამდვილეს, რაც განსახილველ შემთხვევაში გადამწყვეტი იყო სადავო უძრავ ქონებაზე (მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებულ შენობა-ნაგებობის) ლ. მ-ის საკუთრების უფლების დადგენა/მინიჭებისათვის „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის თანახმად, და – ფლო-

ბა/სარგებლობის დროის პერიოდის შესახებ რეალური/სწორი მონაცემის მითითება გამორიცხავდა მისი საკუთრების უფლების აღიარებას/ცნობას.

19. საკასაციო სასამართლო კვლავაც აღნიშნავს, რომ დანაშაულებრივ ქმედებაში თაღლითობის შედეგად მიყენებული ზიანის ოდენობა წარმოადგენს იმ თანხას, რისი მოტყუებით მართლსაწინააღმდეგოდ მისაკუთრებაც მოახერხა პირმა დანაშაულებრივი ქმედების ჩადენისას (იხ.: საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2024 წლის 25 ივნისის №277აპ-განჩინება). საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის შენიშვნის მე-3 ნაწილის თანახმად, მნიშვნელოვან ზიანად ითვლება ნივთის (ნივთების) ღირებულება 150 ლარის ზევით, ხოლო პირველი ნაწილის თანახმად, დიდ ოდენობად ითვლება ნივთის (ნივთების) ღირებულება 10 000 ლარის ზევით. მოცემულ შემთხვევაში, სსიპ ლ-- სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2020 წლის 11 ივნისის სასაქონლო ექსპერტიზის №... დასკვნის თანახმად (უდავო მტკიცებულება), მ-ი, სექტორი – ლ–, სოფელ მ. მდებარე 487 კვ.მ. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების (ს/კ) მიწის ნაკვეთის და მასზე არსებული შენობა-ნაგებობის საბაზრო ღირებულება 2017 წლის 16 ოქტომბრის მდგომარეობით შეადგენს – 43 129 ლარს, ხოლო 2020 წლის 20 მაისის მდგომარეობით – 64 411 ლარს. შესაბამისად, ვინაიდან, განსახილველ შემთხვევაში, დადგენილი ზიანი აღემატება ზემოაღნიშნულ დიდ ოდენობად მიჩნეულ ოდენობას, სახეზეა საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაული.

20. ამდენად, პროკურორ თვა ბერიძის საკასაციო საჩივარი ამ ნაწილში უნდა დაკმაყოფილდეს და ლ. მ-ი ცნობილ უნდა იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში.

21. საკასაციო სასამართლო, იმავდროულად, ითვალისწინებს საქართველოს სსსკ-ის მე-12 მუხლს (სისხლისსამართლებრივ დევნას ახორციელებს მხოლოდ პროკურორი), საქართველოს სსსკ-ის მე-17 მუხლის მე-2 ნაწილს (პირის ბრალდება მხოლოდ პროკურორის უფლებამოსილებაა), საქართველოს სსსკ-ის 32-ე მუხლის პირველ ნაწილს (სისხლისსამართლებრივი დევნის ორგანოა პროკურატურა), ამავე კოდექსის 169-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტს, რომლის თანახმად, ბრალდების შესახებ დადგენილებაში უნდა აღინიშნოს: ბრალდების ფორმულირება – ინკრიმინირებული ქმედების აღწერა, მისი ჩადენის ადგილის, დროის, ხერხის, საშუალების, იარაღის, აგრეთვე ამ ქმედებით გამოწვეული შედეგის მითითებით და კვლავაც აღნიშნავს, რომ სასამართლო საქმეს იხილავს, ბრალდებულის დამნაშავეობასა თუ

უდანაშაულობაზე მსჯელობს და ქმედებას სამართლებრივად აფასებს სწორედ ბრალდების დადგენილებაში მითითებული ფორმულირების ფარგლებში, სადაც მკაფიოდ უნდა იყოს ჩამოყალიბებული ინკრიმინირებული ქმედების აღწერა (საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2023 წლის 10 აგვისტოს განაჩენი №426აპ-23, II-9.1.).

21.1. მოცემულ შემთხვევაში, პირის ბრალდების შესახებ დადგენილების თანახმად, ბრალდების მხარე ლ. მ-ს ედავება: თაღლითობას, ე.ი. მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით სხვისი ნივთის დაუფლებას მოტყუებით, ჩადენილს დიდი ოდენობით, რაც გამოიხატა იმაში, რომ: „ლ. მ-მა განიზრახა მოტყუებით დაუფლებოდა მ-ი მდებარე 487 კვ.მ მიწის ნაკვეთს და მასზე განთავსებულ 83 კვ.მ შენობა-ნაგებობას. ამ მიზნით, 2017 წლის 15 მარტს მიმართა საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს და მოითხოვა მ-ი მდებარე 487 კვ.მ მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული 83 კვ.მ შენობა-ნაგებობის სახელმწიფო პროექტის ფარგლებში საკუთრებაში რეგისტრაცია“.

21.1.1. შესაბამისად, პირის ბრალდებულად ცნობის შესახებ დადგენილების შინაარსობრივი მხარეც და სისხლის სამართლის საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებიც (მათ შორის, 2017 წლის 15 მარტის განცხადება, მონმეთა ჩვენებები) ადასტურებს, რომ ლ. მ-ის მიერ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსათვის მიმართვის მიზანი იყო მ-ი მდებარე 487 კვ.მ მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული 83 კვ.მ შენობა-ნაგებობის სახელმწიფო პროექტის ფარგლებში საკუთრებაში რეგისტრაცია. შესაბამისად, ლ. მ-ი ცნობილ უნდა იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით – თაღლითობა, ე.ი. მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით სხვისი ქონებრივი უფლების მიღება მოტყუებით, ჩადენილი დიდი ოდენობით.

21.2. სასამართლო იმავდროულად, ასევე ითვალისწინებს, რომ „თაღლითობას, მოტყუების ელემენტის არსებობის გამო, ხშირად ყალბი დოკუმენტების წარდგენასთან აკავშირებენ, მაგრამ საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ყალბი დოკუმენტის, ბეჭდის, შტამპის ან ბლანკის დამზადება, გასაღება ან გამოყენება, ძირითად დანაშაულთან ერთად, დამატებითი დანაშაულის შემადგენლობას ქმნის, კერძოდ, ეს მოქმედება საქართველოს სსკ-ის 362-ე მუხლითაც უნდა დაკვალიფიცირდეს, რაც გულისხმობს, ყალბი პირადობის მონმობის ან სხვა ოფიციალური დოკუმენტის, ბეჭდის, შტამპის ან ბლანკის დამზადებას, შექენას, შენახვას გასაღების ან გამოყენების მიზნით, გასაღებას ან გამოყენებას“ (იხ.: საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2023 წლის 12 ივნისის №262აპ-23 განჩინება).

22. სასჯელის განსაზღვრისას საკასაციო სასამართლო ითვა-

ლისწინებს:

22.1. საქართველოს სსსკ-ის 259-ე მუხლის მე-4 ნაწილს, რომლის თანახმად, სასამართლოს განაჩენი სამართლიანია, თუ დანიშნული სასჯელი შეესაბამება მსჯავრდებულის პიროვნებასა და მის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეს. სასჯელის სამართლიანობა კი უნდა შეფასდეს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპის გათვალისწინებით. „სასჯელი, ერთი მხრივ, უნდა იყოს ქმედებით გამოწვევად საფრთხეებთან გონივრულ პროპორციაში, ხოლო, მეორე მხრივყოველ კონკრეტულ შემთხვევაში სასჯელის დაკისრება უნდა მოხდეს დანაშაულის ინდივიდუალური გარემოებების გათვალისწინებით“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის №1/4/592 გადაწყვეტილება „საქართველოს მოქალაქე ბექა ნიქარიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-38), უნდა ეფუძნებოდეს საქმის სირთულეს, ქმედებიდან მომდინარე საფრთხეებს, ქმედების ჩადენის წინაპირობებს, მოტივებს, შედეგებს, დამნაშავის პიროვნების თავისებურებებს, სასჯელის ზემოქმედებას დამნაშავის მომავალ ცხოვრებაზე (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება №1/7/851 „საქართველოს მოქალაქე იმედა ხახუტაიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, 2017 წლის 11 ივლისი, II-10).

22.2. საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილი სასჯელის სახედ და ზომად ითვალისწინებს – ჯარიმას ან თავისუფლების აღკვეთას ექვსიდან ცხრა წლამდე, ხოლო საქართველოს სსკ-ის 362-ე მუხლის პირველი ნაწილი – ჯარიმას ან თავისუფლების აღკვეთას სამ წლამდე.

22.3. „პატიმრობის გზით პირის თავისუფლების შეზღუდვა არის არა წესი, არამედ გამონაკლისი. პირის თავისუფლების შეზღუდვა წარმოადგენს უკიდურეს ღონისძიებას, რომელიც გამოყენებული უნდა იქნეს მხოლოდ გამონაკლის შემთხვევასა და ვითარებაში, მაშინ, როდესაც აღნიშნული ღონისძიება არის აბსოლუტურად აუცილებელი და ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად არ არსებობს სხვა ალტერნატივა (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2022 წლის 24 ივნისის გადაწყვეტილება №3/5/1341, 1660 „თეთრინყაროს რაიონული სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინებები საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-200 მუხლის მე-6 ნაწილის პირველი წინადადების კონსტიტუციურობის თაობაზე“, II-33).

22.4. „სასჯელი არ უნდა იყოს არც ზედმეტად მკაცრი და არც ზედმეტად ლმობიერი იმისათვის, რომ მიღწეული იქნეს სასჯელის მიზნები“ (იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 11 ივლისის გადაწყვეტილება №1/7/851 „საქართველოს მოქალაქე იმედა

ნახუტაიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-7).

22.5. საკასაციო სასამართლო ითვალისწინებს, რომ ლ. მ-მა ჩაიდინა მძიმე და ნაკლებად მძიმე კატეგორიის განზრახი დანაშაულები, მსჯავრდებულის ინდივიდუალურ მახასიათებლებს, მათ შორის, ასაკს (67 წლის), ნასამართლობის არ ქონას, სასჯელის/სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოებების არარსებობას და, საქართველოს სსკ-ის 39-ე მუხლით დადგენილი, სასჯელის მიზნების (სამართლიანობის აღდგენა, ახალი დანაშაულის თავიდან აცილება და დამნაშავის რესოციალიზაცია) და საქართველოს სსკ-ის 53-ე მუხლის მე-3 ნაწილით განსაზღვრული სასჯელის დანიშვნის ზოგადსავალდებულო მოთხოვნების გათვალისწინებით, მიაჩნია, რომ ლ. მ-ს სასჯელის სახედ და ზომად უნდა განესაზღვროს: საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით ჯარიმა – 3000 ლარი, ხოლო საქართველოს სსკ-ის 362-ე მუხლის პირველი ნაწილით ჯარიმა – 2000 ლარი.

23. საქართველოს სსსკ-ის 79-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ნივთიერი მტკიცებულება, რომელიც არ ნადგურდება, მესაკუთრეს ან მფლობელს არ უბრუნდება ან სახელმწიფოს არ გადაეცემა, ინახება სისხლის სამართლის საქმის შენახვის ვადით. შესაბამისად, ელექტრონული დისკი შენახული უნდა იქნეს საქმის შენახვის ვადით.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით და

და ა დ ბ ი ნ ა:

1. საქართველოს გენერალური პროკურატურის ფინანსთა სამინისტროში, იუსტიციის სამინისტროსა და სპეციალურ პენიტენციურ სამსახურში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის დეპარტამენტის ფინანსთა სამინისტროში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის სამმართველოს პროკურორის – თეა ბერიძის – საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2025 წლის 20 ივნისის განაჩენი;

3. ლ. მ-ი ცნობილ იქნეს დამნაშავედ და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს:

3.1. საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (თაღლითობა, ე.ი. მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით სხვისი ქონებრივი უფლების მიღება მოტყუებით, ჩადენილი დიდი

ოდენობით) – ჯარიმა 3000 ლარი, სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ;

3.2. საქართველოს სსკ-ის 362-ე მუხლის პირველი ნაწილით (ყალბი ოფიციალური დოკუმენტის გამოყენება) – ჯარიმა 2000 ლარი, სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ;

3.3. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილით უფრო მკაცრმა სასჯელმა შთანთქას ნაკლებად მკაცრი სასჯელი და ლ. მ-ს საბოლოოდ, დანაშაულთა ერთობლიობით, სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს – ჯარიმა 3000 ლარი, სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ;

4. ლ. მ-ის მიმართ გამოყენებული აღკვეთის ღონისძიება გირაო გაუქმდეს; გირაოს შემტანს, განაჩენის აღსრულებიდან ერთი თვის ვადაში, დაუბრუნდეს გირაოს სახით შეტანილი ფულადი თანხა;

5. ნივთიერი მტკიცებულება: ელექტრონული დისკი შენახულ იქნეს საქმის შენახვის ვადით;

6. განაჩენი საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

3. დანაშაული სამეწარმეო და სსკვა ეკონომიკური საქმიანოების წინააღმდეგ

უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია და თაღლითობა

განაჩენი საქართველოს სახალხო

№486აპ-25

15 ოქტომბერი, 2025 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**

**მ. გაბინაშვილი (თავმჯდომარე),
მ. ვასაძე,
ნ. სანდოძე**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ბ. კ.-ას ადვოკატის – თ. კ.-ას – საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2025 წლის 7 აპრილის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

1. წარდგენილი ბრალდების არსი:

1.1. ბ. კ.-ას ბრალად ედებოდა:

ა) თაღლითობა, ესე იგი, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით სხვისი ნივთის დაუფლება ან ქონებრივი უფლების მიღება მოტყუებით, დიდი ოდენობით, დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის (შემდგომში – საქართველოს სსკ-ის) საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (ორი ეპიზოდით);

ბ) უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია, ესე იგი, უკანონო ქონებისთვის კანონიერი სახის მიცემა (ქონებით სარგებლობა, ქონების შექმნა, ფლობა, კონვერსია, გადაცემა ან სხვა მოქმედება) მისი უკანონო ან/და დაუსაბუთებელი წარმოშობის დაფარვის მიზნით, აგრეთვე, მისი ნამდვილი ბუნების, წარმოშობის წყაროს, ადგილმდებარეობის, განთავსების, მოძრაობის, მასზე საკუთრების ან/და მასთან დაკავშირებული სხვა უფლებების დამალვა ან შენიღბვა, რასაც თან ახლდა განსაკუთრებით დიდი ოდენობით შემოსავლის მიღება, დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 194-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით.

1.2. ბ. კ.-ას ქმედებები გამოიხატა შემდეგით:

1.2.1. 2018 წლის 20 სექტემბერს, ი. მოქალაქეებმა – ხ. ჰ. – და მ. მ-

(პასპორტის ნომ. 5...) 72 000 აშშ დოლარად შეიძინეს უძრავი ქონება, მდებარე: თ., საერთო ფართი 74,70 კვ.მ. საკადასტრო კოდი: ... რომელშიც ბინის რემონტის, ავეჯის და ტექნიკის გათვალისწინებით, ჯამში, გადაიხადეს 100 000 აშშ დოლარი. აღნიშნული ბინის ყიდვის შემდეგ, ხ. ჰ- და მ. მ- იუსტიციის სახლში მოითხოვეს ბინადრობის უფლება, რა დროსაც, გაიცნეს ბ. კ-ა, რომელიც მათ დახმარებას შეჰპირდა და პერიოდულად ეხმარებოდა კიდევ საბუთების მოწესრიგებასა და ბინადრობის უფლების მოპოვებაში. მათ ბ. კ-ას მიმართ ჩამოუყალიბდათ ახლო ურთიერთობა და გაუჩნდათ ნდობა. ხ. ჰ. და მ. მ- პერიოდულად მიდიოდნენ ი-ი და ბრუნდებოდნენ საქართველოში, შემდგომში კი, პანდემიის გამო, ვეღარ ჩამოვიდნენ საქართველოში, რა დროსაც ბინადრობის მოწმობას გაუვიდა ვადა. 2020 წლის 27 სექტემბერს, ხ. ჰ. სოციალური ქსელის – „ჭ“-ის მეშვეობით, დაუკავშირდა ბ. კ-ას მის „ჭ“-ზე (ნომერზე 5...) და სთხოვა, რომ მას დახმარებოდა მოკლევადიანი ბინადრობის მოწმობის მოპოვებაში, რა დროსაც ბ. კ-ამ განიზრახა მოტყუებით დაუფლებოდა ხ. ჰ-ს და მ. მ-ს უძრავ ქონებას (მდებარე თ., საერთო ფართი 74,70 კვ.მ., საკადასტრო კოდი: ...) და ურჩია, რომ უძრავი ქონება, რომელიც ირიცხებოდა ხ. ჰ-სა და მ. მ-ს სახელზე, გადაფორმებულიყო მხოლოდ ხ. ჰ-ს სახელზე, რაც გააადვილებდა მის მიერ ბინადრობის მოპოვებას. ამასთან, ბ. კ-ამ სოციალური ქსელის – „ჭ“-ის საშუალებით, ხ. ჰ-სა და მ. მ-ს გადაუგზავნა გენერალური მინდობილობის ფორმა, რომელიც მისთვის უნდა გაეგზავნათ უძრავი ქონების გადაფორმებისთვის. ხ. ჰ-სა და მ. მ-ს მიერ აღნიშნული მინდობილობა შესაბამისი წესით დამოწმდა ი-ი და გამოიგზავნა „თ.“ ფოსტით. ბ. კ-ას მიერ შედგენილი მინდობილობით, მას უფლება ჰქონდა მხოლოდ ხ. ჰ-ზე მიეყიდა მ. მ-ს კუთვნილი წილი, თუმცა, მის მიერვე მოფიქრებული გეგმის შესაბამისად, მინდობილობაში გათვალისწინებული იყო ხ. ჰ-ს მონაწილეობით კომპანიის დაფუძნებისა და კომპანიის ბალანსზე უძრავი ქონების შეტანის შესაძლებლობა. 2021 წლის 29 ივნისს, ბ. კ-ამ, მინდობილობის შესაბამისად, გააფორმა ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლითაც მ. მ- თავისი წილი გააფორმა ხ. ჰ-ს სახელზე და უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: ...) ერთპიროვნული მესაკუთრე გახდა ხ. ჰ. (ნასყიდობის ხელშეკრულებაში მყიდველიც და გამყიდველიც არის ბ. კ-ა). აღნიშნულის შემდეგ, განზრახვის აღსრულებისა და ხ. ჰ-ს კუთვნილი ქონების თაღლითურად დაუფლების მიზნით, ბ. კ-ამ წინასწარ განსაზღვრული გეგმის შესაბამისად, გადაწყვიტა კომპანიის დაფუძნება და ხ. ჰ-ს კუთვნილი ქონების კომპანიის საკუთრებად გადატანა. განზრახვისა და დანაშაულებრივი ქმედების შენიღბვის მიზნით, ბ. კ-ა დაუკავშირდა პ. ფ-ს, რომელიც უპირობოდ ენდობოდა მას და ზედმეტი შეკითხვების გარეშე შეძლებდა, დაეყოლიებინა სხვადასხვა საბუ-

თების ხელმონერაში. ბ. კ-ამ მოატყუა პ. ფ-ს, თითქოსდა სურდა მასთან ერთად ბიზნესის წამოწყება, კერძოდ – კომპანიის დაფუძნება, რომელიც დაკავებული იქნებოდა უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვით და საჭირო იქნებოდა რამდენიმე საბუთზე პ. ფ-ის ხელმონერა. პ. ფ-ის მიერ მიღებული თანხმობის შემდეგ, 2021 წლის 2 დეკემბერს, იუსტიციის სახლში, ბ. კ-ამ, როგორც ხ. ჰ-ს მინდობილმა პირმა და პ. ფ-იმ დაარეგისტრირეს შპს „ჯ-ი“ (ს.ნ. 4...; გამოყენებული იქნა ხ. ჰ-ს მიერ გამოგზავნილი მინდობილობა). შპს „ჯ-ის“ დირექტორად დაარეგისტრირდა პ. ფ-ი, ხოლო წილები გადაწვდილად შემდეგნაირად: პ. ფ-ი – 95% და ხ. ჰ- 5%. ბ. კ-ამ შეადგინა კომპანიის წესდება, რომლის 3.7. პუნქტის თანახმად, „სანესდებო კაპიტალის 75%-ზე მეტის მფლობელი პარტნიორი ნებისმიერ საკითხზე გადაწყვეტილებას იღებს ერთპიროვნულად, კრების მოწვევის გარეშე (მათ შორის, უძრავი ქონების შეძენა, გასხვისება, იპოთეკით დატვირთვა, წესდებაში ცვლილების შეტანა, ლიკვიდაცია, რეორგანიზაცია, შერწყმა/გაყოფა)“. 2021 წლის 9 დეკემბერს, შპს „ჯ-ის“ კრების ოქმის საფუძველზე, ბ. კ-ამ, როგორც ხ. ჰ-ს მინდობილმა პირმა (2021 წლის 6 ივნისს გაცემული მინდობილობით) უძრავი ქონება (მდებარე: თ., საერთო ფართი 74,70 კვ.მ., საკადასტრო კოდი: ...) უსასყიდლოდ გააფორმა შპს „ჯ-ის“ საკუთრებად, რასაც ასევე ესწრებოდა შპს „ჯ-ის“ პარტნიორი პ. ფ-ი. აღნიშნული ქმედებით, შპს „ჯ-ის“ საკუთრებასა და ბ. კ-ას ფაქტობრივ მფლობელობაში გადავიდა ხ. ჰ-ს კუთვნილი უძრავი ქონება, შესაბამისად, ბ. კ-ა მოტყუებით, მართლსაწინააღმდეგოდ დაეუფლა დიდი ოდენობით ხ. ჰ-ს უძრავ ქონებას, რითაც ამ უკანასკნელს მიადგა 245 000 ლარის, დიდი ოდენობით მატერიალური ზიანი.

1.2.2. თალღითური განზრახვის აღსრულების შემდგომ, ბ. კ-ამ განზრახა უკანონოდ მიღებული უძრავი ქონების კანონიერი სახის მიცემა, აგრეთვე – მისი ნამდვილი ბუნების, წარმოშობის წყაროს, განთავსების, მასზე საკუთრების უფლების დამალვა და შენიღბვა და მის მიერვე შედგენილი კომპანიის წესდების საფუძველზე, 2022 წლის 17 იანვარს შპს „ჯ-ის“ საკუთრებაში აღრიცხული უძრავი ქონება (მდებარე: თ., საერთო ფართი 74,70 კვ. მ., საკადასტრო კოდი: ...) ყალბი (ფიქტიური) ნასყიდობის ხელშეკრულებით, ბ. კ-ამ გადააფორმა პ. ფ-ის სახელზე, შემდგომ კი, იმავე დღეს – 2022 წლის 17 იანვარს, ხსენებული უძრავი ქონება პ. ფ-ის გამოყენებით, ნასყიდობის ხელშეკრულებით გაასხვისა ს. მ-ის სახელზე. აღნიშნული ქონების გასხვისების შედეგად, ბ. კ-ამ მიიღო განსაკუთრებით დიდი ოდენობით, 184 650 ლარის შემოსავალი.

1.2.3. 2018 წლიდან 2020 წლის 18 სექტემბრამდე, ფ. მ-ი მეუღლესთან, ჯ. ხ-ნთან ერთად, ცხოვრობდა საქართველოში. მის მეუღლეს სა-

ქართველოში გააჩნდა ექვსი უძრავი ქონება, კერძოდ:

თ-ი, ქ. ა-ში მდებარე ბინა, ავტოსადგომით, 84,43 კვ.მ. ფართის, საკადასტრო კოდი: ...;

თ-ი, ქ. ა., ფ., 81,90 კვ.მ. ფართის ბინა, საკადასტრო კოდი: №...;

· თ-ი, ბ. – 66,50 კვ.მ. ფართის, საკადასტრო კოდი: ...;

· თ-ი, ქ. ა., ა., ფართი 18,30 კვ.მ., მდებარე საერთო პარკინგზე, საკადასტრო კოდი: ...;

· თ-ი, ქ. ა., ა., ფართი 14.80 კვ.მ. საკადასტრო კოდი: ...;

· თ-ი, ს-ი, რ-ში მდებარე მიწის ნაკვეთი არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების 500 კვ.მ. ფართის, საკადასტრო კოდი:

2018 წლის 7 აგვისტოს, ი-ი გარდაიცვალა ჯ. ხ-ნი, რის შემდეგაც ფ. მ-ი დაბრუნდა საქართველოში მეუღლის სამკვიდროს გახსნისა და მემკვიდრეობის მიღების მიზნით. ამასთან, მან ჩამოიტანა შვილების – ნ. ხ-ნის, ა. ხ-ნის და რ. ხ-ნის – მინდობილობები, რომ მემკვიდრეობა გადაფორმებულიყო მასსა და მის შვილებზე ნილობრივად. აღნიშნული საკითხის მოგვარების მიზნით, მან გაიცნო ბ. კ-ა, რომელიც თავდაპირველად ეხმარებოდა დოკუმენტების თარგმნასა და სანოტარო დოკუმენტების მოპოვებაში, რის საფუძველზეც, გაიხსნა სამკვიდრო და 2020 წლამდე ფ. მ-სა და მის შვილებს ნილობრივად დაურეგისტრირდათ სამი უძრავი ქონება. 2020 წლის სექტემბერში, ფ. მ-მა მიაკითხა ბ. კ-ას დახმარების მიზნით და აუხსნა, რომ სამი უძრავი ქონების დოკუმენტაცია იყო დახარვეზებული და აღნიშნულის მოგვარების მიზნით, სთხოვა დახმარება. ბ. კ-ამ განიზრახა, რომ მოტყუებით დაუფლებოდა მათ უძრავ ქონებებს და შეჰპირდა მას დახმარებას. ამასთან, გაარკვია სპარსული ენის გარდა, იცოდა თუ არა სხვა ენა და ფ. მ-ს აუხსნა, რომ საბუთები რომ არ დახარვეზებულიყო, საჭირო იყო ინგლისურ ენაზე მოენერა ხელი. იმავდროულად, ფ. მ-ს ფურცელზე ინგლისურად დაუნერა სახელი, გვარი და დაავალა იუსტიციის სახლში მისვლამდე ევარჯიშა. 2020 წლის 15 სექტემბერს, ბ. კ-ას დახმარებით, დანარჩენი სამი უძრავი ქონება (საკადასტრო კოდებით: ...) დარეგისტრირდა ნილობრივად ფ. მ-ისა და მისი შვილების საკუთრებად, თანასაკუთრების უფლებით. უძრავი ქონების რეგისტრაციის შემდეგ, ბ. კ-ამ განზრახვის აღსასრულებლად და სხვისი ქონების მოტყუებით დაუფლების მიზნით, ფ. მ-ს დოკუმენტებზე ინგლისურად კვლავ მოაწერინა ხელი, რაზეც უთხრა, რომ საჭირო იყო რეგისტრაციის დასრულებისთვის. ინგლისურენოვანი ნასყიდობის ხელშეკრულებების საფუძველზე, 2020 წლის 15 სექტემბერს, ბ. კ-ა თაღლითურად, მოტყუებით დაეუფლა ფ. მ-ისა და მისი შვილების კუთვნილ ექვსივე უძრავ ქონებას, რომელთაგან ერთ-ერთი, მდებარე: თ-ი, ქ. ა., ფ., საკადასტრო კოდით: ... – გაასხვისა მ. თ-ის, პ/ნ ... სახელზე. აღნიშნული ქმედებით, ფ. მ-მა განიცადა დიდი

ოდენობით, 1 049 491 ლარის მატერიალური ზიანი.

2. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება:

2.1. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2023 წლის 25 სექტემბრის განაჩენით:

2.1.1. ბ. კ-ა ცნობილ იქნა უდანაშაულოდ და გამართლდა საქართველოს სსკ-ის 194-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით წარდგენილ ბრალდებაში;

2.1.2. ბ. კ-ა ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (ორი ეპიზოდი) გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და სასჯელად განესაზღვრა:

საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (მ. მ-სა და ხ. ჰ-ის ქონების ეპიზოდი) – თავისუფლების აღკვეთა 6 წლით და 6 თვით;

საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (2020 წლის 15 სექტემბრის ეპიზოდი) – თავისუფლების აღკვეთა 6 წლით და 6 თვით;

2.1.3. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (2020 წლის 15 სექტემბრის ეპიზოდი) დანიშნულმა სასჯელმა შთანთქა საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (მ. მ-სა და ხ. ჰ-ის ქონების ეპიზოდი) დანიშნული სასჯელი და, საბოლოოდ, ბ. კ-ას სასჯელად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 6 წლით და 6 თვით, რაც აეთვალა 2022 წლის 27 დეკემბრიდან.

2.2. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2023 წლის 25 სექტემბრის განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს ბრალდებისა და დაცვის მხარეებმა:

ძველი თბილისის რაიონული პროკურატურის პროკურორმა – ანა მეტრეველმა – სააპელაციო საჩივრით მოითხოვა ბ. კ-ას დამნაშავედ ცნობა მისთვის ბრალადწარდგენილი კვალიფიკაციით;

მსჯავრდებულ ბ. კ-ას ადვოკატებმა – თ. კ-ამ და ტ. კ-ემ – სააპელაციო საჩივრით მოითხოვეს ბ. კ-ას უდანაშაულოდ ცნობა და გამართლება.

3. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება:

3.1. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2025 წლის 7 აპრილის განაჩენით, მსჯავრდებულ ბ. კ-ას ინტერესების დამცველი ადვოკატების – თ. კ-ას და ტ. კ-ის – სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა, ხოლო ძველი თბილისის რაიონული პროკურატურის პროკურორის – ანა მეტრეველის – სააპელაციო საჩივარი, ქმედების კვალიფიკაციის ნაწილში, დაკმაყოფილდა, სასჯელის დამძიმების ნაწილში კი – არ დაკმაყოფილდა.

3.1.1. ბ. კ-ა ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 194-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტითა და საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (ორი ეპიზოდი) გათვალისწინებულ დანაშაულთა ჩადენისათვის და სასჯელად განესაზღვრა:

საქართველოს სსკ-ის 194-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით – თავისუფლების აღკვეთა 9 წლით და 6 თვით;

საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (მ. მ-სა და ხ. ჰ-ს ქონების ეპიზოდი) – თავისუფლების აღკვეთა 6 წლით და 6 თვით;

საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (2020 წლის 15 სექტემბრის ეპიზოდი) – თავისუფლების აღკვეთა 6 წლით და 6 თვით;

3.1.2. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, უფრო მკაცრმა სასჯელმა შთანთქა ნაკლებად მძიმე სასჯელები და, საბოლოოდ, ბ. კ-ას სასჯელად დაენიშნა თავისუფლების აღკვეთა 9 წლით და 6 თვით, რაც აეთვალა 2022 წლის 27 დეკემბრიდან.

3.2. თბილისის სააპელაციო სასამართლომ განაჩინა საკასაციო წესით გაასაჩივრა დაცვის მხარემ. მსჯავრდებულ ბ. კ-ას ადვოკატი – თ. კ-ა – საკასაციო საჩივრით ითხოვს ბ. კ-ას უდანაშაულოდ ცნობას და გამართლებას, შემდეგ არგუმენტებზე მითითებით:

ბ. კ-ა არცერთ ეპიზოდში დაუფლება სხვის ქონებას მოტყუებით, იგი მოქმედებდა მის სახელზე გაცემული მინდობილობით მინიჭებული უფლებამოსილების შესაბამისად;

ბ. ჰ-ს კუთვნილი ქონება ბ. კ-ას სახელზე არასდროს აღრიცხულა, შესაბამისად, ბ. კ-ა მას ვერც გაასხვისებდა;

ბ. ჰ-ს ეპიზოდში ყველა გადანყვებილება მიღებულია შპს „ჯ-ის“ 95% წილის მქონე პ. ფ-ის მიერ; ეს უკანასკნელი თარჯიმნის მიერ ნათარგმნ დოკუმენტებს თვითონ აწერდა ხელს და ნასყიდობის ხელშეკრულებით განსაზღვრული თანხაც პირადად მიიღო;

ბ. ჰ-ს მიერ გაცემული მინდობილობა, პარტნიორის გადანყვებილებები და ნასყიდობის ხელშეკრულებები სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული გარიგებებია და, შესაბამისად, მხარეთა შორის არსებული დავაც სამოქალაქო სამართლებრივი წესით განსახილველია;

ფ. მ-თან გაფორმებული ყველა დოკუმენტი ნათარგმნია მისთვის გასაგებ ინგლისურ ენაზე და დამონმებულია მისივე ხელმოწერით, შესაბამისად, აღნიშნული დოკუმენტაცია შექმნილია მისი ნების შესაბამისად;

სააპელაციო სასამართლომ არ იმსჯელა სამენარმო პარტნიორის გადანყვებილებებზე, ნასყიდობის ხელშეკრულებების საფუძველზე თანხის გადახდისა და მიღების ფაქტებზე, მონმეთა ჩვენებები კი

გადმოსცა არაზუსტად;

წარმოდგენილი მტკიცებულებებით არ დასტურდება უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია; ფულის გათეთრებად არ უნდა ჩაითვალოს დანაშაულებრივი გზით მიღებულ ქონებასთან დაკავშირებული ორდინალური მოქმედებები, მათ შორის – აღნიშნული ქონების განკარგვა.

3.3. დაცვის მხარის საკასაციო საჩივრის საპასუხოდ, ბრალდების მხარემ წარმოადგინა საკასაციო საჩივრის შესაგებელი, რომლითაც მოითხოვა მსჯავრდებულ ბ. კ-ას ადვოკატის მიერ წარდგენილი საჩივრის დაუშვებლად ცნობა.

სამოტივაციო ნაწილი:

1. საკასაციო სასამართლომ შეისწავლა სისხლის სამართლის საქმის მასალები, შეამოწმა საკასაციო საჩივრის მოთხოვნის საფუძვლიანობა, განიხილა კასატორის საკვანძო არგუმენტები და მიაჩნია, რომ მსჯავრდებულ ბ. კ-ას ადვოკატის – თ. კ-ას – საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, თუმცა თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2025 წლის 7 აპრილის განაჩენი უნდა შეიცვალოს, შემდეგ გარემოებათა გამო:

მ. მ-სა და ხ. ჰ-ს ქონების თაღლითობისა და უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ეპიზოდით:

2. სასამართლოში მოწმის სახით დაკითხულმა დაზარალებულმა – ხ. ჰ-მ – განმარტა, რომ 2018 წელს მან და მისმა პარტნიორმა – მ. მ. – შეიძინეს ბინა თ-ი, ბ. სართულზე, რომელიც გაარემონტეს და შეიტანეს მასში ინვენტარი. ეს ყველაფერი მათ, ჯამურად, დაუფრდათ, დაახლოებით, 105 000 აშშ დოლარი. ქონების 50%-ის მესაკუთრე თვითონ იყო, ხოლო მეორე, 50%-ის მესაკუთრე – მ. მ. ბინის შეძენის შემდეგ, მან და მ. მ. 2019 წლამდე აიღეს ბინადრობის მოწმობა. იმავდროულად, იუსტიციის სახლში მათ შემთხვევით გაიცნეს ბ. კ-ა, რომელმაც გაუჩინა სპარსული ენის თარჯიმნის მომსახურება. ამის შემდეგ, ისინი ნავიდნენ ი-ი. 2020 წლის მინურულს, პანდემიის გამო, მხოლოდ ის შემოუშვეს საქართველოში. მან ბ. კ-ას დახმარებით, კვლავ მიმართა იუსტიციის სახლს მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვის მისაღებად და რამდენიმე დღეში დატოვა საქართველო. ბინადრობის ნებართვის ასაღებად, იგი აპირებდა საქართველოში დაბრუნებას, თუმცა საზღვრების დაკეტვის გამო, ვეღარ შეძლო. ამის გამო, მან დახმარებისთვის დაურეკა ბ. კ-ას, რომელმაც ურჩია, რომ მისი და მ. მ-ს თანასაკუთრებაში არსებული ქონება გადაეფორმებინათ მხოლოდ მის სახელზე, რაც გაუადვილებდა ბინადრობის ნებართვის მოპოვებას. მან ირწმუნა ბ. კ-ას ნათქვამისა და მ. მ-ს კუთვნილი წილიც თავის სახელზე დაირეგისტრირა. ამის

შემდეგ, ბ. კ-ამ მას უთხრა, რომ შეადგენდა ტექსტს, რომლის მიხედვითაც, მას და მ. მ-ს ი-ი უნდა შეედგინათ მის სახელზე გაცემული მინდობილობა, სხვა პროცედურებს კი, თვითონ მიხედავდა. ვინაიდან, ის და მ. მ- ბ. კ-ას ენდობოდნენ, დასთანხმდნენ მის შეთავაზებას და ი. სანოტარო ბიუროში დაადასტურეს ბ. კ-ასგან გადაგზავნილი ტექსტი, რომელიც ი-ან ფოსტით გამოუგზავნეს ბ. კ-ას. იმავდროულად, მათ შეადგინეს ორი მინდობილობა. ერთი მინდობილობით მ. მ. ქონების თავისი წილის 50%-ს აფორმებდა მის (ბ. ჰ-ს) სახელზე, ხოლო, მეორე მინდობილობით, იგი ბ. კ-ას აძლევდა რწმუნებულებას, რომ მისი ბინადრობის საქმისთვის მიეხედა. ბ-მ მიიღო ეს მინდობილობები, რის შემდეგაც მას უთხრა, რომ ყველაფერი გააკეთა, რისთვისაც მან ბ-ს 600 ლარი გადაუხადა. 2022 წლის მარტში მან გადაწყვიტა საქართველოში ჩამოსვლა, რის გამოც, დაუკავშირდა საქართველოში მყოფ ახლობელს – ჯ. ჯ-ს, რომლისთვისაც დატოვებული ჰქონდა ბინის გასაღები და სთხოვა, რომ ბინა შეემონებინა. ჯ. ჯ-მა უთხრა, რომ არაერთი მცდელობის მიუხედავად, ბინის კარი გასაღებით ვერ გააღო. ამის შემდეგ, მან ბინის საკადასტრო კოდი გადაამოწმა საჯარო რეესტრში და გაარკვია, რომ ხსენებულ ბინას სხვა მესაკუთრე ჰყავდა. მან გადაურეკა ბ. კ-ას და ჰკითხა ამის მიზეზი, რაზეც ამ უკანასკნელმა ტელეფონი გაუთიშა და დაბლოკა. სიტუაციაში გარკვევის მიზნით, იგი ჩამოვიდა ი-ან და მივიდა ადვოკატთან. გაირკვა, რომ მისი ბინა ბ. კ-ას სახელზე გაცემული მინდობილობის საფუძველზე, გადაფორმებული იყო იურიდიული პირის სახელზე, რომლის პარტნიორი იყო ჰ. ფ-ი. ამ ფაქტთან დაკავშირებით მან მიმართა სამართალდამცავ ორგანოებს. დაზარალებულის განმარტებით, ბ. კ-ას ქმედებით მას მიადგა 105 000 აშშ დოლარის ზიანი.

3. იგივე ფაქტობრივი გარემოებები დაადასტურა სასამართლოში მონმედ დაკითხულმა მ. მ-. მანვე განმარტა, რომ მინდობილობის საფუძველზე, იგი ბ. კ-ას, როგორც მის მინდობილ პირს, უფლებას აძლევდა, მისი კუთვნილი უძრავი ქონება გადაეფორმებინა ბ. ჰ-ს სახელზე. სხვა უფლებამოსილება მისთვის არ მიუნიჭებია.

4. სასამართლოში მონმედ დაკითხულმა – ჯ. ჯ-მა – განმარტა, რომ ბ. ჰ- და მ. მ- მისი დახმარებით შეიძინეს ბინა თ-ი, ნ-ს გზატკეცილზე. ბ. ჰ. ი-ი წასვლის წინ ბინის გასაღები მას დაუტოვა, რათა პერიოდულად შეემონებინა ბინა. ასეც იქცეოდა. გარკვეული პერიოდის გასვლის შემდეგ, ბ. ჰ- სატელეფონო საუბრისას უთხრა, რომ აპირებდა თ-ი ჩამოსვლას და სთხოვა ბინის მონესრიგება. იგი მივიდა ბინაში, მაგრამ, არაერთი მცდელობის მიუხედავად, კარის გაღება ვეღარ შეძლო. ბინის საკადასტრო კოდის გადაამოწმების შედეგად აღმოაჩინა, რომ მითითებული ბინა ვინმე ს-ს სახელზე იყო რეგისტრირებული. ასევე ფიქ-

სირდებოდა ბ. კ-ას სახელი, რომელზეც ხ. ჰ- უთხრა, რომ მის სახელზე გაცემული ჰქონდა მინდობილობა, რომლითაც ბ. კ-ა მხოლოდ ბინადრობის ნებართვის მოპოვებაში უნდა დახმარებოდა. აღნიშნული მინდობილობის საფუძველზე, ბ. კ-ას მიენიჭა უფლებამოსილება, რომ ხ. ჰ-სა და მ. მ-ს თანასაკუთრებაში არსებული ბინა გადაფორმებულიყო ხ. ჰ-ს სახელზე. სხვა უფლებამოსილება ბ. კ-ასთვის არ მიუნიჭებია. ამასთან, ბინის გასაღები, მის გარდა, სხვა პირს არ ჰქონია.

5. სასამართლოში მოწმედ დაკითხულმა – პ. ფ-მა – განმარტა, რომ, დაახლოებით, 2017 წელს, ი. ი. რესპუბლიკიდან ჩამოვიდა თ-ი, მეუღლესა და ორ შვილთან ერთად. იგი პენსიონერია და საქართველოში რაიმე ბიზნესი არ ჰქონია. საქართველოში ბინადრობის უფლების მოპოვებაში მის ოჯახს დაეხმარა ბ. კ-ა, რის გამოც, მის მიმართ გაუჩნდა ნდობა და ჩამოუყალიბდა კარგი ურთიერთობა. 2021 წლის დეკემბერში, მას დაუკავშირდა ბ. კ-ა, რომელმაც უთხრა, რომ აპირებდა უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვის კომპანიის დაფუძნებას და შესთავაზა მასთან კონსულტანტად მუშაობა. თანხმობის მიღების შემდეგ, ბ. კ-ამ იუსტიციის სახლში მას რაღაც ქართულ ენაზე შედგენილ დოკუმენტებზე მოაწერინა ხელი. როგორც ახსოვს, მხოლოდ ერთი დოკუმენტი იყო სპარსულ ენაზე, თუმცა ხელი მასაც წაუკითხავად მოაწერა. აღნიშნულ დოკუმენტებს ხელი მოაწერეს ბ. კ-ამ და ინგლისური ენის თარჯიმანმაც, თუმცა ამ უკანასკნელს მისთვის არაფერი უთარგმნია. ბ. კ-ას თხოვნით, დოკუმენტებზე ხელმოსაწერად იგი ორჯერ მივიდა იუსტიციის სახლში. მან მეორე შემთხვევაშიც არ იცოდა, რა დოკუმენტს აწერდა ხელს. ამ საქმიანობისთვის ბ. კ-ამ 500 აშშ დოლარი გადაუხადა. შემდეგ იგი დაიბარეს პოლიციაში, რა დროსაც შეიტყო, რომ ხსენებულ დოკუმენტებზე ხელის მოწერით, მას ბ. კ-ასთან ერთად დაურეგისტრირებია კომპანია, ასევე – გარკვეული უძრავი ქონება ჰქონდა ნაყიდი და გაყიდული, რაც მისთვის გამაოგნებელი იყო. იგი ადასტურებს, რომ ბანკში ჩარიცხული აქვს 3000 ლარი, კერძოდ, ბ. კ-ამ ერთ დღეს უთხრა, რომ შემოსავლების სამსახურში უნდა ჩაერიცხათ თანხა, რადგან ბინა გაყიდა, ხოლო მას იმიტომ არიციხვინებდა, რომ ნაკლები პროცენტი გადაეხადა ბანკისთვის. მოწმის განმარტებით, იგი არ იცნობს ხ. ჰ-ს.

6. სასამართლოში დაკითხულმა მოწმემ – მ. ფ-მა – განმარტა, რომ არის პ. ფ-ის შვილი. დაახლოებით, 7 წელია, რაც საქართველოში ჩამოვიდა ოჯახის წევრებთან ერთად. ამჟამად ცხოვრობს თ-ი. იგი იცნობს ბ. კ-ას, რომელიც მის ოჯახს მნიშვნელოვნად დაეხმარა ბინადრობის ნებართვის მიღებაში. შედეგად, მასთან ჩამოუყალიბდათ კარგი ურთიერთობა და ნდობა, რის გამოც, ვისაც ბინადრობის ნებართვასთან დაკავშირებით დახმარება დასჭირდებოდა, პ. ფ-ი ბ. კ-ას აკავშირებდა. შესაბამისად, ბ. კ-ა პ. ფ-ის ნდობით სარგებლობდა. ამასთან, ვინაიდან

პ. ფ-მა არ იცის ქართული ან ინგლისური ენები, იუსტიციის სახლში ყოველთვის ბ. კ-ა ეხმარებოდა. რალაც პერიოდის შემდეგ, ბ. კ-ამ პ. ფ-ს შესთავაზა თავის კომპანიაში დასაქმება კონსულტანტის პოზიციაზე, რაზეც პ. ფ-ი დასთანხმდა. მონმემ მამისგან იცის, რომ იგი ბ. კ-ას მიერ მიტანილ დოკუმენტებს ხელს ნაუკითხავად, მისდამი არსებული ნდობის საფუძველზე, აწერდა. ხელის მონერაში პ. ფ-ი გარკვეულ თანხას იღებდა, თუმცა ზუსტი ოდენობა არ იცის. პ. ფ-ს ნ-ს ქუჩაზე უძრავი ქონება არ ჰქონია.

7. სასამართლოში დაკითხულმა მონმემ – ნ. ფ-მა – განმარტა, რომ არის პ. ფ-ის შვილი. დაახლოებით, 7 წლის წინ, ჩამოვიდა საქართველოში და ცხოვრობს ოჯახთან ერთად. იგი მამამისის ყველა მეგობარს იცნობს, თუმცა ხ. ჰ-ს – არა. იგი იცნობს ბ. კ-ას, რომელიც ბინადრობის მოპოვების საკითხებთან დაკავშირებით, მის ოჯახს დაეხმარა, რის შემდეგაც იგი სარგებლობდა პ. ფ-ის ნდობით. მისთვის ცნობილი გახდა, რომ ბ. კ-ამ მამამისის ნდობით ბოროტად ისარგებლა და მისი სახელით გაყიდა ბინა, რაზეც უთხრა, რომ ეს სჭირდებოდა ნაკლები გადასახადისთვის. ხსენებული ბინა მდებარეობდა ბაგების გზატკეცილზე და ეკუთვნოდა ხ. ჰ-ს. რეალურად, მამამისი ბ. კ-ას არ დახმარებია, თუმცა ამ უკანასკნელის მიერ გადაცემულ დოკუმენტებზე პ. ფ-მა ნაკითხვის გარეშე, ნდობის საფუძველზე, მოაწერა ხელი. იგი უშუალოდ არ დასწრებია დოკუმენტებზე ხელმოწერას, აღნიშნულ ინფორმაციას მამისგან ფლობს.

8. სასამართლოში დაკითხულმა მონმემ – ნ. თ-მა – განმარტა, რომ არის სპარსული ენის თარჯიმანი. იგი იცნობს ბ. კ-ას, რომელიც მას ხშირად უგზავნიდა დოკუმენტებს სათარგმნად. ერთ-ერთი გაგზავნილი დოკუმენტის თანახმად, ბ. კ-ა იყო მინდობილი პირი (თავად ამ მიზეზით ვერ იქნებოდა თარჯიმანი), ამიტომ მან თარგმნა მინდობილობა, გადანყვეტილება, კრების ოქმი (ეხებოდა უძრავი ქონების გაყიდვას) და ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლებიც პირადად დამონწმნა ნოტარიულად და შემდეგ გაჰყვა ბ. კ-ას საჯარო რეესტრში დასარეგისტრირებლად. ბ. კ-ა მას ელექტრონული ფოსტით უგზავნიდა სათარგმნ დოკუმენტებს, ხოლო თვითონ ნათარგმნი და ნოტარიულად დამონმებული დოკუმენტები ხელზე მიჰქონდა იუსტიციის სახლში, ბ. კ-ასთვის ხელმოსაწერად. მოცემულ შემთხვევაში, ბ. კ-ასთვის ნათარგმნი და დამონმებული დოკუმენტების მიტანისას, იუსტიციის სახლთან მას დახვდნენ ბ. კ-ა და მარნმუნებელი – პ. ფ-ი. მას პ. ფ-ისთვის ადგილზე არ გაუცნია ნათარგმნი დოკუმენტების შინაარსი. ზოგადად, იუსტიციის სახლში ოპერატორის წინაშე არ ხდება ამ დოკუმენტების ნაკითხვა.

9. გრაფიკული ექსპერტიზის №... დასკვნის თანახმად, 2022 წლის 17 იანვრით დათარიღებულ სს „თ-ს“ №1... იპოთეკის ხელშეკრულებაზე,

შპს „ჯ-ის“ წესდებაზე, 2021 წლის 15 ოქტომბრით დათარიღებულ E... განცხადებაზე და თანდართულ შპს „ვ...“-ის წესდებაზე, 2021 წლის 23 ივნისით დათარიღებულ №... (№...) განცხადებაზე და მასზე დართულ 2021 წლის 23 ივნისით დათარიღებულ უძრავი ნივთის ნასყიდობის ხელშეკრულებაზე, 2021 წლის 23 ივნისით დათარიღებულ უძრავი ნივთის ნასყიდობის ხელშეკრულებაზე, 2021 წლის 7 დეკემბრით დათარიღებულ შპს „ჯ-ის“ კრების ოქმზე, 2022 წლის 17 იანვრით დათარიღებულ №2... (№8...) განცხადებაზე და მასზე დართულ 2022 წლის 17 იანვრით დათარიღებულ სს „თ-ს“ №1... იპოთეკის ხელშეკრულებაზე (№1 ცხრილში რიგითი ნომრებით 1-9) ბ. კ-ას სახელით არსებული ხელმონერები შესრულებულია ერთი და იმავე პირის – ბ. კ-ას – მიერ.

10. აღნიშნული ექსპერტიზის დასკვნის სისწორე დაადასტურა სამართლო სხდომაზე დაკითხულმა ექსპერტმა – თ. კ.

11. საჯარო რეესტრიდან გამოთხოვილი ინფორმაციით (პრეიუდიცია) დასტურდება, რომ 2021 წლის 2 დეკემბერს, იუსტიციის სახლში ბ. კ-ამ, როგორც ხ. ჰ-ს მინდობილმა პირმა და პ. ფ-მა დაარეგისტრირეს შპს „ჯ-ი“ (ს.ნ. 4...; გამოყენებული იქნა ხ. ჰ-ს მიერ გამოგზავნილი მინდობილობა). შპს „ჯ-ის“ დირექტორად დაარეგისტრირდა პ. ფ-ი, ხოლო წილები გადანაწილდა შემდეგნაირად: პ. ფ-ი – 95% და ხ. ჰ. – 5%. ბ. კ-ამ შეადგინა კომპანიის წესდება, რომლის 3.7. პუნქტის მიხედვით, „საწესდებო კაპიტალის 75%-ზე მეტის მფლობელი პარტნიორი ნებისმიერ საკითხზე გადაწყვეტილებას იღებს ერთპიროვნულად, კრების მონაწილის გარეშე (მათ შორის, უძრავი ქონების შეძენა, გასხვისება, იპოთეკით დატვირთვა, წესდებაში ცვლილების შეტანა, ლიკვიდაცია, რეორგანიზაცია, შერწყმა/გაყოფა)“. 2021 წლის 9 დეკემბერს, შპს „ჯ-ის“ კრების ოქმის საფუძველზე, ბ. კ-ამ, როგორც ხ. ჰ-ს მინდობილმა პირმა (2021 წლის 6 ივნისის გაცემული მინდობილობით), უძრავი ქონება (მდებარე: თ., საერთო ფართი 74,70 კვ.მ., საკადასტრო კოდი: ...) უსასყიდლოდ გააფორმა შპს „ჯ-ის“ საკუთრებად, რასაც ასევე ესწრებოდა შპს „ჯ-ის“ პარტნიორი – პ. ფ-ი.

12. ნასყიდობის ხელშეკრულებებით დასტურდება, რომ 2022 წლის 17 იანვარს, შპს „ჯ-ის“ საკუთრებაში აღრიცხული უძრავი ქონება (მდებარე: თ., ნ-ს გზატკეცილი ..., საერთო ფართი 74,70 კვ.მ., საკადასტრო კოდი: ...) ბ. კ-ამ გადააფორმა პ. ფ-ის სახელზე, იმავე დღეს კი, პ. ფ-ის მეშვეობით, ნასყიდობის ხელშეკრულებით გაასხვისა ს. მ-ის სახელზე, 184 650 ლარის სანაცვლოდ.

13. ს. მ-ის გამოკითხვის ოქმის თანახმად (პრეიუდიცია), მისი და – მ. მ-ე – 2022 წლის იანვრის მდგომარეობით, ცხოვრობდა ი-ში და აპირებდა ბინის შეძენას თ-ი, რაშიც ეხმარებოდა. მ. მ-ემ უთხრა, რომ შესაძენი ბინა შეარჩევინა მაკლერმა – დ. ჯ-მა. როგორც დადგინდა, ბინა იყო

ი. მოქალაქის – პ. ფ-ის და მდებარეობდა ნ-ს ქუჩაზე, საკადასტრო კოდით: ... ვინაიდან მ. მ-ეს საბანკო რეგულაციების გამო, პრობლემები ჰქონდა, კრედიტის აღებაში დაეხმარა დეიდაშვილი, იმ დროს ასევე ი-ში მცხოვრები, შ. ფ-ი. მას შემდეგ, რაც ბანკმა კრედიტი გასცა, ის, დ. ჯ-ი და მ. მ-ის შვილი – დ. ხ-ე – 2022 წლის 17 იანვარს მივიდნენ ჯერ ნოტარიუსთან, შემდეგ კი – თ-ი მდებარე სს „თ-ს“ ერთ-ერთ ფილიალში. დაახლოებით, 14:00-15:00 საათზე, იქვე მივიდა ფ. ქართველი, რომელსაც, როგორც შეატყო, დ. ჯ-ი ადრეც იცნობდა. მის შეკითხვაზე დ. ჯ-მა უპასუხა, რომ ეს იყო ფ. ქართველი, რომელიც ეხმარებოდა ი. მოქალაქეებს მსგავსი საქმეების მოგვარებაში. ბანკთან ურთიერთობას წარმართავდა დ. ჯ-ი. მას ეძახდნენ მხოლოდ მაშინ, როდესაც ხელმოწერა იყო საჭირო, რადგან დოკუმენტები გაფორმდა მის სახელზე. შესაბამისად, მან, როგორც შ. ფ-ის წარმომადგენელმა, ხსენებული ბინის ღირებულება სრულად გადასცა უშუალოდ ამ ფერეიდელ ქართველს. ამის შემდეგ ეს ფ. ქართველი წავიდა პ. ფ-ისკენ, დადგა მისგან ზურგით და მისი ვარაუდით, თანხა მას გადასცა. პ. ფ-მა თანხა სად წაიღო, არ იცის. ამ ფაქტს ესწრებოდნენ დ. ჯ-ი და დ. ხ-ე, თარჯიმანი იყო თუ არა, არ ახსოვს. ამის შემდეგ, მასსა და პ. ფ-ს შორის გაფორმდა ხელშეკრულება, რომელსაც თარჯიმანიც ესწრებოდა და ამავე ხელშეკრულებით დადასტურდა, რომ პ. ფ-მა თანხა მიიღო.

14. ანალოგიური ფაქტობრივი გარემოებები დადასტურა გამოკითხვისას მონმე დ. ხ-ემ (პრეიუდიცია). მისი გამოკითხვის ოქმის თანახმად, ს. მ-ემ მთლიანი თანხა გადასცა პირს, რომელიც მას და ბიძამისს – ს. მ-ეს, მაკლერმა – დ. ჯ-მა გააცნო ი-ების იურისტად. თავის მხრივ, ეს უკანასკნელი მივიდა პ. ფ-თან, ამ დროს მას ხელში ეკავა კონვერტი, რომელშიც იდო თანხა, გახსნა კონვერტი და თანხის ნაწილი ამოიღო. იმ მომენტში ისინი ერთმანეთში ხმადაბლა საუბრობდნენ. თავად გარეთ გავიდა სიგარეტის მოსაწევად. შესაბამისად, შემდეგ რა მოხდა, არ იცის.

15. მსგავსი ფაქტებია ასახული მონმე დ. ჯ-ის გამოკითხვის ოქმში (პრეიუდიცია).

16. ბ. კ-ამ წარდგინებულ ბრალდებაში თავი არ ცნო დამნაშავედ და სასამართლოში დაკითხვისას განმარტა, რომ 2018 წლიდან მუშაობს სპარსული ენის თარჯიმნად. მას, ძირითადად, ი. ი. რესპუბლიკის მოქალაქეები მიმართავდნენ თარგმნისა და საკონსულტაციო მომსახურების მიღების მიზნით. სამსახურებრივი საქმიანობისას გაიცნო ხ. ჰ., რომელსაც უთარგმნინდა დოკუმენტებს. ხ. ჰ. ი-ან დაურეკა და უთხრა, რომ ის და მისი ბიზნეს-პარტნიორი – მ. მ. – შეთანხმდნენ თანასაკუთრებაში არსებული ქონების მის სახელზე გადაფორმებაზე, რისთვისაც საქართველოში გადმოუგზავნა მინდობილობა. სანოტარო წესით

დამონმებული დოკუმენტის თანახმად, ხ. ჰ-ს და მ. მ-ს თანასაკუთრებაში არსებული უძრავი ქონება უნდა გადაფორმებულიყო მხოლოდ ხ. ჰ-ს სახელზე. ტექსტი შედგენილი იყო მთლიანად ხ. ჰ-ს მიერ. მინდობილობით ჩამოყალიბებული იყო ორი საკითხი. პირველი ქონების გადაფორმებას ეხებოდა, ხოლო მეორე – კომპანიის დაარსებას. მან შეასრულა და თანასაკუთრებაში არსებული უძრავი ქონება საჯარო რეესტრში გადააფორმა ხ. ჰ-ს სახელზე. მინდობილობის მიხედვით, ორივე პირის მინდობილი პირი თვითონ იყო. აღნიშნული მინდობილობის საფუძველზე, მან ასევე დააფუძნა კომპანია „ჯი“. კომპანია დაარსდა ხ. ჰ-ს და პ. ფ-ის სახელზე. კომპანიის წესდება დარეგისტრირდა, შემდეგ კი, ხ. ჰ-ს დავალებით, კომპანიის კაპიტალში შევიდა ქონება. წესდების მიხედვით, კომპანიაში ქონების 95%-ის წილის მფლობელი იყო პ. ფ-ი, ხოლო 5%-ის მფლობელი – ხ. ჰ. ბ. კ-ას განმარტებით, იგი პერიოდულად იღებდა დავალებებს, კერძოდ, მას დაავალეს, რომ გაეყიდა კომპანიის სახელზე არსებული ბინა. ბოლოს, მათ გაყიდეს ქონება და პ. ფ-მა მომსახურებისთვის ჩაურიცხა 1000 აშშ დოლარი „თ-ს“ ანგარიშზე. მართალია, ბევრი რამ უცნაურად ეჩვენებოდა, მაგრამ არ ინტერესდებოდა დეტალებით. პ. ფ-ის სახელზე კომპანიის ბინის გადაფორმების შემდეგ, პ. ფ-მა მალევე გაყიდა ქონება. როდესაც პ. ფ-ი საკუთარ სახელზე იფორმებდა კომპანიის ქონებას, მან ჰკითხა, თუ რატომ აკეთებდა ამას, რაზეც პ. ფ-მა უპასუხა, რომ სჭირდებოდა იპოთეკური სესხის ასაღებად. იგი გაჰყვა პ. ფ-ს ბანკში, სადაც ს. მ-ეზე გასხვისებული ბინის შედეგად აღებული თანხა დაითვალა, რომელიც იყო, დაახლოებით, 60 000 აშშ დოლარი და გადასცა პ. ფ-ს. ამ უკანასკნელმა ეს თანხა ასევე დაითვალა მის ავტომანქანაში. თანხის გადაცემას ესწრებოდა თარჯიმანი ნ. თ-იც. მოგვიანებით, ხ. ჰ. მას უთხრა, რომ საჩივრის დაწერას აპირებდა პ. ფ-ის წინააღმდეგ და სთხოვა, რომ მხარი დაეჭირა, რასაც იგი არ დაეთანხმა, რადგან ამ საკითხს სერიოზულად არ უყურებდა, ვინაიდან გაუგებრობები ხშირია პარტნიორებს შორის.

17. საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლით სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობაა დაწესებული თაღლითობისათვის, ესე იგი, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით სხვისი ნივთის მოტყუებით დაუფლების ან ქონებრივი უფლების მიღებისთვის. თაღლითობა, საკუთრების წინააღმდეგ მიმართული ეკონომიკური დანაშაულია, რომლის შემადგენლობისთვისაც აუცილებელია, რომ მოტყუება, როგორც ნივთის ან ქონებრივი უფლების მიღების კონკრეტული საშუალება – ხერხი, წინ უსწრებდეს სუბიექტის მიერ ნივთის ან ქონებრივი უფლების მიღების ფაქტს. ამასთან, მოტყუება გულისხმობს ქეშმარიტების განზრახ დამახინჯებას ანდა – გარკვეულ გარემოებათა განზრახ და-

ფარვას იმგვარად, რომ მათ საფუძველზე დაზარალებული იღებს მისთვის საზიანო გადაწყვეტილებას. გარდა დანაშაულის ჩადენის ხერხისა, თაღლითობის თავისებურება იმითაც გამოიხატება, რომ გარეგნულად დამნაშავეს ქონება გადაეცემა ნებაყოფლობით, თვით მოტყუებული მესაკუთრის/მფლობელის მიერ.

18. საქართველოს სსკ-ის 194-ე მუხლით კრიმინალიზებულია უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია, ესე იგი, უკანონო ან/და დაუსაბუთებელი ქონებისათვის კანონიერი სახის მიცემა (ქონებით სარგებლობა, ქონების შექმნა, ფლობა, კონვერსია, გადაცემა ან სხვა მოქმედება) მისი უკანონო ან/და დაუსაბუთებელი წარმოშობის დაფარვის ან/და სხვა პირისთვის პასუხისმგებლობისათვის თავის არიდებაში დახმარების განევის მიზნით, აგრეთვე – მისი ნამდვილი ბუნების, წარმოშობის წყაროს, ადგილმდებარეობის, განთავსების, მოძრაობის, მასზე საკუთრების ან/და მასთან დაკავშირებული სხვა უფლებების დამალვა ან შენიღბვა. ამდენად, უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია არალეგალური, დანაშაულებრივი გზით მიღებული ფულადი სახსრების ან საკუთრების სხვა ფორმების ლეგალიზებას გულისხმობს.

19. საქართველოს სსკ-ის 194-ე მუხლის შენიშვნის პირველი ნაწილის თანახმად, ამ მუხლის მიზნებისათვის უკანონო ქონებად ითვლება ქონება, აგრეთვე, ამ ქონებიდან მიღებული შემოსავალი, აქციები (წილი), რომელიც/რომლებიც პირს, მისი ოჯახის წევრს, ახლო ნათესავს ან დაკავშირებულ პირს მოპოვებული აქვთ კანონის მოთხოვნათა დარღვევით. ამავ შენიშვნის მე-3 ნაწილის მიხედვით კი, განსაკუთრებით დიდ ოდენობად ითვლება შემოსავალი, 50 000 ლარის ზევით.

20. საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, დაზარალებულისა და ბრალდების მხარის სხვა მოწმეთა ჩვენებები ერთმანეთთან და განსახილველ სისხლის სამართლის საქმეში წარმოდგენილ სხვა წერილობით მტკიცებულებებთან თანხვედნილია. ჩვენების მიცემისას ხ. ჰ. და მ. მ. დამაჯერებლად და არგუმენტირებულად ჰყვებოდნენ ბ. კ-ასთან ურთიერთობის დეტალებს. საქმის არსებითი განხილვისას, მათი ან სხვა რომელიმე მოწმის მხრიდან, ბ. კ-ას მიმართ პირადი დაინტერესება, ნეგატიური სუბიექტური დამოკიდებულება ან დანაშაულის დაბრალების რაიმე პირადი მოტივი არ გამოკვეთილა. შესაბამისად, მათი ჩვენებების სანდოობა ობიექტური დამკვირვებლის თვალში რაიმე ეჭვს არ წარმოშობს.

21. სასამართლოს წინაშე ხ. ჰ. და მ. მ. დეტალურად განმარტეს, რამ განაპირობა ბ. კ-ას მიმართ ნდობის ჩამოყალიბება. სწორედ ნდობის ფაქტორმა განაპირობა ბ. კ-ას ნათქვამის დაჯერება და, მისი რჩევების შესაბამისად მოქმედება (ისინი ბ. კ-ას მიერ შედგენილ დოკუმენტებს ყოველგვარი გადამოწმების გარეშე აწერდნენ ხელს). მართალია, ბ. კ-

ას მიერ გაგზავნილი ტექსტის შესაბამისად, მინდობილობა შედგა. ი-ის... რესპუბლიკაში, ხ. ჰ-სთვის გასაგებ სპარსულ ენაზე, თუმცა მშობლიურ ან გასაგებ ენაზე შედგენილი მინდობილობის ხელმოწერა პირის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტის უპირობოდ შეცნობას არ გულისხმობს. ჰქონდა თუ არა პირს კონკრეტული დოკუმენტის ხელმოწერისას მისი შინაარსი შეცნობილი, უნდა დადასტურდეს მტკიცებულებებით.

22. საქმეში არსებული ყველა მტკიცებულება, გარდა ბ. კ-ას ჩვენებისა, ადასტურებს, რომ ხ. ჰ-ს მინდობილობის გაცემისას არ ჰქონდა შეცნობილი დოკუმენტის შინაარსი (მან იცოდა, რომ ბ. კ-ას მიერ შედგენილი მინდობილობით, მას ანიჭებდა მხოლოდ მ. მ-ს კუთვნილი ქონებრივი წილის ხ. ჰ-ზე მიყიდვის უფლებას. ბ. კ-ას თქმით, ბინის მის სახელზე აღრიცხვა გაუადვილებდა ბინადრობის ნებართვის მოპოვებას). წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი არ დაეთანხმებოდა ისეთი კომპანიის დაარსებას, რომელშიც მხოლოდ 5% წილი ექნებოდა, ხოლო 95% წილის მფლობელი მისთვის უცნობი პირი იქნებოდა. ასევე, არ დაეთანხმებოდა სარგებლის მიღების გარეშე, კუთვნილი უძრავი ქონების აღნიშნული კომპანიის საკუთრებად აღრიცხვას, შემდეგ კი – მის გასხვისებას. ბ. კ-ას მიერ შედგენილი გენერალური მინდობილობის დადასტურების და შემდგომში, მსჯავრდებულის აქტიური მოქმედებების შედეგად, ხ. ჰ. ფაქტობრივად სარგებლის მიუღებლად მთლიანად დაკარგა დიდი ოდენობის ღირებულების კუთვნილი უძრავი ქონება. აღნიშნული მოქმედება, ბ. კ-ას მხრიდან წარმოადგენს მოტყუებასა და ნდობის ბოროტად გამოყენებას.

23. იგივე შეიძლება ითქვას მონმე პ. ფ-ზეც. სასამართლოში გამოკვლეული მტკიცებულებებით უტყუარად დადასტურდა, რომ ბ. კ-ამ ისარგებლა მისი უპირობო ნდობით და, შედეგად, ხელი წაუკითხავად მოაწერინა მისთვის საჭირო დოკუმენტებზე. ფაქტს, რომ პ. ფ-ს ნამდვილად არ ჰქონდა შეცნობილი მის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტების შინაარსი, მისი ჩვენების გარდა, ადასტურებს თარჯიმან ნ. თ-ის ჩვენებაც, რომლის თანახმად, მან ბ. კ-ას მიერ წინასწარ გაგზავნილი, ნათარგმნი და დამოწმებული დოკუმენტები მიიტანა იუსტიციის სახელში, სადაც პ. ფ-ი არ გაცნობია დოკუმენტების შინაარსს. ობიექტური დამკვირვებლისთვის საგულისხმოა ის გარემოებაც, რომ დაზარალებული ხ. ჰ. და მონმე პ. ფ-ი არ იცნობდნენ ერთმანეთს. აღნიშნული ფაქტის შესახებ სასამართლოს არაერთმა მონმემ განუცხადა, საპირისპიროდ ამისა კი, მტკიცებულება, რომელიც ხ. ჰ-სა და პ. ფ-ის რაიმე სახის ურთიერთობას დაადასტურებდა, არ წარმოდგენილა.

24. კასატორის მტკიცებით, დაზარალებულის კუთვნილი ქონების რეალიზაციის შედეგად, თანხა პ. ფ-მა მიიღო. რეალურად, სასამართლო-

ში გამოკვლეული მტკიცებულებებით აღნიშნული ფაქტი არ დადასტურებულა. მხარეთა მიერ პრეიუდიციად მიჩნეული ს. მ-ის, დ. ჯ-ის და დ. ხ-ის გამოკითხვის ოქმებით უტყუარად დგინდება, რომ ბინის საფასური გადასცეს ბ. კ-ას. ს. მ-ემ ვერ დააკონკრეტა, გადასცა თუ არა თანხა ბ. კ-ამ პ. ფ-ს, დ. ხ-ის განმარტებით კი, ბ. კ-ა მივიდა პ. ფ-თან, გახსნა კონვერტი, რომელშიც იყო თანხა და მისი ნაწილი ამოიღო. აღნიშნული მტკიცებულებები სრულად შეესაბამება პ. ფ-ის ჩვენებას, რომლის თანახმადაც, მან იცოდა, რომ მუშაობდა ბ. კ-ას უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვის კომპანიაში. ბ. კ-ამ მას წაკითხვის გარეშე, რამდენჯერმე მოაწერინა ხელი რაღაც დოკუმენტებზე. სანაცვლოდ კი, 500 აშშ დოლარი გადაუხადა.

25. ამდენად, წარმოდგენილი მტკიცებულებებით, უტყუარად დასტურდება, რომ 2021 წლის 9 დეკემბერს, შპს „ჯ-ის“ კრების ოქმის საფუძველზე, ბ. კ-ამ, როგორც ხ. ჰ-ს მინდობილმა პირმა (2021 წლის 6 ივნისს გაცემული მინდობილობით) უძრავი ქონება (მდებარე: ..., საერთო ფართი 74,70 კვ.მ., საკადასტრო კოდი: ...) უსასყიდლოდ გააფორმა შპს „ჯ-ის“ საკუთრებად, რასაც ასევე ესწრებოდა შპს „ჯ-ის“ პარტნიორი პ. ფ-ი. აღნიშნული ქმედებით, შპს „ჯ-ის“ საკუთრებასა და ბ. კ-ას ფაქტობრივ მფლობელობაში მოტყუებით გადავიდა ხ. ჰ-ს კუთვნილი უძრავი ქონება, რითაც ამ უკანასკნელს მიადგა 245 000 ლარის, დიდი ოდენობით, მატერიალური ზიანი.

26. საკასაციო სასამართლო კვლავაც აღნიშნავს, რომ დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების განკარგვა ავტომატურად არ ნიშნავს მის ლეგალიზაციას, რამეთუ უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის შემადგენლობისათვის აუცილებელია, რომ პირის განზრახვა და თანმდევი ქმედებ(ე)ბი მიმართული იყოს უშუალოდ უკანონო ქონებისათვის კანონიერი სახის მიცემისაკენ მისი უკანონო წარმოშობის დაფარვის მიზნით. განსახილველ შემთხვევაში, განსხვავებით თაღლითობის მეორე ეპიზოდისგან, რომელსაც სასამართლო ქვემოთ მიმოიხილავს, ბ. კ-ამ განიზრახა უკანონოდ მიღებული უძრავი ქონებისთვის კანონიერი სახის მიცემა, აგრეთვე – მისი ნამდვილი ბუნების, წარმოშობის წყაროს, განთავსების, მასზე საკუთრების უფლების დამალვა და შენიღბვა და მის მიერვე შედგენილი კომპანიის წესდების საფუძველზე, 2022 წლის 17 იანვარს შპს „ჯ-ის“ საკუთრებაში აღრიცხული უძრავი ქონება (მდებარე: ..., საერთო ფართი 74,70 კვ.მ., საკადასტრო კოდი: ...) ყალბი (ფიქტიური) ნასყიდობის ხელშეკრულებით, გადააფორმა პ. ფ-ის სახელზე, შემდგომ კი, იმავე დღეს – 2022 წლის 17 იანვარს, ხსენებული უძრავი ქონება პ. ფ-ის მეშვეობით, ნასყიდობის ხელშეკრულებით გაასხვისა ს. მ-ეზე. შედეგად, ბ. კ-ამ მიიღო განსაკუთრებით დიდი ოდენობით, 184 650 ლარის, შემოსავალი.

27. ამდენად, ბ. კ-ას ქმედებაში ცალსახად იკვეთება საქართველოს სსკ-ის 194-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტითა და საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ დანაშაულთა ნიშნები.

ფ. მ-ის ქონების თაღლითობის ეპიზოდი:

28. სასამართლოში დაკითხულმა დაზარალებულმა – ფ. მ-მა – განმარტა, რომ არის ი. ი. რესპუბლიკის მოქალაქე. 2018 წლიდან 2020 წლის 18 სექტემბრამდე, ცხოვრობდა საქართველოში, სადაც მის ან გარდაცვლილ მეუღლეს – ჯ. ხ-ნის – ჰქონდა სამი საცხოვრებელი ბინა, ორი ავტოსადგომი და ერთი მიწის ნაკვეთი. 2018 წელს მეუღლის გარდაცვალების შემდეგ, სამკვიდროს გახსნისა და მემკვიდრეობის მიღების მიზნით, ჩამოვიდა საქართველოში და თან ჩამოიტანა შვილების – ნ. ხ-ნის, ა. ხ-ნის და რ. ხ-ნის – მინდობილობები. აღნიშნული საკითხის მოგვარების მიზნით, მან თ-ს იუსტიციის სახლში გაიცნო სპარსული ენის მცოდნე ბ. კ-ა, რომელიც ეხმარებოდა დოკუმენტების თარგმნასა და სანოტარო დოკუმენტების მოპოვებაში. 2020 წლამდე, მას და მის შვილებს წილობრივად დაურეგისტრირდა სამი უძრავი ქონება, ხოლო დანარჩენი სამი – დაახარვეზა საჯარო რეესტრმა. ამის გამო, მან მიმართა ბ. კ-ას, რომელიც შეჰპირდა დახმარებას. ამასთან, განუმარტა, რომ იმისთვის, რათა მის მიერ წარდგენილი დოკუმენტაცია არ დახარვეზებულიყო, აუცილებელი იყო ინგლისურ ენაზე მოენერა ხელი. მან ბ. კ-ას უთხრა, რომ ინგლისური საერთოდ არ იცოდა, რის გამოც, ბ. კ-ამ ფურცელზე დაუნერა ინგლისურად სახელი, გვარი და დაავალა, ევარჯიშა იუსტიციის სახლში მისვლამდე. იმის გათვალისწინებით, რომ ბ. კ-ას ენდობოდა, შეასრულა მისი დავალება და იუსტიციის სახლში განმეორებით წარდგენილ დოკუმენტებს, ბ. კ-ას მითითებით, ინგლისურად მოაწერა ხელი. რეალურად, დოკუმენტის შინაარსს არ გასცნობია. ბ. კ-ა არწმუნებდა, რომ ყველაფერი რიგზე იყო და პრობლემა არ შეიქმნებოდა. ბ. კ-ას დახმარებით, დანარჩენი სამი უძრავი ქონება, რომლებსაც ხარვეზი ჰქონდათ, დარეგისტრირდა წილობრივად, თავისი და შვილების საკუთრებად, თანასაკუთრების უფლებით. ამ დროს ის და ბ. კ-ა მარტო იმყოფებოდნენ იუსტიციის სახლში და მათ არავინ ახლდათ. მომდევნო დღეს იგი დაბრუნდა ი-ი, სადაც, შვილებთან ერთად, აღნიშნა ქონების წარმატებით გადაფორმება. დაახლოებით, ორ კვირაში, მისი შვილის ახლობელმა თ-დან აცნობა მის შვილს, რომ მათი ქონება რეგისტრირებული იყო ბ. კ-ას სახელზე. იგი დაუკავშირდა ბ. კ-ას, რომელმაც უარყო ეს ფაქტი. შემდეგ იგი თ-ი დაუკავშირდა სხვა ადვოკატს, რომლისგანაც შეიტყო, რომ უძრავი ქონების რეგისტრაციის შემდეგ, ბ. კ-ამ მას მოტყუებით მოაწერიდა ხელი ინგლისურენოვან ნასყიდობის ხელშეკრულებებზე, რის საფუძველზეც, თაღლითურად,

დაეუფლა მისი და მისი შვილების კუთვნილ ექვსივე უძრავ ქონებას. რეალურად, მას ბ. კ-ასთვის უძრავი ქონება არ მიუყიდა და, სანაცვლოდ, არც თანხა აუღია მისგან. ბ. კ-ას ქმედებებით, მას საერთო ჯამში, 500 000 აშშ დოლარის, ოდენობის მატერიალურ ზიანი მიადგა. მას ბ. კ-ას მიმართ გააჩნია პრეტენზია და ითხოვს ქონების სრულად დაბრუნებას.

29. სასამართლოში დაკითხულმა მონემ – ნ. ხ-ნმა – განმარტა, რომ არის ფ. მ-ისა და ჯ. ხ-ნის შვილი. მას ჰყავს და-ძმა. მამამისი – ჯ. ხ-ნი – გარდაიცვალა 2018 წელს. გარდაცვალებამდე მამამისმა ოჯახის დახმარებით, ინვესტიციის ჩადების მიზნით, საქართველოში შეიძინა ექვსი უძრავი ქონება – სამი ბინა, ორი პარკინგი და ერთი მიწის ნაკვეთი. მისი გარდაცვალების შემდეგ, მემკვიდრეობის საკითხების მოგვარების მიზნით, მან და მისმა დედ-მამიშვილებმა მინდობილობა მისცეს ფ. მ-ს. ეს უკანასკნელი ჩამოვიდა საქართველოში და დაიწყო უძრავი ქონების მემკვიდრეობით გადაფორმების პროცესი, თუმცა სამი უძრავი ქონების მემკვიდრეობით მიღება შეფერხდა. ამას დამატა პანდემიით გამოწვეული შეზღუდვები. ფ. მ-მა მას სატელეფონო საუბრისას უთხრა, რომ იუსტიციის სახლში ჰყავდა ნაცნობი, სახელად ბ., რომელსაც ნაცნობების მეშვეობით შეეძლო ქონების გადაფორმების პროცესის დაჩქარება. ამის გამო, დედამისი ძალიან გახარებული იყო. ბ. კ-ა მას დისტანციურად, ვიდეოკამერით აჩვენებდა თითოეულ დოკუმენტს, რომელთაგან ექვსივე იყო ერთ გვერდიანი. შემდეგ ბ. კ-ამ დედამისს უთხრა, რომ ექვსივე უძრავი ქონება გადაფორმდა მის სახელზე, რის გამოც, ფ. მ-ი იყო ძალიან გახარებული. ამავე პერიოდში მას აინტერესებდა უძრავ ქონებაზე ფასის დადგენა, რის გამოც, თ-ი მის ქართველ მეგობარს – ნ. ა-ს – მისწერა ქონების საკადასტრო კოდები და სთხოვა ფასების დადგენა. ნ. ა-მა საჯარო რეესტრში გადაამოწმა საკადასტრო კოდები და აღმოაჩინა, რომ ხსენებული უძრავი ქონების მესაკუთრედ რეგისტრირებული იყო ბ. კ-ა. ამის გამო, ისინი მძიმე ემოციურ მდგომარეობაში ჩავარდნენ. მათ ერთად დაურეკეს ბ. კ-ას, რომელმაც უარყო აღნიშნული ფაქტი და უთხრა, რომ უძრავი ქონება მათ სახელზე იყო დარეგისტრირებული. ამჟამად აღნიშნული უძრავი ქონების ბედი სამოქალაქო სამართლებრივი წესით უნდა გადაწყდეს. ხელშეკრულების გაფორმებისას დედამისმა იუსტიციის სახლში ინგლისურენოვან დოკუმენტს მოაწერა ხელი, რადგან ბ. კ-ამ დაარწმუნა, რომ, ასეთ შემთხვევაში, მალე დაირეგისტრირებდა ქონებას. რეალურად, დედამისმა ინგლისური საერთოდ არ იცის. ამ ყველაფრის შემდეგ, ბ. კ-ამ მათი ტელეფონები დაბლოკა, უძრავი ქონებები კი, გასაყიდად განათავსა ინტერნეტ საიტზე. ამის გამო, მათ მიმართეს სამართალდამცავ ორგანოებს და დაიწყო გამოძიება.

30. მსგავსი ჩვენება მისცეს სასამართლოს მოწმედ დაკითხულმა – ა. და რ. ხ-ნებმა.

31. სასამართლოში დაკითხულმა მოწმემ – ნ. ა-მა – განმარტა, რომ 2016 წლისთვის ჰქონდა უძრავი ქონების სააგენტო. მან, შუამავლის მეშვეობით, ი. მოქალაქე ჯ. ხ-ნის მიჰყიდა უძრავი ქონება, რომელიც მდებარეობდა თ-ი, დიდი დილომში, რ-ში. ამის შემდეგ, მასთან ჩამოუყალიბდა ნორმალური ურთიერთობა და საქართველოში სხვა ქონების შეძენის მიზნით, მეუღლესა და შვილებთან ერთად, მიდიოდა მასთან ოფისში. ისინი ერთმანეთთან საუბრობდნენ თარჯიმნის ან ნ. ხ-ნის მეშვეობით, რადგან მათგან მან იცოდა ინგლისური. 2019 წლის ბოლოს, ნ. ხ-ნმა მას მისწერა, რომ მამამისი გარდაიცვალა და სურდათ საქართველოში სამკვიდროს მიღება, აინტერესებდა, აუცილებელი იყო თუ არა ადვოკატის აყვანა. მან აუხსნა, რა პროცედურების გავლა იყო საჭირო საქართველოში სამკვიდროს მისაღებად და ადვოკატის აყვანა აუცილებელი არ იყო. შემდეგ ნ-მ მას მინერა, რომ ყველაფერი გაკეთებული ჰქონდა. გარკვეული პერიოდის შემდეგ, საქართველოში ჩამოვიდა ფ. მ-ი, რომელიც მივიდა მასთან ოფისში, თუმცა, ვინაიდან მან ინგლისური არ იცოდა, ნ. ხ-ნის დახმარებით, ესაუბრა და გააგზავნა კ-ის ქუჩაზე მდებარე სანოტარო ბიუროში, ნოტარიუს ნ. შ-თან. გარკვეული პერიოდის გასვლის შემდეგ, ნ. ხ-ნმა უთხრა, რომ სურდა დ-ში არსებული მიწის ნაკვეთის გაყიდვა. მან გადაამოწმა საჯარო რეესტრში აღნიშნული მიწის ნაკვეთი საკადასტრო კოდით, რა დროსაც აღმოაჩინა, რომ ქონება გადაფორმებული იყო ბ. კ-ას სახელზე. იგი დაუყოვნებლივ დაუკავშირდა ნ. ხ-ნს და უთხრა აღნიშნულის თაობაზე, რაც ამ უკანასკნელისთვის მოულოდნელი აღმოჩნდა. მან გადაამოწმა ოჯახის სხვა უძრავი ქონებებიც. შედეგად, გაირკვა, რომ ყველა უძრავი ქონება ერთ დღეს იყო გადაფორმებული ბ. კ-ას სახელზე. ხელშეკრულებებზე ფ. მ-ს ხელი ინგლისურ ენაზე ჰქონდა მოწერილი. ვინაიდან საქმე ექვსი უძრავი ქონების ერთდროულად გადაფორმებას ეხებოდა, მან საეჭვოდ მიიჩნია ეს ფაქტი. ფ. მ-მა განუმარტა, რომ ბ. კ-ა იყო სპარსული ენის თარჯიმანი, რომელიც ეხმარებოდა ქონების დარეგისტრირებაში. ამ საკითხთან დაკავშირებით იგი დაუკავშირდა ბ. კ-ას და პირადად შეხვდა, რა დროსაც ბ. კ-ამ მას ჰკითხა, თუ რატომ იყო ასეთი დარწმუნებული, რომ ფ. მ-ს მისგან თანხა არ აეღო. თავის მხრივ, ფ. მ-ი კატეგორიულად უარყოფდა ქონების გაყიდვისა და ფულის აღების ფაქტს. ამის გამო, მან დაუყოვნებლივ მიმართა საჯარო რეესტრს ქონებებზე ყადაღის დადების მოთხოვნით და განუცხადა პოლიციას.

32. სასამართლოში დაკითხულმა მოწმემ – მ. თ-ემ – განმარტა, რომ 2020 წლის შემოდგომაზე გადაწყვიტა ბინის შექენა. ინტერნეტსაიტის მეშვეობით მოძებნა ბინა, რომელიც მდებარეობდა ქ. ა-ში. იგი მივიდა

მისამართზე, სადაც დახვდა მაკლერი, რომელმაც გააცნო ბინის მესაკუთრე – ბ. კ-ა. ბინის დათვლიერების შემდეგ გადაწყვიტა მისი შეძენა, რომელსაც ჰქონდა ავტოსადგომიც. ბინა შეიძინა 66 000 აშშ დოლარად. აღნიშნული თანხა მან გადაურიცხა ბ. კ-ას საბანკო ანგარიშზე. ამის შემდეგ, მან შეცვალა ბინის კარის საკეტი და გადავიდა საცხოვრებლად. გარკვეული პერიოდის შემდეგ შეიტყო, რომ მისი ბინა იყო დაყადლებული. მან ამის შესახებ დაურეკა ბ. კ-ას, რომელმაც დაამშვიდა და უთხრა, რომ მამამისი იყო ადვოკატი და ყოფილი მოსამართლე, რომელიც ყველაფერს მოაგვარებდა.

33. სასამართლოში დაკითხულმა მონემ – ნ. დ-მა – განმარტა, რომ არის ინგლისური ენის თარჯიმანი. დაახლოებით, 2020 წლის სექტემბერში, მას დაუკავშირდა ნაცნობი, სპარსული ენის თარჯიმანი – ბ. კ-ა, რომელმაც სთხოვა ხელშეკრულებების თარგმნა ქართულიდან ინგლისურ ენაზე. იგი დასთანხმდა და მეორე დღისთვის, მან ბ. კ-ას ქართულიდან ინგლისურ ენაზე უთარგმნა ექვსი უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება, რომელთა მონაცემებიც თავად ბ. კ-ას ჰქონდა შედგენილი. დოკუმენტების ფორმა იყო საჯარო რეესტრის სტანდარტული შაბლონის მიხედვით. ხელშეკრულებების მიხედვით, უძრავი ქონების მყიდველი იყო ბ. კ-ა, ხოლო გამყიდველი – ი-ი ქალბატონი. მეორე დღეს, მან ნათარგმნი ხელშეკრულებები საჯარო რეესტრთან მიანოდა ბ. კ-ას, რომელიც იმყოფებოდა უცნობ ი. ქალბატონთან ერთად. მათ გადახედეს ხელშეკრულებებს და შევიდნენ ოპერატორთან. ხსენებულ ქალბატონს მისთვის არაფერი უკითხავს და არც რაიმე პრეტენზია გამოუხატავს. თვითონ მხოლოდ მიესალმა და დაემშვიდობა ამ ქალბატონს ინგლისურ ენაზე, სხვა საუბარი მასთან არ ჰქონია. ი-ი ქალბატონი მხოლოდ ბ. კ-ას ესაუბრებოდა, მათ შორის, იმ დროსაც, როდესაც საჯარო რეესტრის ოპერატორებთან ხელს აწერდნენ. მას ამ ქალბატონის და ბ-ს საუბრის შინაარსი არ გაუგონია. მონემ არც ის გადაუმონმეზია, ხსენებულმა ქალბატონმა იცოდა თუ არა ინგლისური ენა. ნათარგმნი ხელშეკრულებები მათ ჩააბარეს საჯარო რეესტრის ოპერატორებს. ოპერატორმა პასპორტით და პირადობის მოწმობებით გადაამონმა მონაცემები და მოანერჩინა ხელი ხელშეკრულებებზე.

34. სასამართლოში დაკითხულმა მონემ – ნ. შ-მა – განმარტა, რომ არის ნოტარიუსი. მისი სანოტარო ბიურო მდებარეობს თ-ი, კ-ის ქუჩის №-ში. 2019 წლის დეკემბერში, მას მიმართა ფ. მ-მა, რომელმაც მოითხოვა სამკვიდრო მოწმობის გაცემა. ამ უკანასკნელს ჰქონდა შვილების მინდობილობები და ქართულად ნათარგმნი ი-ი გაცემული სამკვიდრო მოწმობა. იგი სანოტარო ბიუროში მივიდა სპარსული ენის თარჯიმან ს. ს-თან ერთად, რომლის მეშვეობითაც ამყარებდა კომუნიკაციას. მონემ ფ. მ-ს კიდევ რამდენჯერმე შეხვდა, რადგან საჯარო რეესტრმა არ

დაარეგისტრირა ქონება. ფ. მ-თან ყოველთვის სპარსული ენის თარჯიმნის დახმარებით ამყარებდა კომუნიკაციას, რადგან ამ უკანასკნელმა სხვა ენა არ იცოდა. ფ. მ-მა ერთხელ თარჯიმნის ნაცვლად მიიყვანა შვილი და უთხრა, რომ მან იცოდა ინგლისური და მისი მეშვეობით ეკონტაქტა.

35. სასამართლოში დაკითხულმა მოწმემ – ს. ს-მა – განმარტა, რომ არის სპარსული ენის თარჯიმანი და მუშაობს თ-ი, კ-ის ქუჩის №...-ში მდებარე თარჯიმანთა ბიუროში. 2019 წელს, მასთან ბიუროში მივიდა ი. მოქალაქე ფ. მ-ი, რომელსაც სურდა მეუღლის სამკვიდროს გახსნა და სამკვიდრო ქონების მიღება, თავისი და შვილების სახელზე. ამასთან დაკავშირებით მან ფ. მ-ი მიიყვანა კ-ის ქუჩის №...-ში მდებარე სანოტარო ბიუროში. იქ ნოტარიუსმა, ნ. შ-მა, განუმარტა საჭირო დოკუმენტების თაობაზე. გარკვეული დოკუმენტები მას ნათარგმნი ჰქონდა, ხოლო დანარჩენი თავად უთარგმნა და ჩააბარებინა ნ. შ-ის სანოტარო ბიუროში. რამდენიმე დღეში ფ. მ-ის სახელზე გაცა სამკვიდრო მოწმობა, რის შემდეგაც უნდა დაწყებულიყო სამკვიდრო ქონებების გადმოფორმება, თუმცა საჯარო რეესტრში დახარვეზდა დოკუმენტები. მოწმის განმარტებით, ფ. მ-ი სანოტარო ბიუროში ყოფნისას მას ურეკავდა და მისი მეშვეობით ამყარებდა კომუნიკაციას.

36. სასამართლოში დაკითხულმა გამოძიებლებმა – ე-ემ და ნ-ამ – დაადასტურეს მოცემულ სისხლის სამართლის საქმეზე მათ მიერ ჩატარებული საგამოძიებო/საპროცესო მოქმედებების კანონთან შესაბამისობა.

37. პირველი ინსტანციის სასამართლოში უდავო მტკიცებულებებად იქნა ცნობილი ბრალდების მხარის სხვა, მათ შორის, წერილობითი მტკიცებულებები.

38. სასამართლოში დაკითხულმა მოწმემ – დ. ა-მა – განმარტა, რომ არის ნოტარიუსი. მან დაამოწმა ფ. მ-ის მიერ, 2020 წლის 17 სექტემბერს, ბ. კ-აზე გაცემული რწმუნებულება/მინდობილობა ქართულ-ინგლისურ ენაზე. აღნიშნული მინდობილობა თავად გასცა მარწმუნებლის კარნახით. მის ბიუროში ბ. კ-ასა და ფ. მ-ის გარდა, მისული იყო ინგლისური ენის თარჯიმანი – ა-ა.

39. ბ. კ-ამ წარდგენილ ბრალდებაში თავი არ ცნო დამნაშავედ და სასამართლოში დაკითხვისას განმარტა, რომ ფ. მ-ი ვაიცნო სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას. აღნიშნულმა პირმა პანდემიის პერიოდში დაურეკა და სთხოვა მეუღლის სამკვიდრო მოწმობის თარგმნა, რაც მეუღლის სახელზე რიცხული ქონების მემკვიდრეობით მისაღებად ესაჭიროებოდა. ექვსიდან ოთხ უძრავ ქონებაზე რეგისტრაცია უკვე დასრულებული იყო, ხოლო ორს – ავტოსადგომსა და მიწის ნაკვეთს ჰქონდა პრობლემა. ვინაიდან ფ. მ-ი აპირებდა ამ ქონების გა-

ყიდვას, იგი დაინტერესდა ამ ქონებებით და შესთავაზა, რომ 159 000 აშშ დოლარად თავად იყიდიდა მათ, რაზეც თანხმობა მიიღო. იგი იუსტიციის სახლში 14 სექტემბერს მივიდა ფ. მ-სა და თარჯიმან ნ. დ-თან ერთად, სადაც გაფორმდა ხელშეკრულებები. ხელშეკრულებებს გარკვევით ეწერა „ნასყიდობის ხელშეკრულება“ და შესრულებული იყო როგორც ქართულ, ასევე – ინგლისურ ენებზე. ნასყიდობის ღირებულება მან ფ. მ-ს გადასცა თავის ოფისში, რეესტრში ხელშეკრულების გაფორმებამდე. გარკვეული პერიოდის შემდეგ, ფ. მ-მა დაურეკა და აღელვებული ხმით სთხოვდა ხელშეკრულების გაუქმებას. შემდეგ შვილს გადასცა ტელეფონი, რომელიც მას მისთვის მიუღებელ რაღაცებს ეუბნებოდა და აბრალებდა. ისინი ფულის დაბრუნებასაც სთავაზობდნენ, მაგრამ მან კატეგორიული უარი უთხრა ფულის დაბრუნებაზე. მან ფ. მ-ის შვილებს აუხსნა, რომ ქონება ნასყიდობის ხელშეკრულებით შეიძინა. მოგვიანებით, არაერთი ექსპერტიზის დასკვნით დადასტურდა, რომ ხელწერილზე ნამდვილად ფ. მ-ის ხელმოწერა იყო. ის და ფ. მ-ი ერთმანეთთან საუბრობდნენ ინგლისურ და სპარსულ ენებზე. ფ. მ-ი თარჯიმანსა და საჯარო რეესტრის ოპერატორსაც ინგლისურად ესაუბრებოდა.

40. საკასაციო სასამართლო წინა ეპიზოდის მსგავსად, მიიჩნევს, რომ დაზარალებულისა და ბრალდების მხარის სხვა მოწმეების ჩვენებები ერთმანეთთან და განსახილველ სისხლის სამართლის საქმეში წარმოდგენილ სხვა წერილობით მტკიცებულებებთან თანხვედნილია. ჩვენების მიცემისას ფ. მ-ი დამაჯერებლად და არგუმენტირებულად თხრობდა ბ. კ-ასთან ურთიერთობის დეტალებს. საგულისხმოა, რომ საქმის არსებითი განხილვისას, მისი ან სხვა რომელიმე მოწმის მხრიდან, ბ. კ-ას მიმართ პირადი დაინტერესება, ნეგატიური სუბიექტური დამოკიდებულება ან დანაშაულის დაბრალების რაიმე პირადი მოტივი არ გამოკვეთილა. შესაბამისად, მათი ჩვენებების სანდოობა ობიექტური დამკვირვებლის თვალში რაიმე ეჭვს არ წარმოშობს.

41. დაზარალებულ ფ. მ-ის, მისი შვილების – ნ., ა. და რ. ხ-ნების – ჩვენებებით და საჯარო რეესტრიდან მოპოვებული დოკუმენტაციით დადგენილია, რომ ფ. მ-ის მეუღლეს – ჯ. ხ-ნის – საქართველოში გააჩნდა ბრალდების შესახებ დადგენილებაში მითითებული ექვსი უძრავი ქონება. აღნიშნული ფაქტი მხარეთა მიერ სადავოდ არ გამხდარა. ჯ. ხ-ნის გარდაცვალების შემდეგ, სამი უძრავი ქონება მემკვიდრეებმა დაირეგისტრირეს, ხოლო, დანარჩენი სამი ქონება, 2020 წლის 15 სექტემბერს, ბ. კ-ას დახმარებით, დარეგისტრირდა ნილობრივად, ფ. მ-ისა და მისი შვილების საკუთრებად, თანასაკუთრების უფლებით. იმავე დღეს, ინგლისურენოვანი ნასყიდობის ხელშეკრულებების საფუძველზე, ბ. კ-ას სახელზე დარეგისტრირდა ხსენებული ექვსივე უძრავი ქონება.

მხარეთა შორის სადავო აღნიშნული უძრავი ქონებების მოტყუებით, მართლსაწინააღმდეგოდ მისაკუთრების ფაქტი.

42. დაზარალებულ ფ. მ-ის განმარტებით, ბ. კ-ამ დაარწმუნა, რომ საჯარო რეესტრის მიერ დადგენილი ხარვეზის აღმოსაფხვრელად, აუცილებელი იყო ინგლისურენოვან დოკუმენტზე ხელის მოწერა. მიუხედავად იმისა, რომ ინგლისური საერთოდ არ იცოდა, ბ. კ-ას დავალებით, ივარჯიშა საკუთარი სახელისა და გვარის ინგლისურად დანერაში და იუსტიციის სახლში ბ. კ-ას მიერ წარდგენილ დოკუმენტებს, მისდამი არსებული ნდობის გათვალისწინებით, ხელი წაუკითხავად მოაწერა. მომდევნო დღეს, იგი დაბრუნდა ი-ი, სადაც შვილებთან ერთად აღნიშნა ქონების წარმატებით გადაფორმება. დაახლოებით, ორ კვირაში, თედან აცნობეს, რომ მათი ქონება რეგისტრირებული იყო ბ. კ-ას სახელზე.

43. საქმის ფაქტობრივი გარემოებები დაზარალებულის ჩვენების შესაბამისად აღწერეს დაზარალებულის შვილებმა, რომელთა მონათხრობი, თავის მხრივ, თანხვედბა ნ. ა-ის ჩვენებას.

44. დაცვის მხარის მტკიცებით, დაზარალებულმა, ფ. მ-მა, ბ. კ-ასთან ნებაყოფლობით გააფორმა ექვსი უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლისთვისაც აიღო შესაბამისი თანხა, თუმცა აღნიშნული ფაქტი ბ. კ-ას ჩვენების გარდა, სხვა ობიექტური მტკიცებულებით არ დასტურდება. საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს ლოგიკურ დასკვნებს ნასყიდობის ხელშეკრულების ინგლისურ ენაზე გაფორმებასთან დაკავშირებით და საექვოდ მიიჩნევს ი. ქალბატონსა და ბ. კ-ას შორის, ხელშეკრულებების ინგლისურად გაფორმებას, მაშინ, როდესაც დაზარალებულის მშობლიური ენა სპარსულია და ბ. კ-აც სპარსული ენის თარჯიმანია. მეტიც, დაზარალებულმა საერთოდ არ იცოდა ინგლისური. ამ ფაქტის შესახებ ფ. მ-მა და სხვა მოწმეებმა ერთმნიშვნელოვნად განაცხადეს. საგულისხმოა ის გარემოებაც, რომ იუსტიციის სახლში რეგისტრატორებთან ურთიერთობაში დაზარალებულ ფ. მ-ს ეხმარებოდა ბ. კ-ა, კერძოდ, უთითებდა, როდის და სად უნდა მოეწერა ხელი.

45. დაზარალებულის მიერ ინგლისურის არცოდნა დასტურდება ნოტარიუს ნ. შ-ის ჩვენებითაც, რომლის თანახმად, ფ. მ-თან ყოველთვის სპარსული ენის თარჯიმნის დახმარებით ამყარებდა კომუნიკაციას, რადგან ამ უკანასკნელმა სხვა ენა არ იცოდა. ერთხელ, ფ. მ-მა თარჯიმნის ნაცვლად, მიიყვანა შვილი, რომელმაც იცოდა ინგლისური და უთხრა, რომ მისი მეშვეობით ეკონტაქტა.

46. ზემოაღნიშნული მტკიცებულებების საფუძველზე, საკასაციო სასამართლოს დადგენილად მიაჩნია, რომ ბ. კ-ამ მოტყუებით დაარწმუნა ფ. მ-ი, რომ გარდაცვლილი მეუღლის სახელზე საქართველოში

არსებულ უძრავ ქონებას გადაუფორმებდა. რეალურად, 2020 წლის 15 სექტემბერს, ინგლისურენოვანი ნასყიდობის ხელშეკრულებების საფუძველზე, ბ. კ-ა თაღლითურად დაეუფლა ფ. მ-ისა და მისი შვილების კუთვნილ ექვს უძრავ ქონებას, რომელთაგან ერთ-ერთი, მდებარე: თი, ქ. ა., ფ., საკადასტრო კოდით: ... – გაასხვისა მ. თ-ის სახელზე. აღნიშნული ქმედებით, ფ. მ-ს მიადგა დიდი ოდენობით, 1 049 491 ლარის, მატერიალური ზიანი.

47. სასამართლო ვერ გაიზიარებს დაცვის მხარის მითითებას, რომ ბ. კ-ას ქმედება არის სამოქალაქო სამართლებრივი დავის განხილვის საგანი. ზოგადად, თაღლითობისა და სამოქალაქო ურთიერთობის გამიჯვნისას აუცილებელია დადგინდეს გარიგების დადებისას ჰქონდა თუ არა პირს გადანყვებილი მოტყუებით დაუფლებოდა სხვის ქონებას და შემდეგ, განეკარგა ის საკუთარი სურვილისამებრ. თუ არ არსებობდა მოტყუებისა და სადავო ქონების მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზანი, საქმე გვექნება სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობასთან, წინააღმდეგ შემთხვევაში კი – თაღლითობასთან. მოცემულ შემთხვევაში, სასამართლო მიიჩნევს, რომ ბ. კ-ას დაზარალებულთან ურთიერთობის ყოველი ნაბიჯი მიემართებოდა ამ უკანასკნელის ოჯახის კუთვნილი უძრავი ქონების დაუფლებისკენ, რაც განხორციელდა კიდევ. შესაბამისად, ბ. კ-ასა და დაზარალებულს შორის არსებული ურთიერთობა საწყის ეტაპზევე წარმოადგენდა თაღლითობის კლასიკურ შემთხვევას, რა დროსაც ბ. კ-ა მოქმედებდა ანგარების მოტივით.

48. საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის შენიშვნის პირველ ნაწილში მითითებულია, რომ საქართველოს სსკ-ის საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა თავში დიდ ოდენობად ითვლება ნივთის ღირებულება 10 000 ლარის ზევით. მოცემულ შემთხვევაში, დაზარალებულისთვის მიყენებული ზიანი, საგრძნობლად აღემატება კანონმდებლის მიერ დიდი ოდენობის ზიანისთვის დაწესებულ მინიმალურ ნიშნულს. შესაბამისად, უტყუარად დასტურდება, რომ ბ. კ-ამ ჩაიდინა საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაული.

49. საკასაციო სასამართლოს შეფასებით, სააპელაციო სასამართლოს მიერ თითოეული დანაშაულისთვის დანიშნული სასჯელი კანონიერი და სამართლიანია – სრულად შეესაბამება ბ. კ-ას მიერ ჩადენილი დანაშაულის ხასიათსა და სიმძიმეს, დანაშაულის ჩადენის მოტივსა და მიზანს, ქმედებაში გამოვლენილ მართლსაწინააღმდეგო ნებას, მოვალეობათა დარღვევის ხასიათსა და ზომას, ქმედების განხორციელების სახეს, ხერხს, მართლსაწინააღმდეგო შედეგს და მის პიროვნებას.

50. ბ. კ-ასთვის საბოლოო სასჯელის განსაზღვრისას სასამართლო ითვალისწინებს „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17

სექტემბრის კანონს, რომელიც ცალკეული დანაშაულის ჩამდენი პირებისთვის შეღავათს ითვალისწინებს. აღნიშნული კანონის მე-12 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, მსჯავრდებულის (მათ შორის, ძეხვილი მსჯავრდებულის) მიმართ ამ კანონით გათვალისწინებული ამნისტიის აღსრულების მიზნით, გადაწყვეტილებას სისხლის სამართლის საქმის სასამართლო განხილვის სტადიაზე იღებს შესაბამისი სასამართლო.

51. „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტი ერთმნიშვნელოვნად განერს იმ დანაშაულთა ჩამონათვალს, რომლებზეც არ ვრცელდება ამ კანონით გათვალისწინებული ამნისტია. ასეთია, მათ შორის, საქართველოს სსკ-ის 194-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული. შესაბამისად, აღნიშნულ ეპიზოდთან მიმართებით, არ არსებობს დასახელებული ამნისტიის კანონის გამოყენების სამართლებრივი საფუძველი.

52. „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ერთი მეექვსედით უნდა შემცირდეს ვადიანი თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული სასჯელი პირს, რომელზეც არ ვრცელდება ამ კანონის პირველი-მე-3 მუხლებით გათვალისწინებული ამნისტია და რომელსაც ამ კანონის მე-7 მუხლით განსაზღვრული დანაშაული არ ჩაუდენია. განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ბ. კ-ასთვის საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით დანიშნული სასჯელი უნდა შემცირდეს ერთი მეექვსედით, რადგან დაზარალებულის თანხმობის არარსებობის პირობებში, მასზე არ ვრცელდება ამ კანონის პირველი-მე-3 მუხლებით გათვალისწინებული ამნისტია (კერძოდ, მე-2 მუხლის მე-2 პუნქტით სასჯელის განახევრების შესაძლებლობა) და ამასთან, დასახელებული მუხლი არ ექცევა ამნისტიის ხსენებული კანონის მე-7 მუხლით განსაზღვრულ საგამონაკლისო დანაშაულებში.

53. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს სსკ-ის 194-ე მუხლით დანიშნული უფრო მკაცრი სასჯელი შთანთქავს საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლებით დანიშნულ ნაკლებად მკაცრ სასჯელებს და შედეგად, ბ. კ-ასთვის საბოლოოდ დანიშნული სასჯელი არ იცვლება, „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონის აღსრულება ვერ იქნება დამოკიდებული სასჯელის დანიშვნის წესის (შთანთქმის, ნაწილობრივ შეკრების ან სრულად შეკრების) გამოყენებაზე, ვინაიდან სასჯელის შთანთქმა, იმავდროულად, არ გულისხმობს, მის გაუქმებას (იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2024 წლის 15 ნოემბრის №791-24 განჩინება). შესაბამისად, „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონი ამგვარ მოცემულობაშიც უნდა აღსრულდეს.

54. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მსჯავრდებულ

ბ. კ-ას ადვოკატის – თ. კ-ას – საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, თუმცა თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2025 წლის 7 აპრილის განაჩენი უნდა შეიცვალოს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის კანონით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. მსჯავრდებულ ბ. კ-ას ადვოკატის – თ. კ-ას – საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;

2. შეიცვალოს თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2025 წლის 7 აპრილის განაჩენი;

3. ბ. კ-ა ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 194-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისთვის და სასჯელად განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 9 წლით და 6 თვით;

4. ბ. კ-ა ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისთვის (მ. მ-სა და ხ. ჰ-ს ქონების ეპიზოდი) და სასჯელად განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 6 წლით და 6 თვით, რაც, „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, შეუმცირდეს ერთი მეექვსედით და სასჯელად განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 5 წლით და 5 თვით;

5. ბ. კ-ა ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისთვის (2020 წლის 15 სექტემბრის ეპიზოდი) და სასჯელად განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 6 წლით და 6 თვით, რაც, „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, შეუმცირდეს ერთი მეექვსედით და სასჯელად განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 5 წლით და 5 თვით;

6. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, უფრო მკაცრმა სასჯელმა შთანთქას ნაკლებად მკაცრი სასჯელები და, საბოლოოდ, დანაშაულთა ერთობლიობით, ბ. კ-ას სასჯელად განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 9 წლით და 6 თვით;

7. ბ. კ-ას სასჯელის მოხდა აეთვალოს დაკავების მომენტიდან – 2022 წლის 27 დეკემბრიდან;

8. ცნობად იქნეს მიღებული, რომ ბ. კ-ას მიმართ გამოყენებული აღკვეთის ღონისძიება – პატიმრობა – გაუქმებულია;

9. საქართველოს სსსკ-ის 81-ე მუხლის შესაბამისად, საქმეზე არსებული ნივთიერი მტკიცებულებების ბედი გადაწყდეს შემდეგნაირად: ტელეფონი დაუბრუნდეს მის კანონიერ მფლობელს ან მისი ნდობით აღჭურვილ პირს;

დისკები შენახულ იქნეს საქმის შენახვის ვადით;

10. განაჩენი საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა
ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ს ა ხ ა ლ ი თ
უ ზ უ ს ტ ო ბ ის ა ლ მ ო ფ ს ვ რ ის შ ე ს ა ხ ე ბ

№486აპ-25

18 ნოემბერი, 2025 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

მ. გაბინაშვილი (თავმჯდომარე),
მ. ვასაძე,
ნ. სანდოძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა ბ. კ-ას მიმართ, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2025 წლის 15 ოქტომბერის განაჩენში დაშვებული უზუსტობის აღმოფხვრის საკითხი.

აღწერილობით-სამოტივაციო ნაწილი:

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2025 წლის 15 ოქტომბრის განაჩენით, ბ. კ. ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 194-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეუნიექტითა და საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეუნიექტით (ორი ეპიზოდი) გათვალისწინებული დანაშაულთა ჩადენისთვის და, დანაშაულთა ერთობლიობით, საბოლოო სასჯელად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 9 წლით და 6 თვით, რაც აეთვალა 2022 წლის 27 დეკემბრიდან.

აღნიშულ განაჩენში დაშვებულია ტექნიკური უზუსტობა. კერძოდ, არ არის გადანყვეტილი იმავე სისხლის სამართლის საქმის ფარგლებში დაყადაღებული შემდეგი უძრავი ქონებების საკითხი:

- თ-ში, ქ. ა-ის გზატკეცილი №0-ში მდებარე, ბ. კ-ას სახელზე რეგისტრირებული უძრავი ქონება, საკადასტრო კოდით – ...;
 - თ-ში, ქ. ა-ის გზატკეცილი №0, ფართი №0, ბინა №-ში მდებარე, მ. თ-ის სახელზე რეგისტრირებული უძრავი ქონება, საკადასტრო კოდით – ...;
 - თ-ში, ბ. კ-ის ქუჩა №... და პ. ა-ის ქუჩა №... (ქუჩების კვეთაზე არსებული კორპუსი), სართული ..., ბინა №-ში მდებარე, ბ. კ-ას სახელზე რეგისტრირებული უძრავი ქონება, საკადასტრო კოდით – ...;
 - თ-ში, ქ. ა-ის გზატკეცილი №..., ავტოსადგომი №..., ნიშნული №-ში მდებარე, ბ. კ-ას სახელზე რეგისტრირებული უძრავი ქონება, საკადასტრო კოდით – ...;
 - თ-ში, ქ. ა-ის გზატკეცილი №..., ავტოსადგომი №..., ნიშნული №-ში მდებარე, მ. თ-ის სახელზე რეგისტრირებული უძრავი ქონება, საკადასტრო კოდით – ...;
 - თ-ში, ს. დ., რ-ის ქუჩა №-ში მდებარე, ბ. კ-ას სახელზე რეგისტრირებული უძრავი ქონება, საკადასტრო კოდით – ...;
 - თ-ში, წ-ის გზატკეცილი №..., ბინა №-ში მდებარე, შ. ფ-ის სახელზე რეგისტრირებული უძრავი ქონება, საკადასტრო კოდით – ...
- სასამართლოს შეფასებით, აღნიშნული წარმოადგენს ტექნიკურ ხარვეზს და უნდა აღმოიფხვრას, თანახმად საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 287-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტისა: „გადანწყვეტილების მიმღებ სასამართლოს უფლება აქვს, ზეპირი მოსმენის გარეშე განჩინებით აღმოფხვრას გადანწყვეტილებაში არსებული ბუნდოვანება-უზუსტობა, რაც არ გამოიწვევს მის გაუქმებას ან შეცვლას, კერძოდ, დააზუსტოს ქონებაზე ყადაღის საკითხი.“
- ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 287-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტით და

და ა დ ბ ი ნ ა :

1. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2025 წლის 15 ოქტომბრის განაჩენის სარეზოლუციო ნაწილს დაემატოს შემდეგი აბზაცები:

1.1. გაუქმდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 18 სექტემბრის №... და 2022 წლის 1 დეკემბრის №... განჩინებებით:

ბ. კ-ას სახელზე რეგისტრირებულ უძრავ ქონებაზე (მდებარე: თ-ში, ქ. ა-ის გზატკეცილი №-ში, საკადასტრო კოდით – ...) დადებული ყადაღა;

· მ. თ-ის სახელზე რეგისტრირებულ უძრავ ქონებაზე (მდებარე:

თ-ში, ქ. ა-ის გზატკეცილი №..., ფართი №..., ბინა №..., საკადასტრო კოდით – ...) დადებული ყადაღა;

ბ. კ-ას სახელზე რეგისტრირებულ უძრავ ქონებაზე (მდებარე: თ-ში, ბ. კ-ის ქუჩა №... და პ. ა-ის ქუჩა №... (ქუჩების კვეთაზე არსებული კორპუსი), სართული ..., ბინა №-ში მდებარე, საკადასტრო კოდით ...) დადებული ყადაღა;

ბ. კ-ას სახელზე რეგისტრირებულ უძრავ ქონებაზე (მდებარე: თ-ში, ქ. ა-ის გზატკეცილი №..., ავტოსადგომი №..., ნიშნული №..., საკადასტრო კოდით – ...) დადებული ყადაღა;

· მ. თ-ის სახელზე რეგისტრირებულ უძრავ ქონებაზე (მდებარე: თ-ში, ქ. ამირეჯიბის გზატკეცილი №..., ავტოსადგომი №..., ნიშნული №..., საკადასტრო კოდით – ...) დადებული ყადაღა;

· ბ. კ-ას სახელზე რეგისტრირებულ უძრავ ქონებაზე (მდებარე: თ-ში, ს. დ., როსტევიანის ქუჩა №..., საკადასტრო კოდით – ...) დადებული ყადაღა.

1.2. გაუქმდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 13 აგვისტოს №... და 2022 წლის 23 ნოემბრის №... განჩინებებით, შ. ფ-ის სახელზე რეგისტრირებულ უძრავ ქონებაზე (მდებარე: თ-ში, წ-ის გზატკეცილი №..., ბინა №..., საკადასტრო კოდით – ...) დადებული ყადაღა.

2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2025 წლის 15 ოქტომბრის განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად;

3. აღნიშნული განჩინება წარმოადგენს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2025 წლის 15 ოქტომბრის განაჩენის განუყოფელ ნაწილს;

4. განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

4. ნარკოტიკული დანაშაული

ნარკოტიკული საშუალების უკანონო შექმნა, შენახვა და გასაღება

განაჩენი საქართველოს სახელმწიფო

№393აპ-25

2 ოქტომბერი, 2025 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:
ნ. სანდოძე (თავმჯდომარე),
მ. გაბინაშვილი,
ლ. თევზაძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2024 წლის 26 ნოემბრის განაჩენზე, მსჯავრდებულ ნ. დ-ის ინტერესების დამცველი ადვოკატის ლ. გ-ის საკასაციო საჩივარი.

აღწერილობით-სამოტივაციო ნაწილი:

1. ნარდგენილი ბრალდების არსი:

1.1. ნ. დ-ი ცნობილ იქნა ბრალდებულად საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის (შემდგომში – საქართველოს სსკ-ის) 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „დ“ და ამავე მუხლის მე-5 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტებით (ნარკოტიკული საშუალების უკანონო შექმნა, შენახვა და გასაღება, ჩადენილი არაერთგზის (ორი ეპიზოდი)) გათვალისწინებული დანაშაულებისთვის, რაც გამოიხატა შემდეგით:

1.2. 2023 წლის 8 სექტემბერს, სალამოს საათებში, ქალაქ ბ. რკინიგზის ლიანდაგების მიმდებარე ტერიტორიაზე, 2023 წლის 10 მარტის განაჩენით, საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის ნასამართლევა ნ. დ-მა ვ. ჭ-ემ უკანონოდ გაასალა ნარკოტიკული საშუალება, კერძოდ, 40 ლარის სანაცვლოდ გადასცა გამოძიებით დაუდგენელ დროსა და ვითარებაში უკანონოდ შექმნილი და შენახული 0,0046 გრამი ნარკოტიკული საშუალება „ბუპრენორფინის“ შემცველი ხსნარი.

1.3. 2023 წლის 12 სექტემბერს, დღის საათებში, ქალაქ ბ. რკინიგზის ლიანდაგების მიმდებარე ტერიტორიაზე, 2023 წლის 10 მარტის განაჩენით, საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის ნასამართლევი

მა ნ. დ-მა ვ. ჭ-ემ უკანონოდ გაასალა ნარკოტიკული საშუალება, კერძოდ, 60 ლარის სანაცვლოდ გადასცა გამოძიებით დაუდგენელ დროსა და ვითარებაში უკანონოდ შექმნილი და შენახული 0,0026 გრამი ნარკოტიკული საშუალება „ბუპრენორფინის“ შემცველი ხსნარი.

2. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება:

2.1. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2024 წლის 23 მაისის განაჩენით, ნ. დ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტითა და ამავე მუხლის მე-5 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენისათვის (ორი ეპიზოდი) და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა:

საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტითა და ამავე მუხლის მე-5 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით (2023 წლის 8 სექტემბრის ეპიზოდი) – 12 წლით თავისუფლების აღკვეთა.

საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტითა და ამავე მუხლის მე-5 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით (2023 წლის 12 სექტემბრის ეპიზოდი) – 12 წლითა და 2 თვით თავისუფლების აღკვეთა.

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, უფრო მკაცრმა სასჯელმა შთანთქა ნაკლებად მკაცრი სასჯელი და ნ. დ-ს დანაშაულთა ერთობლიობით სასჯელად განესაზღვრა 12 წლითა და 2 თვით თავისუფლების აღკვეთა.

საქართველოს სსკ-ის 67-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე, გაუქმდა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2023 წლის 10 მარტის განაჩენით დანიშნული პირობითი მსჯავრი.

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, ბოლო განაჩენით დანიშნულმა სასჯელმა შთანთქა წინა განაჩენით დანიშნული ძირითადი სასჯელის მოუხდელი ნაწილი, ხოლო საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-8 ნაწილის გამოყენებით, ბოლო განაჩენით დანიშნულ ძირითად სასჯელს დაემატა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2023 წლის 10 მარტის განაჩენით დანიშნული დამატებითი სასჯელის – 20000 ლარის ოდენობით ჯარიმის მოუხდელი ნაწილი – ჯარიმა 12000 ლარის ოდენობით, სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ და საბოლოოდ, განაჩენთა ერთობლიობით, ბრალდებულ ნ. დ-ს ძირითად სასჯელად განესაზღვრა 12 წლითა და 2 თვით თავისუფლების აღკვეთა და დამატებით სასჯელად განესაზღვრა ჯარიმა 12000 ლარის ოდენობით.

მსჯავრდებულ ნ. დ-ს, როგორც ნარკოტიკული საშუალების გამსაღებელს, „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, 5 წლის ვადით ჩამოერთვა სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება, 15 წლით ჩამოერთვა: საად-

ვოკატო საქმიანობის უფლება; პედაგოგიური და საგანმანათლებლო დაწესებულებაში საქმიანობის უფლება; სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში – საჯარო სამსახურში საქმიანობის უფლება; პასიური საარჩევნო უფლება; იარაღის დამზადების, შექმნის, შენახვისა და ტარების უფლება, ხოლო 20 წლის ვადით ჩამოერთვა საექიმო და ფარმაცევტული საქმიანობის უფლება, აგრეთვე აფთიაქის დაფუძნების, ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის უფლება.

მსჯავრდებულ ნ. დ-ს სასჯელის მოხდის ვადის ათვლა დაეწყო დაკავების მომენტიდან – 2023 წლის 12 სექტემბრიდან.

2.2. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2024 წლის 23 მაისის განაჩენი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში გაასაჩივრა ბათუმის რაიონული პროკურატურის პროკურორმა, ხატია ჩხენკელმა, და მოითხოვა ნ. დ-ისათვის დანიშნული სასჯელის დამძიმება.

2.3. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2024 წლის 23 მაისის განაჩენი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში, ასევე გაასაჩივრა მსჯავრდებულ ნ. დ-ის ინტერესების დამცველმა ადვოკატმა, ლ. გ-ემ, რომელმაც მოითხოვა ნ. დ-ის გამართლება ნარკოტიკული საშუალების გასაღების ნაწილში და მისთვის დანიშნული სასჯელის შემსუბუქება.

3. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება:

3.1. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2024 წლის 26 ნოემბრის განაჩენით, ბათუმის რაიონული პროკურატურის პროკურორ ხატია ჩხენკელისა და მსჯავრდებულ ნ. დ-ის ინტერესების დამცველის, ადვოკატ ლ. გ-ის სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა, თუმცა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2024 წლის 23 მაისის განაჩენში შევიდა ცვლილება, კერძოდ:

ნ. დ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტითა და ამავე მუხლის მე-5 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენისათვის (2023 წლის 8 სექტემბრისა და 2023 წლის 12 სექტემბრის ეპიზოდები) და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა:

საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტითა და ამავე მუხლის მე-5 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით (2023 წლის 8 სექტემბრის ეპიზოდი) – 12 წლით თავისუფლების აღკვეთა;

საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტითა და ამავე მუხლის მე-5 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით (2023 წლის 12 სექტემბრის ეპიზოდი) – 12 წლითა და 2 თვით თავისუფლების აღკვეთა.

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, უფრო მკაცრმა სასჯელმა შთანთქა ნაკლებად მკაცრი სასჯელი და ნ. დ-ს დანაშაულთა ერთობლიობით სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა – 12 წლითა და 2 თვით თავისუფლების აღკვეთა.

საქართველოს სსკ-ის 67-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, გაუქმდა ნ. დ-ისათვის ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2023 წლის 10 მარტის განაჩენით დანიშნული პირობითი მსჯავრი.

„ამნისტიის შესახებ“ 2024 წლის 17 სექტემბრის საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, ნ. დ-ს ორი მესამედით შეუმცირდა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 9 ნოემბრის განაჩენით დანიშნული ძირითადი სასჯელი – 5 წლით თავისუფლების აღკვეთა და განესაზღვრა 1 წლითა და 8 თვით თავისუფლების აღკვეთა.

მასვე, „ამნისტიის შესახებ“ 2024 წლის 17 სექტემბრის საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ერთი მეხუთედით შეუმცირდა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2023 წლის 10 მარტის განაჩენით დანიშნული ძირითადი სასჯელი – 5 წლით თავისუფლების აღკვეთა და განესაზღვრა – 4 წლით თავისუფლების აღკვეთა, რამაც შთანთქა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 9 ნოემბრის განაჩენით დანიშნული და „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე შემცირებული ძირითადი და დამატებითი სასჯელების მოუხდელი ნაწილი და განესაზღვრა 4 წლით თავისუფლების აღკვეთა.

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, ბოლო განაჩენით დანიშნულმა სასჯელმა შთანთქა წინა – ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2023 წლის 10 მარტის განაჩენით დანიშნული და „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე შემცირებული ძირითადი სასჯელის მოუხდელი ნაწილი – 4 წლით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-8 ნაწილის თანახმად, ბოლო განაჩენით დანიშნულ სასჯელს მთლიანად მიემატა წინა – ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2023 წლის 10 მარტის განაჩენით დანიშნული დამატებითი სასჯელის მოუხდელი ნაწილი – ჯარიმა 12000 ლარის ოდენობით და საბოლოოდ, განაჩენთა ერთობლიობით, ნ. დ-ს ძირითადი სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა 12 წლითა და 2 თვით თავისუფლების აღკვეთა და დამატებითი სასჯელის სახით განესაზღვრა ჯარიმა 12000 ლარი.

მსჯავრდებულ ნ. დ-ს სასჯელის მოხდის ვადის ათვლა დაეწყო დაკავების დღიდან – 2023 წლის 12 სექტემბრიდან.

მსჯავრდებულ ნ. დ-ს, როგორც ნარკოტიკული საშუალების გამსაღებელს, „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, 5 წლით ჩამოერთვა სატრანსპორტო

საშუალების მართვის უფლება, 15 წლით ჩამოერთვა: საადვოკატო საქმიანობის უფლება; პედაგოგიური და საგანმანათლებლო დანესებულებაში საქმიანობის უფლება; საჯარო სამსახურში საქმიანობის უფლება; პასიური საარჩევნო უფლება; იარაღის დამზადების, შექმნის, შენახვისა და ტარების უფლება, ხოლო 20 წლით ჩამოერთვა საექიმო და ფარმაცევტული საქმიანობის უფლება, აგრეთვე ავთიაქის და ფუძნების, ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის უფლება.

3.2. 2024 წლის 19 დეკემბერს, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2024 წლის 26 ნოემბრის განაჩენი საკასაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულ ნ. დ-ის ინტერესების დამცველმა ადვოკატმა – ლ. გ-ემ, რომელმაც საკასაციო საჩივრით მოითხოვა ნ. დ-ის უდანაშაულოდ ცნობა ნარკოტიკული საშუალებების გასაღების ეპიზოდებში და მისთვის დანიშნული სასჯელის შემსუბუქება.

4. კასატორის არგუმენტები:

4.1. კასატორის განმარტებით, გასაჩივრებული განაჩენი, ნ. დ-ის ნარკოტიკული საშუალებების გასაღების ეპიზოდებში დამნაშავედ ცნობის ნაწილში უკანონოა. საქმეზე გამოკვლეული მტკიცებულებებით უტყუარად დადასტურდა ნ. დ-ის მიერ ნარკოტიკული საშუალებების შექმნის ფაქტი, თუმცა მისი მიზანი არ ყოფილა ნარკოტიკული საშუალების გასაღება. შესაბამისად, იგი უდანაშაულოდ უნდა იქნეს ცნობილი გასაღების ეპიზოდებში და უფრო მსუბუქი სასჯელი უნდა დაენიშნოს.

5. საკასაციო სასამართლოს შეფასებები:

5.1. საკასაციო პალატამ ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა საკასაციო საჩივარი, შეამოწმა მისი საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ მსჯავრდებულ ნ. დ-ის ინტერესების დამცველი ადვოკატის – ლ. გ-ის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2024 წლის 26 ნოემბრის განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება.

5.2. საკასაციო პალატა თავდაპირველად აღნიშნავს, რომ სადავო გარემოებას არ წარმოადგენს ნ. დ-ის მიერ 2023 წლის 8 სექტემბერს და 12 სექტემბერს ნარკოტიკული საშუალებების უკანონოდ, არაერთგზის შექმნის ფაქტი, დაცვის მხარის საკასაციო საჩივარი შეეხება 2023 წლის 8 სექტემბერსა და 12 სექტემბერს ნარკოტიკული საშუალებების უკანონოდ გასაღების ეპიზოდებს. შესაბამისად, წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის ფარგლებში საკასაციო სასამართლოს მსჯელობის საგანია: სისხლის სამართლის საქმეში მოიპოვებოდა თუ არა საკმარის მტკიცებულებათა ერთობლიობა, რაც ნარკოტიკული საშუალებების გასაღების ეპიზოდებთან მიმართებით, გამამტყუნებელი განაჩენის

დადგენას დაედებოდა საფუძვლად.

5.3. ამასთან, სადავო ფაქტობრივ გარემოებას, ასევე არ წარმოადგენს, რომ ნ. დ-ი წარსულში ორჯერ იყო ნასამართლვეი ნარკოტიკული საშუალების უკანონო შექმნა/შენახვისათვის. შესაბამისად, იგი ბრალდწარდგენილი ქმედებების დროს ითვლებოდა ნარკოტიკული დანაშაულის ჩადენისათვის ნასამართლვე პირად, რაც სადავო არ გამხდარა სამართალწარმოების არცერთ ეტაპზე.

5.4. საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს დაცვის მხარის მითითებას, რომ ნ. დ-ს არ ჰქონდა ნარკოტიკული საშუალებების გასაღების მიზანი და სახეზეა მხოლოდ ნარკოტიკულ საშუალებათა უკანონო შექმნა/შენახვის ფაქტები. პალატა თავდაპირველად განმარტავს, რომ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით კრიმინალიზებულია დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ შექმნა, შენახვა, არაერთგზის, ხოლო ამავე მუხლის მე-5 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით – ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ გასაღება, არაერთგზის. აღნიშნული დანაშაულის ობიექტია მოსახლეობის ჯანმრთელობა და ნარკოტიკული საშუალების ბრუნვის კანონით განსაზღვრული წესი. ამ დანაშაულის ობიექტური მხარე გამოიხატება ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ შექმნაში, შენახვასა და გასაღებაში. ნარკოტიკული საშუალების უკანონო შექმნა გულისხმობს განზრახ ქმედებას, რომელიც მიმართულია მისი უკანონოდ მოპოვებისაკენ, კერძოდ, ეს შეიძლება გამოიხატოს როგორც ყიდვაში, ისე რაიმე სხვა ფორმით მის მიღებაში, გაცვლაში, ნაპოვარის მითვისებაში და სხვა ნებისმიერი გზით მის მოპოვებაში. უკანონო შენახვაში იგულისხმება უკანონო მფლობელობაში არსებული ნარკოტიკული საშუალებისათვის ადგილსამყოფელის მიჩენა. ნარკოტიკული საშუალების უკანონო გასაღებაში იგულისხმება ნარკოტიკული საშუალების სხვა პირისათვის უკანონოდ გადაცემის ნებისმიერი ხერხი, როგორც საზღაურით, ისე საზღაურის გარეშე. აღსანიშნავია, რომ ქმედების ამ დანაშაულად დაკვალიფიცირების ერთ-ერთ აუცილებელ პირობას წარმოადგენს მითითებული ქმედებების (შექმნა/შენახვა/გასაღება) უკანონოდ განხორციელება. აღნიშნულ ქმედებათა (შექმნა/შენახვა/გასაღება) უკანონობა გამოიხატება იმაში, რომ ქმედების ჩადენა ხდება ნარკოტიკული ნივთიერებების ბრუნვის კანონით დადგენილი წესის დარღვევით.

5.5. სასამართლო აღნიშნავს, რომ ვ. ჭ-სა და ა. რ-ს ჩვენებებიდან ცალსახად დგინდება 2023 წლის 8 და 12 სექტემბერს ნ. დ-ისგან ნარკოტიკული საშუალების საკონტროლო შესყიდვის დეტალები. ვ. ჭ-იამ დეტალურად განმარტა მისი ნ. დ-თან ურთიერთობის შესახებ, დაადასტურა, რომ ნებაყოფლობით ითანამშრომლა სამართალდამცავ ორგანოებთან, აღიჭურვა ჩამწერი მოწყობილობით, ხოლო ნარკოტიკუ-

ლი საშუალების შესაძენად გადაეცა თანხა. ვ. ჭ-მ, ასევე დაადასტურა, რომ ნ. დ-ისგან შეძენილი ნარკოტიკული საშუალებები ორივე შემთხვევაში წარუდგინა გამომძიებელს. აღნიშნული ფაქტობრივი გარემოებები დაადასტურა გამომძიებელმა ა. რ-მ. ფულადი თანხის გადაცემის ოქმების თანახმად, 2023 წლის 8 სექტემბერს, ვ. ჭ-ს გადაეცა 40 ლარი, ხოლო 2023 წლის 12 სექტემბერს – 60 ლარი ნარკოტიკული საშუალების საკონტროლო შეძენის მიზნით. სწორედ აღნიშნული თანხით მოხდა ნ. დ-ისგან ნარკოტიკული საშუალების საკონტროლო შეძენა. შეძენილი ნარკოტიკული საშუალება კი, ვ. ჭ-მ მიიტანა იქვე მყოფ სამართალდამცავთან, რაც დადასტურებულია ამოღების ოქმებით.

5.6. ზემოაღნიშნული მტკიცებულებების გარდა, ნ. დ-ის მიერ მსჯავრდებულად დასაჩივრებული დანაშაულების ჩადენის ფაქტები, ასევე დადასტურებულია ისეთი ნეიტრალური მტკიცებულებებით, როგორცაა: ფარული საგამომძიებო მოქმედებების შედეგად მოპოვებული ვიდეო/აუდიო ჩანაწერები, ქიმიური ექსპერტიზის №... და №... დასკვნები, საცხოვრებელი ბინის ჩხრეკის ოქმი, ნივთიერი მტკიცებულებების გახსნისა და დათვალიერების ოქმები, მოწმეების ი. ე-სა და დ. ხ-ს გამოკითხვის ოქმები და სხვა. ზემოაღნიშნულ მტკიცებულებათა შინაარსის დეტალური და გონივრული ანალიზის შედეგად უტყუარად დგინდება საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივი გარემოებები, რომელშიც გონივრული ეჭვის შეტანის საფუძველი არ არსებობს და ცალსახად აქარწყლებს დაცვის მხარის მიერ განვითარებულ ვერსიას ნ. დ-ის უდანაშაულობის შესახებ. ფარული საგამომძიებო მოქმედებების შედეგად მოპოვებული მტკიცებულებებით ნათელია, რომ ნ. დ-ის ერთადერთი ინტერესია, გაასაღოს ნარკოტიკული საშუალება.

5.7. 2023 წლის 8 სექტემბერს, ბ. რ. მუზეუმის მიმდებარე ტერიტორიაზე, 19:46 საათიდან 19:52 საათამდე განხორციელებული ვ. ჭ-ს და ნ. დ-ის შეხვედრისა და საუბრის ფარული ვიდეო/აუდიო ჩანაწერით დადასტურებულია, რომ ვ. ჭ-ია და ნ. დ-ი შეხვდნენ ერთმანეთს. ვ. ჭ-ა ნ. დ-ს განვდილ ხელში უდებს თანხას, რასაც ნ... ინახავს საფულეში. ნ. დ-ი ეუბნება ვ. ჭ-ს: „გადაჭრილ ხეს ხედავ აგერ, გადაჭრილი რომ დგას, იმის ქვეშაა, ხედავ, თეთრი შეკვრა... მანქანა მოდის...“ „მიდი აიღე. შეკვრა იგერ დევს ქვემოთ. აგერ ხის ქვეშ, ბუჩქებში, მიდი ნახე.“ ვ. ჭ-ა იღებს ხის ძირიდან თეთრ შეკვრას და კითხულობს – „ეს“? ნ. დ-ი ეუბნება – „არ დაგივარდეს, მანდ ორია“. 2023 წლის 12 სექტემბერს, ბ...ის მიმდებარე ტერიტორიაზე 11:48 საათიდან 12:29 საათამდე განხორციელებული ვ. ჭ-იას და ნ. დ-ის შეხვედრისა და საუბრის ფარული ვიდეო-აუდიო ჩანაწერით დადასტურებულია, რომ ვ. ჭ-ია და ნ. დ-ი შეხვდნენ ერთმანეთს. შეხვედრამდე ვ. ჭ-ია ტელეფონზე ესაუბრება ნ. დ-ს და

ეუბნება, რომ ის უკვე იქ ადგილზეა. ნ. დ-ი ეუბნება ვ. ჭ-იას: „ეს მაქვს 60 ლარად“; „ახლა მე გავალ სახლისკენ ... აქ ნუ იდგები, აქ არ დაჯდე .. სადმე იქეთ, ტუმბოზე ან აქ და ათვალთქვენი...“ ვ-ის კითხვაზე – „მალე მოვა თუ არა, თ- პასუხობს, რომ მალე მოვა“. გარკვეული დროის შემდეგ ბრუნდება თ-, იგი ეუბნება ვ-ს „უყურე, მე უფრო მეტი ჩავასხი, არც დამიხურია.“ ვ-ი ეკითხება – რამდენია აქ, ვ? თ- პასუხობს – „სამი, ხო, მეტიც, მეტი ჩავასხი; დაიწყებენ ყვირილს როგორც ყოველთვის, ... არ ყოფნის...“.

5.8. ზემოაღნიშნული მტკიცებულებების ანალიზის შედეგად, საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს დაცვის მხარის პოზიციას იმის თაობაზე, რომ ფარულ საგამოძიებო მოქმედებაში ჩართული ვ. ჭ-ს ჩვენება არ არის სანდო და რომ ფარული აუდიო-ვიდეო ჩანაწერებიდან არ დგინდება ნ. დ-ის მიერ ნარკოტიკული საშუალების გასაღების ფაქტები და სახეზე არ არის მტკიცებულებათა ერთობლიობა, ვინაიდან საპირისპირო დადასტურდა საქმეზე გამოკვლეული მტკიცებულებებით.

6. სასჯელის დასაბუთება:

6.1. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ გამამტყუნებელი განაჩენი ნიშნავს სასამართლოს მიერ დანაშაულისა და დამნაშავის შეფასებას, სასჯელი კი არის კანონის რეაქცია ჩადენილ დანაშაულზე. შესაბამისად, სასჯელი ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა იყოს ინდივიდუალური და ადეკვატური, ამასთან, მას უნდა გააჩნდეს მკაცრად პერსონალური ხასიათი. სასამართლო ხაზს უსვამს სასჯელის სამართლიანობის სწორად განსაზღვრის აუცილებლობას და აღნიშნავს, რომ სასჯელი აუცილებელი და პროპორციული უნდა იყოს კანონის საგანმანათლებლო მიზნების მისაღწევად.

6.2. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 259-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, სასამართლოს განაჩენი სამართლიანია, თუ დანიშნული სასჯელი შეესაბამება მსჯავრდებულის პიროვნებას და მის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეს.

6.3. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლომ სრულად შეაფასა პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებები, გაითვალისწინა ჩადენილი დანაშაულების მოტივი, ქმედებაში გამოვლენილი მართლსაწინააღმდეგო ნება, მოვალეობათა დარღვევის ხასიათი და ზომა, ქმედების განხორციელების სახე და ხერხი, პირადი და ეკონომიკური პირობები და საქართველოს სსკ-ის 39-ე და 53-ე მუხლების მოთხოვნათა გათვალისწინებით ნ. დ-ს თითოეული ეპიზოდისათვის საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტითა და ამავე მუხლის მე-5 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით, სანქციით გათვალისწინებული კანონიერი და სამარ-

თლიანი – სასჯელები განუსაზღვრა, რაც სრულად შეესაბამება, საქმის ინდივიდუალურ გარემოებებს (ჩადენილი დანაშაულის ხასიათსა და მსჯავრდებულის პიროვნებას).

6.4. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლი განსაზღვრავს სასჯელის დანიშვნის წესს დანაშაულთა და განაჩენთა ერთობლიობის დროს. მოცემულ შემთხვევაში, საქმის მასალებით დადგენილია, რომ ნ. დ-ი არის ნასამართლელი, შესაბამისად, მის მიმართ სასჯელი უნდა დაინიშნოს საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მესამე ნაწილით, რაც გულისხმობს, რომ დანაშაულის რეციდივის შემთხვევაში, დანაშაულთა ერთობლიობის დროს საბოლოო სასჯელის დანიშვნისას უფრო მკაცრი სასჯელი შთანთქავს ნაკლებად მკაცრს, ანდა ამ დანაშაულთათვის განსაზღვრული სასჯელები ნაწილობრივ ან მთლიანად შეიკრიბება.

6.5. ამასთან, ვინაიდან ნ. დ-მა მსჯავრდებურობის დანაშაულები ჩაიდინა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2023 წლის 10 მარტის განაჩენით დანიშნული პირობითი მსჯავრის ქვეშ საქართველოს სსკ-ის 67-ე მუხლის თანახმად, სასამართლო გააუქმებს პირობით მსჯავრს და მსჯავრდებულს დაუნიშნავს სასჯელს ამ კოდექსის 59-ე მუხლით დადგენილი წესით.

6.6. განსახილველ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლომ სრულყოფილად იმსჯელა მსჯავრდებულის მიმართ დანაშაულთა ერთობლიობით დანიშნული თავისუფლების აღკვეთის, როგორც თანაზომიერი სასჯელის მიზანშეწონილობის შესახებ. ასევე, გააუქმა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2023 წლის 10 მარტის განაჩენით დანიშნული პირობითი მსჯავრი. რაც შეეხება საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-5 ნაწილით, განაჩენთა ერთობლიობით სასჯელის განსაზღვრის წესს, სასამართლო არ იზიარებს შემდეგ გარემოებათა გამო:

6.7. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, განაჩენთა ერთობლიობის დროს სასჯელის დანიშვნისას სასამართლო ბოლო განაჩენით დანიშნულ სასჯელს ნაწილობრივ ან მთლიანად მიუმატებს წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელ ნაწილს, ან ბოლო განაჩენით დანიშნული სასჯელი შთანთქავს წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელ ნაწილს.

6.8. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობა განაჩენთა ერთობლიობით, ითვალისწინებს სასჯელის დანიშვნის სამ ალტერნატიულ წესს, კერძოდ: ბოლო განაჩენით დანიშნულ სასჯელს ნაწილობრივ/მთლიანად მიუმატებს წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელ ნაწილს ან ბოლო განაჩენით დანიშნული სასჯელი შთანთქავს წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელ ნაწილს. კანონმდებლობა იმპერატიულად ადგენს, რომ ზემოხსენებული სამი წესიდან არჩეული იქნეს ერთი და ამ

პრინციპის საფუძველზე მოხდეს, როგორც ძირითადი, ასევე დამატებითი სახის სასჯელის დანიშვნა.

6.9. მართალია, საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-5 ნაწილი განაჩენთა ერთობლიობის დროს იძლევა სასჯელთა ნაწილობრივ შეკრების შესაძლებლობას, თუმცა, კონკრეტულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლოს განაჩენიდან არ იკვეთება, რომ განაჩენთა ერთობლიობის დროს საბოლოო სასჯელის განსაზღვრისას, მოსამართლემ სასჯელის ნაწილობრივი შეკრების პრინციპით იხელმძღვანელა. ამკარაა, რომ ძირითად სასჯელთან მიმართებით სააპელაციო სასამართლომ გამოიყენა სასჯელთა შთანთქმის წესი, ხოლო დამატებით სასჯელთან მიმართებით – შეკრების.

6.10. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლით დადგენილი დანაშაულთა და განაჩენთა ერთობლიობის დროს სასჯელთა დანიშვნის წესი მიემართება როგორც ძირითად, ისე დამატებით სასჯელებს (იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2021 წლის 18 ოქტომბერი №642აპ-21 განაჩენი). შესაბამისად, იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო არ ხელმძღვანელობს სასჯელთა ნაწილობრივ ან სრულად შეკრების წესით და მიზანშეწონილად მიიჩნევს სასჯელთა შთანთქმის პრინციპის გამოყენებას, ეს უკანასკნელი უნდა გაავრცელოს როგორც ძირითადი, ისე – დამატებითი სასჯელის მიმართ.

6.11. საკასაციო პალატა კვლავაც მიუთითებს, რომ განაჩენთა ერთობლიობით საბოლოო სასჯელის განსაზღვრა განპირობებულია წინა განაჩენით აღუსრულებელი სასჯელის არსებობით. ამასთან, განაჩენთა ერთობლიობით სასჯელის დანიშვნა მიემართება არა ბოლო განაჩენით დანიშნული სასჯელის სახისა და ზომის განსაზღვრას, არამედ აღსასრულებელ განაჩენთა ერთობლიობით საბოლოო – ერთიანი სასჯელის დანიშვნას შთანთქმის ან შეკრების/ნაწილობრივ შეკრების პრინციპების გამოყენებით (იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს №706აპ-22 გადაწყვეტილება).

6.12. ამდენად, ზემოაღნიშნული მსჯელობის გათვალისწინებით, ნ. დ-ისთვის საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტითა და ამავე მუხლის მე-5 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით (2023 წლის 12 სექტემბრის ეპიზოდ) დანიშნულმა სასჯელმა – 12 წლითა და 2 თვით თავისუფლების აღკვეთამ უნდა შთანთქმას, საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტითა და ამავე მუხლის მე-5 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით დანიშნული სასჯელი – 12 წლით თავისუფლების აღკვეთა. ასევე, ვინაიდან ნ. დ-ის მიერ მისთვის მსჯავრდმურა ცხილი განზრახი დანაშაულები ჩადენილი იქნა პირობითი მსჯავრის გამოსაცდელ ვადაში, საქართველოს სსკ-ის 67-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახ-

მად, უნდა გაუქმდეს მის მიმართ ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2023 წლის 10 მარტის განაჩენით დანიშნული პირობითი მსჯავრი, რაზეც უნდა გავრცელდეს „ამნისტიის შესახებ“ 2024 წლის 17 სექტემბრის საქართველოს კანონის მოქმედება და სასჯელი უნდა დაენიშნოს ამ კოდექსის 59-ე მუხლის მე-5 ნაწილით დადგენილი წესით. კერძოდ, სასამართლო სასჯელის დანიშვნის დროს მიიჩნევს, რომ ნ. დ-ს საბოლოო სასჯელი უნდა დაენიშნოს განაჩენთა ერთობლიობით, სასჯელთა შთანთქმის პრინციპის გათვალისწინებით, რა დროსაც ბოლო განაჩენით დანიშნულმა სასჯელმა უნდა შთანთქმას წინა – ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2023 წლის 10 მარტის განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი.

6.13. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2024 წლის 26 ნოემბრის განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 301-ე მუხლით, 303-ე მუხლის მე-6 ნაწილით, 307-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, 308-ე მუხლით, „ამნისტიის შესახებ“ 2024 წლის 17 სექტემბრის საქართველოს კანონით და

და ა დ ბ ი ნ ა:

1. მსჯავრდებულ ნ. დ-ის ინტერესების დამცველი ადვოკატის – ლ. გ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

2. ცვლილება შევიდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2024 წლის 26 ნოემბრის განაჩენში;

3. ნ. დ-ი ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტითა და ამავე მუხლის მე-5 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით (2023 წლის 8 სექტემბრისა და 2023 წლის 12 სექტემბრის ეპიზოდები) გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენისათვის (დანაშაულის ჩადენის დროს მოქმედი რედაქცია) და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს:

4. საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტითა და ამავე მუხლის მე-5 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით (2023 წლის 8 სექტემბრის ეპიზოდი) – 12 წლით თავისუფლების აღკვეთა;

5. საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტითა და ამავე მუხლის მე-5 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით (2023 წლის 12

სექტემბრის ეპიზოდ) – 12 წლითა და 2 თვით თავისუფლების აღკვეთა;

6. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, უფრო მკაცრმა სასჯელმა შთანთქოს ნაკლებად მკაცრი სასჯელი და ნ. დ-ს დანაშაულთა ერთობლიობით სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს – 12 წლითა და 2 თვით თავისუფლების აღკვეთა;

7. საქართველოს სსკ-ის 67-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, გაუქმდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2023 წლის 10 მარტის განაჩენით დანიშნული პირობითი მსჯავრი;

8. „ამნისტიის შესახებ“ 2024 წლის 17 სექტემბრის საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, ნ. დ-ს ორი მესამედით შეუმცირდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 9 ნოემბრის განაჩენით საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით დანიშნული ძირითადი სასჯელი – 5 წლით თავისუფლების აღკვეთა (რაც ჩათვლილი ჰქონდა პირობით) და განესაზღვროს 1 წლითა და 8 თვით თავისუფლების აღკვეთა;

9. მასვე, „ამნისტიის შესახებ“ 2024 წლის 17 სექტემბრის საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, ორი მესამედით შეუმცირდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2023 წლის 10 მარტის განაჩენით საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით დანიშნული ძირითადი სასჯელი – 5 წლით თავისუფლების აღკვეთა (რაც ჩათვლილი ჰქონდა პირობით) და განესაზღვროს – 1 წლითა და 8 თვით თავისუფლების აღკვეთა, რამაც შთანთქოს ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 9 ნოემბრის განაჩენით დანიშნული და „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე შემცირებული სასჯელის მოუხდელი ნაწილი და განესაზღვროს 1 წლითა და 8 თვით თავისუფლების აღკვეთა; ხოლო ამავე განაჩენით განსაზღვრულ დამატებით სასჯელზე – არ გავრცელდეს „ამნისტიის შესახებ“ 2024 წლის 17 სექტემბრის საქართველოს კანონის მოქმედება.

10. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, ბოლო განაჩენით დანიშნულმა სასჯელმა შთანთქოს წინა, ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2023 წლის 10 მარტის განაჩენით დანიშნული და „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე შემცირებული სასჯელის მოუხდელი ნაწილი (1 წლითა და 8 თვით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა 12000 ლარი) და საბოლოოდ, განაჩენთა ერთობლიობით, ნ. დ-ს სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს – 12 წლითა და 2 თვით თავისუფლების აღკვეთა.

11. ნ. დ-ს სასჯელის მოხდის ვადა აეთვალოს დაკავებიდან – 2023 წლის 12 სექტემბრიდან.

12. მსჯავრდებულ ნ. დ-ს, როგორც ნარკოტიკული საშუალების

გამსაღებელს, „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, 5 წლით ჩამოერთვას სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება, 15 წლით ჩამოერთვას: საადვოკატო საქმიანობის უფლება; პედაგოგიური და საგანმანათლებლო დაწესებულებაში საქმიანობის უფლება; საჯარო სამსახურში საქმიანობის უფლება; პასიური საარჩევნო უფლება; იარაღის დამზადების, შექმნის, შენახვისა და ტარების უფლება, ხოლო 20 წლით ჩამოერთვას საექიმო და ფარმაცევტული საქმიანობის უფლება, აგრეთვე აფთიაქის დაფუძნების, ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის უფლება.

13. ცნობად იქნეს მიღებული, რომ მსჯავრდებულ ნ. დ-ის მიმართ შერჩეული აღკვეთის ღონისძიება – პატიმრობა გაუქმებულია.

14. საქმეზე არსებული ნივთიერი მტკიცებულებების ბედი გადაწყდეს საქართველოს სსკ-ის 81-ე მუხლის შესაბამისად, კერძოდ:

სიგარეტის კოლოფი, ერთჯერადი შპრიცები მათში არსებული ნარკოტიკული ნივთიერებებით და ნერწყვის ნიმუში – განადგურდეს;

ფულადი თანხა და ჩანთა მასში არსებული მობილური ტელეფონით და პირადი ნივთებით – დაუბრუნდეთ მესაკუთრეებს ან/და მათი ნდობით აღჭურვილ პირებს.

დისკები შენახულ იქნეს სისხლის სამართლის საქმის შენახვის ვადით.

15. განაჩენი კანონიერ ძალაში შედის და აღსასრულებლად მიექცევა გამოტანისთანავე;

16. განაჩენი საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

**ნარკოტიკული საშუალების უკანონო შექმნასა და
შენახვაში დახმარება**

**განაჩენი
საქართველოს სახელმწიფო**

№510აპ-25

4 ნოემბერი, 2025 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**

**მ. ვასაძე (თავმჯდომარე),
ლ. თევზაძე,
ლ. ფაფიაშვილი**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა საქართველოს გენერალური პროკურატურის შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურ ინსპექციასა და ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის დეპარტამენტის პროკურორ ზაზა ქორიძის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2025 წლის 8 აპრილის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

1. ბრალდების შესახებ დადგენილების მიხედვით, ნ. მ-ს ბრალად დაედო: ნარკოტიკული საშუალების უკანონო შექმნა, შენახვა ჩადენილი არაერთგზის და ნარკოტიკული საშუალების უკანონო გასაღება იმის მიერ, ვისაც წინათ ჩადენილი აქვს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის XXXIII თავით გათვალისწინებული რომელიმე დანაშაული (2 ეპიზოდი), რაც გამოიხატა შემდეგით:

1.1. ნ. მ. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 25 ივნისის განაჩენით ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა – 5 წლით თვისუფლების აღკვეთა, რაც ჩაეთვალა პირობით, იმავე გამოსაცდელი ვადით, ხოლო დამატებით სასჯელად დაეკისრა ჯარიმა – 4000 ლარი.

1.2. 2024 წლის 4 აპრილს, ქ-ს ქუჩის №...-ს მიმდებარედ, ნ. მ-მ, გამოძიებით დაუდგენელ დროსა და ვითარებაში, უკანონოდ შექმნილი და შენახული – 0,0275 გრამი ნარკოტიკული საშუალება „ალფა-პვპ-ს“ (α-PVP) შემცველი, უფერო, გამჭვირვალე, პოლიმერული მასალის ჩამ-

კეტიან პაკეტში მოთავსებული, მოთეთრო ფხვიერი ნივთიერება – 300 ლარად უკანონოდ მიასალა გ. გ-ს, რომლისგანაც იმავე დღეს ამოიღეს შს სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა.

1.3. 2024 წლის 8 აპრილს, ქ-ს მიმდებარედ და შემდგომ – ... ქუჩაზე, ნ. მ-მ, გამოძიებით დაუდგენელ დროსა და ვითარებაში, უკანონოდ შეძენილი და შენახული – 0,35921 გრამი ნარკოტიკული საშუალება „ალფა-პეპ-ს“ (αPVP) შემცველი, უფერო, გამჭვირვალე, პოლიმერული მასალის ჩამკეტიან პაკეტში დაფასოებული, მოთეთრო ნივთიერება, ფხვნილისა და გრანულების სახით – 420 ლარად უკანონოდ მიასალა გ. გ-ს, რომლისგანაც იმავე დღეს ამოიღეს შს სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა.

2. ნ. მ-ს წარედგინა ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის (2025 წლის 1 მაისამდე მოქმედი რედაქცია) 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტითა და ამავე მუხლის მე-5 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით (2 ეპიზოდი).

3. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2025 წლის 21 იანვრის განაჩენით: ნ. მ. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის (2025 წლის 1 მაისამდე მოქმედი რედაქცია) 260-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით (ორივე ეპიზოდში) წარედგინა ბრალდებებში გამართლდა; იგი ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის (2025 წლის 1 მაისამდე მოქმედი რედაქცია) 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით (2024 წლის 4 აპრილის ეპიზოდი) – 6 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის კანონის მე-2 მუხლის 1-ელი და მე-4 პუნქტების შესაბამისად, შეუმცირდა ორი მესამედით და განესაზღვრა – 2 წლით თავისუფლების აღკვეთა; საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის (2025 წლის 1 მაისამდე მოქმედი რედაქცია) 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით (2024 წლის 8 აპრილის ეპიზოდი) – 7 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის კანონის მე-2 მუხლის 1-ელი და მე-4 პუნქტების შესაბამისად, შეუმცირდა ორი მესამედით და განესაზღვრა – 2 წლითა და 4 თვით თავისუფლების აღკვეთა; საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 59-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, უფრო მკაცრმა სასჯელმა შთანთქა ნაკლებად მკაცრი და განესაზღვრა – 2 წლითა და 4 თვით თავისუფლების აღკვეთა; საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 67-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 25 ივნისის განაჩენითა და ამავე სასამართლოს 2024 წლის

18 ოქტომბრის განჩინებით, „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის კანონის გამოყენებით, განსაზღვრული პირობითი მსჯავრი; საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 59-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, ბოლო განაჩენით შეფარდებულ სასჯელს ნაწილობრივ დაემატა წინა განაჩენით შეფარდებული სასჯელიდან – 8 თვით თავისუფლების აღკვეთა და, საბოლოოდ, ნ. მ-ს განესაზღვრა – 3 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც აეთვალა 2024 წლის 8 მაისიდან. მასვე, „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, შესაბამისი ვადით ჩამოერთვა ამავე კანონით გათვალისწინებული უფლებები.

4. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2025 წლის 21 იანვრის განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს გენერალური პროკურატურის შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურ ინსპექციასა და ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის დეპარტამენტის პროკურორმა – ზაზა ქორიძემ, რომელიც ითხოვდა გადაწყვეტილების შეცვლასა და ნ. მ-ს დამნაშავედ ცნობას მისთვის ბრალადშერაცხილი დანაშაულების ჩადენისათვის.

5. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2025 წლის 8 აპრილის განაჩენით თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2025 წლის 21 იანვრის განაჩენი დარჩა უცვლელად.

6. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2025 წლის 8 აპრილის განაჩენი საკასაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს გენერალური პროკურატურის შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურ ინსპექციასა და ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის დეპარტამენტის პროკურორმა – ზაზა ქორიძემ, რომელიც ითხოვს გადაწყვეტილების შეცვლასა და ნ. მ-ს დამნაშავედ ცნობას საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის (2025 წლის 1 მაისამდე მოქმედი რედაქცია) 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტითა და ამავე მუხლის მე-5 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით (2 ეპიზოდ), მისთვის ბრალადშერაცხილი კვალიფიკაციით, ვინაიდან მიიჩნევს, რომ ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოებმა უკანონოდ და დაუსაბუთებლად გაამართლეს იგი ნარკოტიკული საშუალებების გასაღების ნაწილში. სასამართლოს საეჭვოდ არ მიუჩნევია მონშე გ. გ-ს თანმიმდევრული და დამაჯერებელი ჩვენება, რომელმაც, თავის მხრივ, ასევე დაადასტურა, რომ ნ. მ-საგან, წინასწარი შეთანხმებისამებრ, ორჯერ შეიძინა ნარკოტიკული საშუალება, რაზეც ასევე მიუთითებს საქმეში წარ-

მოდგენილი სხვა სამხილებიც – ნარკოტიკული საშუალების ამოღების ოქმები, მონემების: ბ. ნ-სა და გ. ქ-ს ჩვენებები, ქიმიური ექსპერტიზების დასკვნები და 2024 წლის 8 აპრილის ფარული საგამოძიებო ღონისძიების მასალები. ყოველივე აღნიშნული ცხადყოფს, რომ ნ. მ. ნარკოტიკებს ფლობდა და თავადვე აკონტროლებდა მათ გაყიდვას და ეს არის ყოფილა ერთი შემთხვევა. საყურადღებოა, რომ თავად მსჯავრდებულს არ გაუპროტესტებია გ. გ-ს მონათხრობი, სასამართლოში წარმოდგენილი, ნ. მ-ს მობილურ ტელეფონში არსებული შეტყობინებები-სა და ფარული ჩანანერების დროს ფიგურანტების საუბრების შინაარსი კი ასევე ადასტურებს, რომ 2024 წლის 4 და 8 აპრილს ნ. მ-მ ნამდვილად უკანონოდ შეიძინა, შეინახა და გაასალა ნარკოტიკული საშუალებები.

7. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში წარმოდგენილია მსჯავრდებულ ნ. მ-ს განცხადება, რომლითაც იგი ითხოვს, არ დაკმაყოფილდეს პროკურორის საკასაციო საჩივარი და უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2025 წლის 8 აპრილის განაჩენი.

სამოტივაციო ნაწილი:

1. საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობა, გააანალიზა კასატორის საკვანძო არგუმენტები და მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებული განაჩენი უნდა შეიცვალოს შემდეგ გარემოებათა გამო:

2. საკასაციო სასამართლოს პირველ რიგში აღნიშვნით, მხარეებს სადავოდ არ გაუხდიათ, რომ ნარკოტიკული დანაშაულისათვის ნასამართლევმა – ნ. მ-მა, 2024 წლის 4 და 8 აპრილს გ. გ-ს გადასცა ნარკოტიკული საშუალებები, თუმცა, ბრალდების შესახებ დადგენილებით, ბრალდების მხარე ნ. მ-ს ედავება, რომ მან ნარკოტიკული საშუალებები ორგზის მიასალა გ. გ-ს, ხოლო დაცვის მხარის მტკიცებით, ნ. მ-ს ნარკოტიკული საშუალებები არ გაუსალებია, არამედ დაეხმარა გ. გ-ს მათ შექენაში.

3. ამდენად, მხარეები თანხმდებიან ნ. მ-ს მიერ ბრალდების შესახებ დადგენილებაში მითითებულ დროს – 2024 წლის 4 და 8 აპრილს – გ. გ-სათვის ნარკოტიკული საშუალებების გადაცემის ფაქტზე, მაგრამ მათი პოზიციები განსხვავდება მსჯავრდებულის ქმედების – ნარკოტიკული საშუალების გადაცემის – კვალიფიკაციასთან მიმართებით. ბრალდების მხარე მიიჩნევს, რომ ნარკოტიკული საშუალების გ. გ-სათვის გადაცემით, ნ. მ-მ, ანაზლაურების სანაცვლოდ გაასალა ისინი, ხოლო დაცვის მხარის პოზიციით, ნარკოტიკული საშუალების გადაცემის დროს, მსჯავრდებულს მათი რეალიზაციის მიზანი არ ჰქონია.

4. საკასაციო სასამართლო კვლავაც იმეორებს: იმის გამოსარკვევად, თუ რამდენად ქმნის ერთი პირის მიერ სხვა პირისათვის ნარკოტიკული საშუალების გადაცემის ფაქტი (ნარკოტიკული საშუალების გადაცემის მიზნების, ვითარებისა და იმ ურთიერთობების მხედველობაში მიღების გარეშე, რომელიც წინ უსწრებს ნარკოტიკების გადაცემას) „a priori“, მისი უკანონო გასაღების შემადგენლობას, სასამართლომ საფუძვლიანად უნდა გამოიკვლიოს საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებები, რომლებიც არსებითად მნიშვნელოვანია ნ. მ-ს და გ. გ-ს შორის ჩამოყალიბებული ურთიერთობის, ნარკოტიკული საშუალებების გადაცემამდე მათ შორის არსებული შეთანხმებისა და ნარკოტიკული საშუალებების გადაცემის პროცესში არსებული კომუნიკაციის შინაარსის დასადგენად და, შესაბამისად, დავის საგნად ქცეული – ჩადენილი დანაშაულის კვალიფიკაციის – საკითხის გადასაწყვეტად (იხ. მაგალითად: საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2024 წლის 18 იანვრის №817აპ-23 და 2023 წლის 2 ნოემბრის №589აპ-23 გადაწყვეტილებები).

5. მოწმე გ. გ-მ სასამართლოში ჩვენების მიცემისას დაადასტურა, რომ ტაქსის მძღოლია და მოიხმარდა ნარკოტიკს. 2024 წლის აპრილში გაიცნო ნ. მ., რომელმაც უთხრა, რომ ფული თუ ექნებოდა, ამფეტამინს აყიდვინებდა. ამის თაობაზე აცნობა სამართალდამცავებს. 2024 წლის 4 აპრილს, ნ. მ-ს გადაუხადა ოპერატიული თანხა – 300 ლარი, რომლის სანაცვლოდ მსჯავრდებულმა გადასცა ნარკოტიკული საშუალება. აქედან 3-4 დღეში, კვლავ დაუკავშირდა ნ. მ-ს, რომლის მიერ მითითებულ ანგარიშზე ჩარიცხა 420 ლარი. ვინაიდან პირველ ჯერზე ნარკოტიკი ეცოტავა, მსჯავრდებულმა უთხრა, რომ „ამჯერად კარგი იყო“. ნარკოტიკის ასაღებად მსჯავრდებულთან ერთად მივიდა კონკრეტულ ლოკაციაზე, თუმცა თავად მანქანიდან არ გადასულა, ნ. მ-მ აიღო ნარკოტიკი და მიუტანა მას. მისი თქმით, მსჯავრდებული, რას აკეთებდა და როგორ იძენდა ნარკოტიკს, მისთვის უცნობია, თუმცა დაადასტურა, რომ კონკრეტული ადგილიდან ნარკოტიკის აღებისას ნ. მ. რაიმე შენობაში არ შესულა. ამავდროულად, უარყო მსჯავრდებულთან ერთად ნარკოტიკის, მათ შორის, მარიხუანის მოხმარება.

6. ფარული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად მოპოვებული ჩანაწერით დგინდება, რომ 2024 წლის 8 აპრილს, 14:21:43 სთ-დან 14:23:05 სთ-მდე, ... მიმდებარედ, ...“ სწრაფი ჩარიცხვის აპარატიდან, გ. გ-მ ნ. მ-ს მიერ ტელეფონით მითითებულ – თ. მ-ს – ანგარიშზე ჩარიცხა 420 ლარი, ხოლო მოგვიანებით, 20:24:15 სთ-დან 20:25:05 სთ-მდე, გ. გ-ს ავტომატურად უჯდება ნ. მ., რომელიც ამბობს: „- ვსიო“, სინყნარეა...“ ამბობს „- ეხლა ჩაასხი ჯერ ის...“ და ისე, რომ არ ასრულებს წინადადებას, პირიდან იღებს შავი პოლიეთილენში შეფუთულ პატარა, თხილის

ზომის შეკვრას, ხელში აშრობს და აძლევს გ. გ-ს, რომელიც, თავის მხრივ, ართმევს და ხელში ათვალიერებს. ნ. მ-ი ეუბნება: „ – ჰა, არ არის ბერთალური?“ გ. გ. კი ისე, რომ არ ასრულებს წინადადებას: „ – აუ ბიჭო, რა...“ ქოქავს მანქანას. ნ. მ. ეუბნება: „ – ჩაასხი ჯერ თან. ჰა? რაში?“. გ. გ. აქრობს ძრავს და გადადიან მანქანიდან.

7. ნ. მ-ს მიერ გ. გ-სათვის ნარკოტიკული საშუალებების გადაცემის მიზნების დასადგენად, გარდა იმისა, რომ თავად ბრალდების მოწმე-მაც დაადასტურა, რომ კონკრეტული ლოკაციებიდან ნარკოტიკული საშუალებების ასაღებად, საკუთარი ავტომანქანით მიიყვანა ნ. მ., რა დროსაც თავად ელოდებოდა ავტომანქანაში, მსჯავრდებული კი გადავიდა და მიუტანა მას ნარკოტიკები, ასევე – მეტად საყურადღებოა ნარკოტიკების გადაცემამდე ნ. მ-ს და გ. გ-ს შორის არსებული კომუნიკაცია, რომლის შინაარსი, საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, უდავოდ ცხადყოფს, რომ გ. გ-სათვის იმთავითვე ცნობილი იყო, რომ ნარკოტიკულ საშუალებას იგი ნ. მ-საგან კი არ ყიდულობდა, არამედ – მსჯავრდებული ეხმარებოდა მას ნარკოტიკული საშუალებების შეძენაში, კერძოდ: ნ. მ-საგან ამოღებული ტელეფონის დათვალიერებით ირკვევა მასსა და გ. გ-ს შორის მიმონერის შინაარსი, რომელიც შეეხება სწორედ მტკიცების საგანს.

8. ასე, მაგალითად: გ. გ. ნარკოტიკული საშუალების გადაცემამდე ნ. მ-ს უგზავნის ხმოვან შეტყობინებებს: „ – თუ რამეს დაითრევ დღეს და მიშველი, რომ ვიმოძრაო, დანარჩენს მე დავითრევ, ოღონდ მე აღარ წამოვალ, ვსიო, არსად, ფულს ჩაგირიცხავ, თორემ დღეს ძალიან ცუდად ვარ...“. „ ... – კაროჩე, მიხედო საქმეს უცბად და მე დრო არ დავკარგო, გადაყარე შენთვის, როგორც არის და დანარჩენი რომ მომანოდო.“ ნ. მ.: „ – ... 400 უნდა ფაქტს, ესე ღირს, მაგრამ ერთად წავიდეთ.“ „ – დაგეხმარები, თუ ასე გინდა.“ „ – ან ვისი გინდა, მითხარი, აგიღებ QR კოდს, ჩაურიცხავ, მთავარია, მე ნუ მატარებ, შენ მაინც დადიხარ, აღებაზე შეგეშველები, დარიცხე QR-ზე ან რავი ვინმეზე, გეტყვი.“ გ. გ.: „ – სად ხარ? მოგანოდებ ფულს“, ნ. მ.: „ – არ მომანოდო.“ გ. გ.: „ – შენც არ დაგტოვებ, მოგხედავ.“ ნ. მ.: „ – არ მინდა“. გ. გ.: „აბა რა ვქნა? ვერ გავიგე.“ ნ. მ.: „ – QR-თან მიდი ჩემთან მოსვლას და გეტყვი, როგორ ... გამოგიგზავნი და დაანახებ და მანდვე დარიცხავ, თუ არადა, არ მომანოდო, ძაან მაგრად გთხოვ, QR-ს გეტყვი.“ გ. გ. „ – 430 ლარს სადმე დაგირიცხავ, შენ გაქვს ანგარიში? შენ ანგარიშზე დავრიცხავ თუ გინდა, სხვას ვერ ვენდობი ვერავის, ბიტკოინიც არ ვიცი, ჰოდა დაგირიცხავ მაგ ტაქსის ფულთან ერთად, მერე რო მოგვარდები, მოვალ, შეგხვდები და გამოგართმევ. თუ მოხდება ეგრე – მოვგვარდებით ეგრე, არ მოვგვარდებით და რა ვქნა ... ესენიც მე მეუბნებიან, სხვისი ფულია, იცი, როგორც ხდება? რა ვიცი მე, ვის ვენდო? სად დავრიცხო ფული? ბიტ-

კონინც არვიცი. “ ნ. მ.: „ – გ., მეგობრულად დაგიდექი გვერდში, ბოლოს ეხლა რა, ერთადერთხელ მყავხარ ნანახი, მე ვის როგორ უნდა ვენდო? ისეთ ახლობელს და მ-წლიან მეგობარს აქვს გაკეთებული ისეთი რაღაც რო, რა ვიცი. ადამიანებში არ ვტყუი, მაგრამ მერე ისე შევცდი, ხო ხვდები? მე დაგეხმარე, ერთად ნავედით მაშინ, მეგობრულად დაგეხმარე, ერთად ჩავრიცხეთ, ერთად ავიღეთ, დაინახე შენ თვითონ ყველაფერი, იცი ყველაფერი. ანუ მრიცხველთან მიდი, ჯობია და გზაც არ გაგიცდებ. მე მეგობრულად დაგიდგები ყველანაირად გვერდში, არ არის პრობლემა ... მიდი ეხლა ბიტკოინთან, გეტყვი, აგისხნი, როგორც ქნა და აი, რავი, მეტი რა ვიცი, ძაან გადარბენაზე ვარ მეც, მაგრამ გიდგები კიდე გვერდში.“ გ. გ.: „ – იმიტო მინდა შენი ნახვა, რომ ფული ერთად ჩავრიცხოთ, ფულსაც მოგცემ ტაქსისას, დიდი ხნითაც არ მათხოვებს მანქანას.“ ნ. მ.: „ – გამოგყვები, მე არაფერი მინდა... თუ გინდა QR-ს მოგცემ, მეტი მე არ შემიძლია.“ „ – კაი, მაშინ თუ მეცალა, დაგეხმარები.“ გ. გ.: „ – ... რამდენი უნდა ზუსტად ფული, ეგ მითხარი, მაგისი გაყიდვა ან ჩაბარება მინდა, რამდენი შევკრა ფული, ზუსტად მითხარი...“ ნ. მ.: „ – მისმინე, ჩაურიცხე და დაგვახვედრებს.“ გ. გ.: „ – შენი მომწერე, შენ ჩაგირიცხავ და გადაურიცხე.“ ნ. მ.: „ – ბავშვისას მოგწერ ... ბანკი არის საქართველო.“ „ – აი, დადებს და ეგრევე, ჯერ იმათ არ აქვთ, დაიდება. არ იდარდო.“

9. ნ. მ-ს ტელეფონის გამოკვლევისას აღმოჩენილია აპლიკაცია „ტელეგრამში“ არსებული, ნარკოტიკული საშუალებების შესაძენილი ბმულები, რომელთა მეშვეობით, როგორც მსჯავრდებულმა განმარტა, მითითებული QR კოდების საშუალებით, აპარატებიდან რიცხავდნენ საფასურს და იღებდნენ შეტყობინებას იმ მისამართების შესახებ, რომლებზეც განთავსებული იქნებოდა ნარკოტიკები.

10. ამდენად, ბრალდების მხარის მტკიცების საპირწონედ, რომ ნ. მ-მ გ. გ-ს ორჯერ მიასალა ნარკოტიკული საშუალება, სასამართლოში წარმოდგენილია ნ. მ-სა და გ. გ-ს სატელეფონო კომუნიკაციის ამსახველი მასალა, რომელიც ნათლად ასახავს, რომ მსჯავრდებული გარკვევით ჰპირდება გ. გ-ს, რომ დაეხმარება ნარკოტიკული საშუალების შეძენაში. მეტიც, უხსნის, რომ ამას მისი დახმარების გარეშეც მარტივად შეძლებს, მაგრამ, გ. გ. იმის მომიზეზებით, რომ ვერ ერკვევა კრიპტოვალუტაში, ამასთან, მის გარდა ვერავის ენდობა, არაერთგზის სთხოვს მას ნარკოტიკული საშუალების შეძენაში დახმარებას.

11. შესაბამისად, მოწმე გ. გ-ს ჩვენების გათვალისწინებით, რომ ნ. მ. იმთავითვე დაჰპირდა, რომ კი არ მიჰყიდდა, არამედ – აყიდინებდა ნარკოტიკს და, იმავდროულად, გ. გ-ს თავისი ავტომანქანით მიჰყავდა მსჯავრდებული კონკრეტულ ლოკაციებზე, სადაც ავტომანქანიდან გადადიოდა ნ. მ. და მიჰქონდა მისთვის ნარკოტიკული საშუალებები,

რომლებიც, მანამდე თან არ ჰქონია; მსჯავრდებულისა და ბრალდების მოწმის სატელეფონო კომუნიკაციის შინაარსიდან გამომდინარე, რომელიც ერთმნიშვნელოვნად ადასტურებს, რომ გ. გ. ნ. მ-ს დაჟინებით სთხოვდა ნარკოტიკული საშუალების შეძენაში დახმარებას, ვინაიდან, მისი თქმით, სხვას ვერავის ენდობოდა და, ამავდროულად, კარგად ვერ ერკვეოდა კრიპტოვალუტით ანგარიშსწორებაში – საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს დასკვნას, რომ გ. გ-ს თანხით შეძენილი ნარკოტიკების მისთვის გადაცემით ნ. მ-ს მისთვის ნარკოტიკული საშუალება არ მიუსაღებია.

12. ამავდროულად, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მიუხედავად ზემოაღნიშნული დასკვნისა, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ნ. მ-მ 2024 წლის 4 და 8 აპრილს ჩაიდინა ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა და შენახვა, არაერთგზის (ორი ეპიზოდი), რაც სამართლებრივად არასწორია, რამეთუ სააპელაციო სასამართლოს მსჯელობის კვალდაკვალაც ცხადად იკითხება, რომ მსჯავრდებულის ქმედებაში გამოკვეთილია არა – ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა და შენახვა, ჩადენილი არაერთგზის, არამედ – ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენასა და შენახვაში დახმარება, ჩადენილი არაერთგზის, შესაბამისად, ნ. მ. ცნობილ უნდა იქნეს დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 25,260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით (ორი ეპიზოდი) გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენისათვის.

13. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს გენერალური პროკურატურის შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციასა და ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის დეპარტამენტის პროკურორ ზაზა ქორიძის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2025 წლის 8 აპრილის განაჩენი უნდა შეიცვალოს დანაშაულის კვალიფიკაციის ნაწილში.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 307-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. საქართველოს გენერალური პროკურატურის შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციასა და ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანე-

ლობის დეპარტამენტის პროკურორ ზაზა ქორიძის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;

2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2025 წლის 8 აპრილის განაჩენში შევიდეს ცვლილება:

3. ნ. მ. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის (2025 წლის 1 მაისამდე მოქმედი რედაქცია) 260-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით (ორივე ეპიზოდში) წარდგენილ ბრალდებებში ცნობილ იქნეს უდანაშაულოდ და გამართლდეს;

4. ნ. მ-სათვის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის (2025 წლის 1 მაისამდე მოქმედი რედაქცია) 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით (2024 წლის 4 აპრილის ეპიზოდი) წარდგენილი ბრალდება გადაკვალიფიცირდეს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის (2025 წლის 1 მაისამდე მოქმედი რედაქცია) 25,260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტზე, რომლის ჩადენისთვისაც იგი ცნობილ იქნეს დამნაშავედ და მიესაჯოს – 6 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის კანონის მე-2 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, შეუმცირდეს ორი მესამედით და განესაზღვროს – 2 წლით თავისუფლების აღკვეთა;

5. ნ. მ-სათვის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის (2025 წლის 1 მაისამდე მოქმედი რედაქცია) 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით (2024 წლის 8 აპრილის ეპიზოდი) წარდგენილი ბრალდება გადაკვალიფიცირდეს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის (2025 წლის 1 მაისამდე მოქმედი რედაქცია) 25,260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტზე, რომლის ჩადენისთვისაც იგი ცნობილ იქნეს დამნაშავედ და მიესაჯოს – 7 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის კანონის მე-2 მუხლის 1-ელი და მე-4 პუნქტების შესაბამისად, შეუმცირდეს ორი მესამედით და განესაზღვროს – 2 წლითა და 4 თვით თავისუფლების აღკვეთა;

6. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 59-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, უფრო მკაცრმა სასჯელმა შთანთქას ნაკლებად მკაცრი და განესაზღვროს – 2 წლითა და 4 თვით თავისუფლების აღკვეთა;

7. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 67-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, გაუქმდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 25 ივნისის განაჩენითა და ამავე სასამართლოს 2024 წლის 18 ოქტომბრის განჩინებით განსაზღვრული პირობითი მსჯავრი;

8. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 59-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, ბოლო განაჩენით შეფარდებულ სასჯელს ნაწილობ-

რივ დაემატოს წინა განაჩენით შეფარდებული სასჯელიდან – 8 თვით თავისუფლების აღკვეთა და, საბოლოოდ, ნ. მ-ს განესაზღვროს – 3 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც აეთვალოს 2024 წლის 8 მაისიდან;

9. მასვე, „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე, 5 წლით ჩამოერთვას სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება, 10 წლით – საადვოკატო საქმიანობის, პედაგოგიური და საგანმანათლებლო დაწესებულებაში საქმიანობის, საჯარო სამსახურში საქმიანობის, პასიური საარჩევნო და იარაღის დამზადების, შეძენის, შენახვისა და ტარების უფლებები, ხოლო საექიმო ან/და ფარმაცევტული საქმიანობის უფლება, აგრეთვე – აფთიაქის დაფუძნების, ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის უფლება – 15 წლით;

10. სხვა ნაწილში, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2025 წლის 8 აპრილის განაჩენი დარჩეს უცვლელად;

11. განაჩენი საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

ნარკოტიკული საშუალების უკანონო შექმნა, შენახვა, უკანონო გასაღების მომზადება

**განაჩენი
საქართველოს სსსსს**

№610აპ-25

4 ნოემბერი, 2025 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**

მ. ვასაძე (თავმჯდომარე),

ლ. თევზაძე,

ლ. ფაფიაშვილი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2025 წლის 10 მარტის განაჩენზე ბათუმის რაიონული პროკურატურის პროკურორ ოლღა მერებაშვილის საკასაციო საჩივარი.

აღწერილობითი ნაწილი:

1. ბრალდების შესახებ დადგენილებების მიხედვით: თ. ბ.-ს და თ.

ლ.-ს ბრალად დაედოთ: ნარკოტიკული საშუალების უკანონო შექმნა, შენახვა, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ და ნარკოტიკული საშუალების უკანონო გასაღების მცდელობა, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, რაც გამოიხატა შემდეგით:

1.1. თ. ბ. და თ. ლ. წინასწარი შეთანხმებით, ჯგუფურად, გამოძიებით დაუდგენელ დროსა და ვითარებაში უკანონოდ შეიძინეს და უკანონოდვე ინახავდნენ – 26,149 გრამ ნარკოტიკულ საშუალება „აღფა-პვპ-ს“ (α-PVP) შემცველ ფხვნილს, საიდანაც – 2,305 გრამი ამოღებულია 2023 წლის 14 ოქტომბერს, ... მუნიციპალიტეტის სოფელ .. ჩატარებული, თ. ბ-ს პირადი ჩხრეკის შედეგად; 3,699 გრამი – 2023 წლის 14 ოქტომბერს, ... მუნიციპალიტეტის სოფელ ..., კაფე-ბარ „...“ მიმდებარე ტერიტორიიდან (ხუთი ლოკაციიდან), თ. ბ-ს მონაწილეობით ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ხოლო 20,145 გრამი – ბ. მუნიციპალიტეტის დაბა ..., ... ქუჩის №... მდებარე, თ. ბ-ს და თ. ლ-ს დროებით საცხოვრებელ სახლში ჩატარებული ჩხრეკის შედეგად.

1.2. თ. ბ-მ და თ. ლ-მ წინასწარი შეთანხმებით, ჯგუფურად, ნარკოტიკული საშუალებების დაუდგენელ პირებზე შემდგომი უკანონო გასაღების მიზნით, დააფასოვეს, გაანაწილეს და 2023 წლის 14 ოქტომბერს, ქ-ს მუნიციპალიტეტის სოფელ კ-ში, კაფე-ბარ „ს-ს“ მიმდებარედ (ხუთ ლოკაციაზე), თ. ბ-მ განათავსა 3,699 გრამი ნარკოტიკული საშუალება „აღფა-პვპ-ს“ (α-PVP) შემცველი ფხვნილი. მიუხედავად იმისა, რომ თ. ბ-სა და თ. ლ-ს დანაშაულებრივი ქმედება მიმართული იყო უშუალოდ ნარკოტიკული საშუალებების გასაღებისაკენ, 2023 წლის 14 ოქტომბერს, პოლიციის თანამშრომლებმა, გატარებული დროული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ამოიღეს მათ მიერ სარეალიზაციოდ დატოვებული, დაფასოებული ნარკოტიკული საშუალებები, რის გამოც თ. ლ-მ და თ. ბ-მ განზრახვა ვერ აღასრულეს და დანაშაული ბოლომდე ვერ მიიყვანეს.

2. თ. ლ-ს და თ. ბ-ს წარედგინათ ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის (2025 წლის 1 მაისამდე მოქმედი რედაქცია) 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტითა და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 19,260-ე მუხლის მე-5 ნაწილით „ბ“ ქვეპუნქტით.

3. ბათუმის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2024 წლის 1 ივლისის განაჩენით:

3.1. თ. ბ. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის (2025 წლის 1 მაისამდე მოქმედი რედაქცია) 19,260-ე მუხლის მე-5 ნაწილით „ბ“ ქვეპუნქტით წარდგენილ ბრალდებაში გამართლდა; მის მიმართ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის (2025 წლის 1 მაისამდე მოქმედი რედაქცია) 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით წარდგენილი ბრალდება გადაკვალიფიცირდა ამავე კოდექსის 260-ე

მუხლის 1-ელ ნაწილზე, რომლის ჩადენისთვისაც იგი ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა – 4 წლით თავისუფლების აღკვეთა. მასვე, „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, შესაბამისი ვადით ჩამოერთვა ამავე კანონით გათვალისწინებული უფლებები.

3.1. თ. ლ. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის (2025 წლის 1 მაისამდე მოქმედი რედაქცია) 19,260-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით წარდგენილ ბრალდებაში გამართლდა; მის მიმართ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის (2025 წლის 1 მაისამდე მოქმედი რედაქცია) 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით წარდგენილი ბრალდება გადაკვალიფიცირდა ამავე კოდექსის 260-ე მუხლის 1-ელ ნაწილზე, რომლის ჩადენისთვისაც იგი ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა – 4 წლით თავისუფლების აღკვეთა. მასვე, „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, შესაბამისი ვადით ჩამოერთვა ამავე კანონით გათვალისწინებული უფლებები.

4. სასამართლომ დაადგინა, რომ თ. ბ-მ და თ. ლ-მ ჩაიდინეს: ნარკოტიკული საშუალების უკანონო შექმნა და შენახვა, რაც გამოიხატა შემდეგით:

4.1. თ. ბ-მ გამოძიებით დაუდგენელ დროსა და ვითარებაში უკანონოდ შეიძინა და უკანონოდვე ინახავდა 26,149 გრამ ნარკოტიკულ საშუალება „ალფა-პვპ-ს“ (α -PVP) შემცველ ფხვნილს, საიდანაც – 2,305 გრამი ამოღებულია 2023 წლის 14 ოქტომბერს, ქ-ს მუნიციპალიტეტის სოფელ კ-ში ჩატარებული, თ. ბ-ს პირადი ჩხრეკის შედეგად, ხოლო 3,699 გრამი – 2023 წლის 14 ოქტომბერს, ქ-ს მუნიციპალიტეტის სოფელ კ-ში, კაფე-ბარ „ს-ს“ მიმდებარე ტერიტორიიდან (ხუთი ლოკაციიდან), თ. ბ-ს მონაწილეობით ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად.

4.1. თ. ლ-მ გამოძიებით დაუდგენელ დროსა და ვითარებაში უკანონოდ შეიძინა და უკანონოდვე ინახავდა – 20,145 გრამ ნარკოტიკულ საშუალება „ალფა-პვპ-ს“ (α -PVP) შემცველ ფხვნილს, რომელიც ამოიღეს ხ-ს მუნიციპალიტეტის დაბა მ-ში, ა-ს ქუჩის №...ში მდებარე, თ. ბ-სა და თ. ლ-ს დროებით საცხოვრებელ სახლში ჩატარებული ჩხრეკის შედეგად.

5. ბათუმის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2024 წლის 1 ივლისის განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს, როგორც – ბათუმის რაიონული პროკურატურის პროკურორმა – ოლღა მერებაშვილმა, რომელიც ითხოვდა გადაწყვეტილების შეცვლასა და თ. ბ-ა და თ. ლ-ს დამნაშავეებად ცნობას მათთვის ბრალადმერაცხილი კვალიფიკაციით და მკაცრი სასჯელების განსაზღვრას, ასე-

ვე – მსჯავრდებულების: თ. ბ-სა და თ. ლ-ს ინტერესების დამცველმა, ადვოკატებმა – გ. შ-მ და ლ. რ-მ, რომლებიც ითხოვდნენ, ერთი მხრივ, თ. ბ-ს მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის ნაცვლად, გამამართლებელი განაჩენის გამოტანას, ხოლო, მეორე მხრივ, თ. ლ-ს მიმართ, „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის კანონის გამოყენებით, სასჯელის შემსუბუქებას.

6. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2025 წლის 10 მარტის განაჩენით ბათუმის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2024 წლის 1 ივლისის განაჩენი შეიცვალა:

6.1. თ. ბ. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის (2025 წლის 1 მაისამდე მოქმედი რედაქცია) 19,260-ე მუხლის მე-5 ნაწილით „ბ“ ქვეპუნქტით წარდგენილ ბრალდებაში გამართლდა; მის მიმართ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის (2025 წლის 1 მაისამდე მოქმედი რედაქცია) 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით წარდგენილი ბრალდება გადაკვალიფიცირდა ამავე კოდექსის 260-ე მუხლის 1-ელ ნაწილზე, რომლის ჩადენისთვისაც იგი ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა – 4 წლით თავისუფლების აღკვეთა; მასვე, „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, შესაბამისი ვადით ჩამოერთვა ამავე კანონით გათვალისწინებული უფლებები; „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის კანონის 1-ელი მუხლის 1-ელი პუნქტის შესაბამისად, იგი გათავისუფლდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის (2025 წლის 1 მაისამდე მოქმედი რედაქცია) 260-ე მუხლის 1-ელი ნაწილით შეფარდებული სასჯელისაგან და ამავე კანონის მე-9 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, აღუდგა „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე ჩამორთმეული უფლებები.

6.2. თ. ლ. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის (2025 წლის 1 მაისამდე მოქმედი რედაქცია) 19,260-ე მუხლის მე-5 ნაწილით „ბ“ ქვეპუნქტით წარდგენილ ბრალდებაში გამართლდა; მის მიმართ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის (2025 წლის 1 მაისამდე მოქმედი რედაქცია) 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით წარდგენილი ბრალდება გადაკვალიფიცირდა ამავე კოდექსის 260-ე მუხლის 1-ელ ნაწილზე, რომლის ჩადენისთვისაც იგი ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა – 4 წლით თავისუფლების აღკვეთა; მასვე, „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, შესაბამისი ვადით ჩამოერთვა ამავე კანონით გათვალისწინებული უფლებები; „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის კანონ-

ნის 1-ელი მუხლის 1-ელი პუნქტის შესაბამისად, იგი გათავისუფლდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის (2025 წლის 1 მაისამდე მოქმედი რედაქცია) 260-ე მუხლის 1-ელი ნაწილით შეფარდებული სასჯელისაგან და ამავე კანონის მე-9 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, აღუდგა „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე ჩამორთმეული უფლებები.

7. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2025 წლის 10 მარტის განაჩენი საკასაციო წესით გაასაჩივრა ბათუმის რაიონული პროკურატურის პროკურორმა – ოლღა მერებაშვილმა, რომელიც ითხოვს გადაწყვეტილების შეცვლასა და თ. ბ-სა და თ. ლ-ს დამნაშავეებად ცნობას საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის (2025 წლის 1 მაისამდე მოქმედი რედაქცია) 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტითა და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 19,260-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით მათთვის ბრალდშერაცხილი დანაშაულების ჩადენისათვის და მკაცრი სასჯელების განსაზღვრას – თავისუფლების აღკვეთის სახით, რამეთუ მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი მტკიცებულებები – თ. ბ-ს პირადი ჩხრეკის ოქმი, მისივე მონაწილეობით ჩატარებული საგამოძიებო ექსპერიმენტის ოქმი, ამოღების ოქმები, თ. ლ-ს პირადი ჩხრეკის ოქმი, მსჯავრდებულების დროებითი საცხოვრებელი სახლის ჩხრეკის ოქმი, ქიმიური და ბიოლოგიური (გენეტიკური) ექსპერტიზების დასკვნები, საგამოძიებო მოქმედებების მონაწილე/ჩამტარებელი მოწმეების ჩვენებები – უტყუარად ადასტურებენ ბრალდწარდგენილი დანაშაულების ჩადენას. სასამართლომ წარმოდგენილი სამხილები ცალმხრივად, უკანონოდ და დაუსაბუთებლად შეაფასა, ხოლო მსჯავრდებულების ქმედებებს არასწორი სამართლებრივი კვალიფიკაცია მიანიჭა. ამავედროულად, კასატორი მიიჩნევს, რომ გამოყენებულია შეუსაბამოდ მსუბუქი სასჯელები, რომლებიც ვერ უზრუნველყოფს მის მიზნებს.

სამოტივაციო ნაწილი:

1. საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა, გააანალიზა კასატორის საკვანძო არგუმენტები და მიაჩნია, რომ იგი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, ხოლო გასაჩივრებული განაჩენი უნდა შეიცვალოს შემდეგ გარემოებათა გამო:

2. თავდაპირველად, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება თ. ბ-სა და თ. ლ-ს მსჯავრდების კანონიერების ან/და სამართლიანობის კუთხით, დაცვის მხარეს არ გაუსაჩივრებია. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2025 წლის 10 მარტის განაჩენი სადავოდ გახა-

და ბრალდების მხარემ, როგორც კვალიფიკაციის შეცვლის, ასევე – სასჯელების კანონიერების კუთხით და ითხოვს, თ. ბ-სა და თ. ლ-ს დამნაშავეებად ცნობას მათთვის ბრალადშერაცხილი ქმედებების ჩადენისათვის და მკაცრი სასჯელების შეფარდებას.

3. ბრალდების მხარის მტკიცებით, განსახილველი სისხლის სამართლის საქმის ფარგლებში, გამოძიების მიერ 2023 წლის 14 ოქტომბერს, სულ ამოღებულია 26,149 გრამი ნარკოტიკულ საშუალება „ალფა-პვპ-ს“ (α-PVP) შემცველი ფხვნილი, აქედან: 2,305 გრამი – თ. ბ-ს პირადი ჩხრეკისას; 3,699 გრამი – ქ.-ს მუნიციპალიტეტის სოფელ კ.-ში, კაფე-ბარ „ს-ს“ მიმდებარედ, სულ – 5 ლოკაციიდან და 20,145 გრამი – ხ-ს მუნიციპალიტეტის დაბა -ში, ა-ს ქუჩის №... არსებული, თ. ბ-სა და თ. ლ-ს დროებითი საცხოვრებელ სახლიდან. ბრალდების შესახებ დადგენილებების მიხედვით, თ. ბ-მ და თ. ლ-მ, ამოღებული ნარკოტიკული საშუალებები, წინასწარ შეთანხმებულად შეიძინეს, შეინახეს და ცდილობდნენ მათი ნაწილის უკანონოდ გასაღებას, თუმცა, მათგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, განზრახვა ვერ აღასრულეს.

4. საკასაციო სასამართლო ვერ დაეთანხმება კასატორის – ბრალდების მხარის – მტკიცებას, რომ სასამართლოში წარმოდგენილი მტკიცებულებებით, უტყუარად დასტურდება თ. ლ-ს თ. ბ-თან წინასწარი შეთანხმებით, ჯგუფურად, ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენის, შენახვისა და ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ გასაღების მცდელობის ფაქტი და მიიჩნევს, რომ თ. ლ-ს ქმედებაში გამოკვეთილია ის დანაშაული, რომლისთვისაც მას დაედო მსჯავრი – ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა და შენახვა – შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ თ. ლ. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის (2025 წლის 1 მაისამდე მოქმედი რედაქცია) 19,260-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით წარდგენილ ბრალდებაში მართებულად ცნო უდანაშაულოდ, ხოლო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის (2025 წლის 1 მაისამდე მოქმედი რედაქცია) 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით წარდგენილი ბრალდება სწორად გადააკვალიფიცირა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის (2025 წლის 1 მაისამდე მოქმედი რედაქცია) 260-ე მუხლის 1-ელ ნაწილზე, რომლის ჩადენისთვისაც იგი კანონიერად ცნობილ იქნა დამნაშავედ.

5. საყურადღებოა, რომ თ. ლ. სასამართლოში მიცემული ჩვენებისას არ უარყოფდა, რომ 2023 წლის 14 ოქტომბერს, მისი და თ. ბ-ს დროებითი საცხოვრებელი ბინიდან ამოღებული 20,145 გრამი ნარკოტიკული საშუალება „ალფა პვპ-ს“ (α-PVP) შემცველი ფხვნილი, ეკუთვნოდა მას, რომელიც სწორედ ამ ფორმით – ნებოვან ლენტებში შეფუთული – შეიძინა პირადი მოხმარებისათვის და ინახავდა თავის საძინებელში ისე, რომ თ. ბ-მ ამის შესახებ არაფერი იცოდა. პირადი მოხმარებისთვისვე

ჰქონდა მცირე სასწორი, რომლითაც ზედოზირების პრევენციისათვის აკონტროლებდა მოსახმარი ნარკოტიკის წონას. შესაბამისად, თ. ლ. აღიარებდა მისი სახლიდან ამოღებული ნარკოტიკული საშუალების შეძენისა და შენახვის ფაქტს, თუმცა უარყოფდა თ. ბ-თან წინასწარი შეთანხმებით, ჯგუფურად რაიმე დანაშაულის ჩადენას.

6. ჩხრეკის ოქმით დადგენილია, რომ 2023 წლის 14 ოქტომბერს, 23:02 საათიდან – 23:40 საათამდე, ხ-ს მუნიციპალიტეტის სოფელ მ-ში, ა-ს ქუჩის №... არსებულ, თ. ბ-სა და თ. ლ-ს №.. დროებით საცხოვრებელ ბინაში ჩატარებული ჩხრეკისას, თ. ლ-ს მითითებით, ერთ-ერთი საძინებლის კარადის უჯრიდან ამოღებულია ლურჯი პოლიეთილენის პარკი, რომელშიც იყო რუხ ქალაღდში გახვეული 27 ფუთა, ყოველი მათგანი შეხვეული იყო ყვითელი მწებავი ლენტით, რომლებიც თ. ლ-ს განმარტებით, იყო ნარკოტიკული საშუალებები და ეკუთვნოდა მას. ისევე, როგორც იმავე უჯრაში აღმოჩენილი მცირე ელექტროსასწორი. თავის მხრივ, ამ საგამოძიებო მოქმედების მსვლელობისას, თ. ბ-მ განმარტა, რომ ბინიდან ამოღებული ნარკოტიკული საშუალებები მას არ ეკუთვნოდა და არც არაფერი იცოდა მათზე. ბინის ჩხრეკის შედეგად, თ. ბ-ს საძინებლიდან ამოღებულია მხოლოდ შავი ხელჩანთა, 17 ცალი 100-ლარიანი კუპიურით, რომლებიც, თ. ბ-ს განმარტებით, ეკუთვნოდა მას.

7. სასამართლოში მონმეების სახით დაკითხულმა გ. ბ-მ, ჯ. ნ-მ, ბ. ვ-მ, ა. ე-მ, გ. გ-მ და დ. მ-მ, რომელთა მიერ/მონაწილეობით გაიჩხრიკა ხ-ს მუნიციპალიტეტის სოფელ მ-ში, ა-ს ქუჩის №... არსებული, თ. ბ-სა და თ. ლ-ს №... დროებითი საცხოვრებელი ბინა, დაადასტურეს ამ საგამოძიებო მოქმედების ოქმში მითითებული გარემოებების სისწორე და კანონიერება.

8. ქიმიური ექსპერტიზის №... დასკვნით დადგენილია, რომ ზემოაღნიშნული სახლის ჩხრეკისას ამოღებულ, 27 პოლიეთილენის პაკეტში მოთავსებული: მოთეთრო ფხვნილი, საერთო წონით – 20,137 გრამი, შეიცავს ნარკოტიკულ საშუალებას – „α-PVP-ს“ (ალფა-პვპ-ს) და ელექტრო სასწორის ზედაპირზე აღმოჩენილი მოთეთრო ფხვნილი, წონით – 0,008 გრამი, შეიცავს ნარკოტიკულ საშუალებას – „α-PVP-ს“ (ალფა-პვპ-ს).

9. ბიოლოგიური (გენეტიკური) ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, გენეტიკური კვლევითა და სტატისტიკური ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ პაკეტში, წარწერით: „პოლიეთილენის პარკი, ქალაღდის ნაჭერი, ელექტრო სასწორი, პოლიეთილენის პაკეტები და მწებავი ლენტის ნაჭრები...“, მოთავსებულ სასწორზე (ობ. №1, 2), მოლურჯო შეფუთვაზე (ობ. №3), ქალაღდის ფრაგმენტსა (ობ. №4) და 8 გამჭვირვალე პოლიეთილენის ფრაგმენტზე (ობ. №10) არსებული ბიოლოგიური

მასალის გენეტიკური პროფილები შერეულია. ობ. №2-ის პროფილის ერთი წილი ეკუთვნის თ. ლ-ს (ობ. №19; პაკეტი, წარწერით: „...აღებული ნერწყვის ნიმუში...თ. ლ...“).

10. ამდენად, არც მსჯავრდებულ თ. ლ-ს უარყვია და სასამართლოში წარმოდგენილი სამხილებითაც დასტურდება, რომ ხ-ს მუნიციპალიტეტის, სოფელ მ-ში, ა-ს ქუჩის №... არსებულ, თ. ბ-სა და თ. ლ-ს №.. დროებით საცხოვრებელ ბინაში ჩატარებული ჩხრეკისას, თ. ლ-ს საძინებლიდან ამოღებული 20,145 გრამი ნარკოტიკულ საშუალება „ალფა-პეპ-ს“ (α-PVP) შემცველი ფხვნილი ეკუთვნოდა თ. ლ-ს. იმავდროულად, ბრალდების მხარის მიერ სასამართლოში წარმოდგენილი არცერთი სამხილით არ დგინდება, თ. ბ-ს კავშირი ზემოაღნიშნულ – დროებითი საცხოვრებელი ბინიდან ამოღებულ – ნარკოტიკულ საშუალებებთან: ამაზე არ მიუთითებია სასამართლოში დაკითხულ არცერთი მოწმეს, მათ შორის – არც ირიბად; თ. ბ-ს ბიოლოგიური კვალი არ აღმოჩენილა თ. ლ-ს საძინებლიდან ამოღებული ნარკოტიკული საშუალებების შესაფუთ მასალასა და სასწორზე, ხოლო დროებითი საცხოვრებელი ბინის ჩხრეკის ოქმი ცხადყოფს, რომ თ. ბ., გამოძიების საწყის ეტაპზევე, იმთავითვე, უარყოფდა ამ ნარკოტიკულ საშუალებებთან რაიმე კავშირს, მაშინ, როდესაც, იმ დროისათვის, სრულად თანამშრომლობდა გამოძიებასთან და სამართალდამცავებს მიუთითებდა იმ სამალავ ადგილებზე, საიდანაც, მოგვიანებით ამოიღეს კიდევ ნარკოტიკული საშუალებები.

11. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ბრალდების მხარემ, რომელსაც პროცესუალურად ეკისრება წარდგენილი ბრალდების მტკიცების ტვირთი, სასამართლოში ვერ წარმოადგინა ვერცერთი უტყუარი მტკიცებულება, რომელიც გააქარწყლებდა თ. ლ-ს ჩვენებას, რომ მსჯავრდებულების დროებითი საცხოვრებელი ბინიდან ამოღებული ნარკოტიკული საშუალებები ეკუთვნოდა მხოლოდ მას და თ. ბ-ს არანაირი კავშირი არ ჰქონდა მათთან. მხოლოდ ის ფაქტი, რომ თ. ბ-ს პირადი, ასევე – მის მიერ მითითებული ადგილებიდან და დროებითი საცხოვრებელი ბინიდან ამოღებულ ნარკოტიკულ საშუალებებს ჰქონდათ მსგავსი შეფუთვები, ვერ გახდება იმის მტკიცების უპირობო საფუძველი, რომ თ. ბ-მ და თ. ლ-მ მათთვის შერაცხილი ნარკოტიკული დანაშაულები წინასწარი შეთანხმებით, ჯგუფურად ჩაიდინეს.

12. იმავდროულად, ყურადსაღებია, რომ ბრალდების მხარე თ. ლ-სა და თ. ბ-ს ედავებოდა მხოლოდ ქ-ს მუნიციპალიტეტის სოფელ კ-ში, კაფე-ბარ „ს-ს“ მიმდებარედ, სულ ხუთი ლოკაციიდან ამოღებული, 3,699 გრამი ნარკოტიკული საშუალება „ალფა-პეპ-ს“ (α-PVP) გასაღების მცდელობას და არა – თ. ლ-ს საძინებლიდან, 27 შეკვრად დაფასობებული, 20,145 გრამი ნარკოტიკულ საშუალება „ალფა-პეპ-ს“ (α-PVP) გასაღე-

ბის მცდელობას. ხაზგასასმელია, რომ საქმეში წარმოდგენილი არცერთი მტკიცებულება არ მიუთითებს უტყუარად ქ-ს მუნიციპალიტეტის სოფელ კ-ში, კაფე-ბარ „ს-ს“ მიმდებარედ, თ. ბ-ს მითითებით, ხუთი ლოკაციიდან და თ. ბ-ს პირადი ჩხრეკისას, ამოღებულ ნარკოტიკულ საშუალებებთან თ. ლ-ს რაიმე კავშირზე. შესაბამისად, დანაშაულების ჯგუფურად ჩადენასთან დაკავშირებული ეჭვები, რომლებიც ვერ დადასტურდა კანონით დადგენილი წესით, *In dubio pro reo* – პრინციპიდან გამომდინარე, მართებულად გადაწყდა ბრალდებულების/მსჯავრდებულების სასარგებლოდ.

13. გამომდინარე აქედან, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ თ. ლ-ს მართებულად შეერაცხა მსჯავრად მხოლოდ ხ-ს მუნიციპალიტეტის დაბა მ-ში, ა-ს ქუჩის №... მდებარე, № – ბინიდან ამოღებული 20,145 გრამი ნარკოტიკულ საშუალება „ალფა-პვპ-ს“ (α-PVP) უკანონოდ შექმნა და შენახვა, ხოლო თ. ბ-თან წინასწარი შეთანხმებით ჯგუფურად ნარკოტიკული საშუალებების უკანონო შექმნის, შენახვისა და გასაღების მცდელობის ბრალდებებში იგი მართებულად იქნა ცნობილი უდანაშაულოდ და გამართლდა.

14. ამდენად, თ. ლ-ს მსჯავრდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის (2025 წლის 1 მაისამდე მოქმედი რედაქცია) 260-ე მუხლის 1-ელი ნაწილით კანონიერია, ხოლო შეფარდებული სასჯელი – სამართლიანი და, შესაბამისად, თ. ლ-ს მსჯავრდებისა და სასჯელის ნაწილში, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2025 წლის 10 მარტის განაჩენის გაუქმების ან შეცვლის რაიმე წინაპირობა, განსახილველ შემთხვევაში, არ იკვეთება.

15. რაც შეეხება თ. ბ-ს ბრალეულობას, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მის ქმედებაში გამოკვეთილია ნარკოტიკული საშუალების უკანონო შექმნის, შენახვისა და უკანონო გასაღების მომზადების შემადგენლობა და, შესაბამისად, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის (2025 წლის 1 მაისამდე მოქმედი რედაქცია) 19,260-ე მუხლის მე-5 ნაწილით „ბ“ ქვეპუნქტით მისთვის წარდგენილი ბრალდება უნდა გადაკვალიფიცირდეს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის (2025 წლის 1 მაისამდე მოქმედი რედაქცია) 18,260-ე მუხლის მე-4 ნაწილზე, ხოლო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის (2025 წლის 1 მაისამდე მოქმედი რედაქცია) 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით წარდგენილი ბრალდება – საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის (2025 წლის 1 მაისამდე მოქმედი რედაქცია) 260-ე მუხლის 1-ელ ნაწილზე, რომელთა ჩადენისთვისაც უნდა დაედოს მას მსჯავრი, შემდეგ გარემოებათა გამო:

16. ჩხრეკის ოქმით დგინდება, რომ 2023 წლის 14 ოქტომბერს, 15:30 საათიდან – 16:15 საათამდე, ქ-ს მუნიციპალიტეტის სოფელ კ-ში, შიდა

საავტომობილო გზაზე ჩატარებული პირადი ჩხრეკისას, თ. ბ-ს შარვლის წინა მარცხენა ჯიბიდან ამოღებულია მოყვითალო მწებავ ლენტში შეხვეული 3 ფუთა, რომლებიც თ. ბ-ს განმარტებით, იყო ნარკოტიკული საშუალებები და გამზადებული ჰქონდა გასასაღებლად, ხოლო მისი ქურთუკის წინა, მარჯვენა ჯიბიდან – შავი „რედმის“ ფირმის მობილური ტელეფონი.

17. 2023 წლის 14 ოქტომბერს, 18:02 საათიდან – 20:20 საათამდე, ჩატარებული საგამოძიებო ექსპერიმენტის ოქმის მიხედვით, თ. ბ-ს მითითებით, სამართალდამცვეები მივიდნენ სოფელ კ-ში არსებული, ყოფილი კაფე-ბარ „ს-ს“ მიმდებარედ, სადაც, შენობის შესასვლელთან, მან მიუთითა კიბეზე ჩასასვლელის მარცხნივ, ხის გვერდით არსებულ მიწის ღრმულზე, რომელზეც გადაფარებული იყო ფოთლები და განმარტა, რომ შემდგომი გასაღების მიზნით, იქ ინახავდა ნარკოტიკულ საშუალებას. მითითებულ ადგილას აღმოჩნდა მწებავი ლენტით შეფუთული მასა, რომელიც, გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე, ამოიღეს სამართალდამცველებმა. აქედან, დაახლოებით, 8 მეტრში, თ. ბ-მ მიუთითა მარცხენა მხარეს არსებულ ქვაზე და განმარტა, რომ მის ქვეშ, შემდგომი რეაგირების მიზნით, ინახავდა ნარკოტიკულ საშუალებას. მითითებულ ადგილას აღმოჩნდა მწებავი ლენტით შეფუთული მასა, რომელიც, გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე, ამოიღეს სამართალდამცველებმა. აქედან, გვერდით, დაახლოებით, 2 მეტრში, მან მიუთითა ქვაზე და განმარტა, რომ მის ქვეშ, შემდგომი რეაგირების მიზნით, ინახავდა ნარკოტიკულ საშუალებას. მითითებულ ადგილას აღმოჩნდა მწებავი ლენტით შეფუთული მასა, რომელიც, გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე, ამოიღეს სამართალდამცველებმა. პირველი ამოღებული ობიექტიდან, დაახლოებით, 10 მეტრში, ქვემოთ, მარცხენა მხარეს, ფერდობზე, თ. ბ-მ მიუთითა ქვაზე და განმარტა, რომ მის ქვეშ, შემდგომი რეაგირების მიზნით, ინახავდა ნარკოტიკულ საშუალებას. მითითებულ ადგილას აღმოჩნდა მწებავი ლენტით შეფუთული მასა, რომელიც, გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე, ამოიღეს სამართალდამცველებმა. აქედან, დაახლოებით, 10 მეტრში, კიბეზე ჩასასვლელის მარჯვნივ არსებულ მიწის ღრმულზე და განმარტა, რომ იქ, შემდგომი რეაგირების მიზნით, ინახავდა ნარკოტიკულ საშუალებას. მითითებულ ადგილას აღმოჩნდა მწებავი ლენტით შეფუთული მასა, რომელიც გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე ამოიღეს სამართალდამცველებმა. თ. ბ-ს თქმით, შემდგომი გასაღების მიზნით, სხვა ადგილას ნარკოტიკული საშუალება არ შეუნახავს.

17. ამოღების ოქმებით დგინდება, რომ 2023 წლის 14 ოქტომბერს, 18:25-18:44; 18:50-19:10; 19:13-19:33; 19:35-19:55 და 20:00-20:18 საათე-

ბის შუალედში, თ. ბ-ს მონაწილეობით ჩატარებული, ზემოაღნიშნული საგამოძიებო ექსპერიმენტის კვალდაკვალ, თ. ბ-ს მითითებების შესაბამისად, სულ – 5 ადგილიდან, ამოღებულია ნებოვანი ლენტით თითო-თითოდ შეფუთული მასა, რაც თ. ბ-ს განმარტებით, იყო ნარკოტიკული საშუალება.

18. ქიმიური ექსპერტიზის N... დასკვნით დადგენილია, რომ თ. ბ-ს პირადი ჩხრეკისას ამოღებული, 3 პოლიეთილენის პაკეტში მოთავსებული, მოთეთრო ფხვნილი, საერთო წონით – 2,305 გრამი, შეიცავს ნარკოტიკულ საშუალებას „ α -PVP-ს“ (ალფა-პვპ-ს), ხოლო საგამოძიებო ექსპერიმენტის დროს, ამოღებული: 1 პოლიეთილენის პაკეტში მოთავსებული, მოთეთრო ფერის ფხვნილი, წონით – 0,887 გრამი, შეიცავს ნარკოტიკულ საშუალებას „ α -PVP-ს“ (ალფა-პვპ-ს); 1 პოლიეთილენის პაკეტში მოთავსებული, მოთეთრო ფერის ფხვნილი, წონით – 0,737 გრამი, შეიცავს ნარკოტიკულ საშუალებას „ α -PVP-ს“ (ალფა-პვპ-ს); 1 პოლიეთილენის პაკეტში მოთავსებული, მოთეთრო ფერის ფხვნილი, წონით – 0,553 გრამი, შეიცავს ნარკოტიკულ საშუალებას „ α -PVP-ს“ (ალფა-პვპ-ს); 1 პოლიეთილენის პაკეტში მოთავსებული, მოთეთრო ფერის ფხვნილი, წონით – 0,731 გრამი, შეიცავს ნარკოტიკულ საშუალებას „ α -PVP-ს“ (ალფა-პვპ-ს); 1 პოლიეთილენის პაკეტში მოთავსებული, მოთეთრო ფერის ფხვნილი, წონით – 0,791 გრამი, შეიცავს ნარკოტიკულ საშუალებას „ α -PVP-ს“ (ალფა-პვპ-ს).

19. ბიოლოგიური (გენეტიკური) ექსპერტიზის დასკვნით დადასტურებულია, რომ გენეტიკური კვლევიტა და სტატისტიკური ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ პაკეტში, წარწერით: „...ობ. №1 – პოლიეთილენის პაკეტები და მწებავი ლენტის ნაჭრები...“, მოთავსებულ, მწებავი ლენტების ფრაგმენტებზე არსებული ბიოლოგიური მასალის (ობ. №17) გენეტიკური პროფილი ეკუთვნის – თ. ბ-ს (ობ. №20).

20. იმავდროულად, თ. ბ-ს პირად ჩხრეკაში მონაწილე პირებმა – გ. ბ-მ, ჯ. ნ-მ, მ. გ-მ და გ. კ-მ, ისევე, როგორც საგამოძიებო მოქმედებაზე მიწვეულმა გარეშე პირმა – ზ. ლ-მ – სასამართლოში ჩვენებების მიცემისას დაადასტურეს, რომ თ. ბ-სგან, პირადი ჩხრეკისას ამოიღეს მწებავ ლენტში გახვეული 3 ფუთა, რომლებშიც, მსჯავრდებულის თქმით, იყო ნარკოტიკული საშუალებები, ხოლო მონმეების სახით დაკითხულმა – ო. გ-მ, ჯ. ნ-მ, მ. გ-მ, გ. კ-მ, ისევე, როგორც – საგამოძიებო მოქმედებაზე მიწვეულმა დამსწრე, სოფლის გამგებლის მოადგილემ – ბ. შ-მ – დაადასტურეს, რომ თ. ბ-ს განმარტების კვალდაკვალ, რომ ქ-ს რაიონის სოფელ კ-ში არსებულ, მიტოვებულ კაფესთან ინახავდა ნარკოტიკულ საშუალებებს, სწორედ მსჯავრდებულის მიერ უშუალოდ მითითებული 5 ლოკაციიდან ამოიღეს მწებავ ლენტებში, თითო-თითოდ გახვეული, სულ 5 ფუთა. თ. ბ-ს თქმით, მითითებულ ადგილებში

ნარკოტიკული საშუალებები დალაგებული ჰქონდა მათი შემდგომი გასაღების მიზნით.

21. ნივთიერი მტკიცებულების გახსნის და დათვალიერების ოქმით ირკვევა, რომ თ. ბ-ს პირადი ჩხრეკისას ამოღებული „რედმის“ ფირმის მობილურ ტელეფონში აღმოჩნდა შემთხვევის დღეს – 2023 წლის 14 ოქტომბერს, 10:20, 10:06, 10:01, 09:47 და 09:41 საათზე გადაღებული, ადგილმდებარეობის ფოტოსურათები, თითოეულზე გამოსახული მისამართით – საქართველო, კ... და შესაბამისი კოორდინატებით.

22. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია: მიუხედავად იმისა, რომ თ. ბ-ს მითითებით, სამართალდამცავებმა 5 ლოკაციიდან ამოიღეს ნარკოტიკული საშუალებები, მის ქმედებაში არ იყო გამოკვეთილი ნარკოტიკული საშუალებების გასაღების მიზანი, მათ შორის, არც იმ გარემოებიდან გამომდინარე, რომ მსჯავრდებულმა სხვადასხვა ადგილას განათავსა ნარკოტიკული საშუალებები, რამეთუ შესაძლოა, ისინი პირადი მოხმარების მიზნით შეენახა ასე და არც მის ტელეფონში აღმოჩენილი ადგილმდებარეობის ფოტოები მიანიშნებდა ამგვარ სურვილზე, რამეთუ არ დადგენილა, რომ ეს ფოტოები სწორედ იმ ლოკაციებზე იყო გადაღებული, საიდანაც ნარკოტიკები ამოიღეს და, ამავდროულად, არ გამოვლენილა, რომ თ. ბ-მ ეს ფოტოები ვინმეს გადაუგზავნა.

23. აღსანიშნავია, რომ საკასაციო სასამართლოს მიერ დადგენილი პრაქტიკის შესაბამისად, საგამოძიებო ექსპერიმენტის ოქმს გარკვეულ შემთხვევებში გააჩნია პირდაპირი ხასიათის მტკიცებულებითი მნიშვნელობა. საკასაციო სასამართლომ არაერთხელ განმარტა, რომ ქმედების ჩადენის ვითარების აღდგენა ჩვენებად ვერ იქნება მიჩნეული, რის გამოც მის მიმართ არ ვრცელდება მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 247-ე მუხლით გათვალისწინებული შეზღუდვა. ამასთან, ბრალდებულის მიერ საგამოძიებო ექსპერიმენტის დროს ქმედების ჩადენის ვითარების აღდგენის ამსახველი ოქმი, რომელიც შედგა აღნიშნული საგამოძიებო მოქმედების ჩატარებისას, მისი შინაარსიდან გამომდინარე, წარმოადგენს პირდაპირ მტკიცებულებას, რომელიც სასამართლომ შეიძლება გამოიყენოს გამამტყუნებელი ან გამამართლებელი განაჩენის დადგენისა და დასაბუთებისათვის (იხ.: საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 28 აპრილის №561აპ-15 განაჩენი, სამოტივაციო ნაწილი, პუნქტი 44). გარდა ზემოაღნიშნულისა (საგამოძიებო ექსპერიმენტის გაზიარების კუთხით), პირობითად სხვა შემთხვევა შეიძლება იყოს მოცემულობა, როდესაც მოწმის/დაზარალებულის ჩვენებაში ასახული ინფორმაციის აღდგენის პროცესში, საქმეზე დამატებით აღმოჩნდება რაიმე საგანი, დოკუმენტი, კვალი თუ ინფორმაციის შემ-

ცველი სხვა ობიექტი. ესე იგი, საგამოძიებო ექსპერიმენტი უნდა ასახავდეს ჩვენებისგან დამოუკიდებელი მნიშვნელობის მქონე ინფორმაციას, რომლის რეალურობაც სწორედ ამ საგამოძიებო მოქმედების ფარგლებში მოწმდება. მაგალითად, საგამოძიებო ექსპერიმენტის მიმდინარეობისას პირმა მიუთითა, თუ სად დამალა დანაშაულის საგანი, რომლის ნამდვილობა შემომწმდა, გამართლდა და გამოძიებლებმა იგი ამოიღეს (იხ.: საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2021 წლის 28 სექტემბრის №682აპ-21 განაჩენი, სამოტივაციო ნაწილი, პუნქტი 2.1.).

24. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო, საგამოძიებო ექსპერიმენტის ოქმთან ერთობლივად, ითვალისწინებს საგამოძიებო ექსპერიმენტში მონაწილე პირების – ჯ. ნ-ს, ო. -ს, მ. გ-ს, გ. კ-სა და ბ. შ-ს – ჩვენებებს, რომლებმაც ცალსახად და ერთმნიშვნელოვნად დაადასტურეს, რომ თ. ბ-მ ნებაყოფლობით მიუთითა იმ ადგილებზე, სადაც, მისივე თქმით, გასაღების მიზნით ჰქონდა შენახული ნარკოტიკული საშუალებები. ამას ობიექტურადაც ცხადყოფს სულ რამდენიმე მეტრის რადიუსში, ხუთ სხვადასხვა ადგილას გადამალული ნარკოტიკული საშუალებები, რომელთა ამგვარად პირადი მოხმარებისათვის შენახვის ვერსია მეტად არასარწმუნო და არადაამაჯერებელია.

25. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მტკიცებულებების გამოკვლევისას გამოკვეთილი ფაქტობრივი გარემოებების ერთობლივად შეფასებისას, ასევე გაუმართლებელია მსჯელობა, თითქოსდა, ნარკოტიკული საშუალებების გასაღების მიზანზე არ მიუთითებს თ. ბ-ს ტელეფონში აღმოჩენილი, შემთხვევის დღეს გადაღებული, ადგილმდებარეობის ხუთი ფოტოსურათი, ლოკაციების აღწერით, რამეთუ არ დაადასტურებულა მსჯავრდებულის მიერ ამ ფოტოსურათების სხვა პირ(ებ)ისათვის გადაგზავნის ფაქტი. საკასაციო სასამართლო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ფოტოსურათების სხვა პირ(ებ)ისათვის გადაგზავნა მსჯავრდებულის ქმედებაში გამოკვეთდა სწორედ ნარკოტიკული საშუალებების გასაღების მცდელობას, რასაც ბრალდების მხარე ედავებოდა მას, ხოლო ის გარემოება, რომ მსჯავრდებულს ტელეფონში შენახული ჰქონდა ეს ფოტოსურათები, თუმცა არავისთვის გაუგზავნია, ადასტურებს, რომ თ. ბ. ამზადებდა ნარკოტიკული საშუალებების გასაღებას, თუმცა მისი ქმედება დანაშაულის მცდელობაში არ გადაზრდილა, რაც ცხადია, არ გამორიცხავს ნარკოტიკული დანაშაულის მომზადებისათვის მის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას (იხ.: საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2025 წლის 20 თებერვლის №1146აპ-24 განაჩენი, 2025 წლის 16 აპრილის №1214აპ-24 განაჩენი, 2025 წლის 26 ივნისის

№ 1331აპ-24 განაჩენი).

26. ამრიგად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს: გამომდინარე იქიდან, რომ უტყუარად ვერ დგინდება თ. ბ-ს მიერ ნარკოტიკული საშუალების წინასწარი შეთანხმებით, ჯგუფურად, შეძენის, შენახვისა და გასაღების მცდელობის ფაქტი, თუმცა სარწმუნოდ დასტურდება, რომ მან უკანონოდ შეიძინა და შეინახა 6,004 გრამი ნარკოტიკული საშუალება „ალფა-პეპ-ს“ (α-PVP) შემცველი ფხვნილი, საიდანაც 2,305 გრამს ინახავდა პირადად, ხოლო 3,699 გრამს ამზადებდა გასასაღებლად, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის (2025 წლის 1 მაისამდე მოქმედი რედაქცია) 19,260-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით მისთვის წარდგენილი ბრალდება უნდა გადაკვალიფიცირდეს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის (2025 წლის 1 მაისამდე მოქმედი რედაქცია) 18,260-ე მუხლის მე-4 ნაწილზე, ხოლო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის (2025 წლის 1 მაისამდე მოქმედი რედაქცია) 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით წარდგენილი ბრალდება – საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის (2025 წლის 1 მაისამდე მოქმედი რედაქცია) 260-ე მუხლის 1-ელ ნაწილზე, რისთვისაც ცნობილ უნდა იქნეს დამნაშავედ და შეეფარდოს შესაბამისი სასჯელი.

27. რაც შეეხება სასჯელს, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის (2025 წლის 1 მაისამდე მოქმედი რედაქცია) 18,260-ე მუხლის მე-4 ნაწილი ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ათიდან თხუთმეტ წლამდე, ხოლო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის 1-ელი ნაწილი – თავისუფლების აღკვეთით ვადით ექვს წლამდე.

28. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 259-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, სასამართლოს განაჩენი სამართლიანია, თუ დანიშნული სასჯელი შეესაბამება მსჯავრდებულის პიროვნებასა და მის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეს. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლო დამნაშავეს სამართლიან სასჯელს დაუნიშნავს ამ კოდექსის კერძო ნაწილის შესაბამისი მუხლით დადგენილ ფარგლებში და ამავე კოდექსის ზოგადი ნაწილის დებულებათა გათვალისწინებით. სასჯელის უფრო მკაცრი სახე შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ მაშინ, როდესაც ნაკლებად მკაცრი სახის სასჯელი ვერ უზრუნველყოფს სასჯელის მიზნის განხორციელებას. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, სასჯელის დანიშვნის დროს სასამართლო ითვალისწინებს დამნაშავეს პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ და დამამძიმებელ გარემოებებს, კერძოდ, დანაშაულის მოტივსა და მიზანს, ქმედებაში გამოვლენილ მართლსაწინააღმდეგო ნებას, მოვალეობათა

დარღვევის ხასიათსა და ზომას, ქმედების განხორციელების სახეს, ხერხსა და მართლსაწინააღმდეგო შედეგს, დამნაშავეს წარსულ ცხოვრებას, პირად და ეკონომიკურ პირობებს, ყოფაქცევას ქმედების შემდეგ, განსაკუთრებით – მის მისწრაფებას, აანაზღაუროს ზიანი, შეურიგდეს და ზარალებულს. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე მუხლის 1-ელი ნაწილის თანახმად, სასჯელის მიზანია სამართლიანობის აღდგენა, ახალი დანაშაულის თავიდან აცილება და დამნაშავეს რესოციალიზაცია.

29. საკასაციო სასამართლომ შეაფასა, როგორც სასჯელის დანიშვნის ზოგადსავალდებულო გარემოებები, ასევე – პირის ინდივიდუალური მახასიათებლები და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე, 53-ე მოთხოვნათა გათვალისწინებითა და მსჯავრდებულის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებების მხედველობაში მიღებით, მიიჩნევს, რომ თ. ბ-ს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის (2025 წლის 1 მაისამდე მოქმედი რედაქცია) 18,260-ე მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის უნდა მიესაჯოს – 10 წლით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის (2025 წლის 1 მაისამდე მოქმედი რედაქცია) 260-ე მუხლის 1-ელი ნაწილით – 4 წლით თავისუფლების აღკვეთა, რომლის მოხდისაგან უნდა გათავისუფლდეს „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის კანონის 1-ელი მუხლის 1-ელი პუნქტის შესაბამისად.

30. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ბათუმის რაიონული პროკურატურის პროკურორ ოლღა მერებაშვილის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2025 წლის 10 მარტის განაჩენი უნდა შეიცვალოს მსჯავრდებულ თ. ბ-ს მიმართ დამძიმების კუთხით, ხოლო მსჯავრდებულ თ. ლ-ს მიმართ უნდა დარჩეს უცვლელად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის 1-ელი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, ამავე მუხლის მე-3 ნაწილითა და 308-ე მუხლის მე-2 ნაწილით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. ბათუმის რაიონული პროკურატურის პროკურორ ოლღა მერებაშვილის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

2. შეიცვალოს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2025 წლის 10 მარტის განაჩენი:

3. თ. ბ-ს მიმართ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის (2025 წლის 1 მაისამდე მოქმედი რედაქცია) 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით წარდგენილი ბრალდება გადაკვალიფიცირდეს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის (2025 წლის 1 მაისამდე მოქმედი რედაქცია) 260-ე მუხლის 1-ელ ნაწილზე, რომლის ჩადენისთვისაც იგი ცნობილ იქნეს დამნაშავედ და მიესაჯოს – 4 წლით თავისუფლების აღკვეთა, რომლის მოხდისაგან გათავისუფლდეს „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის კანონის 1-ელი მუხლის 1-ელი პუნქტის შესაბამისად;

4. თ. ბ-ს მიმართ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის (2025 წლის 1 მაისამდე მოქმედი რედაქცია) 19,260-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით წარდგენილი ბრალდება გადაკვალიფიცირდეს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის (2025 წლის 1 მაისამდე მოქმედი რედაქცია) 18,260-ე მუხლის მე-4 ნაწილზე, რომლის ჩადენისთვისაც იგი ცნობილ იქნეს დამნაშავედ და მიესაჯოს – 10 წლით თავისუფლების აღკვეთა;

5. თ. ბ-ს თავისუფლების აღკვეთის სახით შეფარდებული სასჯელი აეთვალოს ამ განაჩენის აღსრულების მიზნით მისი დაკავების მომენტიდან. მასვე, სასჯელის ვადაში ჩათვალოს პატიმრობაში ყოფნის დრო – 2023 წლის 14 ოქტომბრიდან 2025 წლის 10 მარტის ჩათვლით;

5. თ. ბ-ს „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, 5 წლით ჩამოერთვას სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება, 20 წლით – საექიმო ან/და ფარმაცევტული საქმიანობის უფლება, აგრეთვე – ავთიაქის დაფუძნების, ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის უფლება, ხოლო – საადვოკატო საქმიანობის უფლება, პედაგოგიური და საგანმანათლებლო დაწესებულებაში საქმიანობის უფლება, საჯარო სამსახურში საქმიანობის უფლება, პასიური საარჩევნო უფლება, იარაღის დამზადების, შექმნის, შენახვისა და ტარების უფლება – 15 წლით;

6. ნივთიერი მტკიცებულებები:

ნარკოტიკული საშუალებები, პაკეტები, ნერწყვის ნიმუშები, პოლიეთილენის პარკი და ქაღალდი – განადგურდეს;

სასწორი, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 81-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე, თ. ლ-ს ჩამოერთვას უსასყიდლოდ;

მობილური ტელეფონები, საფულე, მასში არსებული ფულითა და პირადი დოკუმენტაციით და 1700 ლარი – დაუბრუნდეთ კანონიერ

მფლობელებს;

საქმეზე დართული 1 დისკი, შენახულ იქნეს საქმის შენახვის ვადით;

7. სხვა, მათ შორის თ. ლ-ს მსჯავრდების ნაწილში, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2025 წლის 10 მარტის განაჩენი დარჩეს უცვლელად;

7. განაჩენი საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

ნარკოტიკული საშუალების უკანონო გასაღების მომზადება

**განაჩენი
საქართველოს სახელმწიფო**

№607აპ-25

18 დეკემბერი, 2025 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**

ლ. ფაფიაშვილი (თავმჯდომარე),

მ. ვასაძე,

ლ. თევზაძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა ბათუმის რაიონული პროკურატურის პროკურორ ოლღა მერებაშვილის საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2025 წლის 24 მარტის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

1. პირის ბრალდების შესახებ დადგენილებებით მ. დ-ის მიერ ჩადენილი ქმედებები გამოიხატა შემდეგში:

1.1. მ. დ-ემ გამოიძიებით დაუდგენელ დროსა და ვითარებაში უკანონოდ შეიძინა და უკანონოდ ინახავდა 5.213 გრამ ნარკოტიკულ საშუალებას „ალფა-პეპ-ს“ (α-PVP) შემცველ ფხვნილს, რომლიდანაც – 4.152 გრამი ნარკოტიკულ საშუალებას „ალფა-პეპ-ს“ (α-PVP) შემცველი ფხვნილი ამოიღეს 2023 წლის 19 სექტემბერს, .., თ-ის მიმდებარე ტერიტორიაზე, მ. დ-ის პირადი ჩხრეკის შედეგად, ხოლო – 1.061 გრამი ნარკოტიკული საშუალებას „ალფა-პეპ-ს“ (α-PVP) შემცველი ფხვნილი, მ. დ-ისაგან ამოღებული იქნა 2023 წლის 19 სექტემბერს, ქ, თ. მიმდებარე ტერიტორიიდან (ოთხი ლოკაცია), მასთან ჩატარებული საგამოძიებო

მოქმედებების შედეგად.

1.1.1. აღნიშნული ქმედებით მ. დ-ემ ჩაიდინა ნარკოტიკული საშუალების უკანონო შექმნა და შენახვა, – დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის (შემდეგში – საქართველოს სსკ-ის) 260-ე მუხლის პირველი ნაწილით;

1.2. მ. დ-ემ უკანონოდ შექმნილი და შენახული ნარკოტიკული საშუალებების დაუდგენელ პირებზე შემდგომი უკანონო გასაღების მიზნით, დააფასოვა, გაანაწილა და ქ., თ. მიმდებარე ტერიტორიაზე (ოთხი ლოკაცია) განათავსა 1.061 გრამი ნარკოტიკული საშუალება „ალფა-პეპს“ (α-PVP) შემცველი ფხვნილი. მიუხედავად იმისა, რომ მ. დ-ის ქმედება მიმართული იყო უშუალოდ ნარკოტიკული საშუალებების გასაღებისაკენ, 2023 წლის 19 სექტემბერს, პოლიციის თანამშრომლების მიერ გატარებული დროული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, მის მიერ სარეალიზაციოდ დატოვებული ნარკოტიკული საშუალება მ. დ-ისაგან ამოიღეს, რის გამოც, განზრახული დანაშაული ბოლომდე არ იქნა მიყვანილი.

1.2.1. აღნიშნული ქმედებით მ. დ-ემ ჩაიდინა ნარკოტიკული საშუალების უკანონო გასაღების მცდელობა, – დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 19,260-ე მუხლის მე-4 ნაწილით.

2. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2024 წლის 18 ივნისის განაჩენით:

2.1. მ. დ-ე ცნობილ იქნა უდანაშაულოდ და გამართლდა საქართველოს სსკ-ის 19,260-ე მუხლის მე-4 ნაწილით წარდგენილ ბრალდებაში;

2.2. მ. დ-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და ძირითადი სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა – თავისუფლების აღკვეთა 2 წლითა და 6 თვით;

2.3. მ. დ-ეს, „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, 5 წლით ჩამოერთვა სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება, საადვოკატო საქმიანობის, პედაგოგიური და საგანმანათლებლო დაწესებულებებში საქმიანობის, საჯარო სამსახურში საქმიანობის, პასიური საარჩევნო და იარაღის დამზადების, შექმნის, შენახვის და ტარების უფლებები, ხოლო 10 წლით – საექიმო და ფარმაცევტული საქმიანობის, აგრეთვე ავთიაქის დაფუძნების, ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის უფლება;

2.4. მ. დ-ეს სასჯელის ვადა აეთვალა დაკავების დღიდან – 2023 წლის 19 სექტემბრიდან.

3. სასამართლომ დაადგინა, რომ განსახილველ სისხლის სამართლის საქმეზე ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებათა

ერთობლიობით, გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით დასტურდება, რომ მ. დ-ემ გამოძიებით დაუდგენელ დროსა და ვითარებაში უკანონოდ შეიძინა და უკანონოდ ინახავდა 5.213 გრამ ნარკოტიკულ საშუალებას „ალფა-პეპს-ს“ (α -PVP) შემცველ ფხვნილს, რომლიდანაც – 4.152 გრამი ნარკოტიკული საშუალება „ალფა-პეპს-ს“ (α -PVP) შემცველი ფხვნილი ამოიღეს 2023 წლის 19 სექტემბერს, ქ., თ-ის მიმდებარე ტერიტორიაზე, მ. დ-ის პირადი ჩხრეკის შედეგად. აღნიშნული ქმედებით, მ. დ-ემ ჩაიდინა საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული.

4. აღნიშნული განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს ბრალდებისა და დაცვის მხარეებმა, კერძოდ:

4.1. ბათუმის რაიონული პროკურატურის პროკურორმა ოლღა მერებაშვილმა მოითხოვა მ. დ-ის საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის პირველი ნაწილითა და საქართველოს სსკ-ის 19,260-ე მუხლის მე-4 ნაწილით დამნაშავედ ცნობა და მისთვის შესაბამისი მუხლების სანქციით გათვალისწინებული სასჯელის – პენიტენციურ დაწესებულებაში მოსახდელად თავისუფლების აღკვეთის – უმკაცრესი ზომის განსაზღვრა;

4.2. მ. დ-ის ინტერესების დამცველმა ადვოკატმა პ.....ემ მოითხოვა მ. დ-ის უდანაშაულოდ ცნობა, მათ შორის, საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის პირველი ნაწილითაც.

5. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2025 წლის 24 მარტის განაჩენით ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2024 წლის 18 ივნისის განაჩენში შევიდა ცვლილება:

5.1. მ. დ-ე ცნობილ იქნა უდანაშაულოდ და გამართლდა საქართველოს სსკ-ის 19,260-ე მუხლის მე-4 ნაწილით წარდგენილ ბრალდებაში;

5.2. მ. დ-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა – თავისუფლების აღკვეთა 2 წლითა და 6 თვით;

5.2.1. „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, მ. დ-ე გათავისუფლდა საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის პირველი ნაწილით დაკისრებული სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელისაგან;

5.3. „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, მ. დ-ეს 5 წლით ჩამოერთვა: სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება, საადვოკატო საქმიანობის, პედაგოგიური და საგანმანათლებლო დაწესებულებებში საქმიანობის, საჯარო სამსახურში საქმიანობის, პასიური საარჩევნო და

იარაღის დამზადების, შეძენის, შენახვის და ტარების უფლებები, ხოლო 10 წლით – საექიმო და ფარმაცევტული საქმიანობის, აგრეთვე ავთიაქის დაფუძნების, ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის უფლება;

5.3.1. 2024 წლის 17 სექტემბრის „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, მ. დ-ეს აღუდგა „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე ჩამორთმეული უფლებები (გარდა იარაღის დამზადების, შეძენის, შენახვისა და ტარების უფლებისა);

5.4. მ. დ-ე დაუყოვნებლივ – განაჩენის გამოცხადებისთანავე, სამართლოს სხდომის დარბაზიდან – გათავისუფლდა პატიმრობიდან.

6. აღნიშნული განაჩენი საკასაციო წესით გაასაჩივრა ბათუმის რაიონული პროკურატურის პროკურორმა ოლღა მერებაშვილმა. კასატორი ითხოვს მ. დ-ის საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის პირველი ნაწილითა და საქართველოს სსკ-ის 19,260-ე მუხლის მე-4 ნაწილით დამნაშავედ ცნობასა და მისთვის შესაბამისი მუხლების სანქციით გათვალისწინებული სასჯელის – თავისუფლების აღკვეთის – „უმკაცრესი ზომის“ განსაზღვრას პენიტენციურ დაწესებულებაში მოხდით.

სამოტივაციო ნაწილი:

1. სასამართლო ითვალისწინებს, რომ დასაბუთებული გადაწყვეტილების ვალდებულება არ მოითხოვს მხარეების მიერ მითითებულ ყველა არგუმენტზე დეტალური პასუხის გაცემას (იხ. Fomin v. Moldova, no. 36755/06, par. 31, ECtHR, 11/11/2011).

2. საქართველოს სსსკ-ის 306-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, საკასაციო საჩივარი განიხილება საჩივრისა და მისი შესაგებლის ფარგლებში. მოცემულ შემთხვევაში, კასატორი ბრალდების მხარე ითხოვს მ. დ-ის საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის პირველი ნაწილითა და საქართველოს სსკ-ის 19,260-ე მუხლის მე-4 ნაწილით დამნაშავედ ცნობასა და მისთვის შესაბამისი მუხლების სანქციით გათვალისწინებული სასჯელის – პენიტენციურ დაწესებულებაში მოსახდელად თავისუფლების აღკვეთის – უმკაცრესი ზომის განსაზღვრას;

2.1. ბრალდების მხარის საკასაციო მოთხოვნისა და დაცვის მხარის საკასაციო საჩივრის არარსებობის პირობებში, დავის საგანს არ წარმოადგენს მ. დ-ის საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის პირველი ნაწილით მსჯავრდება („ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, მ. დ-ე გათავისუფლდა საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის პირველი ნაწილით დაკისრებული სასჯელისაგან); შესაბამისად, არ არსებობს აღნიშნული მსჯავრდების ნაწილში გასაჩივრებული განაჩენის გადა-

სინჯვის საფუძველი.

2.2. მოცემულ შემთხვევაში, დავის საგანია ჩაიდინა თუ არა და შე-საბამისი პასუხისმგებლობა უნდა დაეკისროს თუ არა მ. დ-ეს, იმ ქმე-დებისათვის, რომლისთვისაც საქართველოს სსკ-ის 19,260-ე მუხლის მე-4 ნაწილით წარედგინა ბრალი (გასაჩივრებული განაჩენით აღნიშნულ ეპიზოდში მ. დ-ე ცნობილ იქნა უდანაშაულოდ).

3. საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, წარმოდ-გენილი საჩივრების საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ ბათუმის რაიონ-ული პროკურატურის პროკურორ ოლღა მერებაშვილის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ. კერძოდ, მ. დ-ე დამნა-შავედ უნდა იქნეს ცნობილი, მათ შორის, საქართველოს სსკ-ის 18,260-ე მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში (საქართველოს სსკ-ის 19,260-ე მუხლის მე-4 ნაწილით წარედგენილი ბრალდება უნდა გადაკვალიფიცირდეს საქართველოს სსკ-ის 18,260-ე მუხლის მე-4 ნაწილზე), ვინაიდან სისხლის სამართლის საქმეში წარ-მოდგენილი მტკიცებულებებით გონივრულ ეჭვს მიღმა დასტურდება მ. დ-ის მიერ უკანონოდ შექმნილი და შენახული ნარკოტიკული საშუა-ლებების – 1.061 გრამი ნარკოტიკული საშუალება „ალფა-პვპ-ს“ (α-PVP) შემცველი ფხვნილის – ქ., თ. მიმდებარე ტერიტორიაზე (ოთხი ლოკა-ცია) განთავსება, დაუდგენელ პირებზე შემდგომი უკანონო გასაღების მიზნით.

4. საკასაციო სასამართლო ითვალისწინებს, რომ:

4.1. გამოძიების დაწყების აღრიცხვის ბარათის (ფორმა №1) თანახ-მად, 2023 წლის 19 სექტემბერს საქართველოს შსს აჭარის ავტონომიუ-რი რესპუბლიკის პოლიციის დეპარტამენტის ქობულეთის რაიონული სამმართველოს ჩაქვის პოლიციის განყოფილებაში გამოძიება დაიწყო მ. დ-ის მიმართ, ნარკოტიკული საშუალების უკანონო შექმნა-შენახვის ფაქტზე (საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის პირველი ნაწილით).

4.2. გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში ბრალდებუ-ლის პირადი ჩხრეკის ოქმის (2023 წლის 19 სექტემბრის) თანახმად, ბ-ის მიმდებარე ტერიტორიაზე მ. დ-ეს 15:10-15:35 საათების შუალედში ჩაუტარდა პირადი ჩხრეკა, რომელშიც მონაწილეობდნენ: ექსპერტი გ, გარეშე პირი გ-ე, დეტექტივი ზ., უბნის ინსპექტორი ე. დ-ე, ჩხრეკის ჩამტარებელი და ოქმის შემდგენი ბ.. აღნიშნული ოქმის თანახმად, პი-რადი ჩხრეკის დაწყებამდე მ. დ-ემ განმარტა, რომ ნარკოტიკულ სა-შუალებას პირადად ინახავდა შარვლის წინა, მარჯვენა ჯიბეში. პირადი ჩხრეკის მიმდინარეობისას მ. დ-ის შარვლის წინა, მარჯვენა ჯიბიდან ამოუღეს 16 ცალი მონითალო, ნებოლენტში შეფუთული მასა, რომე-ლიც ექსპერტმა დააღუქა სპეცპაკეტში. ასევე შარვლის წინა, მარცხენა ჯიბიდან ამოიღეს „აიფონი 7“-ის მოდელის მობილური ტელეფონი,

რომელიც ექსპერტმა დალუქა სპეცპაკეტში. აღნიშნულის შემდეგ კვლავ გაგრძელდა პირადი ჩხრეკა, თუმცა სხვა რაიმე კანონსაწინააღმდეგო ნივთი ან ნივთიერება ნაპოვნი და ამოღებული ვერ იქნა.

4.3. ბრალდებულის დაკავების ოქმის (2023 წლის 19 სექტემბრის) თანახმად, იმავე დღეს 15:35 საათზე, ბ-ის მიმდებარე ტერიტორიაზე, მშვიდ ვითარებაში, წინააღმდეგობის განევის გარეშე დააკავეს მ. დ-ე, საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ნარკოტიკული საშუალების უკანონო შექმნა-შენახვის ფაქტზე.

4.4. საგამოძიებო ექსპერიმენტის 2023 წლის 19 სექტემბრის ოქმის თანახმად, ბ., 17:44-19:15 საათების შუალედში ჩატარდა საგამოძიებო ექსპერიმენტი (მ. დ-ის ჩვენების შემონმების მიზნით), რომელშიც მონაწილეობდნენ მ. დ-ე, გარეშე პირი გ., ექსპერტი გ., დეტექტივი ზ., უზნის ინსპექტორი ე. დ-ე, გამომძიებელი მ-ე (ოქმის შემდგენელი პირი). საგამოძიებო ექსპერიმენტის დაწყებამდე მ. დ-ე გაეცნო მისი გამოკითხვის ოქმს და წერილობით განაცხადა თანხმობა საგამოძიებო ექსპერიმენტში მონაწილეობაზე. საგამოძიებო ექსპერიმენტისას მ. დ-ემ მიუთითა კონკრეტული ადგილები (4 ლოკაცია), სადაც მისივე განმარტებით თავად განათავსა ნარკოტიკული საშუალებები, შემდგომი გასაღების მიზნით.

4.5. საგამოძიებო ექსპერიმენტში მონაწილე პირებმა (მათ შორის, ნეიტრალურმა მოწმემ – გარეშე პირმა – გ.-მ) სასამართლო სხდომაზე დაკითხვისას დაადასტურეს, რომ მ. დ-ემ ნებაყოფლობით მიუთითა იმ ადგილებზე, საიდანაც ამოიღეს ნარკოტიკული საშუალებები.

4.6. გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში ამოღების 2023 წლის 19 სექტემბრის ოქმების თანახმად, 2023 წლის 19 სექტემბერს, 17:54-18:09, 18:18-18:33, 18:40-18:54 და 18:59-19:12 საათების შუალედებში დ., თ-ე მ. დ-ის მიერ საგამოძიებო ექსპერიმენტის მიმდინარეობისას მის მიერ მითითებული ადგილებიდან ამოიღეს მონითალო მწებავი ლენტის შენაფუთები (სულ ოთხი შეფუთვა), მ. დ-ის განმარტებით, მათში არსებული ნარკოტიკული საშუალებით. აღნიშნული მოთავსდა სპეც. პაკეტში და დაილუქა სათანადო წესით.

4.7. საქართველოს შსს საექსპერტო-კრიმინალისტიკური დეპარტამენტის აჭარის ა/რ საექსპერტო-კრიმინალისტიკური სამსახურის 2023 წლის 20 სექტემბრის №.....ქ ქიმიური ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, – FCD პაკეტში არსებული ფხვნილი, წონით – 0,251 გრამი, FCD..... პაკეტში არსებული ფხვნილი, წონით – 0,31 გრამი, FCD... პაკეტში არსებული ფხვნილი, წონით – 0,25 გრამი და FCD პაკეტში არსებული ფხვნილი, წონით – 0,25 გრამი, არის ნარკოტიკული საშუალება ა - PVP-ს შემცველი ფხვნილი.

4.8. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2023 წლის 23 სექტემბრის განჩინებით, საქართველოს შსს ქობულეთის რაიონული სამმართველოს გამომძიებლებს მიეცათ ნებართვა, რათა მ. დ-ის კუთვნილი „აიფონის“ ფირმის მობილური ტელეფონიდან გამოეთხოვათ საქმისათვის მნიშვნელოვანი კომპიუტერული ინფორმაცია.

4.8.1. აღნიშნული განჩინების საფუძველზე, 2023 წლის 7 ოქტომბერს, ინფორმაციის გამოთხოვის შესახებ ოქმით, მ. დ-ის კუთვნილი „აიფონის“ ფირმის მობილური ტელეფონიდან გამოთხოვილი იქნა კომპიუტერული ინფორმაცია. გამოთხოვილი ფოტოსურათების (მობილური ტელეფონით გადაღებული) თანახმად, ბოლო შვიდი ფოტოსურათი დათარიღებულია: 2023 წლის 19 სექტემბრის 13:22, 13:27, 13:30, 13:34, 13:37, 13:39 და 13:43 საათით (გალერეაში მობილურ ტელეფონს აქვს ფუნქცია, რომელიც აფიქსირებს სურათის გადაღების ადგილმდებარეობას. აღნიშნული რუკის მიხედვით, სურათები გადაღებულია ჩ-ში და მის მიმდებარე ტერიტორიაზე).

5. საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს გასაჩივრებული განაჩენის მოტივაციას, რომ სისხლის სამართლის საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებით არ დგინდება მ. დ-ის ქმედებაში ნარკოტიკული საშუალებების გასაღების მიზანი. გასაჩივრებული განაჩენის თანახმად, მ. დ-ის მიერ სხვადასხვა ადგილას ნარკოტიკული საშუალებების განთავსება უტყუარად არ ადასტურებს მის მიერ ნარკოტიკული საშუალებების გასაღების მიზანს და არ გამოორიცხავს პირადი მოხმარებისათვის შენახვის მიზნით გადამალვას; სისხლის სამართლის საქმეში არსებული მტკიცებულებებით არ დგინდება, რომ მ. დ-ის მობილურ ტელეფონში აღმოჩენილი ადგილმდებარეობის ფოტოები სწორედ მის მიერ მითითებულ ლოკაციებზე გადაღებული ფოტოებია, ასევე არ დგინდება აღნიშნული ფოტოსურათების ნარკოტიკული საშუალების პოტენციური შემქმნისათვის გადაგზავნა.

6. საგამომძიებო ექსპერიმენტის დროს ქმედების ჩადენის ვითარების აღდგენის ამსახველი ოქმი, რომელიც შედგენილ იქნა აღნიშნული საგამომძიებო მოქმედების ჩატარებისას, მისი შინაარსიდან გამომდინარე, წარმოადგენს პირდაპირ მტკიცებულებას, რომელიც სასამართლომ შეიძლება გამოიყენოს გამამტყუნებელი ან გამამართლებელი განაჩენის დადგენისა და დასაბუთებისათვის (იხ.: საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2020 წლის 12 თებერვლის №801აპ-19 განჩინება). ამასთანავე, საგამომძიებო ექსპერიმენტის მონაწილე პირის მიერ მოგვიანებით, სამართალწარმოების შემდგომ ეტაპზე/ებზე ჩვენების მიცემაზე უარის თქმის შემთხვევაში, საგამომძიებო ექსპერიმენტის ოქმის და საგამომძიებო ექსპერიმენტის შედეგად მოპოვებული მტკიცებულების გამოყენება მსჯავრდებისათვის დასაშვებია, როდესაც აღ-

ნიშნული პირის ჩვენების ადგილზე შემონმებისას მის ჩვენებაში ასახული ინფორმაციის აღდგენის პროცესში „დამატებით აღმოჩენილი იქნება რაიმე საგანი, დოკუმენტი, კვალი თუ ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტი. ე.ი. საგამოძიებო ექსპერიმენტი უნდა ასახავდეს ჩვენებისგან დამოუკიდებელი მნიშვნელობის მქონე ინფორმაციას, რომლის რეალურობაც სწორედ ამ საგამოძიებო მოქმედების ფარგლებში მოწმდება. მაგალითად, საგამოძიებო ექსპერიმენტის მიმდინარეობისას პირმა მიუთითა, თუ სად დამალა დანაშაულის საგანი, რომლის ნამდვილობა შემომწმდა, გამართლდა და გამომძიებლებმა იგი ამოიღეს“ (იხ.: საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2021 წლის 28 სექტემბერი №682აპ-21 განაჩენი).

6.1. საგამოძიებო ექსპერიმენტში მონაწილე პირებმა – გ...მ, გ...მ, ზ...მ, ე. დ-ემ დაკითხვისას დაადასტურეს, რომ მ. დ-ემ ნებაყოფლობით მიუთითა იმ ადგილებზე, სადაც, მისივე განმარტებით, ნარკოტიკული საშუალებები ჰქონდა შენახული.

7. სასამართლო ითვალისწინებს, რომ საქართველოს სსსკ-ით გამამტყუნებელი განაჩენის დადგენისთვის განსაზღვრული გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტი გულისხმობს მტკიცებულებათა ერთობლიობას, რომელიც ობიექტურ პირს დაარწმუნებს პირის ბრალეულობაში, რაც არ გულისხმობს მტკიცებულებათა მხოლოდ რაოდენობრივ მახასიათებელს (იხ.: საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2021 წლის 27 ოქტომბრის №400აპ-21 განჩინება).

7.1. მოქმედი საპროცესო კანონმდებლობა არ განსაზღვრავს, რომელი სახის და რა რაოდენობის მტკიცებულებების არსებობის შემთხვევაში დაიშვება გამამტყუნებელი განაჩენის დადგენა, მითუფრო არ ადგენს, რომ გამამტყუნებელი განაჩენი უნდა ემყარებოდეს მხოლოდ პირდაპირ გამამტყუნებელ მტკიცებულებებს (იხ.: საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2022 წლის 21 ივლისის №594აპ-22 განჩინება).

7.2. საკითხი იმის შესახებ, თუ რა სახის და რა რაოდენობის მამხილებელი მტკიცებულების ერთობლიობაა საკმარისი გამამტყუნებელი განაჩენის დასადგენად, წყდება ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში საქმის ინდივიდუალური გარემოებების გათვალისწინებით (იხ.: საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2024 წლის 16 აგვისტოს №225აპ-24 განჩინება).

7.3. საკასაციო სასამართლო, იმავდროულად, ითვალისწინებს, რომ განსახილველ დანაშაულს – ნარკოტიკული დანაშაული – მისი ბუნებიდან გამომდინარე გააჩნია ლატენტური ხასიათი, როგორც წესი, არ გამოიჩევა მოწმეთა სიმრავლით, ხდება კერძო გარემოში.

7.4. სისხლის სამართლის საქმის მასალებით არ დგინდება, რომ დაცვის მხარეს არ მიეცა შესაძლებლობა/ხელი შეეშალა დაცვის უფლების

განხორციელებაში, მათ შორის, მტკიცებულებების მოპოვებაში, სისხლის სამართლის საქმეში არსებული მტკიცებულებების გამოკვლევაში, დაცვის მხარის მიერ მოპოვებული მტკიცებულების პროცესის მწარმოებელი ორგანოსათვის წარდგენაში. ამასთანავე, საქმის მასალებიდან ასევე არ იკვეთება მ. დ-ის მიმართ პოლიციის თანამშრომელთა მხრიდან რაიმე დაინტერესება ან/და მიკერძოებული დამოკიდებულება. საგამოძიებო მოქმედებებში მონაწილე პირთა მიუკერძოებლობა არც დაცვის მხარეს გაუხდია სადავოდ.

8. შესაბამისად, სისხლის სამართლის საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით, მათ შორის, საგამოძიებო ექსპერიმენტის ოქმებით, მოწმეების – გ-ის, გ. ნ-ის, ზ. უ-ის, ე. დ-ის ჩვენებებით, 2023 წლის 7 ოქტომბერს მ. დ-ის კუთვნილი „აიფონის“ ფირმის მობილური ტელეფონიდან გამოთხოვილი ფოტოსურათებით, გონივრულ ეჭვს მიღმა დასტურდება, რომ მ. დ-ემ სხვადასხვა ადგილებზე განათავსა უკანონოდ შექმნილი და შენახული ნარკოტიკული საშუალებები.

9. საკასაციო სასამართლო ვერ დაეთანხმება გასაჩივრებული განაჩენის მოტივაციას, რომ ვინაიდან სისხლის სამართლის საქმეში არ არის წარმოდგენილი მსჯავრდებულის ტელეფონში აღმოჩენილი ადგილმდებარეობის ამსახველი ფოტოსურათების ნარკოტიკული საშუალების პოტენციური შემძენისათვის გადაგზავნის დამადასტურებელი მტკიცებულება/ებები, აღნიშნული ფოტოსურათები დამოუკიდებლად არ ადასტურებს ნარკოტიკული საშუალების გასაღების მიზანს.

9.1. დანაშაულის მცდელობად ითვლება განზრახი ქმედება, რომელიც, თუმცა უშუალოდ მიმართული იყო დანაშაულის ჩასადენად, მაგრამ დანაშაული ბოლომდე არ იქნა მიყვანილი, ხოლო დანაშაულის მომზადებად ითვლება დანაშაულის ჩადენისათვის პირობების განზრახ შექმნა (იხ.: საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2025 წლის 20 თებერვლის № 1146აპ-24 განაჩენი).

9.2. საკასაციო სასამართლო კვლავაც აღნიშნავს, რომ ლოკაციების ამსახველი ფოტოსურათების სხვა პირ(ებ)ისათვის გადაგზავნა მსჯავრდებულის ქმედებაში გამოკვეთდა სწორედ ნარკოტიკული საშუალებების გასაღების მცდელობას (ბრალდწარდგენილი კვალიფიკაცია), ხოლო ის გარემოება, რომ მსჯავრდებულს ტელეფონში შენახული ჰქონდა ლოკაციების ამსახველი ფოტოსურათები, თუმცა არავისთვის გაუგზავნია, ადასტურებს, რომ მსჯავრდებული ამზადებდა ნარკოტიკული საშუალებების გასაღებას, თუმცა მისი ქმედება დანაშაულის მცდელობაში არ გადაზრდილა, რაც არ გამოორიცხავს ნარკოტიკული დანაშაულის მომზადებისათვის მის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას (იხ.: საქართველოს უზენაესი სასამართლოს შემდეგი განაჩენები: 2025 წლის 20 თებერვლის № 1146აპ-24, 2025 წლის 16

აპრილის №1214აპ-24, 2025 წლის 26 ივნისის №1331აპ-24 და 2025 წლის 4 ნოემბრის №610აპ-25).

9.3. სისხლის სამართლის საქმის მასალებით უტყუარად დადგენილია, რომ მ. დ-ემ უკანონოდ შექმნილი ნარკოტიკული საშუალების ნაწილი დატოვა ოთხ სხვადასხვა ადგილას. აღნიშნული ქმედებით მან განზრახ შექმნა წინაპირობა დანაშაულის – ნარკოტიკული საშუალების გასაღების – ჩადენისათვის.

9.4. საქმეში არ არის წარმოდგენილი მტკიცებულებები, რომლებითაც დაადასტურებდა, რომ მ. დ-ე კონკრეტულ პირს დაეკონტაქტა ნარკოტიკული საშუალების გასაღების მიზნით ან მოითხოვა თანხის ჩარიცხვა, ან/და ვინმეს მიუთითა ნარკოტიკული საშუალების ლოკაცია და სხვა (მაგალითისთვის, იხ.: საქართველოს უზენაესი სასამართლოს შემდეგი განაჩენები: 2025 წლის 20 თებერვლის №1146აპ-24, 2025 წლის 10 ივნისის №1348აპ-24, 2025 წლის 4 ნოემბრის №610აპ-25 განაჩენები, ასევე 2022 წლის 10 იანვრის №825აპ-21 განჩინება).

9.5. შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში, სისხლის სამართლის საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით დასტურდება, რომ ჩადენილია არა გასაღების მცდელობა, არამედ ნარკოტიკული საშუალების გასაღების მომზადება.

10. საკასაციო სასამართლო ითვალისწინებს, რომ ბრალად წარდგენილი ქმედებისათვის კვალიფიკაციის შეცვლასთან დაკავშირებით, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის თანახმად, ბრალდების გადაკვალიფიცირება ბრალდებულისთვის საკმარისად განჭვრეტადად არის მიჩნეული თუ იგი ბრალდების თანდაყოლილ ელემენტს წარმოადგენს (*De Salvador Torres v. Spain*, no. 21525/93 par.33, ECtHR, 24/10/1996; *Sadak and Others v. Turkey*, 29900/96, 29901/96, 29902/96 and 29903/96, paras. 52, 56, ECtHR, 17/07/2021, *Juha Nuutinen v. Finland*, no 45830/99, par. 32, ECtHR, 24/07/2007).

11.1. მოცემულ შემთხვევაში, პირის ბრალდების შესახებ დადგენილებებით ბრალდების მხარე, მ. დ-ეს ედავება ნარკოტიკული საშუალების უკანონო გასაღების მცდელობას. მის მიმართ საქართველოს სსკ-ის 19,260-ე მუხლის მე-4 ნაწილით წარდგენილი ბრალის საქართველოს სსკ-ის 18,260-ე მუხლის მე-4 ნაწილზე (ნარკოტიკული საშუალების უკანონო გასაღების მომზადება) გადაკვალიფიცირება გამოიწვია, იმ გარემოებამ, რომ სისხლის სამართლის საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებით არ დასტურდება მ. დ-ის მიერ კონკრეტულ პირთან/პირებთან კონტაქტი ნარკოტიკული საშუალების გასაღების მიზნით.

11.2. ამდენად, ცვლილება არ ეხება ბრალადწარდგენილ ძირითად დანაშაულს – საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული ნარკოტიკული საშუალების გასაღებას. ცვლილება

ეხება აღნიშნული დაუმთავრებელი დანაშაულის სახეს. კერძოდ, მოცემულ შემთხვევაში სასამართლოს განხილვის საკითხს წარმოადგენდა მ. დ-ემ ჩაიდინა საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის მომზადება თუ მცდელობა. შესაბამისად, მ. დ-ისათვის განჭვრეტადი იყო, რომ ბრალდების მხარე ედავებოდა ნარკოტიკული საშუალების გასაღების შემადგენლობას. ამასთან, ბრალდწარდგენილი ქმედების კვალიფიკაციის დაზუსტება, მოცემულ შემთხვევაში, არ იწვევს ბრალდწარდგენილ ქმედებასთან მიმართებით არც სასჯელის დამძიმებას. შესაბამისად, აღნიშნული არ წარმოადგენს ახალ ბრალს ან ახალი ბრალდების შემადგენელ ელემენტს.

12. საკასაციო სასამართლო, იმავდროულად, კვლავაც აღნიშნავს, რომ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის შენიშვნის თანახმად, ამ (ნარკოტიკული დანაშაულის – XXXIII – თავი) თავის მიზნებისათვის, მათ შორის, ნარკოტიკული საშუალების ნებაყოფლობით ჩაბარებად ჩაითვლება მხოლოდ ისეთი ქმედება, როდესაც პირი გამოძიების დაწყებამდე წერილობით ან კომუნიკაციის ნებისმიერი ტექნიკური საშუალების გამოყენებით განაცხადებს ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის, პრეკურსორის, ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების, ფსიქოტროპული ნივთიერების, მისი ანალოგის ან ძლიერმოქმედი ნივთიერების წარმოდგენის თაობაზე და აქტიური ქმედებით ხელს შეუწყობს მის ამოღებას. შესაბამისად, იმ პირობებში, როდესაც, მსჯავრდებული საგამოძიებო ორგანოს თანამშრომლების შეთავაზების – ნებაყოფლობით წარმოდგინა კანონსაწინააღმდეგო ნივთი ან/და ნივთიერება – შემდეგ, ნებაყოფლობით წარადგენს, როგორც პირადად შენახულ, ასევე – სხვადასხვა ლოკაციებზე დაწყობილ ნარკოტიკულ საშუალებებს – აღნიშნული ქმედება ვერ გახდება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების საფუძველი (იხ.: საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2025 წლის 10 ივნისის № 1348აპ-24 განაჩენი, პარაგრაფი II. 10-10.2).

13. საკასაციო სასამართლო ასევე ითვალისწინებს, რომ:

13.1. საქართველოს სსკ-ის 259-ე მუხლის მეოთხე ნაწილის თანახმად, სასამართლოს განაჩენი სამართლიანია, თუ დანიშნული სასჯელი შეესაბამება მსჯავრდებულის პიროვნებასა და მის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეს. სასჯელის სამართლიანობა კი უნდა შეფასდეს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპის გათვალისწინებით. „სასჯელი, ერთი მხრივ, უნდა იყოს ქმედებით გამოწვევად საფრთხეებთან გონივრულ პროპორციაში, ხოლო, მეორე მხრივყოველ კონკრეტულ შემთხვევაში სასჯელის დაკისრება უნდა მოხდეს დანაშაულის ინდივიდუალური გარემოებების

გათვალისწინებით“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის № 1/4/592 გადაწყვეტილება „საქართველოს მოქალაქე ბექა ნიქარიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-38), უნდა ეფუძნებოდეს საქმის სირთულეს, ქმედებიდან მომდინარე საფრთხეებს, ქმედების ჩადენის წინაპირობებს, მოტივებს, შედეგებს, დამნაშავის პიროვნების თავისებურებებს, სასჯელის ზემოქმედებას დამნაშავის მომავალ ცხოვრებაზე (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება № 1/7/851 „საქართველოს მოქალაქე იმედა ხახუტაიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, 2017 წლის 11 ივლისი, II-10).

13.2. „სასჯელი არ უნდა იყოს არც ზედმეტად მკაცრი და არც ზედმეტად ლმობიერი იმისათვის, რომ მიღწეული იქნეს სასჯელის მიზნები“ (იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 11 ივლისის გადაწყვეტილება № 1/7/851 „საქართველოს მოქალაქე იმედა ხახუტაიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-7). პატიმრობის *ultima ratio* ხასიათიდან „ვინაიდან თავისუფლების აღკვეთის საპირწონე არის შეზღუდული თავისუფლება, ის უნდა გამოიყენებოდეს მხოლოდ მაშინ და მხოლოდ იმ ხანგრძლივობით, როდესაც და რამდენადაც ეს უკიდურესად აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის № 1/4/592 გადაწყვეტილება „საქართველოს მოქალაქე ბექა ნიქარიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-29).

13.4. საქართველოს სსკ-ის 18,260-ე მუხლის მე-4 ნაწილი (2025 წლის 1 მაისამდე მოქმედი რედაქცია) სასჯელის სახედ და ზომად ითვალისწინებს – თავისუფლების აღკვეთას ათიდან თხუთმეტ წლამდე;

13.4.1. „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ამ კანონით გათვალისწინებული ამნისტია არ ვრცელდება იმ დანაშაულზე, რომელიც გათვალისწინებულია, მათ შორის, საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-4 ნაწილით. შესაბამისად, საქართველოს სსკ-ის 18,260-ე მუხლის მე-4 ნაწილით (2025 წლის 1 მაისამდე მოქმედი რედაქცია) მ. დ-ის მიმართ მსჯავრდმურა ცხილი დანაშაულისათვის განსაზღვრულ სასჯელზე „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის კანონის მოქმედება ვერ გავრცელდება.

13.5. მ. დ-ემ ჩაიდინა განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის დანაშაული; იგი არ არის ნასამართლევი და სისხლის სამართლის საქმეში არ არის წარმოდგენილი სასჯელის/სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოებები.

13.6. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს სსკ-ის 53-ე მუხლის მე-3 ნაწილითა და 39-ე მუხლის პირველი ნაწილით დადგენი-

ლი სასჯელის დანიშვნის ზოგადსავალდებულო მოთხოვნებისა და სასჯელის მიზნების (სამართლიანობის აღდგენა, ახალი დანაშაულის თავიდან აცილება და დამნაშავეს რესოციალიზაცია) გათვალისწინებით საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს ბრალდების მხარის მოთხოვნას მ. დ-ის მიმართ თავისუფლების აღკვეთის უმკაცრესი ზომის დანიშვნის შესახებ და მიაჩნია, რომ მ. დ-ეს სასჯელის სახედ და ზომად უნდა განესაზღვროს მუხლის სანქციით გათვალისწინებული სასჯელის მინიმალური ხანგრძლივობა – თავისუფლების აღკვეთა 10 წლით.

14. სასამართლო ითვალისწინებს ზედა ინსტანციის სასამართლოების უფლებას, დაეთანხმონ ქვედა ინსტანციის სასამართლოს დასაბუთებას, საფუძვლების გამეორების გარეშე (იხ. *Hirvisaari v. Finland*, no. 49684/99, par. 30, ECtHR, 25/12/2001); იმ გარემოებას, რომ ქვედა ინსტანციის სასამართლოს მსჯელობის გაზიარება არ არღვევს დასაბუთებული გადაწყვეტილების უფლებას (იხ. *Gorou v. Greece (No.2)* no. 12686/03, paras. 37, 41, ECtHR, 20/03/2009); „საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ საქმის განხილვის ფარგლები შეზღუდულია სამართლის კონკრეტული საკითხებით“ (*Kuparadze v. Georgia*, no. 30743/09, par. 76, ECtHR, 21/09/2017).

15. 2025 წლის 16 აპრილს და 2 ივლისს საქართველოს სსკ-ში შესულ ცვლილებებთან (ნარკოტიკული დანაშაულის თავი) მიმართებით, სასამართლო ითვალისწინებს საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-9 პუნქტს, რომლის თანახმად, კანონს, თუ იგი არ ამსუბუქებს ან არ აუქმებს პასუხისმგებლობას, უკუძალა არა აქვს. ასევე – საქართველოს სსკ-ის მე-3 მუხლს, რომლის თანახმად, სისხლის სამართლის კანონს, რომელიც აუქმებს ქმედების დანაშაულებრიობას ან ამსუბუქებს სასჯელს, აქვს უკუძალა. სისხლის სამართლის კანონს, რომელიც აწესებს ქმედების დანაშაულებრიობას ან ამკაცრებს სასჯელს, უკუძალა არა აქვს (პირველი ნაწილი); თუ ახალი სისხლის სამართლის კანონი ამსუბუქებს სასჯელს ქმედებისათვის, რომლის გამოც დამნაშავე მას იხდის, ეს სასჯელი უნდა შემცირდეს ამ სისხლის სამართლის კანონის სანქციის ფარგლებში (მე-2 ნაწილი); თუ დანაშაულის ჩადენიდან განაჩენის გამოტანამდე სისხლის სამართლის კანონი რამდენჯერმე შეიცვალა, გამოიყენება ყველაზე მსუბუქი კანონი (მე-3 ნაწილი).

15.1. მოცემულ შემთხვევაში, 2025 წლის 16 აპრილსა და 2 ივლისს საქართველოს სსკ-ში განხორციელებული ცვლილებებით მკაცრდება სასჯელი, მათ შორის, ნარკოტიკული საშუალების გასაღებისათვის (მოქმედი რედაქციით – მატერიალური სარგებლის მიღების მიზნის გარეშე უკანონო გადაცემისათვის, რეალიზაციისათვის/აღნიშნულის ხელშეწყობისათვის).

16. იმავდროულად, „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, უფლებების ჩამორთმევა ხორციელდება სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის საფუძველზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის XXXIII თავით გათვალისწინებული შესაბამისი დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში. ამჟამად, რომ სადავო ნორმებით განსაზღვრული უფლებაზე ზღუდველი ღონისძიებები გამოიყენება სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის საპასუხოდ. შესაბამისად, სახეზეა სახელმწიფოს რეაქცია პირის მიერ ჩადენილ დანაშაულზე; „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ღონისძიების ბუნების, მისი გამოყენების წესის, ვადებისა და გაუქმების მექანიზმების ანალიზი ცხადყოფს, რომ აღნიშნულ ღონისძიებას სადამსჯელო ბუნება აქვს და მიმართულია სასჯელის მიზნების მიღწევისკენ. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სადავო ნორმები ადგენს პირის მართლსაწინააღმდეგო ქმედებაზე სახელმწიფოს მიერ განსაზღვრულ პასუხისმგებლობის ზომას – სასჯელს (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2024 წლის 14 ივნისის №2/1/702 გადაწყვეტილება „კონსტანტინე ლაბარტყავა, მალხაზ ნოზაძე და ირაკლი გიგოლაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-14,25).

16.1. „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებებით, ცვლილება შევიდა, მათ შორის, აღნიშნული კანონით რეგულირებული უფლებების ჩამორთმევის ნაწილშიც, რომლის შესაბამისადაც, კანონის ახალი – მიმდინარე – რედაქციით, მოცემულ შემთხვევაში, უმჯობესდება მსჯავრდებულის მდგომარეობა, კერძოდ:

16.2. 2025 წლის 2 ივლისს საქართველოს სსკ-ის ნარკოტიკული დანაშაულის თავში განხორციელებული ცვლილების თანახმად, საქართველოს სსკ-ს დაემატა 260^ა-ე მუხლი (ფსიქოტროპული ნივთიერების, მისი ანალოგის ან ძლიერმოქმედი ნივთიერების, მცენარე კანაფის ან მარიხუანის, სხვა ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის, პრეკურსორის ან ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების უკანონო რეალიზაციის ხელშეწყობა). აღნიშნული მუხლის შენიშვნის მე-4 ნაწილის თანახმად, „ამ მუხლის მიზნებისთვის ფსიქოტროპული ნივთიერების, მისი ანალოგის ან ძლიერმოქმედი ნივთიერების, მცენარე კანაფის ან მარიხუანის, სხვა ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის, პრეკურსორის ან ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების უკანონო რეალიზაციის ხელშეწყობა გულისხმობს ამ ნივთიერების/საშუალების უკანონო რეალიზაციისთვის პირობების შექმნას, კერძოდ, ამ მუხლით გათვალისწინებული ნივთიერების/საშუალების დაფასობას, მისი დაფასო-

ებისთვის საჭირო ნივთების/ხელსაწყოების ქონას, აღნიშნული ნივთიერების/საშუალების საჯაროდ ხელმისაწვდომ ადგილას ღიად ან ფარულად განთავსებას, მისი ადგილსამყოფლის შესახებ ინფორმაციის გავრცელებას, ამ ნივთიერების/საშუალების შექმნის ხერხებისა და მეთოდების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას ან/და ნებისმიერ სხვა ქმედებას, რომელიც ხელს უწყობს ამ მუხლით გათვალისწინებული ნივთიერების/საშუალების რეალიზაციას“.

16.2.1. 2025 წლის 16 აპრილს საქართველოს სსკ-ის ნარკოტიკული დანაშაულის თავში განხორციელებული ცვლილების თანახმად, საქართველოს სსკ-ს დაემატა 260²-ე მუხლი (ფსიქოტროპული ნივთიერების, მისი ანალოგის ან ძლიერმოქმედი ნივთიერების, მცენარე კანაფის ან მარიხუანის, სხვა ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის, პრეკურსორის ან ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების უკანონო გადაცემა მატერიალური სარგებლის მიღების მიზნის გარეშე).

16.3. „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონში 2025 წლის 16 აპრილს შესული ცვლილებებით კანონის მე-2 მუხლით განმარტებულია ნარკოტიკული დანაშაული (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის XXXIII თავით გათვალისწინებული დანაშაული), ნარკოტიკული საშუალების მომხმარებელი (პირი, რომელმაც ჩაიდინა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 273-ე მუხლით, 273¹ მუხლის პირველი ნაწილით ან/და 275-ე მუხლით/276-ე მუხლით (თუ დადასტურებულია დანაშაულის ნარკოტიკული/ფსიქოტროპული/ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ ჩადენა) გათვალისწინებული დანაშაული), ნარკოტიკული საქმიანობის ხელშემწყობი (პირი, რომელმაც ჩაიდინა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-260²-ე და 261-268-ე მუხლებით ან 271-ე, 272-ე ან 273¹ მუხლით გათვალისწინებული დანაშაული), ნარკომოვაჭრე (პირი, რომელმაც ჩაიდინა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260³ მუხლით გათვალისწინებული დანაშაული) და ნარკოტიკული საშუალების გავრცელების ხელშემწყობი (ფიზიკური ან იურიდიული პირი ანდა პირთა ჯგუფი, რომელმაც ჩაიდინა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის XXXIII თავით გათვალისწინებული დანაშაული, რამაც გამოიწვია ნარკოტიკული საშუალების ან ფსიქოტროპული ნივთიერების უკანონო ბრუნვაში მოქცევა („ე“ პუნქტი)), ხოლო ამავე კანონის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის საფუძველზე ნარკოტიკული საქმიანობის ხელშემწყობს (რომელიც, მათ შორის, საქართველოს სსკ-ის 260²-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩამდენ პირს) ან ნარკოტიკული საშუალების გავრცელების ხელშემწყობს (რომელიც, მათ შორის, საქართველოს სსკ-ის 260⁴-ე მუხლით გათვა-

ლისწინებული დანაშაულის ჩამდენ პირს) ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით (საექიმო ან/და ფარმაცევტული საქმიანობის უფლება, აგრეთვე აფთიაქის დაფუძნების, ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის უფლება) გათვალისწინებული უფლება ჩამოერთმევა 10 წლით, ხოლო „ა“ (სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება) და „გ“-„ზ“ (საადვოკატო საქმიანობის უფლება; პედაგოგიური და საგანმანათლებლო დაწესებულებაში საქმიანობის უფლება; საჯარო სამსახურში საქმიანობის უფლება; პასიური საარჩევნო უფლება; იარაღის დამზადების, შექენის, შენახვისა და ტარების უფლება) ქვეპუნქტებით გათვალისწინებული უფლებები 5 წლით.

16.3.1. „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე საქართველოს 2025 წლის 16 აპრილის კანონის ამოქმედებამდე არსებული რედაქციით, საქართველოს სსკ-ის 260-ე (თუ დადასტურებულია ნარკოტიკული საშუალების გასაღების მიზანი), 261-ე (თუ დადასტურებულია ფსიქოტროპული ნივთიერების გასაღების მიზანი) ან 273¹ (თუ დადასტურებულია ნარკოტიკული საშუალების – მცენარე კანაფის ან მარიხუანის გასაღების მიზანი) მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩამდენი პირი ითვლებოდა ნარკოტიკული საშუალების გამსაღებელად და მის მიმართ კანონი ითვალისწინებდა უფლებების ჩამორთმევას შემდეგი ხანგრძლივობით: სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება – 5 წლით; საადვოკატო საქმიანობის უფლება; პედაგოგიური და საგანმანათლებლო დაწესებულებაში საქმიანობის უფლება; საჯარო სამსახურში საქმიანობის უფლება; პასიური საარჩევნო უფლება; იარაღის დამზადების, შექენის, შენახვისა და ტარების უფლება – 15 წლით, ხოლო საექიმო ან/და ფარმაცევტული საქმიანობის უფლება, აგრეთვე აფთიაქის დაფუძნების, ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის უფლება – 20 წლით.

16.3.2. შესაბამისად, მართალია საქართველოს სსკ-ის ნარკოტიკული დანაშაულის თავში განხორციელებული ცვლილებები ამკაცრებს სასჯელს ნარკოტიკული საშუალების გასაღებისათვის (მოქმედი რედაქციით – მატერიალური სარგებლის მიღების მიზნის გარეშე უკანონო გადაცემისათვის, რეალიზაციისათვის/აღნიშნულის ხელშეწყობისათვის), თუმცა, იმავდროულად, მოცემულ შემთხვევაში, „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის მოქმედი რედაქცია ამსუბუქებს მსჯავრდებულის სამართლებრივ მდგომარეობას – ითვალისწინებს უფლებების შეზღუდვას იმაზე ნაკლები ხანგრძლივობით, ვიდრე ეს გათვალისწინებული იყო ამავე კანონის იმ რედაქციით, რომელიც მოქმედებდა დანაშაულის ჩადენის დროს.

16.3.3. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-9 პუნქტისა და საქართველოს სსკ-ის მე-3 მუხლის საფუძველზე, საკასაციო სასამართლო მ. დ-ის მსჯავრდების ნაწილში ხელმძღვანელობს საქართველოს სსკ-ის 19,260-ე მუხლის მე-4 ნაწილით (2025 წლის 1 მაისამდე მოქმედი რედაქცია), ხოლო „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული უფლებების ჩამორთმევისას – განაჩენის მიღების დროს მოქმედი რედაქციით. შესაბამისად, „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის (მოქმედი რედაქცია) საფუძველზე, მ. დ-ეს 5 წლით უნდა ჩამოერთვას – სატრანსპორტო საშუალების მართვის, საადვოკატო საქმიანობის, პედაგოგიური და საგანმანათლებლო დაწესებულებაში საქმიანობის, საჯარო სამსახურში საქმიანობის, პასიური საარჩევნო და იარაღის დამზადების, შეძენის, შენახვისა და ტარების უფლებები, ხოლო 10 წლით – საექიმო ან/და ფარმაცევტული საქმიანობის, აგრეთვე აფთიაქის დაფუძნების, ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის უფლებები;

17. სისხლის სამართლის საქმეზე დართული ყველა ნივთმტკიცებების ბედი უნდა გადაწყდეს საქართველოს სსსკ-ის 81-ე მუხლის პირველი ნაწილით დადგენილი წესით, ხოლო ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, დავა ნივთიერი მტკიცებულების გამო წყდება სამოქალაქო სამართალწარმოების წესით.

17.1. შესაბამისად, ნარკოტიკული საშუალებები, ნერწყვის ნიმუში და შენაფუთები-მწებავი ლენტები უნდა განადგურდეს, ხოლო მობილური ტელეფონი დაუბრუნდეს მის კანონიერ მფლობელს ან მისი ნდობით აღჭურვილ პირს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-9 პუნქტით, საქართველოს სსკ-ის მე-3 მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. ბათუმის რაიონული პროკურატურის პროკურორ ოლღა მერე-ბაშვილის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. ცვლილება შევიდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2025 წლის 24 მარტის განაჩენში;
3. მ. დ-ის მიმართ საქართველოს სსკ-ის 19,260-ე მუხლის მე-4 ნაწი-

ლით წარდგენილი ბრალდება გადაკვალიფიცირდეს საქართველოს სსკ-ის 18,260-ე მუხლის მე-4 ნაწილზე;

4. მ. დ-ე ცნობილ იქნეს დამნაშავედ და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს:

4.1. საქართველოს სსკ-ის 18,260-ე მუხლის მე-4 ნაწილით (2025 წლის 1 მაისამდე მოქმედი რედაქცია) – თავისუფლების აღკვეთა 10 წლით;

4.2. საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის პირველი ნაწილით (2025 წლის 1 მაისამდე მოქმედი რედაქცია) – თავისუფლების აღკვეთა 2 წლითა და 6 თვით;

4.2.1. „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, მ. დ-ე გადავისუფლდეს საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული სასჯელის – თავისუფლების აღკვეთა 2 წლითა და 6 თვით – მოხდისაგან;

4.3. მ. დ-ეს „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-2 ნაწილის (მოქმედი რედაქცია) საფუძველზე, 5 წლით ჩამოერთვას – სატრანსპორტო საშუალების მართვის, საადვოკატო საქმიანობის, პედაგოგიური და საგანმანათლებლო დაწესებულებაში საქმიანობის, საჯარო სამსახურში საქმიანობის, პასიური საარჩევნო და იარაღის დამზადების, შეძენის, შენახვისა და ტარების უფლებები, ხოლო 10 წლით – საექიმო ან/და ფარმაცევტული საქმიანობის, აგრეთვე აფთიაქის დაფუძნების, ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის უფლებები;

4.4. მ. დ-ეს სასჯელი ვადა აეთვალოს განაჩენის აღსრულების მიზნით მისი ფაქტობრივი დაკავების მომენტიდან; მასვე, სასჯელის ვადაში ჩათვალოს პატიმრობაში ყოფნის პერიოდი – 2023 წლის 19 სექტემბრიდან 2025 წლის 24 მარტის ჩათვლით;

5. ნივთიერი მტკიცებულებები: ნარკოტიკული საშუალებები, ნერწყვის ნიმუში და შენაფუთები-მწებავი ლენტები – განადგურდეს, ხოლო მობილური ტელეფონი – დაუბრუნდეს მის კანონიერ მფლობელს ან მისი ნდობით აღჭურვილ პირს;

6. განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

5. სატრანსპორტო დანაშაული

ქმედების გადაკვალიფიცირება საქართველოს სსკ-ის 276-ე მუხლის მე-5 ნაწილიდან (ავტომობილის მოძრაობის უსაფრთხოების წესის დარღვევა იმის მიერ, ვინც ამ სატრანსპორტო საშუალებას მართავს, რამაც ადამიანის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია) საქართველოს სსკ-ის 276-ე მუხლის 1-ლ ნაწილზე (ავტომობილის მოძრაობის უსაფრთხოების წესის დარღვევა, იმის მიერ, ვინც ამ სატრანსპორტო საშუალებას მართავს, რამაც გამოიწვია ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე დაზიანება)

**განაჩენი
საქართველოს სახელით**

№678აპ-25

18 დეკემბერი, 2025 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

**ნ. სანდოძე (თავმჯდომარე),
მ. გაბინაშვილი,
ლ. თევზაძე**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა სამეგრელო-ზემო სვანეთის საოლქო პროკურატურის საპროკურორო სამმართველოს უფროსი პროკურორის ნონა თოლორაიას საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2025 წლის 14 თებერვლის განაჩენზე.

აღწერილობით-სამოტივაციო ნაწილი:

1. წარდგენილი ბრალდების არსი:

1.1. ი. მ-ე ცნობილ იქნა ბრალდებულად საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის (შემდგომში – საქართველოს სსკ-ის) 276-ე მუხლის მე-5 ნაწილით (ავტომობილის მოძრაობის უსაფრთხოების წესის დარღვევა იმის მიერ, ვინც ამ სატრანსპორტო საშუალებას მართავს, რამაც ადამიანის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია (დანაშაულის ჩადენის დროს მოქმედი რედაქცია)) გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის, რაც გამოიხატა შემდეგით:

1.2. 2014 წლის 11 თებერვალს, დაახლოებით 15:50 საათზე, თ.... საავტომობილო გზის 294-ე კილომეტრზე, ქ. ს.... ქ... მიმართულებით მოძრავი „ფორდის“ მარკის ავტომობილი, სახელმწიფო ნომრით ...,

რომელსაც მართავდა 1... წელს დაბადებული ი. მ-ის ძე მ-ე, ვერ უზრუნველყო უსაფრთხო მართვა, დაარღვია „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონის 33.1 მუხლის მოთხოვნები და დაეჯახა ქვეითად მოსიარულეს, 1... წელს დაბადებულ ს. ა-ს. საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის შედეგად ჯანმრთელობის დაზიანება მიიღო ს. ბ-ამ, რომელიც 2014 წლის 16 თებერვალს გარდაიცვალა.

2. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება:

2.1. ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2024 წლის 12 აგვისტოს განაჩენით ი. მ-ის ქმედება საქართველოს სსკ-ის 276-ე მუხლის მე-5 ნაწილიდან გადაკვალიფიცირდა საქართველოს სსკ-ის 276-ე მუხლის პირველ ნაწილზე.

ი. მ-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 276-ე მუხლის პირველი ნაწილით და ძირითადი სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა ჯარიმა 3000 ლარის ოდენობით.

2.2. ზუგდიდის რაიონულმა სასამართლომ დაადგინა, რომ 2014 წლის 11 თებერვალს, დაახლოებით 15:50 საათზე, თ.... საავტომობილო გზის 294-ე კილომეტრზე, ქ. ს..... ქ.....ის მიმართულებით მოძრავი „ფორდის“ მარკის ავტომობილი, სახელმწიფო ნომრით „...“, რომელსაც მართავდა 1... წელს დაბადებული ი. მ-ის ძე მ-ე, ვერ უზრუნველყო უსაფრთხო მართვა, დაარღვია „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონის 33.1 მუხლის მოთხოვნები და დაეჯახა ქვეითად მოსიარულეს, 1... წელს დაბადებულ ს. ა-ს. საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის შედეგად ს. ბ-ამ მიიღო ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე დაზიანება.

2.3. ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2024 წლის 12 აგვისტოს განაჩენი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში გაასაჩივრა სამეგრელო-ზემო სვანეთის საოლქო პროკურატურის საპროკურორო სამმართველოს უფროსმა პროკურორმა ნონა თოლორაიამ, რომელმაც სააპელაციო საჩივრით მოითხოვა ი. მ-ის დამნაშავედ ცნობა ბრალდნარდგენილი ქმედებით.

2.4. ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2024 წლის 12 აგვისტოს განაჩენი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში, ასევე გაასაჩივრა მსჯავრდებულმა და მსჯავრდებულ ი. მ-ის ინტერესების დამცველმა ადვოკატმა დ. ს-ემ, რომლებმაც სააპელაციო საჩივრით მოითხოვეს მსჯავრდებურობის დასრულების ხანდაზმულობის გამო, ი. მ-ის გათავისუფლება დანიშნული სასჯელისგან.

3. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება:

3.1. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2025 წლის 14 თებერვლის განაჩენით, ბრალდებისა და დაცვის მხარის სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა და

ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2024 წლის 12 აგვისტოს განაჩენი დარჩა უცვლელი.

3.2. 2025 წლის 5 მარტს, სამეგრელო-ზემო სვანეთის საოლქო პროკურატურის საპროკურორო სამმართველოს უფროსმა პროკურორმა, ნონა თოლორაიამ საკასაციო საჩივრით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და მოითხოვა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2025 წლის 14 თებერვლის განაჩენში ცვლილების შეტანა, კერძოდ, ი. მ-ის დამნაშავედ ცნობა ბრალდნარდგენილი ქმედებებისათვის და სამართლიანი სასჯელის განსაზღვრა.

4. კასატორის არგუმენტები:

4.1. კასატორის პოზიციით, სასამართლომ ი. მ-ის ქმედება არასწორად გადააკვალიფიცირა საქართველოს სსკ-ის 276-ე მუხლის პირველ ნაწილზე, ვინაიდან ვერ დაადგინა მიზეზობრივი კავშირი ი. მ-ის ქმედებასა და დამდგარ შედეგს – ს. ბ-ის გარდაცვალებას შორის, მაშინ როდესაც, სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნითა და ექსპერტის განმარტებით ცალსახადაა დადგენილი, რომ ს. ბ-ის გარდაცვალების მიზეზია საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის შედეგად მიღებული დაზიანებები. ბრალდების მხარის პოზიციით, 2014 წლის 15 მაისის სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნით, ექსპერტ მ. მ-ის ჩვენებით, 2014 წლის 5 აგვისტოს ავტოტექნიკური ექსპერტიზის დასკვნით, 2014 წლის 18 თებერვლის ტრასოლოგიური ექსპერტიზის დასკვნითა და 2014 წლის 21 მარტის ქიმიურ-ტრასოლოგიური ექსპერტიზის დასკვნით უტყუარად დადასტურდა, რომ არსებობს მიზეზობრივი კავშირი ი. მ-ის ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის, ურომლისოდაც ეს შედეგი არ დადგებოდა. სწორედ საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის შედეგად მიღებული დაზიანებებია უშუალო მიზეზი ცხიმოვანი ემბოლიის განვითარებისა და შემდგომში ს. ბ-ის გარდაცვალებისა.

5. საკასაციო სასამართლოს შეფასებები:

5.1. საკასაციო პალატამ ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა საკასაციო საჩივარი, შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საჩივრის საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ ბრალდების მხარის მოთხოვნა არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2025 წლის 14 წლის თებერვლის განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება.

5.2. საკასაციო სასამართლო თავდაპირველად მიუთითებს, რომ მხარეებს შორის სადავო ფაქტობრივ გარემოებას არ წარმოადგენს, რომ 2014 წლის 11 თებერვალს, დაახლოებით 15:50 საათზე, თ.... საავტომობილო გზის 294-ე კილომეტრზე, ქ. ს-... ქუჩაზე, ი. მ-ემ ვერ უზრუნველყო „ფორდის“ მარკის ავტომობილის უსაფრთხო მართვა, და-

არღვია „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონის 33.1 მუხლის მოთხოვნები და დაეჯახა ქვეითად მოსიარულე, 1... წელს დაბადებულ ს. ა-ს.

5.3. ბრალდების მხარისათვის სადავო ფაქტობრივ გარემოებას წარმოადგენს ს. ბ-ის გარდაცვალების მიზეზი, რამდენადაც მისი პოზიციით დაზარალებული ს. ბ-ი 2014 წლის 16 თებერვალს გარდაიცვალა საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის შედეგად მიღებული დაზიანებების გამო. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს ი. მ-ისათვის ობიექტურად უნდა შეეარაჯხა დამდგარი შედეგი და ი. მ-ე დამნაშავედ უნდა ეცნო წარდგენილი ბრალდებით (საქართველოს სსკ-ის 276-ე მუხლის მე-5 ნაწილი), ვინაიდან ქმედება მიზეზობრივ კავშირშია დამდგარ შედეგთან (გარდაცვალებასთან).

5.4. ამდენად, ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი საჩივრის ფარგლებში, საკასაციო სასამართლოს მსჯელობის საგანია მიზეზობრივი კავშირის დადგენა ი. მ-ის მიმართ ბრალდწარდგენილ ქმედებასა და ამ ქმედების შედეგად დაზარალებულის გარდაცვალების ფაქტთან მიმართებით.

5.5. სასამართლო ითვალისწინებს საქართველოს სსსკ-ის 306-ე მუხლის მე-4 ნაწილის მოთხოვნას, რომ „საკასაციო საჩივარი განიხილება საჩივრისა და მისი შესაგებლის ფარგლებში“, აგრეთვე – საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას, რომ „კანონისმიერი ვალდებულება, რომელიც ბოჭავს მოსამართლეს არ გამოიყენოს და უგულებელყოს ფუნდამენტური და იმპერატიული კონსტიტუციური პრინციპები იმ მიზეზით, რომ მხარეები არ აპელირებენ მათზე, გამოორიცხავს სამართლიანი სასამართლო განხილვისა და სამართლიანი გადაწყვეტილების მიღების მიზანს“ „შეჯიბრებითობის პრინციპი ... არცერთ შემთხვევაში არ ათავისუფლებს მოსამართლეს თავისთავადი ვალდებულებისგან, ითვალისწინებდეს და სწორად იყენებდეს სამართლის ფუნდამენტურ პრინციპებს იმისგან დამოუკიდებლად, მხარე რამდენად ჯეროვნად ახერხებს საკუთარი ინტერესების დაცვას და მიუთითებს თუ არა მოსამართლეს სამართლის სათანადო წესების და პრინციპების გამოყენების აუცილებლობაზე; „შესაძლოა არსებობდეს რიგი საკითხებისა, რომლებიც სისხლის სამართლის საქმის განმხილველმა სასამართლომ საკუთარი ინიციატივით და მხარეთა მოთხოვნის მიუხედავად უნდა შეამოწმოს“ (იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 29 სექტემბრის №3/1/608,609 გადაწყვეტილება).

5.6. ამდენად, საკასაციო პალატა იმსჯელებს, როგორც საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობაზე, ასევე დადგენილ კვალიფიკაციასა და დანიშნული სასჯელის კანონიერებაზე.

5.7. უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ სამართლიანი სა-სამართლოს უფლება დაცულია მხოლოდ მაშინ, როდესაც პირის მსჯავრდებას საფუძვლად უდევს უტყუარ, აშკარა და დამაჯერებელ მტკიცებულებათა ერთობლიობა. მტკიცება შეიძლება გამომდინარე-ობდეს საკმარისად ნათელი და დასაბუთებული დასკვნების ან ფაქტის თაობაზე გაუქარწყლებელი ვარაუდების ერთობლიობიდან (იხ: ადამიან-ის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები საქმე-ებზე: „ელ მასრი მაკედონიის წინააღმდეგ“ (El-Masri v the Former Yugoslav Republic of Macedonia, (GC), 13.12.2012) და „ჰასანი გაერთიანებული სამე-ფოს წინააღმდეგ“ (Hassan v the UK, ECtHR, (GC), 16.09.2014).

5.8. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მოცემულ შემთხვე-ვაში მიუხედავად იმისა, რომ სისხლის სამართლის საქმეზე არსებული ბრალდების მხარის მტკიცებულებები მხარეებმა, სადავოდ არ გახა-დეს, რის გამოც ისინი მიღებულ იქნა მტკიცებულებებზე გამოკვლევის გარეშე, ქმედების სამართლებრივი შეფასება, ქმედების სწორი კვა-ლიფიკაცია, დანაშაულის თითოეული ნიშნის არსებობა-არარსებობის შეფასება და საბოლოოდ, დამნაშავეობა/უდანაშაულობის დადგენა, სასამართლოს პირდაპირი ვალდებულებაა. საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებათა ერთობლიობით შესაძლებელი უნდა იყოს არა მხო-ლოდ ფაქტების უტყუარი დადასტურება, არამედ მტკიცება უნდა მი-ემართებოდეს მატერიალური სამართლის ნორმის თითოეულ ელემენტს და უნდა ქმნიდეს დანაშაულის სრულყოფილ შემადგენლობას. ამასთან, უდანაშაულობის პრეზუმფცია დაძლეულია მხოლოდ მაშინ, თუ უტყუარი და დამაჯერებელი მტკიცებულებები აქარწყლებენ გო-ნივრულ ეჭვს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ყოველგვარი ეჭვი, რაც ვლინდება დანაშაულის შემადგენლობის რომელიმე ნიშნის არსებობის მიმართ, უნდა გადაწყდეს ბრალდებულის სასარგებლოდ.

5.9. ბრალდების მხარე ი. მ-ს ედავება საქართველოს სსკ-ის 276-ე მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენას (და-ნაშაულის ჩადენის დროს მოქმედი რედაქცია). განსახილველი დანა-შაულის ობიექტური მხარე მოიცავს ავტომობილის მოძრაობის წესის დარღვევას, მძიმე შედეგს – ადამიანის სიცოცხლის მოსპობას. საქარ-თველოს სსკ-ის 276-ე მუხლი (დანაშაულის ჩადენის დროს მოქმედი რედაქცია) ბლანკეტურია. იგი კრძალავს ქმედებას, რომლის შინაარსი ჩამოყალიბებულია სხვა ნორმატიულ აქტში, კერძოდ კი, – „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონში. ამდენად, საქართველოს სსკ-ის 276-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული შედეგიანი დე-ლიქტია და მისი შემადგენლობისთვის აუცილებელია მიზეზობრივი კავშირის არსებობა ჩადენილ ქმედებას – ავტომობილის მოძრაობის უსაფრთხოების წესის დარღვევასა და დამდგარ შედეგს – ადამიანის

სიცოცხლის მოსპობას შორის.

5.10. ი. მ-ის მიმართ წარდგენილი ბრალდების თანახმად, მის მიერ ავტომობილის მოძრაობის უსაფრთხოების წესების დარღვევა გამოიხატა იმაში, რომ მან არ გაითვალისწინა „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონის 33-ე მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნა, რომლის თანახმად, მძღოლს ეკრძალება სატრანსპორტო საშუალების მართვა ამ კანონით განსაზღვრული სიჩქარის შეზღუდვის გადაჭარბებით. შერჩეული სიჩქარე მძღოლს საშუალებას უნდა აძლევდეს, მუდმივად აკონტროლოს სატრანსპორტო საშუალება ისე, რომ დაცულ იქნეს მოძრაობის უსაფრთხოება.

5.11. ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით (დაცვის მხარის მიერ ცნობილია უდავოდ), კერძოდ: 2014 წლის 11 თებერვლის შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმით (დანართი სქემით და ფოტოსურათებით), საქართველოს შს სამინისტროს საექსპერტო-კრიმინალისტიკური დეპარტამენტის ექსპერტიზის სამმართველოს სატრანსპორტო-ტრასოლოგიური ექსპერტიზის №.... და სატრანსპორტო-ავტოტექნიკური ექსპერტიზის №... დასკვნებით, მონმეების – ი. მ-ის, ნ. მ-ისა და ა. ხ-ის გამოკითხვის ოქმებით უტყუარად დადგენილ გარემოებებს წარმოადგენს, ი. მ-ის მიერ „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონის 33-ე მუხლის პირველი პუნქტის დარღვევის შედეგად მისი მართვის ქვეს მყოფი ავტომობილით ქვეით ს. ბ-ზე დაჯახების ფაქტი.

5.12. საკასაციო სასამართლო სადავო გარემოებასთან მიმართებით, ი. მ-ის მიერ ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო ქმედება წარმოადგენდა საქართველოს სსკ-ის 276-ე მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებულ დანაშაულს თუ ამავე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულს (ავტომობილის მოძრაობის უსაფრთხოების წესის დარღვევას, იმის მიერ, ვინც ამ სატრანსპორტო საშუალებას მართავს, რამაც გამოიწვია ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე დაზიანება) ყურადღებას მიაქცევს ერთი მხრივ ა-ს რეგიონული ექსპერტიზის დეპარტამენტის 2014 წლის 15 მაისის სამედიცინო ექსპერტიზის №.... დასკვნას, ხოლო მეორეს მხრივ ექსპერტ მ. მ-ის გამოკითხვის ოქმს. აჭარის რეგიონული ექსპერტიზის დეპარტამენტის 2014 წლის 15 მაისის სამედიცინო ექსპერტიზის №... დასკვნის თანახმად, დადასტურებულია, რომ ს. ბ-ის სიკვდილის უშუალო მიზეზი არის ფილტვების სისხლძარღვების ცხიმოვანი ემბოლია, რაც განპირობებულია მარჯვენა წვივის ძვლების ნამსხვროვანი მოტყეილობების შედეგად განვითარებული მდგომარეობიდან და კავშირშია დამდგარ შედეგთან. მონმე ი. მ-ის გამოკითხვის ოქმით, სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნითა და თავად სამედიცინო დოკუმენტაციით დადასტურებულია, რომ სამედიცინო დოკუმენტებ-

ში მითითებული არ იყო ცხიმოვანი ემბოლიის თაობაზე. ს. ბ-ს დაესვა დიაგნოზი: ქალა-ტვინის დახურული ტრავმა, თავის ტვინის შერყევა. დიდი ზომის ნაგლეჯი ქრილობები შუბლის და თხემის არეში. მარჯვენა წვივის ძვლების დახურული მოტეხილობა. ქრილობები მარჯვენა მტევნის არეში. ს. ბ-ი კლინიკიდან გაენერა 2014 წლის 14 თებერვალს და ამავე წლის 16 თებერვალს, დაახლოებით 03:00 საათზე გარდაიცვალა მ. მ-ის საცხოვრებელ სახლში.

5.13. საქართველოს სსკ-ის მე-8 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, მიზეზობრივი კავშირი არსებობს მაშინ, როდესაც ქმედება წარმოადგენდა ამ კოდექსის შესაბამისი მუხლით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო შედეგის ან კონკრეტული საფრთხის აუცილებელ პირობას, ურომლისოდაც ამჯერად ეს შედეგი არ განხორციელდებოდა ან ასეთი საფრთხე არ შეიქმნებოდა.

5.14. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მიზეზობრივი კავშირის არსებობის მიუხედავად, თავდაპირველი ქმედების ჩამდენს ობიექტურად არ შეიძლება შეერაცხოს ისეთი მოქმედებით გამოწვეული შედეგი, რომელმაც მართალია შექმნა სამართლებრივად რელევანტური რისკი, მაგრამ კონკრეტული შედეგი დადგა მიზეზობრივი კავშირის განვითარების ჯაჭვიდან არსებითი გადახრის დროს. ასევე შედეგი პირს ობიექტურად არ შეიძლება შეერაცხოს, როდესაც იგი დადგა ისეთი დიაგნოზით, რის თაობაზეც, სამედიცინო დოკუმენტაციაში მითითება არ არსებობს, რაზეც დაზარალებულს მკურნალობა არ ჩატარებია და სათანადო მკურნალობის ჩატარების შემთხვევაში შესაძლოა შედეგი (გარდაცვალება) არ დამდგარიყო.

5.15. მოცემულ შემთხვევაში ი. მ-ის ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის, ერთი შეხედვით არსებობს მიზეზობრივი კავშირი და რომ არა ავტომანქანის დაჯახება დაზარალებული წვივს არ მოიტეხდა, თუმცა შედეგის ობიექტური შერაცხვა უნდა გამოირიცხოს, ვინაიდან მოქმედებასა და შედეგს შორის არსებობს მოვლენათა სხვაგვარი განვითარებით გამოწვეული კავშირი. საქმეში არსებული მტკიცებულებებით შეუძლებელია იმის დადგენა, ჩაუტარდა თუ არა მკურნალობა დაზარალებულს ფილტვების სისხლძარღვების ცხიმოვან ემბოლიაზე. სამედიცინო დოკუმენტის ჩანაწერებში აღნიშნულზე ინფორმაცია არ მოიპოვება და უცნობია მკურნალობის ან/და კლინიკაში დარჩენის შემთხვევაში დადგებოდა თუ არა სასიკვდილო შედეგი.

5.16. იმ პირობებში, როდესაც სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნით ს. ბ-ის გარდაცვალების მიზეზია ფილტვების სისხლძარღვების ცხიმოვანი ემბოლია, ხოლო დამდგარ შედეგსა და ავტოსატრანსპორტო შემთხვევას შორის მიზეზობრივი კავშირი დადგენილი არ არის, ამასთან, ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი არ არის სხვა მტკიცე-

ბულება, რომლითაც უტყუარად დადგინდებოდა დაზიანებებსა და დამდგარ შედეგს შორის მიზეზობრივი კავშირი, ი. მ-ეს ობიექტურად უნდა შეეარაღებინათ ა-ს რეგიონული ექსპერტიზის დეპარტამენტის 2014 წლის 15 მაისის სამედიცინო ექსპერტიზის №... დასკვნით დადასტურებული შედეგი – ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე ხარისხის დაზიანება, რაც იძლევა საქართველოს სსკ-ის 276-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობას. ამდენად, ი. მ-ის ქმედება დაკვალიფიცირებული საქართველოს სსკ-ის 276-ე მუხლის მე-5 ნაწილიდან უნდა გადაკვალიფიცირდეს საქართველოს სსკ-ის 276-ე მუხლის პირველ ნაწილზე.

6. სასჯელის დასაბუთება:

6.1. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ სასჯელი ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა იყოს ინდივიდუალური და ადეკვატური, ამასთან, მას უნდა გააჩნდეს მკაცრად პერსონალური ხასიათი. სასამართლო ხაზს უსვამს სასჯელის სამართლიანობის სწორად განსაზღვრის აუცილებლობას და აღნიშნავს, რომ სასჯელი აუცილებელი და პროპორციული უნდა იყოს კანონის საგანმანათლებლო მიზნების მისაღწევად.

6.2. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის (შემდგომში საქართველოს სსსკ-ის) 259-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, სასამართლოს განაჩენი სამართლიანია, თუ დანიშნული სასჯელი შეესაბამება მსჯავრდებულის პიროვნებას და მის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეს.

6.3. საკასაციო სასამართლო აფასებს პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ და დამამძიმებელ გარემოებებს, ითვალისწინებს ჩადენილი დანაშაულის მოტივს, ქმედებაში გამოვლენილი მართლსაწინააღმდეგო ნებას, მოვალეობათა დარღვევის ხასიათს და ზომას, ქმედების განხორციელების სახეს და ხერხს, პირად და ეკონომიკურ პირობებს, ავტოსანტრანსპორტო შემთხვევიდან გასულ დროს, ქმედების ჩადენის შემდეგ დაზარალებულის ქცევას, რომელმაც ყველაფერი გააკეთა დაზარალებულის გადასარჩენად და კლინიკიდან გამოწერის შემდგომ საკუთარ სახლში ცკი, ნაიყვანა და საქართველოს სსკ-ის 39-ე და 53-ე მუხლების მოთხოვნათა გათვალისწინებით, მიაჩნია, რომ ი. მ-ეს სასჯელის სახედ და ზომად უნდა განესაზღვროს ჯარიმა – 3000 ლარი.

6.4. საქართველოს სსკ-ის 71-ე მუხლი ადგენს ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების წინაპირობებს. კერძოდ, ზემოხსენებული მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, პირი თავისუფლდება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან, თუ გავიდა ექვსი წელი სხვა, ნაკლებად მძიმე დანაშაულის ჩადენიდან, ხოლო „გ“ ქვეპუნქტის თანახმად – ათი წელი მძიმე დანაშაულის ჩადენიდან.

6.5. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ ი. მ-ემ დანაშაული ჩაიდინა 2014 წლის 11 თებერვალს, ხოლო ბრალდება (საქართველოს სსკ-ის 276-ე მუხლის მე-5 ნაწილით) წარედგინა 2024 წლის 1 თებერვალს. ამდენად, იმის გათვალისწინებით, რომ ბრალადწარდგენილი ქმედება მიეკუთვნებოდა მძიმე კატეგორიის დანაშაულს, პროკურატურამ ბრალდება ი. მ-ეს წარუდგინა სწორად საქართველოს სსკ-ის 71-ე მუხლით დადგენილ ვადაში.

6.6. კონკრეტულ შემთხვევაში, საგულისხმოა, რომ ი. მ-ის მიმართ მსჯავრდებერაცხილი ქმედება, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 276-ე მუხლის პირველი ნაწილით (დანაშაულის ჩადენის დროს მოქმედი რედაქცია) განეკუთვნება ნაკლებად მძიმე დანაშაულთა კატეგორიას და მაქსიმალური სასჯელის სახით ითვალისწინებს სამ წლამდე თავისუფლების აღკვეთას.

6.7. საქართველოს სსკ-ის 269-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, გამამტყუნებელ განაჩენს სასჯელის დანიშვნით და მისი მოხდისაგან გათავისუფლებით სასამართლო ადგენს, თუ განაჩენის გამოტანის მომენტისათვის გასულია ამ დანაშაულისათვის სისხლისსამართლებრივი დევნის ხანდაზმულობის ვადა.

6.8. საქმეზე გამოკვლეული მტკიცებულებებით დადგენილია, რომ მსჯავრდებულმა დანაშაული ჩაიდინა 2014 წელს და დანაშაულის ჩადენიდან სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებამდე გასულია 9 წელზე მეტი. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ვინაიდან განაჩენის გამოტანის მომენტისათვის გასულია მსჯავრდებერაცხილი დანაშაულისათვის სისხლისსამართლებრივი დევნის ხანდაზმულობის ვადა კანონის იმპერატიული მოთხოვნის საფუძველზე, ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო, ი. მ-ე უნდა გათავისუფლდეს დაინშნული სასჯელისგან.

6.9. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2025 წლის 14 თებერვლის განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 303-ე მუხლის მე-6 ნაწილით, ამავე კოდექსის 307-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. სამეგრელო-ზემო სვანეთის საოლქო პროკურატურის საპროკურორო სამმართველოს უფროსი პროკურორის ნონა თოლორაიას საკა-

საციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;

2. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2025 წლის 14 თებერვლის განაჩენში შევიდეს ცვლილება:

3. ი. მ-ის ქმედება საქართველოს სსკ-ის 276-ე მუხლის მე-5 ნაწილიდან (დანაშაულის ჩადენის დროს მოქმედი რედაქცია) გადაკვალიფიცირდეს საქართველოს სსკ-ის 276-ე მუხლის პირველ ნაწილზე (დანაშაულის ჩადენის დროს მოქმედი რედაქცია);

4. ი. მ-ე ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 276-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს ჯარიმა 3000 ლარი. საქართველოს სსსკ-ის 269-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ი. მ-ე გათავისუფლდეს დანიშნული სასჯელისგან;

5. განაჩენი კანონიერ ძალაში შედის და აღსასრულებლად მიექცევა გამოტანისთანავე;

6. განაჩენი საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

6. დანაშაული მტკიცებულების მოპოვების საპროცესო წესის წინააღმდეგ

მართლმსაჯულებისათვის ხელის შეშლა, რაც გამოიხატა
დაზარალებულის მიერ ცრუ ინფორმაციის მიწოდებით

განაჩენი
საქართველოს სასაბუღალტრო სამსახურში

№742აპ-25

4 დეკემბერი, 2025 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:
მ. ვასაძე (თავმჯდომარე),
ლ. ფაფიაშვილი,
ლ. თევზაძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა თბილისის ისანი-სამგორის რაი-
ონული პროკურატურის პროკურორ შოთა ბარამიას საკასაციო საჩივარ-
ი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმე-
თა პალატის 2025 წლის 17 ივნისის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

1. ბრალდების შესახებ დადგენილების მიხედვით, ა. ჩ., – ..., – ბრა-
ლად დაედო: მართლმსაჯულებისათვის ხელის შეშლა, რაც გამოიხატა
გამოსაკითხი პირის, მონმის ან დაზარალებულის მიერ ცრუ ინფორმა-
ციის მიწოდებით გამოძიების დროს, განხორციელებული სისხლის სა-
მართლის საქმეზე, რომელშიც ბრალდებულს ბრალი ედება მძიმე და-
ნაშაულის ჩადენაში, რაც გამოიხატა შემდეგით:

1.1. 2022 წლის 13 ივლისს, დაახლოებით, 18:00 საათზე, ... მიმდებარე-
დ, ს. მ., -მ ხელთნაქონი ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებით, გან-
ზრახ მიაყენა ჯანმრთელობის დაზიანება ა. ჩ.-ს, კერძოდ – ორი ჭრი-
ლობა მარცხენა ფეხის არეში, რა დროსაც, ასევე – მცირე ზომის ჩანთა-
ში მოთავსებული ჰქონდა ქარხნული წესით დამზადებული, 7,65 მმ კა-
ლიბრიანი, „Browning-ის“ 1900 წლის ნიმუშის, 9 ვაზნა. ამ ქმედების შე-
დეგად, ა. ჩ.-მ მიიღო ჯანმრთელობის მძიმე ხარისხის დაზიანება. ს. მ.-
ს ბრალი წარედგინა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 117-
ე მუხლის 1-ელი ნაწილითა და ამავე კოდექსის 236-ე მუხლის მე-3 და
მე-4 ნაწილებით. რის შემდგომ, 2022 წლის 9 აგვისტოს, ... ადმინისტრაც-
იულ შენობაში, მონმის სახით გამოკითხვისას, დაზარალებულმა ა. ჩ.-

მ მართლმსაჯულებისათვის ხელის შეშლის მიზნით, გამოძიებას მიაწოდო ცრუ ინფორმაცია.

2. ა. რ. -ს წარედგინა ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 370-ე მუხლის მე-3 ნაწილით.

3. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2025 წლის 3 თებერვლის განაჩენით, ა. რ. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 370-ე მუხლის მე-3 ნაწილით წარედგინილი ბრალდება გადაკვალიფიცირდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 370-ე მუხლის 1-ელ ნაწილზე, რომლის ჩადენისთვისაც იგი ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა – 1 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის კანონის მე-4 მუხლის 1-ელი პუნქტის შესაბამისად, შეუმცირდა ერთი მეექვსედით და განესაზღვრა – 10 თვით თავისუფლების აღკვეთა.

4. სასამართლომ დაადგინა, რომ ა. რ. -მ ჩაიდინა მართლმსაჯულებისათვის ხელის შეშლა, რაც გამოიხატა მოწმის მიერ ცრუ ჩვენების მიცემით და გამოიხატა შემდეგით:

4.1. 2022 წლის 13 ივლისს, დაახლოებით, 18:00 საათზე, ... მიმდებარედ, ს. მ. ხელთნაქონი ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებით, ა. რ. -ს მიაყენა ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქი დაზიანება, რამაც მისი ხანმოკლე მოშლა გამოიწვია, კერძოდ, განზრახ მიაყენა ორი ჭრილობა მარცხენა ფეხის არეში, რა დროსაც ასევე, მცირე ზომის ჩანთაში მოთავსებული ჰქონდა ქარხნული წესით დამზადებული, 7,65 მმ. კალიბრიანი, „Browning-ის“ 1900 წლის ნიმუშის, 9 ვაზნა. ამ ქმედების შედეგად, ა. რ. -მ მიიღო ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება. ს. მ. -ს ბრალი წარედგინა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 120-ე მუხლის 1-ლი ნაწილითა და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით. ამის შემდგომ, 2022 წლის 9 აგვისტოს, ... ადმინისტრაციულ შენობაში, მოწმის სახით გამოკითხვისას, დაზარალებულმა ა. რ. -მ მართლმსაჯულებისათვის ხელის შეშლის მიზნით, გამოძიებას მიაწოდო ცრუ ინფორმაცია.

5. მსჯავრდებულ ა. რ. -ს სასჯელი აეთვალა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2025 წლის 3 თებერვლის განაჩენის აღსრულების მიზნით მისი დაკავებიდან – 2025 წლის 5 მარტიდან. მასვე, სასჯელის ვადაში ჩაეთვალა პატიმრობაში ყოფნის დრო – 2022 წლის 28 ოქტომბრიდან 2022 წლის 2 ნოემბრის ჩათვლით.

6. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2025 წლის 3 თებერვლის განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს, ერთი მხრივ, მსჯავრდებულ ა. რ. -ს ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა – ს. თ. -მ, რომელიც ითხოვდა, გამამტყუნებელი განაჩენის ნაცვლად, გამამართლებელი განაჩენის გამოტანას, ხოლო, მეორე

მხრივ, თბილისის ისანი-სამგორის რაიონული პროკურატურის პროკურორმა შოთა ბარამიამ, რომელიც ითხოვდა ა. რ.-ს დამნაშავედ ცნობას საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 370-ე მუხლის მე-3 ნაწილით, მისთვის ბრალადშერაცხილი დანაშაულის ჩადენისათვის.

7. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2025 წლის 17 ივნისის განაჩენით თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2025 წლის 3 თებერვლის განაჩენი დარჩა უცვლელად.

8. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2025 წლის 17 ივნისის განაჩენი საკასაციო წესით გაასაჩივრა თბილისის ისანი-სამგორის რაიონული პროკურატურის პროკურორმა შოთა ბარამიამ, რომელიც ითხოვს განაჩენის შეცვლასა და ა. რ.-ს დამნაშავედ ცნობას მისთვის ბრალადშერაცხილი დანაშაულის ჩადენისათვის, ვინაიდან მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი მტკიცებულებებით უტყუარად დასტურდება, რომ ა. რ.-მ ჩაიდინა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 370-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული. გასათვალისწინებელია მონმე ლ. ძ.-ს ჩვენება, რომელიც იყო გამოძიებელი და გამოკითხა ა. რ.. მან კი, გამოძიებას შეგნებულად მიანოდა ცრუ ინფორმაცია. გამოძიებელმა დაადასტურა, რომ ა. რ.-ს განუმარტა მონმის უფლება-მოვალეობები, ასევე – თუ რა საქმეზე გამოიკითხებოდა და გააფრთხილა მოსალოდნელი პასუხისმგებლობის თაობაზე, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 370-ე მუხლით. გამოკითხვისას, ა.-მ უარყო ს. მ.-ს მიერ მისთვის დაზიანებების მიყენება, რაც, თავის მხრივ, უტყუარად დადასტურდა ს. მ. მიმართ გამოტანილი, კანონიერ ძალაში შესული, გამამტყუნებელი განაჩენით. ა. რ.-ს საქმის განხილვისას, სასამართლომ დაადგინა, რომ 2022 წლის 9 აგვისტოს, გამოკითხვისას მან გამოძიებას მიანოდა ცრუ ინფორმაცია, შესაბამისად, კასატორს აღარ მიმოუხილავს ის მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებს, რომ ა. რ.-ს ნამდვილად ს. მ.-მ მიაყენა ცეცხლსასროლი იარაღიდან დაზიანებები, არამედ – თუ რამდენად იცოდა ა. რ., რომ ს. მ. ბრალი ედებოდა მძიმე კატეგორიის დანაშაულებში. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-12 მუხლით განსაზღვრულია დანაშაულის კატეგორიები, რაც უკავშირდება თითოეული ქმედებისათვის განსაზღვრული სასჯელის მაქსიმალურ ზედა ზღვარს. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 370-ე მუხლის მე-3 ნაწილით დასჯადია მართლმსაჯულებისათვის ხელის შეშლა, რაც გამოიხატა გამოსაკითხი პირის, მონმის ან დაზარალებულის მიერ ცრუ ინფორმაციის მიწოდებით გამოძიების დროს, განხორციელებული სისხლის სამართლის საქმეზე, რომელშიც ბრალდებულს ბრალი ედება მძიმე კატეგორიის დანაშაულის ჩადენაში. განსახილველ შემთხვევა-

ში, ს. მ. დამნაშავედ იქნა ცნობილი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 120-ე მუხლის 1-ელი ნაწილითა და 236-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით და სწორედ 236-ე მუხლით გათვალისწინებული ბრალდებები წარმოადგენს მძიმე კატეგორიის დანაშაულებს, რაც გამოკვეთს სწორედ ა. ჩ. ქმედებაში მაკვალიფიცირებელ ნიშანს. რასაკვირველია, სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულისათვის განსაზღვრული სასჯელის ზომების ცოდნა არ ევალუება არცერთ მოქალაქეს, თუმცა გასათვალისწინებელია კანონმდებლის მიზანი, რათა გადაიზღვეს რისკები, რომ მოქალაქეებმა ბოროტად არ დაამახინჯონ ფაქტები, რაც ხელს შეუშლიან შესაბამის ორგანოებს, საფუძვლიანად და ეფექტურად განახორციელონ მართლმსაჯულება. სოციალური გაგებით კი ბუნებრივია, როდესაც ერთი ადამიანი ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებით, დაზიანებებს აყენებს მეორეს, არის მძიმე გარემოება, ნებისმიერი ობიექტური დამკვირვებლის თვალში, მითუფრო, იმ პირობებში, როდესაც ა. ჩ. და ს. მ. ჰქონდათ წინარე ნაცნობობა, შესაბამისად, მსჯავრდებულისათვის აბსოლუტურად გასაგები და ცხადი იყო, რომ ს. მ. არ ჰქონდა ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის კანონიერად შექენის, შენახვისა და ტარების უფლება.

სამოტივაციო ნაწილი:

1. საკასაციო პალატამ განიხილა საკასაციო საჩივარი, შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საჩივრის საფუძვლიანობა, გააანალიზა კასატორის საკვანძო არგუმენტები და მიაჩნია, რომ თბილისის ისანი-სამგორის რაიონული პროკურატურის პროკურორ შოთა ბარამიას საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს და თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2025 წლის 17 ივნისის განაჩენი უნდა შეიცვალოს, შემდეგ გარემოებათა გამო:

2. საკასაციო პალატა პირველ რიგში აღნიშნავს: საკასაციო საჩივრით სადავოდ არ გამხდარა სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოება, რომ დაზარალებულმა ა. ჩ.-მ 2022 წლის 9 აგვისტოს, მოწმის სახით გამოკითხვისას, გამოძიებისათვის ცრუ ინფორმაციის მინოდებით, ხელი შეუშალა საქმეზე მართლმსაჯულების აღსრულებას, რასაც საკასაციო სასამართლოც იზიარებს, რამეთუ უტყუარად დასტურდება კანონის მოთხოვნათა სრული დაცვით, სრულყოფილად და ობიექტურად გამოკვლეული, ურთიერთშეჯერებული და დამაჯერებელი მტკიცებულებების ერთობლიობით, რომელიც ქმნის უტყუარ და საკმარის საფუძველს მისი ბრალეულობის გონივრულ ეჭვს მიღმა დასადგენად. კერძოდ:

3. გამოძიების დაწყების აღრიცხვის ბარათის მიხედვით, სისხლის სამართლის №... საქმეზე, ა. ჩ.-ს ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქი და-

ზიანების ფაქტზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 120-ე მუხლის 1-ელი ნაწილითა და ამავე კოდექსის 236-ე მუხლის 1-ელი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულების ნიშნებით, საქართველოს შსს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ისანი-სამგორის მთავარი სამმართველოს პოლიციის 1-ელ სამმართველოში გამოძიება დაიწყო 2022 წლის 13 ივლისს.

4. 2022 წლის 14 ივლისის კვალიფიკაციის შეცვლის შესახებ დადგენილების მიხედვით, სისხლის სამართლის №... საქმეზე გამოძიება გაგრძელდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 120-ე მუხლის 1-ელი ნაწილით, ამავე კოდექსის 236-ე მუხლის მე-3, მე-4 ნაწილებითა და 239-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულებისათვის.

5. ბრალდებულის დაკავების ოქმის მიხედვით, 2022 წლის 14 ივლისს, 05:45 საათზე, ..., ა. ჩ. ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქი დაზიანებისა და ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შექმნა, შენახვისა და ტარების ფაქტზე, დანაშაულებისთვის, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 120-ე მუხლის 1-ელი ნაწილითა და ამავე კოდექსის 236-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით, ბრალდებულის სახით დააკავეს ს. მ.

6. მოწმე/დაზარალებულის გამოკითხვის ოქმის მიხედვით, 2022 წლის 14 ივლისს, 18:00-18:10 საათზე, გამოსაკითხმა პირმა – ა. ჩ.-მ განაცხადა: „გამომძიებლის მიერ განმეორება, რომ გამოკითხვა ნებაყოფლობითია, ასევე – ჩემი უფლება-მოვალეობანი, მათ შორის, ვიყოლიო ჩემი ინტერესების დამცველი ადვოკატი, რასაც ვსაჭიროებ და ვინაიდან ამ ეტაპზე არ მყავს ადვოკატი, ამიტომ ჩვენების მიცემაზე ვაცხადებ უარს“.

7. 2022 წლის 15 ივლისის პირის ბრალდების შესახებ დადგენილების მიხედვით, არსებობდა დასაბუთებული ვარაუდი, რომ ს. მ.-მ ჩაიდინა ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქი დაზიანება, რამაც მისი ხანმოკლე მოშლა გამოიწვია და ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შექმნა, შენახვა და ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო ტარება, რაც გამოიხატა შემდეგით:

ს. მ., გამოძიებით დაუდგენელ ვითარებაში, უკანონოდ შეიძინა დაუდგენელი მოდელის ცეცხლსასროლი იარაღი და 7,65 მმ კალიბრიანი „Browning-ის“, „BERETTA-ს“, „CZ 27-ის“, „CZ 50-ის“, „CZ 83-ის“, „ASTRA MODEL 4000-ის“, „ASTRAMODEL 1911-ის“, „STAR MODEL BM-ის“, „STAR MODEL 14-ის“ მოდელების პისტოლეტებისა და პისტოლეტ-ტყვიამფრქვევების დიდი ჯგუფისათვის განკუთვნილი, ქარხნული წესით დამზადებული, „Browning-ის“ 1900 წლის ნიმუშის, 7.65 მმ კალიბრიანი 9

ვაზნა. ვაზნები მიეკუთვნება საბრძოლო მასალათა კატეგორიას და ვარგისია გამოსაყენებლად. 2022 წლის 13 ივლისს, დაახლოებით, 18:00 საათზე, ს. მ. აღნიშნულ იარაღსა და ვაზნებს უკანონოდ ინახავდა და ატარებდა ... მიმდებარე ტერიტორიაზე, სადაც, იმავე დროს, ხელთნაქონი ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებით, განზრახ, ჯანმრთელობის დაზიანება მიაყენა ა. ჩ.-ს, კერძოდ, ორი ქრილობა მარცხენა ფეხის არეში. აღნიშნული ქმედების შედეგად, ა. ჩ.-მ მიიღო ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქი დაზიანება.

8. შესაბამისად, 2022 წლის 15 ივლისს, ს. მ.-ს ბრალი წარედგინა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 120-ე მუხლის 1-ელი ნაწილითა და ამავე კოდექსის 236-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენისათვის.

9. დაზარალებულის/მოწმის გამოკითხვის ოქმის მიხედვით, 2022 წლის 9 აგვისტოს, 17:04-17:47 საათზე, გამოძიებულმა ლ.-მ გამოსაკითხ ა. ჩ.-ს განუმარტა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული უფლებები და მოვალეობები, მათ შორის, რომ:

გამოკითხვა არის ნებაყოფლობითი და გამოსაკითხი პირი უფლება-მოსილია, მხარეებს მიაწოდოს საქმისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაცია, რომელსაც იგი ფლობს;

გამოსაკითხ პირს უფლება აქვს საკუთარი ხარჯით ისარგებლოს ადვოკატის მომსახურებით;

დაუშვებელია გამოსაკითხი პირის იძულება წარმოადგინოს მტკიცებულება ან გასცეს ინფორმაცია;

გამოსაკითხი პირი უფლებამოსილია თავისი ან/და ახლო ნათესავის წინააღმდეგ არ გასცეს ინფორმაცია;

გამოსაკითხ პირს უფლება აქვს იცოდეს, რა საქმის გამო ხდება მისი გამოკითხვა, ინფორმაცია მიაწოდოს მისთვის მშობლიურ ენაზე, თუ მან არ იცის სისხლის სამართლის პროცესის ენა, ისარგებლოს თარჯიმნის უფასო მომსახურებით;

საკუთარი ხელით ჩამოაყალიბოს მის მიერ გამოძიებისათვის მიწოდებული ინფორმაცია;

გაეცნოს გამოკითხვის ან მისი მონაწილეობით ჩატარებული სხვა საგამოძიებო მოქმედების ოქმს, მოითხოვოს მასში დამატებებისა და ცვლილებების შეტანა, გააკეთოს განცხადება გამოძიების უკანონო მეთოდების შესახებ;

მონაწილეობა მიიღოს საგამოძიებო მოქმედების ჩატარებაში;

გაეცნოს ოქმს და გააკეთოს განცხადებები, რომლებიც ოქმში შეიტანება;

გამოსაკითხი პირი გამოკითხვაზე თანხმობის შემთხვევაში, ვალდე-

ბულია, გამოკითხვის ჩამტარებელ მხარეს საქმესთან დაკავშირებით მისთვის ცნობილი გარემოებების შესახებ სწორი ინფორმაცია მიაწოდოს, წინააღმდეგ შემთხვევაში მას დაეკისრება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ცრუ ინფორმაციის მიწოდებისათვის (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 370-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული);

გამოსაკითხ პირს განემარტა, რომ გამოკითხვაზე უარის თქმის შემთხვევაში იგი შეიძლება დაბარებული იქნეს მაგისტრატ მოსამართლესთან ჩვენების მისაცემად. ამ შემთხვევაში ჩვენების მიცემა სავალდებულოა და ამ ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს გამოსაკითხი პირის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას. გამონაკლისია მხოლოდ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 50-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებები.

გამოსაკითხი პირი – ა. ჩ. – გაფრთხილებულია ცრუ დასმენისათვის (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 373-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული) და ცრუ ინფორმაციის მიწოდებისათვის (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 370-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული) მოსალოდნელი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული, ზემოაღნიშნული უფლებებისა და მოვალეობების განმარტების შემდგომ, ა. ჩ.-მ გამოძიებას მიაწოდა შემდეგი ინფორმაცია:

„გამომძიებლის მიერ განმემარტა ჩემი უფლება-მოვალეობები. განმემარტა, რომ გამოკითხვა არის ნებაყოფლობითი, ხოლო გამოკითხვაზე უარის თქმის შემთხვევაში, შესაძლებელია, დაბარებული ვიყო მაგისტრატ მოსამართლესთან ჩვენების მისაცემად და ამ შემთხვევაში, ჩვენების მიცემა სავალდებულოა, ხოლო ამ ვალდებულების შეუსრულებლობა – გამოიწვევს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას. გაფრთხილებული ვარ ცრუ დასმენისა და ცრუ ინფორმაციის მიწოდებისათვის მოსალოდნელი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ. განმემარტა, რომ მაქვს უფლება საკუთარი ხარჯით ვისარგებლო ადვოკატის დახმარებით, რის გამოც ჩემს ინტერესებს დაიცავს ადვოკატი – ს... თ... ასევე განმემარტა, რომ უფლებამოსილი ვარ, არ გავცე ინფორმაცია ჩემი ან ჩემი ახლო ნათესავის წინააღმდეგ. საქმის გარშემო და დასმულ კითხვებზე გიპასუხებთ შემდეგს:

2022 წლის 13 ივლისს, დაახლოებით, 16:00 საათიდან 17:00 საათამდე დროის მონაკვეთში, რა დროსაც, მე მარტო ვიმყოფებოდი ..., სადაც ჩამოვუხვიე ...- მიმართულებით, რა დროსაც, გზაზე შემხვდა ახალგაზრდა მამაკაცი, რომელმაც მთხოვა სიგარეტი და მე მას მივანოდე ერთი ლერი სიგარეტი, რაზედაც, აღნიშნულმა ახალგაზრდა მამაკაცმა

მთხოვა კიდევ ერთი ღერი სიგარეტი და მე მას მივანოდე კიდევ ერთი ღერი სიგარეტი, რა დროსაც, აღნიშნულმა ახალგაზრდა მამაკაცმა მითხრა, რომ „შენ რაა ბიჭო, მე მათხოვარი ხომ არ გგონივარო“, რაზედაც მეც გავბრაზდი და ჩვენ მოგვივიდა სიტყვიერი შელაპარაკება, რა დროსაც აღნიშნულმა ახალგაზრდა მამაკაცმა ხელი წაიღო წელის უკანა მხარეს, საიდანაც ამოიღო ცეცხლსასროლი იარაღი – პისტოლეტი და დამიზნებით, ერთხელ მესროლა მარცხენა ფეხში და დამჭრა, რის შემდეგაც იგი გაიქცა, ხოლო მე ფეხიდან წამომივიდა სისხლი და მეც გამოვერიდე იქაურობას და ...- ეზოს გავლით, გამოვედი ... მდებარე, პოლიციის სამმართველოს გვერდით, გავედი ... ქუჩაზე და მივედი იქვე, ახლოს მდებარე სილამაზის სალონთან, სადაც ჩავიკეცე, რა დროსაც ჩემთან მოვიდნენ იქ მყოფი ადამიანები, რომლებმაც მე აღმომიჩინეს დახმარება. მალევე, ჩემთან მოვიდნენ პოლიციის თანამშრომლებიც და ადგილზე მოვიდნენ სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადის ექიმები, რომლებმაც მე გადამიყვანეს სამედიცინო ცენტრ „ოპტიმალ მედიში“, სადაც მე აღმომიჩინეს სამედიცინო დახმარება და რამდენიმე დღეში გავენერე საავადმყოფოდან. კითხვაზე გიპასუხებთ, რომ ახალგაზრდა მამაკაცი, რომელმაც მე პისტოლეტიდან გასროლით მესროლა ტყვია ერთხელ და მომარტყა მარცხენა ფეხში, იყო, დაახლოებით, 28-30 წლის, დაახლოებით, 180-185 სმ. სიმაღლის, ქერა, სუსტი აღნაგობის, ქერა მოკლედ შეჭრილი თმით, კეხიანი ცხვირით, ჩავარდნილი ლოყებით და მოგრძო სახით, რომლის ამოსაცნობი ნიშნებითაც, მე შემიძლია მისი ამოცნობა. მას ტანთ ეცვა შავი გრძელმკლავიანი პერანგი, მოკლე, მუქი სპორტული შორტი და ფეხზე ეცვა მუქი ბოტასი. კითხვაზე გიპასუხებთ, რომ ... არასდროს არ ვარ ნამყოფი და, შესაბამისად, არც 2022 წლის 13 ივლისს არ ვყოფილვარ. კითხვაზე გიპასუხებთ, რომ მე 2022 წლის 13 ივლისს, დაახლოებით, 18.00 საათზე ... არ ვყოფილვარ და არ მინახავს არც გ. ბ..., არც ს. მ., არც ლ. მ., არც გ. ფ. და არც გ. ბ., რომლებთანაც მე ყველასთან მაქვს ახლო და მეგობრული ურთიერთობა და მე მათთან არანაირი ჩხუბი არ მომსვლია და მათ ჩემთვის ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა არ მოუყენებიათ, ხოლო ს. მ.-ს ჩემთვის ტყვია არ უსვრია პისტოლეტიდან გასროლით და არ დავეუჭრივარ. მე ისინი იმ დღეს საერთოდ არ მინახავს. კითხვაზე გიპასუხებთ, რომ მე 2022 წლის 13 ივლისს ვიყავი მთელი დღე სრულიად ფხიზელ მდგომარეობაში და ყველაფერი მახსოვს კარგად.“

10. მოწმე ლ. ძ-ს ჩვენებით, რომელმაც 2022 წლის 9 აგვისტოს გამოკითხა ა. ჩ., დასტურდება, რომ 2022 წლის 13 ივლისს, მუშაობდა თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ისანი-სამგორის მთავარი სამმართველოს პოლიციის 1-ელი სამმართველოს გამომძიებლად. დანაშაულის შესახებ შეტყობინების საფუძველზე, დაინყო გამოძიება ა. ჩ-ს წან-

მრთელობის განზრახ დაზიანების ფაქტზე და გამოძიების ფარგლებში, ჩაატარა საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებები, მათ შორის, გამოკითხა დაზარალებული ა. ჩ., რომელმაც, თავდაპირველად, ჩვენების მიცემაზე განაცხადა უარი, ვინაიდან არ ჰყავდა ადვოკატი და ჩვენების მიცემა სურდა ინტერესების დამცველის თანდასწრებით. ა. ჩ., პოლიციის განყოფილებაში მოგვიანებით გამოცხადდა ადვოკატ ს. თ-სთან ერთად. გამოკითხვამდე ა. ჩ-ს განუმარტა მისი უფლებები და მოვალეობები, ასევე – ცრუ ინფორმაციის მიწოდებისათვის მოსალოდნელი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ, რაც სრულად იყო მისთვის გასაგები. მითუფრო, რომ მას ადვოკატთანაც ჰქონდა გავლილი კონსულტაცია ცრუ ინფორმაციის მიწოდების გამო, მოსალოდნელი პასუხისმგებლობის თაობაზე. მან შეადგინა გამოკითხვის ოქმი, რომელშიც ასახა ის, რაც ა. ჩ-მ უამბო. გამოკითხულმა წაიკითხა გამოკითხვის ოქმი და ადვოკატის თანდასწრებით დაადასტურა ხელის მოწერით. ა. ჩ-ს ჰკითხა, დარწმუნებული იყო თუ არა მისი ჩვენების სისწორეში, რაზეც მან უპასუხა, რასაც ეუბნებოდა, ის დაეფიქსირებინა ოქმში. მიუხედავად ა. ჩ-ს მიერ მიწოდებული ინფორმაციისა, არსებობდნენ თვითმხილველი მონემები, რომლებიც ადასტურებდნენ, თუ საიდან გამობოდა დაზარალებული და სად მირბოდა, ასევე – როგორ მისდევდა მას სროლით შეიარაღებული ს. მ.. შესაბამისად, გამოძიებისათვის იყო ცნობილი, თუ რა მოხდა რეალურად, ა. ჩ. კი იძლეოდა ცრუ ჩვენებას. ა. ჩ-ს ვერსიის გადასამოწმებლად, ოპერატიულად გამოჰკითხა დაზარალებულის მიერ მითითებულ ადგილას მაცხოვრებლები, რომლებმაც დაუდასტურეს, რომ იქ არანაირი ჩხუბი, სიტყვიერ კონფლიქტი და სროლა არ ყოფილა. მათ ასევე არ დაუნახავთ დაჭრილი ადამიანი, რომელიც გარბოდა.

11. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2023 წლის 28 სექტემბრის განაჩენით, რომელიც კანონიერ ძალაშია, ს. მ... ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 120-ე მუხლის 1-ელი ნაწილით – 2 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა; საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის მე-3 ნაწილით – 4 წლით თავისუფლების აღკვეთა; საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის მე-4 ნაწილით – 5 წლით თავისუფლების აღკვეთა; უფრო მკაცრმა სასჯელმა შთანთქა ნაკლებად მკაცრი სასჯელები და, საბოლოოდ, დანაშაულთა და განაჩენთა ერთობლიობით, განესაზღვრა – 5 წლით თავისუფლების აღკვეთა.

12. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2023 წლის 28 სექტემბრის განაჩენით დადგენილია, რომ ს. მ-მ ჩაიდინა ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქი დაზიანება, რამაც

მისი ხანმოკლე მოშლა გამოიწვია და ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შექმნა, შენახვა და ტარება, რაც გამოიხატა შემდეგით:

ს. მ-მ გამოძიებით დაუდგენელ ვითარებაში, უკანონოდ შეიძინა დაუდგენელი მოდელის ცეცხლსასროლი იარაღი და 7.65 მმ კალიბრიანი „Browning-ის“, „BERETTA-ს“, „CZ 27-ის“, „CZ 50-ის“, „CZ 83-ის“, „ASTRA MODEL 4000-ის“, „ASTRAMODEL 1911-ის“, „STAR MODEL BM-ის“, „STAR MODEL 14-ის“ მოდელების პისტოლეტებისა და პისტოლეტ-ტყვიამფრქვევების დიდი ჯგუფისათვის განკუთვნილი, ქარხნული წესით დამზადებული, „Browning-ის“ 1900 წლის ნიმუშის, 7.65 მმ კალიბრიანი 9 ვაზნა. ვაზნები მიეკუთვნება საბრძოლო მასალათა კატეგორიას და ვარგისია გამოსაყენებლად. 2022 წლის 13 ივლისს, დაახლოებით, 18:00 საათზე, ს. მ. აღნიშნულ იარაღსა და ვაზნებს უკანონოდ ინახავდა და ატარებდა ... მიმდებარე ტერიტორიაზე, სადაც, იმავე დროს, თანნაქონი ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებით, განზრახ, ჯანმრთელობის დაზიანება მიაყენა ა. ჩ.-ს კერძოდ, ორი ჭრილობა მარცხენა ფეხის არეში.

13. შესაბამისად, განსახილველ, ა. ჩ.-ს ბრალდების სისხლის სამართლის საქმესთან მიმართებით, ქვემდგომი ინსტანციის სასამართლომ მართებულად მიიჩნია, რომ არ არსებობს იმაში დაეჭვების გონივრული საფუძველი, რომ ა. ჩ.-მ 2022 წლის 9 აგვისტოს, გამოძიებისათვის კვალის არევის მიზნით, შეთხზა ვერსია, რომ მას არა საქმის მასალებით დადგენილ, არამედ – სულ სხვა ადგილას დაესხა თავს შეიარაღებული უცნობი მამაკაცი და მიაყენა ცეცხლსასროლი დაზიანებები, რომლის ამოცნობაც, თითქოსდა, შეეძლო, რითაც, ცხადია, ხელს უშლიდა გამოძიებას დანაშაულის ვითარების აღდგენასა და, შესაბამისად, საქმეზე მართლმსაჯულების აღსრულებაში.

14. იმავდროულად, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს: ბრალდების მხარე ა. ჩ.-ს ედავებოდა, რომ მისთვის მსჯავრადშერაცხილი ზემოაღნიშნული დანაშაული – გამოძიების დროს, მონმის ან დაზარალებულის მიერ ცრუ ინფორმაციის მიწოდება – მსჯავრდებულმა ჩაიდინა დამამძიმებელ გარემოებაში, კერძოდ, მართლმსაჯულებას ხელი შეუშალა იმ სისხლის სამართლის საქმეზე, რომელშიც ბრალდებულს ბრალი ედებოდა მძიმე დანაშაულის ჩადენისათვის, თუმცა ქვემდგომი ინსტანციის სასამართლომ დაუსაბუთებლად მიიჩნია, რომ ა. ჩ.-ს ქმედებაში ბრალადწარდგენილი დანაშაულის მაკვალიფიცირებელი ეს გარემოება არ იკვეთებოდა, რასაც საკასაციო სასამართლო არ იზიარებს, შემდეგ გარემოებათა გამო:

15. საყურადღებოა, რომ ქმედების თავდაპირველი კვალიფიკაციის შეცვლას, საფუძვლად დაედო ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს მიერ შემდეგი ფაქტობრივი გარემოებების გამოკვეთა, რომლებიც,

თითქოსდა, მიუთითებენ ა. ჩ-ს მიერ, მაკვალიფიცირებელი გარემოების გარეშე დანაშაულის ჩადენაზე, კერძოდ, სასამართლომ, ერთი მხრივ, მიიჩნია, რომ დაზარალებულ ა. ჩ-ს, ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლის შედეგად, არ მიუღია ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება, არამედ – მსუბუქი, მისი ხანმოკლე მოშლით, რაც საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 120-ე მუხლის 1-ელი ნაწილით დასჯადი ქმედებაა და ნაკლებად მძიმე დანაშაულთა კატეგორიას მიეკუთვნება; მეორე მხრივ, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის მე-3, მე-4 ნაწილებით გათვალისწინებულ, მძიმე კატეგორიის დანაშაულებთან მიმართებით, სასამართლომ აღნიშნა, რომ ბრალდების მხარემ, რომელსაც პროცესუალურად ეკისრება ბრალდების მტკიცების ტვირთი, სარწმუნოდ ვერ დაადასტურა, ჰქონდა თუ არა დაზარალებულ ა. ჩ-ს ინფორმაცია, რამდენად მართლზომიერად ფლობდა მასზე თავდამსხმელი პირი ცეცხლსასროლ იარაღს.

16. საკასაციო სასამართლო არ ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს ზემოაღნიშნულ არგუმენტაციას, რომელიც დაედო საფუძვლად, ა. ჩ-ს მიმართ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 370-ე მუხლის მე-3 ნაწილით წარდგენილი ბრალდების ამავე მუხლის 1-ელ ნაწილზე გადაკვალიფიცირებას, რის კვალდაკვალ, მსჯავრდებულის ქმედება – მოწმის ან დაზარალებულის მიერ გამოძიების დროს, ცრუ ინფორმაციის მიწოდებით, მართლმსაჯულებისათვის ხელის შეშლა – ამ დანაშაულის მაკვალიფიცირებელი გარემოებით – ჩადენილი იმ სისხლის სამართლის საქმეზე, რომელშიც სისხლისსამართლებრივი დევნა მიმდინარეობს მძიმე კატეგორიის დანაშაულზე – აღარ დამძიმდა.

17. საკასაციო სასამართლოს მიერ განმარტებულია: საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 370-ე მუხლით სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობაა დანესებული ცრუ ჩვენების მიცემისთვის, რაც ქმნის მართლმსაჯულების განხორციელებისთვის ხელის შეშლის აბსტრაქტულ საფრთხეს და ისჯება იმისდა მიუხედავად, კონკრეტულ შემთხვევაში შეუშალა თუ არა ხელი ამ მოქმედებამ სასამართლოში ობიექტური რეალობის დადგენას. ჩვენება ითვლება ცრუდ, თუ მასში მთლიანად ან ნაწილობრივ დამახინჯებულია ის ფაქტები, რომელთაც არსებითი მნიშვნელობა აქვთ საქმის ობიექტურად გადანყვევისათვის. [...] ის ფაქტი, რომ მსჯავრდებულმა განზრახ დამახინჯებული ინფორმაცია მიანოდა სასამართლოს, თავის მხრივ, წარმოადგენს მართლმსაჯულებისთვის ხელის შეშლას და არ აქვს მნიშვნელობა იმას, საქმეზე, რომლის ფარგლებშიც მართლმსაჯულებას ხელი შეეშალა, გამამტყუნებელი განაჩენი დადგინდა თუ გამამართლებელი. მოცემულ შემთხვევაში მთავარია, მსჯავრდებულის მხრიდან ცრუ ინფორმაციის მიწოდების ფაქტი და მნიშვნელობა არ აქვს, თუ რა შედეგი მოჰყვა მას, რაზეც

ასევე მიუთითებს განსახილველი დანაშაულის ფორმალური შემადგენლობა (იხ.: საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2020 წლის 24 სექტემბრის გადაწყვეტილება №458აპ-20, პუნქტი 9-10).

18. განსახილველი სისხლის სამართლის საქმის მასალები ცხადყოფს, რომ ა. ჩ-ს ჯანმრთელობის დაზიანების ფაქტზე მიმდინარე გამოძიების ფარგლებში, 2022 წლის 14 ივლისს, ბრალდებულის სახით დააკავეს ს. მ., რომელსაც 2022 წლის 15 ივლისს, წარედგინა ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 120-ე მუხლის 1-ელი ნაწილითა და ამავე კოდექსის 236-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენისათვის.

19. აქვე აღსანიშნავია, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 120-ე მუხლის 1-ელი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ექვს თვემდე ან შინაპატიმრობით ვადით ექვსი თვიდან ორ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთიდან სამ წლამდე, იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვით ან უამისოდ, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის მე-3 ნაწილი – თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან ექვს წლამდე, ხოლო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის მე-4 ნაწილი – თავისუფლების აღკვეთით ვადით ოთხიდან შვიდ წლამდე.

20. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 12-ე მუხლით განსაზღვრულია დანაშაულთა კატეგორიები, კერძოდ, ნაკლებად მძიმეა ისეთი განზრახი ან გაუფრთხილებლობითი დანაშაული, რომლის ჩადენისათვის ამ კოდექსით გათვალისწინებული მაქსიმალური სასჯელი არ აღემატება ხუთი წლით თავისუფლების აღკვეთას; მძიმეა ისეთი განზრახი დანაშაული, რომლის ჩადენისათვის ამ კოდექსით გათვალისწინებული მაქსიმალური სასჯელი არ აღემატება ათი წლით თავისუფლების აღკვეთას, აგრეთვე გაუფრთხილებლობითი დანაშაული, რომლის ჩადენისათვის ამ კოდექსით სასჯელის სახით გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა ხუთ წელზე მეტი ვადით, ხოლო განსაკუთრებით მძიმეა ისეთი განზრახი დანაშაული, რომლის ჩადენისათვის ამ კოდექსით გათვალისწინებულია სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთა ათ წელზე მეტი ვადით ან უვადო თავისუფლების აღკვეთა.

21. შესაბამისად, უდავოა, რომ 2022 წლის 9 აგვისტოს, ა. ჩ-მ, მონმის სახით გამოკითხვისას, გამოძიებას მიაწოდა ცრუ ინფორმაცია იმ სისხლის სამართლის საქმეზე, რომელშიც ს. მ-ს ბრალი ედებოდა, მათ შორის, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით გათვალისწინებული, მძიმე კატეგორიის დანაშაულების ჩადენისათვის.

22. ხაზგასასმელია, რომ ა. ჩ. 2022 წლის 9 აგვისტოს გამოკითხულია მისი ინტერესების დამცველის, ადვოკატ ს. თ-ს თანდასწრებით, რა დროსაც, მსჯავრდებული სრულად იყო ინფორმირებული, რომ იგი იკითხებოდა ს. მ-ს ბრალდების სისხლის სამართლის საქმეზე, რომელსაც წარდგენილი ჰქონდა ბრალდება, როგორც საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 120-ე მუხლის 1-ელი ნაწილით, ასევე – ამავე კოდექსის 236-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით გათვალისწინებული მძიმე დანაშაულების ჩადენისათვის. შესაბამისად, ცალსახაა, რომ ა. ჩ-მ, მიუხედავად იმისა, რომ სათანადო წესით იყო გაფორმებული ცრუ ინფორმაციის მიწოდებისათვის მოსალოდნელი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის თაობაზე, ადვოკატთან შესაბამისი სამართლებრივი კონსულტაციის შემდგომ, განზრახ მიაწოდა არასწორი ინფორმაცია სამართალდამცავებს, მათ შორის, საქმის ყოველმხრივი და ობიექტური გამოძიებისათვის არსებითად მნიშვნელოვან გარემოებებთან მიმართებით, კვალის შეგნებულად არევისა და, შესაბამისად, საქმეზე ობიექტური ფეშმარიტების დადგენისა და მართლმსაჯულების განხორციელებისათვის ხელის შეშლის მიზნით იმ სისხლის სამართლის საქმეზე, რომელშიც ს. მ-ს მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა მიმდინარეობდა და მას ბრალი ჰქონდა წარდგენილი მძიმე კატეგორიის დანაშაულების ჩადენისათვის.

23. საკასაციო სასამართლო განმარტავს: საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 370-ე მუხლის მე-3 ნაწილით დასჯადი დანაშაულის კონსტრუქციიდან გამომდინარე, ქმედების ობიექტური შემადგენლობა – მართლმსაჯულებისათვის ხელის შეშლა, რაც გამოიხატა გამოძიების დროს, მოწმის ან დაზარალებულის მიერ ცრუ ინფორმაციის მიწოდებით – მძიმდება, თუკი ცრუ ინფორმაცია მიწოდებულია იმ სისხლის სამართლის საქმეზე, რომელშიც ბრალდებულებს ბრალი ედებათ მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულებისათვის, რომელთა გახსნისა და დამნაშავეთა დასჯის მიმართ, განსაკუთრებული საზოგადოებრივი ინტერესი არსებობს და ამ მაკვალიფიცირებელი გარემოების შერაცხვის დროს, არანაირი მნიშვნელობა არ აქვს, მიმდინარე გამოძიებისას, მტკიცებულებების შეკრების დროს, გამოძიებისათვის ცრუ ინფორმაციის მიმწოდებელ პირს, რამდენად შეცნობილი ჰქონდა ჩადენილი ქმედების სამართლებრივი კვალიფიკაცია და რამდენად აცნობიერებდა, სისხლის სამართლის კოდექსით განსაზღვრულ დანაშაულთა კატეგორიებისადმი, მის კუთვნილებას. მეტიც, როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, საკასაციო სასამართლოს მიერ მყარად დამკვიდრებული პრაქტიკის შესაბამისად, ამ შემთხვევაში არც იმას აქვს არსებითი მნიშვნელობა, სისხლის სამართლის საქმეზე, რომელზეც გამოძიებას ცრუ ინფორმაცია მიაწოდა მოწმემ ან დაზარალებულმა, საბოლოოდ, გამა-

მართლებელი განაჩენი დადგება თუ გამამტყუნებელი, არამედ – მხოლოდ იმ გარემოებას, იყო თუ არა მოწმის ან დაზარალებულის მონათხრობი განზრახ მცდარი, რათა გამოძიების შეცდომაში შეყვანით, ხელი შეშლოდა საქმეზე მართლმსაჯულების აღსრულებას. შესაბამისად, განსახილველ შემთხვევაში, მსჯავრადშერაცხილი დანაშაულის სამართლებრივი შეფასებისას, არანაირი მნიშვნელობა არ აქვს, იყო თუ არა ინფორმირებული ა. ჩ., მისთვის ცეცხლსასროლი იარაღიდან დაზიანებების მიყენებისას, რამდენად მართლზომიერად ფლობდა ცეცხლსასროლ იარაღსა და საბრძოლო მასალას ს. მ., რამეთუ გადამწყვეტია, რომ დაზარალებულმა ა. ჩ., მართლმსაჯულებისათვის ხელის შეშლის მიზნით, მოწმის სახით გამოკითხვისას, არასწორი ინფორმაცია მიანოდა გამოძიებას იმ სისხლის სამართლის საქმეზე, რომელშიც მან იცოდა, რომ ბრალდებულს ბრალი ჰქონდა წაყენებული მძიმე კატეგორიის დანაშაულების ჩადენისათვის. შესაბამისად, ა. ჩ-ს ქმედებაში გამოკვეთილია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 370-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული – მართლმსაჯულებისათვის ხელის შეშლა, რაც გამოიხატა მოწმის ან დაზარალებულის მიერ ცრუ ინფორმაციის მიწოდებით, განხორციელებული სისხლის სამართლის საქმეზე, რომელშიც ბრალდებულს ბრალი ედება მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენაში, რისთვისაც მას კანონიერად უნდა დაედოს მსჯავრი.

24. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 370-ე მუხლის მე-3 ნაწილი ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან შვიდ წლამდე.

25. საკასაციო სასამართლომ სრულად შეაფასა როგორც სასჯელის დანიშნვის ზოგადსავალდებულო გარემოებები, ასევე – პირის ინდივიდუალური მახასიათებლები, პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებები და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე, 53-ე მუხლების მოთხოვნათა გათვალისწინებით, მიიჩნევს, რომ ა. ჩ-ს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 370-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულისათვის უნდა შეეფარდოს – 3 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, რაც „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის კანონის მე-4 მუხლის 1-ელი პუნქტის შესაბამისად, უნდა შეუმცირდეს ერთი მეექვსედით და განესაზღვროს – 2 წლითა და 11 თვით თავისუფლების აღკვეთა, რაც სრულად უზრუნველყოფს სასჯელის მიზნებს – სამართლიანობის აღდგენას, ახალი დანაშაულის თავიდან აცილებასა და დამნაშავის რესოციალიზაციას.

26. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, თბილისის ისანი-სამგორის რაიონული პროკურატურის პროკურორ შოთა ბარამიას საკა-

საცო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს და თბილისის სააპელაციო სა-სამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2025 წლის 17 ივნისის განაჩენი უნდა შეიცვალოს მსჯავრდებულის საუარესოდ.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის 1-ელი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, მე-3 ნაწილით და

და ა დ ბ ი ნ ა:

1. თბილისის ისანი-სამგორის რაიონული პროკურატურის პროკურორ შოთა ბარამიას საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2025 წლის 17 ივნისის განაჩენი შეიცვალოს;
3. ა. ჩ. ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 370-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისთვისაც და მიესაჯოს – 3 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, რაც „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის კანონის მე-4 მუხლის 1-ელი პუნქტის შესაბამისად, შეუმცირდეს ერთი მეექვსედით და განესაზღვროს – 2 წლითა და 11 თვით თავისუფლების აღკვეთა;
4. ა. ჩ-ს სასჯელი აეთვალოს 2025 წლის 5 მარტიდან. მასვე, სასჯელის ვადაში ჩათვალოს პატიმრობაში ყოფნის დრო – 2022 წლის 28 ოქტომბრიდან – 2022 წლის 2 ნოემბრის ჩათვლით;
5. სხვა – მათ შორის, ნივთმტკიცებისა და გირაოს – ნაწილში, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2025 წლის 17 ივნისის განაჩენი დარჩეს უცვლელად;
6. განაჩენი საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

7. დანაშაული სასამართლო აქტების აღსრულების წინააღმდეგ

აღწერილ, დაყადაღებულ ან ჩამორთმევის
დაქვემდებარებულ ქონებასთან დაკავშირებული უკანონო
ქმედება

ბანაჩანი
საქართველოს სახალხო

№476აპ-25

19 ნოემბერი, 2025 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

ლ. ფაფიაშვილი (თავმჯდომარე),
მ. ვასაძე,
ლ. თევზაძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა სამტრედიის რაიონული პრო-
კურატურის პროკურორ ლეილა კვერნაძის საკასაციო საჩივარი ქუთაი-
სის სააპელაციო სასამართლოს 2025 წლის 25 მარტის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

1. პირის ბრალდების შესახებ დადგენილების მიხედვით: ა. ზ-ეს ბრა-
ლად ედებოდა აღწერილი ქონების გასხვისება იმის მიერ, ვისაც ეს
ქონება მინდობილი ჰქონდა, – დანაშაული გათვალისწინებული საქარ-
თველოს სისხლის სამართლის კოდექსის (შემდგომში – საქართველოს
სსკ-ის) 377-ე მუხლის პირველი ნაწილით.

ა. ზ-ის მიერ ჩადენილი ქმედება გამოიხატა შემდეგში:

2022 წლის 24 ნოემბერს, ქ. ს-ში, გ-ის (ყოფილი ს-ის) ქუჩის №-ში
მდებარე სს „ლ-სი“ ბანკსა და ა. ზ-ეს შორის დაიდო საბანკო კრედიტისა
და გირავნობის ხელშეკრულებები, რომელთა საფუძველზეც ბანკის მი-
ერ მოთხოვნის უზრუნველსაყოფად გამოყენებული იქნა ა. ზ-ის სახელ-
ზე რეგისტრირებული, მის მიერ გირავნობით დატვირთული
„CHEVROLET CRUZE-2010“ ფირმის ავტომობილი სახელმწიფო ნომრით
– ა. ზ-ემ დაარღვია საბანკო დანესებულებასთან ხელშეკრულებით
ნაკისრი ვალდებულება, აღარ გადაიხადა სესხის თანხა, ნაწილებად
დაშალა მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებად გამოყენებული
ზემოსხენებული ავტომობილი და ამ გზით გაასხვისა, რის შედეგადაც
დაზარალებულ კომპანიას მიაღდა 10 800 ლარის ქონებრივი ზიანი.

2. სამტრედიის რაიონული სასამართლოს 2024 წლის 31 დეკემბრის

განაჩენით:

2.1. ა. ზ-ე საქართველოს სსკ-ის 377-ე მუხლის პირველი ნაწილით წარდგენილ ბრალდებაში ცნობილი იქნა უდანაშაულოდ და გამართლდა;

2.2. ა. ზ-ეს განემარტა, რომ უფლება აქვს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის (შემდგომი – საქართველოს სსსკ-ის) 92-ე მუხლით დადგენილი წესით მოითხოვოს მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

3. სამტრედიის რაიონული სასამართლოს 2024 წლის 31 დეკემბრის განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა სამტრედიის რაიონული პროკურატურის პროკურორმა ლეილა კვერნაძემ, რომელმაც მოითხოვა ა. ზ-ის დამნაშავედ ცნობა საქართველოს სსკ-ის 377-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და მკაცრი სასჯელის განსაზღვრა.

4. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2025 წლის 25 მარტის განაჩენით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და სამტრედიის რაიონული სასამართლოს 2024 წლის 31 დეკემბრის განაჩენი დარჩა უცვლელად.

5. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2025 წლის 25 მარტის განაჩენი საკასაციო წესით გაასაჩივრა ბრალდების მხარემ. სამტრედიის რაიონული პროკურატურის პროკურორი ლეილა კვერნაძე ითხოვს ა. ზ-ის დამნაშავედ ცნობას საქართველოს სსკ-ის 377-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და მკაცრი სასჯელის განსაზღვრას.

სამოტივაციო ნაწილი:

1. სასამართლო ითვალისწინებს „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7¹ მუხლსა და საქართველოს სსსკ-ის 273-ე მუხლს; ასევე – ზედა ინსტანციის სასამართლოების უფლებას, დაეთანხმონ ქვედა ინსტანციის სასამართლოს დასაბუთებას, საფუძვლების გამეორების გარეშე (იხ. *Hirvisaari v. Finland*, no. 49684/99, par. 30, ECtHR, 25/12/2001); იმ გარემოებას, რომ ქვედა ინსტანციის სასამართლოს მსჯელობის გაზიარება არ არღვევს დასაბუთებული გადაწყვეტილების უფლებას (იხ. *Gorou v. Greece* (No.2) no. 12686/03, paras. 37, 41, ECtHR, 20/03/2009).

2. საქართველოს სსსკ-ის 306-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, საკასაციო საჩივარი განიხილება საჩივრისა და მისი შესაგებლის ფარგლებში. მოცემულ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლოს განაჩენი გაასაჩივრა ბრალდების მხარემ, კერძოდ, პროკურორი ითხოვს ა. ზ-ის დამნაშავედ ცნობას საქართველოს სსკ-ის 377-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და მკაცრი სასჯე-

ლის განსაზღვრას.

3. საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ სამტრედიის რაიონული პროკურატურის პროკურორ ლეილა კვერნაძის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, შემდეგ გარემოებათა გამო:

4. საქართველოს სსკ-ის 377-ე მუხლის პირველი ნაწილი სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას ადგენს აღწერილი ან დაყადაღებული ქონების გაფლანგვა, გასხვისება, დამალვა ან უკანონოდ გადაცემისათვის, იმის მიერ, ვისაც ეს ქონება მინდობილი ჰქონდა. განსახილველი მართლსაწინააღმდეგო ქმედებისაგან სისხლისსამართლებრივი დაცვის უშუალო ობიექტია კრედიტორის კანონიერი ინტერესი სააღსრულებო დაწესებულებათა მიერ კანონით გათვალისწინებული აქტების აღსრულებასთან მიმართებით. დანაშაულის ობიექტური მხარე გამოიხატება აქტიურ მოქმედებაში, რაც გამოიხატება აღწერილი ან დაყადაღებული ქონების გაფლანგვა, გასხვისებასა და დამალვაში იმის მიერ, ვისაც ეს ქონება ჰქონდა მინდობილი. დანაშაული ფორმალური ხასიათისაა და დამთავრებულად ითვლება დანაშაულის საგნის, ანუ აღწერილი და დაყადაღებული ქონების გაფლანგვის მომენტიდან. ქმედების სუბიექტი არის – პირი, ვისაც აღწერილი ან დაყადაღებული ქონება შესანახად გადაეცა ხელწერილით, ანუ მინდობილი პირი. იგი შეიძლება იყოს: მესაკუთრე, მფლობელი, მოვალის ოჯახის სრულწლოვანი წევრი, ადგილობრივი მმართველობის ან თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოს წარმომადგენელი და სხვა. მინდობილი დანაშაულის სუბიექტური მხარე პირდაპირ განზრახვას გულისხმობს – პირს გაცნობიერებული აქვს, რომ სჩადის უკანონო ქმედებას, ანგარებით ან სხვა პირადი დაინტერესების მოტივით (იხ.: საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2021 წლის 9 მარტის განაჩენი №689აპ-20, სამოტივაციო ნაწილი, პ.4).

5. „სადავო ნორმის არსებობა სისხლის სამართლის კოდექსის მეორე მუხლზე კარსა (დანაშაული სასამართლო ხელისუფლების წინააღმდეგ) და ორმოცდამეოთხე თავში (დანაშაული სასამართლო აქტების აღსრულების წესის წინააღმდეგ), მათი სათაურების შინაარსიდან გამომდინარე, იმთავითვე არ გულისხმობს იმას, რომ პირის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას გამოიწვევს მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე დაყადაღებული ქონების გაფლანგვა, გასხვისება და დამალვა, ვინაიდან აღნიშნული არ გამომდინარეობს თვითონ საქართველოს სსკ-ის 377-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული ნორმის შინაარსიდან, რომელშიც არსად არ არის მითითებული, რომ სადავო ქონება აუცილებლად აღწერილი ან დაყადაღებული უნდა იყოს სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე. ამას-

თან, მართალია, მეთორმეტე კარში არსებულ დანაშაულთა გვარეობით ობიექტს წარმოადგენს სასამართლო ხელისუფლების ორგანოთა ინტერესი, მაგრამ ამავე დროს, ეს კარი, ისევე როგორც ორმოცდამეოთხე თავი (დანაშაული სასამართლო აქტების აღსრულების წესის წინააღმდეგ), აერთიანებს არა მხოლოდ სასამართლო ორგანოების საქმიანობის წინააღმდეგ მიმართულ ქმედებებს, არამედ – გამოძიების ორგანოების, პროკურატურის, პენიტენციური დაწესებულებებისა და ასევე განაჩენისა თუ სხვა გადაწყვეტილების აღმასრულებელი ორგანოების წინააღმდეგ მიმართულ ქმედებებსაც“ (საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2021 წლის 9 მარტის განაჩენი №689აპ-20, სამოტივაციო ნაწილი, პ.5).

6. შესაბამისად, საკასაციო სასამართლოს მიერ დადგენილი პრაქტიკის თანახმად, ა. ზ-ისათვის ბრალად წარდგენილი ქმედების ფაქტობრივი გარემოებები შეიცავს საქართველოს სსკ-ის 377-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებს (მაგალითისთვის იხ.: საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2020 წლის 2 ოქტომბრის №135აპ-19 განჩინება).

7. მხარეთა შორის დავის საგანს არ წარმოადგენს ის ფაქტი, რომ 2022 წლის 24 ნოემბერს, ქ. ს-ში, გ-ის (ყოფილი ს-ის) ქუჩის №-ში მდებარე სს „ლ-სი“ ბანკსა და ა. ზ-ეს შორის დაიდო საბანკო კრედიტისა და გირავნობის ხელშეკრულებები, რის საფუძველზეც ბანკის მიერ მოთხოვნის უზრუნველსაყოფად გამოყენებული იქნა ა. ზ-ის სახელზე რეგისტრირებული, მის მიერ გირავნობით დატვირთული „CHEVROLET CRUZE 2010“ ფირმის ავტომობილი სახელმწიფო ნომრით ა. ზ-ემ დაარღვია საბანკო დაწესებულებასთან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება, აღარ გადაიხადა სესხის თანხა, ხოლო მოთხოვნის უზრუნველყოფისათვის გამოყენებული ავტომობილი ნაწილებად დაშალა და გაასხვისა. ამით დაზარალებულ კომპანიას მიადგა 10 800 ლარის ღირებულების ქონებრივი ზიანი, რაც ასევე დასტურდება სისხლის სამართლის საქმეში წარმოდგენილი, მხარეთა მიერ უდავოდ ცნობილი, მტკიცებულებებით. კერძოდ,

8. 2022 წლის 24 ნოემბრის საბანკო კრედიტის ხელშეკრულებით დგინდება, რომ ა. ზ-ის მიერ აღებული კრედიტის ოდენობაა: 8000 ლარი, კლიენტის მიერ გადასახდელი მთლიანი თანხის ოდენობა – 9626 ლარი, კრედიტის მოქმედების ვადა – 2023 წლის 24 მაისამდე, მაგრამ ყველა შემთხვევაში სანამ სრულად არ იქნება შესრულებული კლიენტის ვალდებულებები. წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე კლიენტის ვალდებულებების შესრულება უზრუნველყოფილია გირავნობით.

9. 2022 წლის 24 ნოემბრის გირავნობის ხელშეკრულების თანახმად:

9.1. უზრუნველყოფილი მოთხოვნა არის 2022 წლის 24 ნოემბრის საბანკო კრედიტის ხელშეკრულება ..., მოვალე – ა. ზ-ე (პ/ნ ...). უზრუნველყოფილი მოთხოვნის მაქსიმალური ოდენობაა 10 800 ლარი.

9.2. წინამდებარე გირავნობის ხელშეკრულების და გირავნობის ხელშეკრულების ძირითადი პირობების საფუძველზე და შესაბამისად, დამგირავებელი იღებს ვალდებულებას და ბანკს ანიჭებს უფლებას, მოვალის მიერ უზრუნველყოფილი მოთხოვნიდან გამომდინარე ვალდებულების შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, ბანკმა მოვალის მიმართ არსებული მოთხოვნა/მოთხოვნები დაიკმაყოფილოს გირავნობის საგნის რეალიზაციის, დასაკუთრების ან/და სხვაგვარი გამოყენების გზით (პუნქტი 2.1.);

9.3. დამგირავებელი ადასტურებს, რომ მისთვის (დამგირავებლისთვის) სრულიად გასაგებია გირავნობის ხელშეკრულების ძირითადი პირობები და ეთანხმება მათ (პუნქტი 2.3);

9.4. დამგირავებელი ადასტურებს, რომ ბანკმა სათანადოდ მიანოდა მას (დამგირავებელს) ინფორმაცია უზრუნველყოფილი მოთხოვნის შეუსრულებლობის სამართლებრივ შედეგებთან დაკავშირებულ რისკებზე, მათ შორის ბანკის უფლებამოსილებაზე: ა) მიაქციოს გადახდევინება გირავნობის საგანზე, მათ შორის ბანკმა განახორციელოს გირავნობის საგნის რეალიზაცია, პირდაპირ საკუთრებაში მიღება; ბ) მიმართოს ბანკმა ისეთ ღონისძიებებს როგორცაა გირავნობის საგანზე ყადაღის, შეზღუდვის, აკრძალვის, უფლებრივი ტვირთის გავრცელება (პუნქტი 2.4);

9.5. დამგირავებელი ადასტურებს, რომ აცნობიერებს საკრედიტო პროდუქტ(ებ)ის უზრუნველყოფის სახით წარმოდგენილი ქონების დაკარგვასთან დაკავშირებულ რისკებს, თუ კლიენტმა სრულად არ დაფარა უზრუნველყოფილი მოთხოვნით გათვალისწინებული ყველა ვალდებულება (პუნქტი 2.5.).

9.6. გირავნობის საგანზე გირავნობის უფლება წარმოიშობა გირავნობის ხელშეკრულების მარეგისტრირებელ ორგანოში რეგისტრაციის მომენტიდან და მოქმედებს უზრუნველყოფილი მოთხოვნიდან გამომდინარე ვალდებულებების სრულ დაკმაყოფილებამდე (პუნქტი 4.1.);

9.7. გირავნობის საგნით სარგებლობა და მოვლა-პატრონობა: დამგირავებელს უფლება აქვს ფლობდეს გირავნობის საგანს და ისარგებლოს ამ საგნით ისე, რომ ამით არ შემცირდეს გირავნობის საგნის ღირებულება. ბანკიდან სხვაგვარი მითითების არსებობამდე, დამგირავებელი უფლებამოსილია მიიღოს გირავნობის საგნის ნაყოფი (პუნქტი 4.4);

9.8. დამგირავებელი ვალდებულია, ბანკის წინასწარი თანხმობის გარეშე არ დაუშვას გირავნობის საგნის ან მისი/მათი ნაწილის განკარ-

გვა, გასხვისება, ან/და სხვაგვარად დატვირთვა, ან/და არ იკისროს იმგვარი ვალდებულებები ან/და განიოს ხარჯები რამაც შესაძლოა მნიშვნელოვანი ზეგავლენა იქონიოს დამგირავებლის მიერ გირავნობის ხელშეკრულებით, მისი დანართებით ან/და მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე. გირავნობის საგნის მესამე პირისთვის გადაცემა დასაშვებია მხოლოდ ბანკის წინასწარი წერილობითი თანხმობით (პუნქტი 4.5.).

9.9. გირავნობის საგნის მოვლა-პატრონობის ვალდებულება, მისი შემთხვევით განადგურების ან დაზიანების რისკი ეკისრება დამგირავებელს (პუნქტი 4.6.), იგი ვალდებულია: უზრუნველყოს გირავნობის საგნის გამართულ მდგომარეობაში შენარჩუნება და გაილოს ყველა ხარჯი გირავნობის საგნის მოვლა-პატრონობისათვის, გირავნობის უფლების შეწყვეტამდე, მათ შორის იმ წესითა და ვადით, რომელიც გათვალისწინებულია საგარანტიო ან/და ტექნიკური დოკუმენტაციით და განახორციელოს გირავნობის საგნის საგარანტიო მომსახურება, მიმდინარე ან/და კაპიტალური რემონტი(გირავნობის საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე, ასეთის აუცილებლობის შემთხვევაში) (პუნქტი 4.6.2).

9.10. გირავნობის ხელშეკრულება ძალაში შედის გირავნობის ხელშეკრულების მხარეთა ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს უზრუნველყოფილი მოთხოვნის სრულად და ჯეროვნად შესრულებამდე (პუნქტი 7.1).

10. სს „ლ-ის“ ავტომობილის ექსპერტ-შემფასებლის რ. თ-ის 2023 წლის 27 დეკემბრის გამოკითხვის ოქმით დგინდება, რომ 2022 წლის 22 ნოემბერს მიმართა მსესხებელმა ა. ზ-ემ, რომელმაც მოითხოვა 8000 ლარი, 6 თვით. სესხი გაცა ექვსი თვით. სესხის უზრუნველყოფა მოხდა ა. ზ-ის სახელზე რეგისტრირებული „CHEVROLET CRUZE-2010“ მარკის თეთრი ფერის ავტომანქანით (სახელმწიფო ნომრით ...). ხელშეკრულების პირობების თანახმად, 6 თვის შემდეგ მას უნდა დაებრუნებინა 8269.59 ლარი. 6 თვის განმავლობაში ყოველთვიურად უნდა შეეტანა მხოლოდ სესხის პროცენტი 287.56 ლარი, რომლის გადახდა მას უნდა დაეწყო 2022 წლის 26 დეკემბრიდან. ა. ზ-ე სესხის პროცენტს იხდიდა 2022 წლის 26 დეკემბრიდან 2023 წლის 24 მაისამდე. მსესხებელს სესხის ვადა ამოეწურა, რის გამოც სესხს სჭირდებოდა პროლონგაცია (გადავადება) ან სრული დაფარვა. ვინაიდან, მსესხებელმა ვერ შეძლო სესხის სრულად დაფარვა და ვერ წარმოადგინა მისი ავტომანქანა „CHEVROLET CRUZE-2010“, სესხი გადავიდა ვადაგადაცილებაში. მსესხებელმა რამდენჯერმე მოითხოვა აღნიშნული ავტომობილის სესხის გადავადება, რაზეც ბანკისგან მიიღო უარი, რადგან მან ვერ მოახერხა ავტომობილის წარდგენა. ა. ზ-ესთან სესხის გადახდასთან და ავტომობილის წარდგენასთან დაკავშირებით საქმეს აწარმოებდა სს „ლ-ის“

პრობლემური სამსახურის თანამშრომელი თ. დ-ა.

11. სს „ლ-ის“ პრობლემური ავტოლომბარდის მხარდამჭერი ოფიცის თ. დ-ას 2023 წლის 15 დეკემბრის გამოკითხვის ოქმით დგინდება, რომ ა. ზ-ეს ეკრძალებოდა ბანკის წინასწარი თანხმობის გარეშე გაესხვისებინა ან სხვაგვარად დაეტვირთა გირავნობით დატვირთული ავტომობილი, ან იმგვარი ვალდებულება ან/და ხარჯები აელო, რაც მნიშვნელოვან გავლენას მოახდენდა მის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე. მას შემდეგ რაც სესხი გადავიდა ვადაგადაცილებაში, აღნიშნული საქმე დაენერა მას, რათა მოეხდინა შესაბამისი რეაგირება და დაკავშირებოდა ა. ზ-ეს. მან სცადა ა. ზ-ესთან სატელეფონო კომუნიკაცია ხელშეკრულებაში მითითებულ ნომრებზე, მაგრამ მის მიერ მითითებული ყველა ნომერი იყო გამორთული. აღნიშნულის გამო მას არანაირი კომუნიკაცია არ ჰქონია ა. ზ-ესთან და საქმე გადასცა სს „ლ-ის“ იურისტებს, რომლებმაც შემდეგ მიმართეს კერძო აღმასრულებელს – დ. ე. .

12. 2023 წლის 29 მაისს ა. ზ-ეს გაეგზავნა გაფრთხილების წერილი, რომელშიც მითითებული იყო, რომ არ სრულდებოდა სს „ლ-ის“ წინაშე საკრედიტო ხელშეკრულება №...ით ნაკისრი სასესხო ვალდებულებები, 14 კალენდარული დღის განმავლობაში ა. ზ-ეს სრულად უნდა დაეფარა სს „ლ-ის“ მიმართ საკრედიტო ხელშეკრულებით წარმოშობილი მიმდინარე დავალიანება. ა. ზ-ეს განემარტა მოთხოვნის 14 დღის ვადაში დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში, ბანკის უფლებამოსილება, მიმართოს სასამართლოს ან/და მოითხოვოს გირავნობის მონაშობის აღება.

13. 2023 წლის 17 აგვისტოს სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიერ გაიცა გირავნობის მონაშობა №.....

14. დ. ე-ის კერძო სააღსრულებო ბიუროს თანამშრომლის გ. მ-ის 2024 წლის 9 იანვრის გამოკითხვის ოქმის თანახმად, 2023 წლის 18 აგვისტოს კერძო სააღსრულებო ბიუროში შევიდა მასალები, რომელიც შეეხებოდა მოქალაქე ა. ზ-ის (პ/ნ...-) მიერ ლ-ის მიმართ შესასრულებელ ვალდებულებას, რომლის ფარგლებშიც მისი კუთვნილი „CHEVROLET CRUZE-2010“ მარკის თეთრი ფერის ავტომანქანა, სახელმწიფო ნომრით – ... გირავნობით დაიტვირთა და ლ-ის მიერ გაიცა სესხი (იგივე ავტოსესხი). ვინაიდან ა. ზ-ემ არ შეასრულა ლ-ის მიმართ დადებული სასესხო ხელშეკრულება და მოთხოვნები, სააღსრულებლო საქმის წარმოების მიზნით „ლ-მა“ მათ გადაუგზავნა შსს მომსახურების სააგენტოს მიერ 2023 წლის 17 აგვისტოს გაცემული გირავნობის მონაშობა, რომელიც ავალდებულებდა მოვალე ა. ზ-ეს თანხის გადაუხდელობის შემთხვევაში, ავტომანქანა გადაეცა ლ-ისათვის, რაც მან არ შეასრულა. მონაშობის განმარტებით, როგორც მათთვისაა ცნობილი, ა. ზ-

ემ ზემოხსენებული ავტომობილი დაშალა ნაწილებად და დაუმალა ბანკს. აღსრულების ბიუროს მიერ გატარდა შემდეგი ღონისძიებები: ა. ზ-ის მის დოკუმენტაციაში მითითებულ მისამართზე ორჯერ გაეგზავნა ინფორმირების წერილი სააღსრულებლო წარმოების შესახებ. ა. ზ-ეს ვერ ჩაჰბარდა წერილები, მას ვერც სხვა საკომუნიკაციო საშუალებებით დაუკავშირდნენ. მათმა აღსრულების ბიურომ 2023 წლის 14 სექტემბერს მიმართა სასამართლოს შუამდგომლობით – მოვალე მოქალაქე ა. ზ-ის (პ/ნ) ძებნილად გამოცხადების შესახებ. რუსთავის საქალაქო სასამართლოს მიერ 2023 წლის 11 ოქტომბრის განჩინებით დაკმაყოფილდა კერძო აღმასრულებლის დ. ე-ის შუამდგომლობა მოვალის – ა. ზ-ის ძებნის გამოცხადების შესახებ. 2023 წლის 30 ოქტომბერს ა. ზ-ე გამოცხადდა აღსრულების ბიუროში, მას ესაუბრა პირადად, რა დროსაც წერილი, რომელიც მანამდე ვერ ბარდებოდა გადასცა პირადად. ა. ზ-ემ დაწერა განცხადება, სადაც უთითებდა, რომ ავტომობილი ჰყავდა მისი ბიძის საცხოვრებელ სახლში. ზ-ეს მოცემულ საკითხზე ჰქონდა ძალიან ზერელე დამოკიდებულება, არ აძლევდა ზუსტ საკონტაქტო ნომერს და შეკითხვებზე პასუხობდა აგდებულად. მან ასევე მიუთითა, რომ თანხას ვერ გადაიხდიდა და წავიდა. ვინაიდან იგი აღნიშნული საკითხის მიმართ იჩენდა ზერელე და არაკეთილსინდისიერ დამოკიდებულებას და მის ქმედებაში იკვეთებოდა დანაშაულის ნიშნები, აღნიშნულის შესახებ ინფორმაცია მიაწოდა ლ-ს.

15. შ. ძ-ის 2024 წლის 30 ნოემბრის გამოკითხვის ოქმის თანახმად, მისმა დისშვილმა, ა. ზ-ემ 2023 წლის აპრილის თვის დასაწყისში (ზუსტი რიცხვი არ ახსოვს), სთხოვა, რომ მის გაფუჭებულ „CHEVROLET CRUZE-2010“ მარკის (სახელმწიფო ნომრით – ...) ავტომანქანას დროებით დააყენებდა მისი საცხოვრებელი სახლის ეზოში. როგორც შ. ძ-სთვისაც ცნობილი, ა-მა მანქანა ვერ შეაკეთა, თავად დაშალა ნაწილებად რეალიზაციის მიზნით, თუმცა სად და ვის მიჰყიდა მოწმისათვის უცნობია.

16. 2023 წლის 15 ნოემბრის ჩხრეკის ოქმის თანახმად, გირავნობის საგანი – „CHEVROLET CRUZE-2010“ (სახელმწიფო ნომრით ...) დაშლილ მდგომარეობაში (ავტომანქანას არ აქვს არცერთი კარი, ძრავა, საბარგული და ძრავის სახურავი, სავალი ნაწილები და საბურავები) აღმოჩენილ იქნა დ. ძ-ის საცხოვრებელი სახლის ეზოში.

17. ა. ზ-ემ პირველი ინსტანციის სასამართლოში თავი ცნო დამნაშავედ წარდგენილ ბრალდებაში და დაეთანხმა საქმის ყველა ფაქტობრივ გარემოებას (იხ.: სამტრედიის რაიონული სასამართლოს 2024 წლის 26 დეკემბრის სხდომის ოქმი 13:23:08-13:24:04; 2024 წლის 31 დეკემბრის სხდომის ოქმი 12:08:39-12:09:06).

18. შესაბამისად, სისხლის სამართლის საქმეში წარმოდგენილი და მხარეთა მიერ უდავოდ ცნობილი მტკიცებულებებით გონივრულ ეჭვს

მიღმა სტანდარტით დასტურდება, რომ ა. ზ-ემ გირავნობის საგნად გამოყენებული ავტომობილი – „CHEVROLET CRUZE-2010“ (სახელმწიფო ნომრით ...) დაშალა და ბანკის წინასწარი თანხმობის გარეშე გირავნობის საგნის ნაწილები განკარგა, გირავნობის ხელშეკრულების მოქმედების დროს, მიუხედავად იმისა, რომ ბანკთან საკრედიტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები არ იყო შესრულებული და ა. ზ-ის ავტომობილი წარმოადგენდა გირავნობის საგანს.

19. გასაჩივრებული განაჩენის თანახმად, სისხლის სამართლის საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით ვერ დასტურდება ა. ზ-ის მიერ საქართველოს სსკ-ის 377-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენა, ვინაიდან საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით არ დასტურდება, რომ „CHEVROLET CRUZE-2010“ (სახელმწიფო ნომრით – ...) ფირმის ავტომობილის მოთხოვნის უფლების წარმოშობისა და სააღსრულებო წარმოების დაწყების დროისთვის ავტომანქანა ჯერ კიდევ ა. ზ-ესთან იმყოფებოდა; მან მანქანა მას შემდეგ დაშალა ნაწილებად და გაასხვისა, რაც კერძო აღმასრულებლისგან მიიღო ინფორმაცია, ავტომანქანის წარდგენის თაობაზე. აღნიშნულის საპირისპიროდ, საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით დასტურდება, რომ ა. ზ-ემ ავტომანქანა შ. ძ-ის საცხოვრებელ ეზოში მიიყვანა 2023 წლის აპრილში, კერძო აღმასრულებლისგან კი ინფორმაცია მიიღო 2023 წლის ოქტომბერში, რაც გამორიცხავს მის მიერ საქართველოს სსკ-ის 377-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენას.

20. საკასაციო სასამართლო სააპელაციო სასამართლოს ზემოაღნიშნულ მსჯელობას ვერ გაიზიარებს და აღნიშნავს, რომ ა. ზ-ის საქართველოს სსკ-ის 377-ე მუხლის პირველი ნაწილით მსჯავრდების მიზნებისათვის, მოცემულ შემთხვევაში, ირელევანტურია ა. ზ-ემ გირავნობის საგნად გამოყენებული მანქანა დაშალა და გაასხვისა კერძო აღმასრულებლისგან ავტომანქანის წარდგენის თაობაზე ინფორმაციის მიღების შემდეგ, თუ – მანამდე.

20.1. სასამართლო ითვალისწინებს, რომ 2022 წლის 24 ნოემბრის საბანკო კრედიტის ხელშეკრულების თანახმად, წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე კლიენტის ვალდებულებების შესრულება უზრუნველყოფილია გირავნობით, ხოლო 2022 წლის 24 ნოემბრის გირავნობის ხელშეკრულების 4.1. პუნქტის თანახმად, გირავნობის საგანზე გირავნობის უფლება წარმოიშობა გირავნობის ხელშეკრულების მარეგისტრირებელ ორგანოში რეგისტრაციის მომენტიდან და მოქმედებს უზრუნველყოფილი მოთხოვნიდან გამომდინარე ვალდებულებების სრულ დაკმაყოფილებამდე. ამასთან, ამავე ხელშეკრულების 7.1. პუნქტის თანახმად, გირავნობის ხელშეკრულება ძალაში შედის გი-

რავნობის ხელშეკრულების მხარეთა ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს უზრუნველყოფილი მოთხოვნის სრულად და ჯეროვნად შესრულებამდე.

21. სასამართლო ითვალისწინებს, რომ გასაჩივრებულ განაჩენში მითითებული მსჯელობა ეწინააღმდეგება ასევე სესხის ხელშეკრულებასაც, რომლის თანახმად, საბანკო კრედიტის ხელშეკრულების მოქმედების ვადაა – 2023 წლის 24 მაისამდე, მაგრამ ყველა შემთხვევაში, სანამ სრულად არ იქნება შესრულებული კლიენტის ვალდებულებები. დგინდება, რომ ა. ზ-ემ ზემოაღნიშნული სატრანსპორტო საშუალება შ. ძ-ის ეზოში დააყენა 2023 წლის აპრილის დასაწყისში, გაფუჭებული, დაშალა და ნაწილებად გაასხვისა. ამდენად, ხელშეკრულების მოქმედების დროს, ნაცვლად იმისა, რომ ხელშეკრულების პირობების თანახმად, ბანკის წინასწარი თანხმობის გარეშე არ დაეშვა გირავნობის საგნის ან მისი ნაწილის განკარგვა, გასხვისება და უზრუნველყო გირავნობის საგნის გამართულ მდგომარეობაში შენარჩუნება და გაეღო ყველა ხარჯი გირავნობის საგნის მოვლა-პატრონობისათვის, გირავნობის უფლების შეწყვეტამდე მან დაარღვია ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

22. 2022 წლის 24 ნოემბრის საბანკო კრედიტის ხელშეკრულების №..... დანართი №..-ის გირავნობის საგნის აღწერის თანახმად, გირავნობის საგანია –ავტოსატრანსპორტო საშუალება „CHEVROLET CRUZE-2010“ (ტრანსპორტის სარეგისტრაციო ნომერი – ...), რომელზეც საქართველოს შს სამინისტროს ინფორმაციული უზრუნველყოფის და ანალიზის სამმართველოს მონაცემებით მექანიკურ სატრანსპორტო საშუალებაზე სამართლებრივი დატვირთვა ან უფლებრივი შეზღუდვა რეგისტრირებული არ არის, ბანკის გირავნობის უფლება დარეგისტრირდა I რიგის გირავნობად; ხელშეკრულების დადების თარიღისთვის ღირებულებად განისაზღვრა 10800 ლარი. აღნიშნული დოკუმენტი წარმოადგენს გირავნობის ხელშეკრულების დანართს და მის განუყოფელ ნაწილს და მასზე ვრცელდება გირავნობის ხელშეკრულების მუხლებს, პუნქტებს) ან/და ქვეპუნქტებს) მოქმედება. შესაბამისად, 2023 წლის აპრილში, როდესაც ა. ზ-ემ დაშალა და ნაწილებად გაასხვისა ავტომობილი, მოცემული ავტომობილი უკვე იყო აღწერილი ქონება.

22.1. სასამართლო ითვალისწინებს, რომ: ბრალდების მხარე ა. ზ-ეს ედავება აღწერილი ქონების გასხვისებას. საქართველოს სსკ-ის 377-ე მუხლის პირველი ნაწილი ადგენს სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას მათ შორის აღწერილი ქონების გასხვისების და დამალვისთვის იმ პირის მიერ, ვისაც ეს ქონება ჰქონდა მინდობილი, საქართველოს სსკ-ის 377-ე მუხლი სისხლის სამართლებრივი დაცვის უშუალო ობიექტია კრედიტორის კანონიერი ინტერესი სააღსრულებო დანესე-

ბუღალტერით მიერ კანონით გათვალისწინებული აქტების აღსრულებასთან მიმართებით; გირავნობის ხელშეკრულების 4.5. პუნქტის თანახმად, დამგირავებელი ვალდებულია, ბანკის წინასწარი თანხმობის გარეშე არ დაუშვას გირავნობის საგნის ან მისი/მათი ნაწილის განკარგვა, გასხვისება, ან/და სხვაგვარად დატვირთვა, ან/და არ იკისროს იმგვარი ვალდებულებები ან/და განიოს ხარჯები რამაც შესაძლოა მნიშვნელოვანი ზეგავლენა იქონიოს დამგირავებლის მიერ გირავნობის ხელშეკრულებით, მისი დანართებით ან/და მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე. გირავნობის საგნის მესამე პირისთვის გადაცემა დასაშვებია მხოლოდ ბანკის წინასწარი წერილობითი თანხმობით.

22.2. შესაბამისად, იმისდამიუხედავად, თუ კონკრეტულად როდის განახორციელა ა. ზ-ემ სადავო ავტომობილის ნაწილებად დაშლა – რეალიზაცია, სისხლის სამართლის საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით (მათ შორის, შ. ძ-ის გამოკითხვის ოქმით, 2023 წლის 15 ნოემბრის ჩხრეკის ოქმით) გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით დასტურდება, რომ ა. ზ-ემ საბანკო კრედიტის და გირავნობის ხელშეკრულების ვადის ამონაწერამდე დაარღვია ხელშეკრულების პირობები და არ განახორციელა არა მხოლოდ გირავნობის საგნის დაცვა-მოვლა-პატრონობა, არამედ ბანკის წინასწარი თანხმობის გარეშე გირავნობის საგნის ნაწილები განკარგა და გაასხვისა.

22.3. შესაბამისად, ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ა. ზ-ე ვალდებული იყო 2022 წლის 24 ნოემბრის საბანკო კრედიტის ხელშეკრულების დადების შემდეგ, ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულებამდე იმ მდგომარეობაში შეენარჩუნებინა გირავნობის საგანი – ავტომობილი – „CHEVROLET CRUZE-2010“ (სახელმწიფო ნომრით – ...) რა მდგომარეობაშიც იყო ხელშეკრულების დადების დროს, რაც მან არ შეასრულა, შესაბამისად, ა. ზ-ის უდანაშაულოდ ცნობა, მხოლოდ იმ საფუძველით, რომ ვერ დგინდება დროის რა მონაკვეთში დაშალა და გაასხვისა ავტომობილი, ეწინააღმდეგება როგორც სისხლის სამართლის საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს, ასევე – სამართლებრივ საფუძველს მოკლებულია.

23. საკასაციო სასამართლო ითვალისწინებს, რომ საქართველოს სსსკ-ის 259-ე მუხლის მეოთხე ნაწილის თანახმად, სასამართლოს განაჩენი სამართლიანია, თუ დანიშნული სასჯელი შეესაბამება მსჯავრდებულის პიროვნებასა და მის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეს. სასჯელის სამართლიანობა კი უნდა შეფასდეს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპის გათვალისწინებით. „სასჯელი, ერთი მხრივ, უნდა იყოს ქმედებით გამოწვევად საფ-

რთხებთან გონივრულ პროპორციაში, ხოლო, მეორე მხრივყოველ კონკრეტულ შემთხვევაში სასჯელის დაკისრება უნდა მოხდეს დანაშაულის ინდივიდუალური გარემოებების გათვალისწინებით“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის №1/4/592 გადაწყვეტილება „საქართველოს მოქალაქე ბექა ნიქარიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-38), უნდა ეფუძნებოდეს საქმის სირთულეს, ქმედებიდან მომდინარე საფრთხეებს, ქმედების ჩადენის წინაპირობებს, მოტივებს, შედეგებს, დამნაშავის პიროვნების თავისებურებებს, სასჯელის ზემოქმედებას დამნაშავის მომავალ ცხოვრებაზე (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება №1/7/851 „საქართველოს მოქალაქე იმედა ხახუტაიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, 2017 წლის 11 ივლისი, II-10).

24. საქართველოს სსკ-ის 377-ე მუხლის პირველი ნაწილი სასჯელის სახედ და ზომად ითვალისწინებს ჯარიმას ან საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომას ვადით ას ოთხმოციდან ორას ორმოც საათამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე.

25. საკასაციო სასამართლო სასჯელის განსაზღვრისას ითვალისწინებს ჩადენილი დანაშაულის კატეგორიას, – ა. ზ-ემ ჩაიდინა განზრახი ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაული, მსჯავრდებულის ინდივიდუალურ მახასიათებლებს, მათ შორის: იმ გარემოებას, რომ ა. ზ-ე აღიარებს მისთვის ბრალდწარდგენილი დანაშაულის ჩადენას; უდავოდ ცნო ბრალდების მხარის მტკიცებულებები, რითაც ხელი შეუწყო სწრაფი მართლმსაჯულების განხორციელებას; ეკონომიურ მდგომარეობას (არის უმუშევარი), ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მდგომარეობას (იხ.: გადახდების ისტორია) მზაობას აანაზღაუროს ზიანი, განსახილველი დანაშაულიდან გასულ დროს და იმ ფაქტს, რომ აღნიშნული დანაშაულის ჩადენიდან წინამდებარე განაჩენის დადგენამდე ა. ზ-ე არ არის მხილებული სხვა სამართალდარღვევის ჩადენაში. სასამართლო ასევე ითვალისწინებს, რომ „სასჯელი არ უნდა იყოს არც ზედმეტად მკაცრი და არც ზედმეტად ლმობიერი იმისათვის, რომ მიღწეული იქნეს სასჯელის მიზნები“ (იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 11 ივლისის გადაწყვეტილება №1/7/851 „საქართველოს მოქალაქე იმედა ხახუტაიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-7). „პატიმრობის გზით პირის თავისუფლების შეზღუდვა არის არა წესი, არამედ გამოწკლისი. პირის თავისუფლების შეზღუდვა წარმოადგენს უკიდურეს ღონისძიებას, რომელიც გამოყენებული უნდა იქნეს მხოლოდ გამოწკლისის შემთხვევასა და ვითარებაში, მაშინ, როდესაც აღნიშნული ღონისძიება არის აბსოლუტურად აუცილებელი და ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად არ არსებობს სხვა ალტერნატივა (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს

2022 წლის 24 ივნისის გადაწყვეტილება №3/5/1341, 1660 „თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინებები საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-200 მუხლის მე-6 ნაწილის პირველი წინადადების კონსტიტუციურობის თაობაზე“, II-33).

25.1. იმავდროულად, განსახილველი საქმის ინდივიდუალური გარემოებების, დანაშაულის ჩადენის მიზეზის და მოტივის, მოწმეთა ჩვენებების, დანაშაულის ხასიათის და ფაქტობრივი გარემოების გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო მიზანშეწონილად არ მიიჩნევს სასჯელის სახით ჯარიმის გამოყენებას.

25.2. შესაბამისად, საქართველოს სსკ-ის 53-ე მუხლის მე-3 ნაწილითა და 39-ე მუხლის პირველი ნაწილით დადგენილი სასჯელის დანიშვნის ზოგადსავალდებულო მოთხოვნებისა და სასჯელის მიზნების (სამართლიანობის აღდგენა, ახალი დანაშაულის თავიდან აცილება და დამნაშავის რესოციალიზაცია) გათვალისწინებით, ა. ზ-ეს სასჯელის სახედ და ზომად უნდა განესაზღვროს საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა – 180 საათი.

26. „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის კანონის მე-10 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ამ კანონის პირველი-მე-4 მუხლების, მე-5 მუხლის მე-2 პუნქტისა და მე-6 მუხლის მოქმედება ვრცელდება იმ პირზე, რომელმაც შესაბამისი დანაშაული 2024 წლის 1 ივლისამდე ჩაიდინა.

26.1. „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტით ერთი მეექვსედით უნდა შემცირდეს ვადიანი თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული სასჯელი პირს, რომელზედაც არ ვრცელდება ამ კანონის პირველი-მე-3 მუხლებით გათვალისწინებული ამნისტია და რომელსაც ამ კანონის მე-7 მუხლით განსაზღვრული დანაშაული არ ჩაუდენია. ამავე კანონის მე-9 მუხლის პირველი პუნქტით ამ კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული სასჯელის შემცირება ვრცელდება ვადიანი თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნულ რეალურ სასჯელზე, პირობით მსჯავრსა და გამოსაცდელ ვადაზე, აგრეთვე სხვა სასჯელზე (გარდა ჯარიმისა, ქონების ჩამორთმევისა, იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვისა და სამხედრო წოდების ჩამორთმევისა).

26.2. ა. ზ-ისათვის საქართველოს სსკ-ის 377-ე მუხლის პირველი ნაწილით მსჯავრდებუარცხილ დანაშაულზე არ ვრცელდება „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის კანონის პირველი-მე-3 მუხლებით გათვალისწინებული ამნისტია, მას ასევე არ ჩაუდენია ამ კანონის მე-7 მუხლით გათვალისწინებული დანაშაული. შესაბამისად, ა. ზ-ისათვის სასჯელის სახით განსაზღვრული საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა – 180 საათი უნდა შემცირდეს 1/6-ით

და განესაზღვროს – 150 საათი საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა.

27. ნივთმტკიცება – „CHEVROLET CRUZE-2010“ (სახელმწიფო ნომრით ...) დაშლილ ავტომობილთან მიმართებით, სასამართლო ითვალისწინებს, რომ მოცემული ავტომობილი წარმოადგენს ა. ზ-ის საკუთრებას, რომლის მიმართაც 2023 წლის 17 აგვისტოს გაცემულია გირავნობის მოწმობა, რომელიც არის აღსრულების ქვემდებარე აქტი, რომელიც კანონმდებლობით დადგენილი გარემოებების არსებობისას მოგირავნეს უფლებას აძლევს მოსთხოვოს უფლებამოსილ ორგანოს გირავნობით უზრუნველყოფილი მოთხოვნის დაკმაყოფილების მიზნით დაგირავებული ნივთის მის მფლობელობაში გადაცემა. სისხლის სამართლის საქმის მასალებით დგინდება, რომ გირავნობის საგანი – „CHEVROLET CRUZE-2010“ (სახელმწიფო ნომრით ...) დაშლილ მდგომარეობაში (ავტომანქანას არ აქვს არცერთი კარი, ძრავა, საბარგული და ძრავის სახურავი, სავალი ნაწილები და საბურავები) ხელწერილით ჩაჰპარდა დ. ძ-ს და სს „ლ-ს“ მფლობელობაში არ გადასცემია.

27.1. სასამართლო ითვალისწინებს გირავნობის საგნის მდგომარეობას (ავტომანქანას არ აქვს არცერთი კარი, ძრავა, საბარგული და ძრავის სახურავი, სავალი ნაწილები და საბურავები), მიყენებული ზიანის ოდენობას, იმ გარემოებას, რომ საქმის განხილვიდან დღემდე სს „ლ-ს“ არ გამოუთქვამს სურვილი და არ მოუთხოვია „CHEVROLET CRUZE-2010“ (სახელმწიფო ნომრით ...) საკუთრებაში გადაცემა.

27.2. შესაბამისად, არ არსებობს საქართველოს სსსკ-ის 81-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე ნივთმტკიცების საკითხის გადანყვეტის სამართლებრივი საფუძველი.

28. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს სსსკ-ის 81-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე (თუ დანაშაულის იარაღს ან საგანს ღირებულება არა აქვს, იგი ნადგურდება, ხოლო თუ მას აქვს რაიმე ღირებულება, ხდება მისი საპროცესო კონფისკაცია) უნდა მოხდეს „CHEVROLET CRUZE-2010“ (სახელმწიფო ნომრით ...) დაშლილ მდგომარეობაში (ავტომანქანას არ აქვს არცერთი კარი, ძრავა, საბარგული და ძრავის სახურავი, სავალი ნაწილები და საბურავები) საპროცესო კონფისკაცია და გადაეცეს სახელმწიფოს.

29. იმავდროულად, სასამართლო ითვალისწინებს, დაზარალებულს უფლებას, სამოქალაქო სამართალწარმოების წესით, მოითხოვოს მისთვის აღნიშნული დანაშაულით მიყენებული ქონებრივი ზიანის ანაზღაურება გამარტივებული წესით.

30. სასამართლო ითვალისწინებს, რომ სამტრედიის რაიონული სასამართლოს 2024 წლის 5 ნოემბრის განჩინებით ა. ზ-ეს აღკვეთის ღონისძიების სახით შეეფარდა გირაო – 1000 ლარი. სისხლის სამართლის

საქმეში წარმოდგენილია მხოლოდ გირაოს შემტანის პასუხისმგებლობის შესახებ გაფრთხილების ოქმი და ვერ დგინდება ა. ზ-ის გირაოს სახით შეფარდებული თანხა გადახდილი აქვს თუ არა, ამასთან, სისხლის სამართლის საქმის მასალებში არ არის ასევე წარმოდგენილი ინფორმაცია/ბრალდების მხარის შუამდგომლობა გირაოს გადაუხდელობის შემთხვევაში აღკვეთის ღონისძიების შეცვლის მოთხოვნის შესახებ.

31. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამტრედიის რაიონული პროკურატურის პროკურორ ლეილა კვერნაძის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2025 წლის 25 მარტის განაჩენი უნდა გაუქმდეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით და

და ა დ ბ ი ნ ა:

1. სამტრედიის რაიონული პროკურატურის პროკურორ ლეილა კვერნაძის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2025 წლის 25 მარტის განაჩენი;

3. ა. ზ-ე ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 377-ე მუხლის პირველი ნაწილით და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა – 180 საათი, რაც „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტით შეუმცირდეს 1/6-ით და განესაზღვროს 150 საათი საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა;

4. საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის აღსრულებაზე კონტროლი განახორციელოს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს ტერიტორიულმა ორგანომ – კანონმდებლობით დადგენილი წესით.

5. შ. ძ-ის სახლის ჩხრეკის ამსახველი 2 ცალი ლაზერული დისკი, შენახულ იქნეს საქმის შენახვის ვადით.

6. „CHEVROLET CRUZE-2010“ (სახელმწიფო ნომრით ...) დაშლილი ავტომანქანა, რაც ხელწერილით ჩაბარებული აქვს დ. ძ-ს, საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ გადაეცეს სახელმწიფოს;

7. ცნობად იქნეს მიღებული, რომ ა. ზ-ის მიმართ გამოყენებული აღკვეთის ღონისძიება – გირაო გაუქმებულია;

8. განაჩენი საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

საქართველოს უზენაესი სასამართლო
თბილისი 0110, ძმები ზუბალაშვილების ქ. №6
www.supremecourt.ge